



ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

26 დეკემბერი 2014

№ 26 (234)



ევრიპიდეს სინდრომი
 ლერი ალიმონაკის ნოველა
 ქართული კრიტიკა არსებობს
 ღირსსახსოვარი სვანური საგა
 ელენე ჩიქოვანის პოეტური დებიუტი
 ზაზა აბზიანიძის საახალწლო ზღაპარი
 კობტა შიკრიკი და იმპერატრიცა ეკატერინე
 პალესტინური ავტობიოგრაფიული რომანი
 ელგუჯა თავბერიძე ალბერ კამიუზე
 პირანდელოს ცოტაოდენი ღვინო
 სოსო მეშველიანის ლირიკა
 ლეგენდის გადასარჩენად
 ეპიზოდი კულუარებიდან

შინაარსი

რადამგორის გვერდი	2	ლეგენდის გადასარჩენად (ნაჯიბ მაჰმუდის უბნის კარნავალი)
მსპრეს-ინტერვიუ	4	სოსო ლალიძე „ბედნიერება ბედნიერ საქართველოში ცხოვრება“ (მოამზადა იოსებ ჭუმბურიძემ)
ისტორიის თეთრი ლაქები	5	მიხეილ ქართველიშვილი ჯარისკაცის მოგონებანი 1921 წლის თებერვლის ბრძოლებზე (იოსებ მამაცაშვილის მემუარები)
ილიას გვით	6	მალხაზ ივანიძე საბურამო. მნიშვნელოვანი და მასშტაბი
დოკუმენტური ნოველა	8	ლერი ალიმონაკი ფამფორა
დრამატურგია	12	ზაზა აბზიანიძე ამბავი და ლა მელასი (საახალწლო ზღაპარი დიდებისა და პატარებისათვის ექვს სურათად)
პოეზია	22	სოსო მეშველიანი დანამცეცხვული ფიქრებიდან და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	24	ნატა ვარადა იმპროსიონისტული პორტრეტები და ავტოპორტრეტი პოეტის გვირგვინი
პოეზია	25	ელენე ჩიქოვანი ბაზაფხულზე და სხვა ლექსები
უხსოვთნის ცხოვრებიდან	26	დავით ხიზამბარელი მთავარი გმირები (არ) კვლავინ, ჯორჯ!
გამოსაზრება	28	ეკა ბუჯიაშვილი „გზები. გზები. დანუცხვითი ბილიკები...“ (ალექსანდრე მთებრიძის მემუარული ჩანაწერები)
დიალოგი	30	„მაც ადამიანთა სიყვარული მამოქრავებს“ (სოფიკო ჯერვალიძეს ესაუბრება ცისანა ჯანაშვილი)
ახალი წიგნები	34	მარინე ტურავა ქართული კრიტიკა არსებობს (ლევან ბრეგაძის „მოთხრობები ლიტერატურაზე“)
მწერლის არქივიდან	36	შოთა ძიძიგური რამდენიმე სიტყვა ოთარ ჩხეიძის „აღმართ-დაღმართის“ გამო
	37	როსტომ ჩხეიძე რეცენზიის რეცენზია (ეპიზოდი შოთა ძიძიგურის კულტურული საქმიანობიდან)
რეპორაჟი	39	ნინო დეკანოიძე იბულისხმეთ — გამარჯვებული (თეიმურაზ ხევისთავის ლიტერატურული გასამართლება)
ჩემი პატარა ქალაქი	44	ნათე ბანძელი მზესაპირთ ბაცემული სიტოპო (შეხვედრა ნომადი ბართაიასგან მარტვილში)
გზრინიანი პორტრეტისათვის	46	ვახტანგ ხახტაძე კარგი ლექსები ყოველთვის გვინდა!
ერი და ბედნიერება	48	ნინო დოლიძე თანამდროვე პალესტინური ავტობიოგრაფიული რომანი (მურიდ ალ-ბარლუთის „მე ვნახე რამალა“)
ქიზა	50	ლია წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია („სამყარო და ხმელთა კიდე“)
კრიტიკა	55	სოსო ნადირაძე კლდის ქიმიდან (იკა ქადაგიძის „ძირს ომერტა!“)
ახალი რომანი	57	ამირან არაბული ღირსსახსოვარი სვანური საგა (თემურ ამყოლაძის „დადეშქელიანების ამბავი“)
გამოსაზრება	58	ელგუჯა თავბერიძე ჰორიზონტი (ალბერ კამიუს „მოლაღატე ცოლი“)
ისტორიის სამსჯავრო	59	როზა დევდარიანი ეპრიკიდან სინდრომი
ხელოვნება	60	მანონ ბულისკერია გამოსარჩევების ეფექტური რეჟისურა ანუ სამი დრო უნისონში (ლევან ჭოლოშვილი)
უხსოვრი ნოველა	62	ლუიჯი პირანდელო ცოტაოდენი ღვინო
ახალი თარგმანები	64	ლორდ ბაირონი პეტიტურები: კოსტა შიპრიკი და იმპერატრიცა ეკატერინე (მეცხრე თავი „დონ ჟუანიდან“)
ლიტერატურული ცხოვრება	70	„შენა თქვი ეკლის გვირგვინი, თორემ...“ (შეხვედრა ჯემალ ინჯიასთან)
	70	მანანა ბრაჭული „შენს სიმაღლეებს — სიტყვებსა ჩემი“



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 9 იანვარს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სოსო ლალიძე, ტელესერიალიდან „ცხელი ძალი“
ანისი (ტაო-კლარჯეთი), ანა გელაშვილის ფოტო

ლეგენდის გადასარჩენად

(ნაჯიბ მაჰფუზის უბნის კარნავალი)

...არა, თავი რომ არ გამოედო აკრძალულად შერაცხილი ნიგნის ამ ეგზემპლარის მოსაპოვებლად?!

მაგრამ როდესაც გრძნობ შენი ლიტერატურული ცხოვრების იდუმალ ძახილს!

მაშინ როგორღა მისცემ თავს უფლებას, ყური მოუყრუო ამ ძახილს, ანდა თავის დასამშვიდებლად ოდნავ, სულ ოდნავ გაისარჯო.

ნაჯიბ მაჰფუზის რომანის — „ჩვენი უბნის შვილები“ — მაია ანდრონიკაშვილისეული თარგმანის მთავარ ღირსებად გიორგი ლობჯანიძე მიიჩნევს მოხერხებულად შერჩეულ რიტმს, რაც მართლაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ამხელა ტექსტის ნაკითხვისა.

მაჰფუზის მწერლური თავისებურება ხომ იმითაც გამოიხატება, რომ:

— ურთულეს საკითხებზეც კი ლაღად გვესაუბროს და უმწვავესი დრამატული კოლიზიებიც სერიალივით მსუბუქად ჩაგვაკითხოვს.

და მისი ქართული ორეულიც რომ სადაა და, ამასთან, ძალზე გულშიჩამწვდომიც, ამიტომაცაა, რომ:

— მარჯვედ ამზეურებს დედნის არაერთ საგულისხმო ნიუანსს და ადამიანს არაბული ყოფისა და აზროვნების თავისებურებათა სიღრმეებში ატრიალებს.

გიორგი ლობჯანიძის ეს შეფასება გამოთქმულია რომანისათვის წინასიტყვაობად დართულ ესეიში „მეოთხე პირამიდა“, რომელშიც ის შემუარული ეპიზოდისა ჩართული, თუ როგორ დაეძებდა ესეის ავტორი 2006 წელს, ეგვიპტეში ყოფნისას, „ჩვენი უბნის შვილების“ ორიგინალს, მაგრამ მასპინძლები თავდაპირველად შეკითხვას თავაზიანად აირიდებდნენ: მაღაზიებში ვერსად მიაგნებთო, — თუმც მერე, როდესაც აღარ მოეშვებოდათ, გაუმხელდნენ: ეგ ნიგნის ათბაბს ძველმანებისა და ბუკინისტური ნიგნების ბაზრობაზე თუ იქნება, სხვაგან არსადო!..

მაშინვე იქ გაქცეულს კი ბუკინისტები უნდობლად შეეგებებოდნენ: ხომ იცით, ეგ აკრძალული ლიტერატურაა, აბა, ჩვენ საიდან უნდა გვეკონდესო?!

თითქმის ყველა ფარდულის მეპატრონე გაზეპირებულივით ამას განუცხადებდა. და ქართველ სტუმარს იმედი რომ გადაეწურებოდა და წამოსვლას დააპირებდა, ყველა ფარდულიდან ჯერ ხმადაბალი ჩურჩული, მერე კი კაი ღონიერი ძახილი აედევნებოდა: აულად ჰარათინა! აულად ჰარათინაო!.. — და ბუკინისტები დახლქვეშიდან გამოაძვრენდნენ ნიგნის ეგზემპლარებს და შორიდან დაანახებდნენ.

და ეს შემთხვევა მისთვის იმ ტრაგიკული სინამდვილის ცოცხალი დასტური აღმოჩნდებოდა, როდესაც ნიგნი ექცევა იმ ფსევდოლირებულებათა ველში, რასაც ამ ნიგნის შიგთავსი ამითრახებს და რის გამოც ეს ცრუ ღირებულებანი ნიგნსა და მის ავტორს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება.

ხოლო ესეის „მეოთხე პირამიდად“ რომ დაასათაურებდა, ამ სიტყვათშეთანხმებას იმ კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასებიდან ისესხებდა, ეგვიპტელი მწერლის ამ უმთავრეს რომანს სწორედ მეოთხე პირამიდად რომ განსაზღვრავდნენ გიზის სამი ცნობილი პირამიდის შემდეგ.

და ამ გადმოსახედიდან გაიაზრებდა ეგვიპტური საზოგადოების იმ მწვავე რეაქციასაც, რომ ჯერ გაზეთის რედაქცია გახდებოდა იძულებული „ჩვენი უბნის შვილების“ ბექედვა შეენწყვიტა, და მერე კი ეს ნიგნი დიდი ხნითაც უნდა ამოვარდნილიყო მშობლიური ლიტერატურის მიმოქცევიდან.

არადა, ეს ის საზოგადოებაა, რომელიც ისტორიულად გამოირჩეოდა ტოლერანტულობითა და რელიგიური აზრისადმი შემწყნარებლობით.

და თანაც ამ რომანში ზედაპირული „გამლიზიანებელი“ არსებითად რომ არაფერი შეგხვდება?

და გიორგი ლობჯანიძე მკითხველს იმთავითვე რომ გაუცხადებს „ჩვენი უბნის შვილების“ ბიბლიურ და ყურანისეულ პარადიგმას: ადჰამის სახეში აბრაამისტულ რელიგიათა ადამი იგულისხმება, იდრისისა — ბიბლიური კავნი (და მუსლიმური კაბილი), რიფაყაში — იესო, ხოლო კასემში — მუჰამედიო, დასძენს: ნაჯიბ მაჰფუზის ფილოსოფიური ხედვა თითქმის არსად ეწინააღმდეგება რომანის ამ რელიგიური ტექსტებიდან მომდინარე პროტოტიპებს, თითქმის არსად უხვევს იმ ძირითად ხაზს, რითაც ეს პროტოტიპები მათ მიმდევართა და თაყვანისმცემელთა სისტემურ საწინააღმდეგობრივ რწმენა-წარმოდგენებში არსებობენო.

აბა მაშ რას შეიძლება გამოენვია რომანისათვის სასტიკი დევნის გამოცხადება?

იმ დაფარულ სულისკვეთებას ხომ არა, რასაც შესაძლოა ფრიდრიხ ნიცშეს ზეგავლენითაც ეჩინა თავი და არაბ მწერალსაც მოურიდებლად წარმოესახა შემადრწმუნებელი სინამდვილე, სადაც ადამიანი თანდათან მოწყდა და დაშორდა უფალს, გაუუცხოვდა და მისკენ სავალი ბილიკებიც შამბითა და ეკალბარდებით ამოექოლა.

ადამიანმა საკუთარ თავში მოკლა ღმერთი.

ნიცშემ სწორედ ამ ვითარებას გაუსწორა მზერა და მოსთხოვა ადამიანებს, მათაც მკაფიოდ დაენახათ, თუ რა ჩაიდინეს, თორემ ილუზიებსა და თვითმოტყუებაში ჩაძირულნი ვეღარაბოდეგ ეღირსებოდნენ შამბისა და ეკალბარდების გაკაფვას და, მითუმეტეს, უფლის მკვდრეთით აღდგომას.

ეს კი საბედისწერო კატასტროფას დაატეხდა თავს კაცობრიობას.

ანკი როდემდე შეიძლება ეცხოვრათ ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში?!

და ნაჯიბ მაჰფუზიც ნიცშეს კვალობაზე სამყაროს შემოქმედს ჯაბალავად (რაც არაბულად მთის კაცს, მთიელს ნიშნავს) რომ განასახიერებდა, თავის ვეება, იდუმალ სასახლეში გამოკეტილად, რჩეულთა გარდა რომ არავის ეჩვენება, მის დაბერების პროცესსაც აღწერდა და... მის აღსასრულსაც.

თუ პირდაპირ გაიგებ ამ ტრაგიკულ სცენას, რა გასაკვირია, მკრეხელობად აღიქვა და მის ავტორს შანთითა და ცეცხლითაც გამოეკიდო, მაგრამ თუ ამ პროცესისა და სცენის სიღრმესა და იდუმალ აზრს ჩანვდები?

სწორედ იმას, შენს გულსა და გონებაში მოკლული ღმერთის ტრაგედიას ახლა მაინც რომ გაგაცნობიერებინებს?

ოოო, მაშინ უკვე დაუფასებ ნაჯიბ მაჰფუზსაც, დაბინდული თვალის ახელაში რომ შემოგეშველა და ახლებურად გადაგიშალა ხალხისაგან, უბნისაგან, საზოგადოებისაგან ღვთის გამიჯნულობით გამოწვეული უწყვეტი ადამიანური ტრაგედიები და მისი პირველსაწყისი, რის გამოსწორებასაც რამდენიმე რჩეული გარდუვალად უნდა შეენიროს, ისინი, რომელთაც ინამეს, დიდი პაპა დავინახეთ, დაველაპარაკეთ და დავალებაც სწორედ მისგან მივიღეთ ზეშთაგონებითო.

მაგრამ არის კიდევ ერთი პერსონაჟი — არაფა (არაბულად: ცოდნა), რომელსაც არ მოეპოვება რომელიმე ბიბლიური პროტოტიპი და ზოგადად ადამიანური ცოდნის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კრებითი სახეა.

ესეის ავტორი ყურადღებას მიაქცევს, რომ არაფაც „ჩვენი უბნის“ შვილია, ოღონდ უკანონოდ შობილი, მეძავი დედის პირმშო, რომლის მამაც უბნის ყველა მაცხოვრებელი შეიძლება ყოფილიყო; და რომ მისი მეთოდები ჯაბალავის, ანუ ღვთიური, საიდუმლოს ფარდის ასახველად არსებითად განსხვავდება იმ გზებისაგან, რითაც სხვა გმირები ესწრაფოდნენ თავიანთ იდეათა ხორცშესხმას — ისინი ზემოთაგონებით ანუ პიროვნული რწმენით ანთებულნიყვნენ დაკარგული ღმერთის დასაბრუნებლად, არაფამ კი ჯადოქარივით უნდა იმოქმედოს, გონებით გააზრებული მეცნიერული ცდების შედეგებით, სავალალოდ რომ უნდა დასრულდეს — მას უნდა შეეწირონ ჯაბალავის ერთგული მსახურიც და თვითონ დიდი პაპაც.



და ხელშესახებად ცნაურდება რომანის მხატვრულ-იდეური მრწამსი:

— „ჩვენი უბნის შვილები“ მარადისობასთან მიმართებით გაიხსნება მეოცე საუკუნის ტექნოკრატიული საზოგადოების ძირითად პრობლემადიკას.

ხოლო როდესაც გიორგი ლობჯანიძე იქვე გააცხადებს ნაჯიბ მაჰფუზის მწერლურ პოზიციასაც: შეიქმნას რელიგიური სინამდვილის მხატვრული სურათი, რომელიც არანაირ კონიუნქტურაზე არ იქნება დამოკიდებული, — როგორ არ გაიხსენოს და არ გამიჯნოს ნობელიანტი მწერალი თავისივე რომანში აღწერილი „ყავახანის პოეტებისაგან“, რომელნიც სინამდვილეს უბნის ყოჩების მითითებითა და მათ ინტერესთა შესაბამისად ამღერებენ, სხვადასხვაგვარად აკნინებენ და აყალბებენ ყავახანის პოეტთა სწრაფვა და იდეალი რაც ყოფილა იმთავიდან ამთავამდე.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ყოველივეს ქართველი მკითხველი სრულფასოვნად განიცდის შესანიშნავი თარგმანის წყალობით, მაია ანდრონიკაშვილმა რითაც დაგვაჯილდოვა და არაბული ენიდან გადმოქართულეულ დიდებულ ძეგლებს, თუნდ ყურანსა (გიორგი ლობჯანიძე) თუ „ათას ერთი ღამის“ რვატომეულს (თინათინ მარგველაშვილი და ნანა ფურცელაძე), კიდევ ერთი სახიერი ნიმუში შემატა. და ეს უთუოდ რედაქტორის, გიორგი ლობჯანიძის ხელშეწყობითაც, რაკილა ეს პიროვნება ყოველთვის ფაქიზად და გულისყურით ეპყრობა სარედაქციო ტექსტებსაც და მისი შენიშვნები თუ რჩევები ამიტომაცაა საგულისხმო და გასათვალისწინებელი ხოლმე.

ისე ამჯერადაც მარჯვედ მიგნებულ რიტმს უნდა განესაზღვრა ენობრივ-სტილური ძარღვიც და დინამიზმიც, გარეგნულ სიმსუბუქეში გამოხვეული სიბრძნე და შთამბეჭდაობა კაცობრიობის დაბადების ამ მართლაც ბრწყინვალე ალეგორიისა, ბრედ ჰუპერი როგორც განსაზღვრავდა მისი მხატვრული თავისებურების ერთ მხარეს, რომლის მიღმაც მრავალგვარი ნაკადით დაქსელილი სიუჟეტი იმალება, გულისშემძვრელი ეპიზოდებით გადავსებული, თხრობაში გარკვეულ ნიშანსვეტებად რომ მოჩანს რჩეულ პიროვნებათა გამოსვლა ასპარეზზე, ერთბაშად რომ უნდა აიტყორცნოს თხრობა ზემოთ და ზემოთ, ვიდრე... რჩეულთა აღსასრული (უმთავრესად — მკვლელობა) ლამის აღარაფერს დატოვებდეს იმ იდეისაგან, რასაც ისინი ეწირებიან.

ლექსად გარდათქმული ლეგენდები ხომ მაინც რჩება? მაგრამ... ამ სიმღერებს ხომ უბნის ყოჩთა სამსახურში ჩამდგარი პოეტები მღერიან?

ეს კი ლეგენდებს მხოლოდ რყენის და ამახინჯებს, და მათი პირველსახისაკენ ძნელად გაგიკვლევია გზა.

ამიტომაც გახლდათ აუცილებელი ნაჯიბ მაჰფუზის გაბედულების მწერლის გამოჩენა, „ჩვენი უბნის შვილები“ ლეგენდად რომ ჩაეფიქრებინა, ოღონდ შეურყვნელი პირველქმნილების აღმდგენელ ლეგენდად, საამისოდ კი იდუმალი ხმა შეაგულიანებდა და აიყოლიებდა, და ეს იმ კაცს, თავს რომ მიიჩნევდა ქუჩის იმ პირველ მცხოვრებად, ვინც მწერლობა პროფესიად აირჩია და ხელი არ აიღო მასზე, თუმც ამ პროფესიას დაცინვისა და დამცირების მეტი არაფერი მოუტანია მისთვის.

წერდა არზებუსა და საჩივრებს დაჩაგრულთა და გაჭირვებულთათვის, მაგრამ მომჩივანთა მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ეს სამუშაო ქუჩის საერთო მათხოვრულ დონეს ვერ ააცილებდა.

სამაგიეროდ, იმდენ უბედურებას ჩანვდებოდა, რომ ტრაგედიათა ეს კასკადი მძიმე ქვასავით დაანვებოდა გულზე.

ნაჯიბ მაჰფუზი ის მწერალი არ გახლდათ, საკუთარ განსაცდელზე ეწერა, რაკილა ეს განსაცდელი არც არაფრად ერგებოდა ქუჩის უბედურებებთან შედარებით.

საკვირველი ქუჩისა, სადაც ერთიერთმანეთზე საოცარი ამბები ხდებოდა.

მეტი საოცრება რაღა გვინდა, როდესაც აქ უნდა ჩაეცლო კაცობრიობის ისტორიას უაღრესად შეკუმშულ დრო-ჟამში, კარნავალური ბრუნვა-ტრიალით, და ამის გამო კიდევ უფრო მძაფრსა და თავბრუდამხვევს აღსაქმელად. თქვენ დანერა თქვით!.. მაგრამ რაც რთულია ამოცანა, განა უფრო მიმზიდველი არ არის მისი გადაჭრა?!

და ვერც იგებ, ისე ძალდაუტანებლად მიჰყვები დინებას, ვიდრე ღია ფინალის წინაშე აღმოჩნდებოდე.

ამ მხატვრული მრწამსისა და სულისკვეთების რომანი არც შეიძლება სხვაგვარად დასრულებულიყო.

თუ არა სწორედაც ასე — უბანში ჩამონოლილი შიშისა და სასონარკვეთილების ატმოსფეროთი...

მაგრამ იმედოვნებაც არა ცხრება, და სწორედაც დროდადრო მოვლინებულ ამ გამონათებათა წყალობით, და კუნაპეტის შემდგომ კაცობრიობა მოელის სინათლისა და საოცრებათა საბოლოო ამობრწყინებას, საამისოდ კი არც ნაჯიბ მაჰფუზს დაუზოგავს თავი, თუნდ „ჩვენი უბნის შვილები“ მრისხანების ქარცეცხლშიც მოყოლილიყო და შორეული საქართველოდან ჩასულ პოეტსა და მთარგმნელს მხოლოდ დახლქვემიდან ეგდო ხელთ ერთი ეგზემპლარი, ყველაზე საამო მუსიკად რომ ჩაეღვრებოდა ყურსა და გულში: აულად ჰარათინა! აულად ჰარათინაო!

ამ ეგზემპლარს უნდა ჩამოეღწია მაია ანდრონიკაშვილამდე და ის ქართული სამოსი მოერგო, ნაჯიბ მაჰფუზი რომ ინატრებდა ასე და მხოლოდ ასე ამეტყველებას უცხო ენებზე.

ჩაამთავრებ „ჩვენი უბნის შვილებს“ სერიალივით და... აღარც მისი მეთოხე პირამიდობა გეჩვენება ჰიპერბოლურ შეფასებად და აღარც სასონარკვეთილება გიპყრობს, ზვარაკად შეწირული რჩეულნი მარტოდენ ყავახანის პოეტთა ანაბარა რჩებიან, მათი ლეგენდები კი ისე ინუნება ქარში, თითქოს კუბოები მოცურავდნენ უაზროდ და უმიზნოდ.

თურმე მხოლოდ იმათ ანაბარადაც არა!.. რას ერჩი, არც ისე სასტიკი ყოფილა წუთისოფელი...

აულად ჰარათინა, აულად ჰარათინა, — მოგდევს მოგყვება იდუმალი ჩურჩული და... გიხმობენ და გიზიდავენ პირამიდებიც.

სოსო ლალიძე

„ბედნიერება ბედნიერ საქართველოში ცხოვრებაა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— მარტობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ, საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ქალის სიყვარული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ყვარყვარე თუთაბერი, რიჩარდ მესამე, ჰამლეტი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიკო ფიროსმანი, მოდილიანი და კიდეც ბევრი, რომელიც თავისი ნახატებით ემოციას ინვეს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვერდი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ვაჟკაცობას და სამართლიანობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნოებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარული და მიმტევებლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— პროფესია, რომელსაც ვემსახურები.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ბევრი გამოჩენილი ადამიანი, რომლებსაც პატივს ვცემ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიკეთე და თავმდაბლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ენების არცოდნა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სამართლიან და ბედნიერ საქართველოში ცხოვრება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ქვეყნის დანაწევრება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფერი, რომელიც გიხდება.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?



— იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— პოლიკარპე კაკაბაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, უილიამ შექსპირი, ერნესტ ჰემინგუეი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვა მრავალი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— შუშანიკი და ქეთევან წამებული.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, იოსებ ჟორდანიანი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— მანანა, ანი, გიორგი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უმადურობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— პიროვნების რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ თავი მომაბეზრა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ვინც საქართველოსთვის თავი განირა, ყველა დასაფასებელია.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველა რეფორმა მისაღებია, თუკი გამართლებულია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— მუსიკის შექმნის ნიჭი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მშვიდი, აუღელვებელი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ღვთის ნყალობით ნორმალური.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ცხოვრებაში ჩვეულებრივი ადამიანური შეცდომები.

— თქვენი დევიზი?

— დევიზი არასოდეს მქონია და არც მექნება.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შვილო ჩემო, სამართლიანად გიცხოვრია.

მიხეილ ქართველიშვილი

ჯარისკაცის მოგონებანი

1921 წლის თებერვლის ბრძოლაზე

საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლა დიდწილად არის დამოკიდებული ახალი საარქივო დოკუმენტების გამოვლენასა და გამოქვეყნებაზე, ამ უკანასკნელს მეცნიერულის გარდა დიდი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, რაც საზოგადოების საკითხისადმი ინფორმირებულობის გაზრდას გულისხმობს.

საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ერთგვარად გარდამტეხ მოვლენას 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები წარმოადგენს. საბჭოთა სახელმწიფო მოსახლეობას ამ მოვლენებს ასწავლიდა, როგორც ქვეყნის გამათავისუფლებელ მოვლენას, რომელმაც ქვეყანა იხსნა მენშევიკთა და უცხოელ კაპიტალისტთა ბატონობისგან. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს მოვლენები გადააფასა ქართველი პოეტი კოლაუ ნადირაძე იყო, რომელმაც წითელი დროებით შემოსული ძალა სიკვდილის შემოსვლასთან გააიგივა, მართლაც საბჭოთა პერიოდი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე უფრო მძაფრად ჩაენერება, ეპოქა, რომელსაც როსტომ ჩხეიძემ გალაკტიონის ერთ-ერთი შედევრის ერთი ფრაზის მიხედვით „ხანი უნდობარი“ უწოდა.



1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების ახლებურად გააზრებაში დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, ისინი თავიანთი საქმიანობით საზოგადოებას მუდამ შეახსენებდნენ თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში საბჭოთა სახელმწიფო. სამეცნიერო დონეზე ამ ყველაფრის კრიტიკულად გააზრება სცადა ისტორიკოსმა უშანგი სიდამონიძემ, რომელსაც ეყო გამბედაობა და 70-იანი წლებში სიმართლის თქმა გაბედა, აღნიშნულის გამო მეცნიერს დატყუილი სამეცნიერო ხარისხი ჩამოართვეს და მის წინააღმდეგ ფართო იდეოლოგიური კამპანია გააჩაღეს. შემდგომ უკვე 80-იანი წლების მიწურულს 1921 წლის პერიპეტიებს საკუთარი სახელი დაარქვა ისტორიკოსმა ლევან თოიძემ, რომელსაც ეყო ვაჟაკობა და მანამდე მის მიერ შექმნილი სამეცნიერო მეტყვიდროებისთვის ბოდში მოიხადა, სადაც იძულებული იყო საბჭოთა დიქტატს დამორჩილებოდა და ფართო საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა, დღევანდელი გადასახედიდან, ცხადია, იოლია ადამიანის განსჯა, მაგრამ ნუ დავგავიწყებ, რომ ეს იყო ის თაობა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა 30-იანი წლების რეპრესიების სუსხი, ამიტომ მათ ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა უწევდათ, ერთი მოსწრებული გამონათქვამის არ იყოს, ეს იყო „ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

ლევან თოიძისეული შეფასება დღემდე მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ნაშრომები მისეულ ამოსავალი ნერტილის მიხედვით იწერება, თუმცა ბევრი რამ დასაბუთებელი და დასაზუსტებელია, სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მანამდე უცნობი საარქივო მასალის გამოქვეყნებას და სამეცნიერო თუ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაცნობას.

ამ კუთხით განსაკუთრებით აუცილებელია ეპოქის თანამედროვეთა მემუარებისა თუ დღიურების გამოცემა, მართალია ორივე ეს ჟანრი ისტორიკოსთა მიერ თავისებურ მიდგომას საჭიროებს, რადგან მათში სუბიექტივიზმი სჭარბობს მოვლენათა ობიექტურ შეფასებას, მაგრამ, ცხადია, რომ მასში ძალიან საინტერესო

სოდ არის გადმოცემული ყოფილი ცხოვრების დეტალები, გარდა ამისა ის გარკვეულ აზრს გვიქმნის ავტორის მსოფლმხედველობაზე, ამიტომ მისი ერთმნიშვნელოვნად უარყოფა, როგორც ეს თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში ცალკეულ სკოლებს ახასიათებს, ჩვენი აზრით ისეთივე გადაწარბებას წარმოადგენს, როგორც მემუარებსა თუ წყაროებში არსებული ინფორმაციის უკრიტიკოდ მიღება. ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

საერთოდ 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებისადმი გამოსული მემუარების სიმწირეს ქართული საზოგადოება ნამდვილად არ განიცდის, გამოქვეყნებულია გიორგი კვინიტაძის, გიორგი მაზნიაშვილის, აკაკი კვიციანიშვილის, ალექსანდრე ზაქარიაძის, ვალერიან თევზაძის მოგონებანი. თუმცა საქართველოს თუ საზღვარგარეთის არქივებში დაცული მასალა ჯერ კიდევ ელის დღის სინათლეს.

აღნიშნულის ძალიან საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული არქივის წლივანდელი გამოცემა, მხედველობაში გვაქვს ქართველი ინჟინრის იოსებ მამაცაშვილის მოგონებანი, რომელიც ნოე ხომერიკისადმი იქნა წარდგენილი, მასში ავტორმა, იხსანად ჯარისკაცმა, თავისი შთაბეჭდილება ალწერა, ასეთი შემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ გვქონია, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ მოვლენების შესახებ გვიყვება არა თანამედრობის პირი ან გამოჩენილი პიროვნება, არამედ მთელი რიგი მოვლენების უშუალო თვითმხილველი ადამიანი, რომელმაც ასახა ყველაფერი ის, რაც მის თვალწინ ხდებოდა, ეს კი მემუარის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის.

ავტორი მოგვითხრობს მის თავს გადამხდარ ამბებზე საქართველოში 1921 წლის 17 თებერვლიდან 20 მარტამდე და თურქეთის ანატოლიის რეგიონში 20 მარტიდან 7 ივლისამდე.

ნიგნში საინტერესო პასაჟს წარმოადგენს ის მონაკვეთი, როდესაც ავტორი, ალწერს რა იმდროინდელ ჯარისკაცთა მძიმე ყოფას, დასძენს, რომ მიუხედავად არსებული მძიმე ვითარებისა, „ჯარისკაცებს იმდენად კარგად ესმოდათ ჩვენი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, იმდენად შეგნებულად იტანდნენ სამშობლოს გადარჩენისთვის ბრძოლის ისტორიულ დღეებს, რომ მოგვიანებითაც კი, უკან დახევის უმძიმეს პერიოდში, არავის დაუჩივლია“. ნიგნში მრავალადა ასეთი შთაბეჭდვები მომენტია, რაც საზოგადოებას კიდევ უფრო საინტერესო სურათს უხატავს, თუ რა ხდებოდა იმდროინდელ ქართულ შეიარაღებულ ძალებში.

მოგონებებს თან ახლავს ახალგაზრდა მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების დოქტორანტის დიმიტრი სილაქაძის წინასიტყვაობა და კომენტარები, რაც გამოცემას ბევრად უფრო აკადემიურს და საინტერესოს ხდის. ახალგაზრდა ისტორიკოსი უკვე რამდენიმე წელიწადია რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიპეტიებზე მუშაობს, ამ კუთხით გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე საინტერესო და ორიგინალური გამოკვლევა და საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ამ გამოცემაში ჩართვა უაღრესად მისასალმებლად მიგვაჩნია.

ნიგნში მემუარების ქართულენოვან თარგმანთან ერთად გამოქვეყნებულია მისი რუსულენოვანი ვარიანტიც, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მემუარის ენა რუსულია, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა თუ ის კომენტარები, რომლებიც ქართულ თარგმანს ახლავს, დართოდა რუსულენოვანსაც, გამოცემა ამით მხოლოდ მოიგებდა.


დასასრულ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მემუარულ ლიტერატურას კიდევ ერთი საინტერესო ნიგნი შეემატა, ის უდავოდ დაიკავებს საპატიო ადგილს საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოების ბიბლიოთეკაში, საქართველოს არქივი კი, იმედს გამოვთქვამთ, გააგრძელებს ჩვენი ქვეყნის წარსულის უცნობი მასალის გამოქვეყნების მამულიშვილურ საქმეს.

მალხაზ ივანიძე

საგურამო. მნიშვნელობა და მასშტაბი



დავით თედორაძე



ვაჟა გიგაშვილი



ამირან გომართელი



გიორგი ლობჯანიძე

2014 წლის 8 ნოემბერი, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე, ტრადიციული ზეიმით აღინიშნა საგურამოში. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ დიდი ქართველი მოღვაწის სულის მოსახსენებელ პარაკლისს, საზეიმო მიტინგს, ხალხური სიმღერის ოსტატების გამოსვლებს. დღის ბოლოს კი გაიმართა საგურამოს ყოველწლიური პრემიების ლაურეატთა დაჯილდოება.

საგურამოს პრემიის 2014 წლის ლაურეატები გახდნენ:

- პოეზიაში — **დავით თედორაძე**,
- პროზაში — **ვაჟა გიგაშვილი**,
- კრიტიკაში — **ამირან გომართელი**,
- თარგმანში — **გიორგი ლობჯანიძე**,
- საბავშვო მწერლობაში — **გურამ პეტრიაშვილი**,
- სახვით ხელოვნებაში — **გოგი წერეთელი**,
- მეცნიერებაში — **ამირან არაბული**.

ილიას მედალი ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა მომღერალს, საქართველოს სახალხო არტისტს **ნანი ბრეგვაძეს**.

ლაურეატებმა წარმოთქვეს ტრადიციული „საპრემიო“ სიტყვები. გთავაზობთ ამ გამოსვლების ფრაგმენტებს.

დავით თედორაძე (პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე):

„ხშირად ვფიქრობ: რომ არა ილია ჭავჭავაძე თავის გუნდთან ერთად და რომ არა მემედ აბაშიძე თანამოდარდეებითურთ, რა ბედი ეწეოდა აჭარას — საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს... წარმოვიდგინოთ, რა დღეში იქნებოდა აჭარა ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან ახალგამოხსნილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში. არცერთი ქართული ანბანისა და წერა-კითხვის მცოდნე... აი, ამ დროს ილიას თაოსნობით იხსნება აჭარაში ქართული სკოლები. კერძოდ, ბათუმში, იქ, სადაც დღეს ილიას სახელობის პირველი საშუალო სკოლაა, ყოროლისთავში, ჰაიდარ აბაშიძის სოფელში და აჭარისწყალზე. საუკეთესო, ერისთვის თავდადებული პატრიოტი მასწავლებლები იქნა მოვლენილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. თითოეულს ილიას სკოლა ჰქონდა გავლილი. საათობით ესაუბრებოდა, უხსნიდა მდგომარეობას და არიგებდა მის მიერვე შერჩეულ მასწავლებლებს ილია. შემდგომ თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ამ სკოლებისა.


თვე არ გავიდოდა, რომ არ ჩამობრძანებულიყო ბათუმში. გრიგოლ ვოლსკთან გაჩერდებოდა ბინაში. შეკრებდა მაშინდელ ბათუმის ინტელიგენციას, გამოკითხავდა მიმდინარე საკითხებს, მიიღებდა ზომებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. შეივლიდა მის მიერვე დაფუძნებულ სკოლებში. მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებსაც გაესაუბრებოდა და აქ დანთებულ ცოდნის სანთელს ეკლესიაში უფალს შეავედრებდა, რომ წლების შემდგომ განათლებული და აღორძინებული აჭარის მკვიდრთა საფიცარი მამული, ენა და სარწმუნოება ყოფილიყო. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ზრუნვამ შედეგი გამოიღო, ილიას ნატვრა შესრულებულია. აჭარამ ილიას გზა აიჩრია.

ვაჟა გიგაშვილი (პროზაიკოსი):

ილიას მნიშვნელობასა და მასშტაბზე ლაპარაკი ზედმეტია... მხოლოდ გავიხსენებ იმას, რომ ბავშვობიდან, რაც თავი მახსოვს, ჩვენს ოჯახში ილია უფროს წევრად აღიქმებოდა... ყოველდღიურ ყოფაში თანაარსებობდა მისი პორტრეტები, წიგნები, ისმოდა ციტატები, მისი ხუმრობები და ენამწარობები... დამგზავილიანებელი აზრები ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში... მქონდა საბავშვო გამოცემა „კაკო ყაჩაღი“ და წერა-კითხვის სწავლამდე ჩემი პირველი ასოები იყო „კ“, „ა“ და „ო“... რადგან კარგად ვიცოდი, რაც ეწერა ყდაზე და თავისთავად მოხდა ამ ბეგრათა ამ ასონიშნებთან გაიგივება... ასაკის მატებასთან ერთად ჩემთვის თანდათან იხსნებოდა ილიას სულ ახალი და ახალი, სულ უფრო რთული და დიდმნიშვნელოვანი პლასტები და ასპექტები... ეს მამაჩემის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, შალვას, ასე ვთქვათ „ბრალი“ იყო... რა გასაკვირია, რომ ქართული ლიტერატურის სპეციალისტის ოჯახში ყოფილიყო ეს, ილიას მუდმივი თანაარსებობის შეგრძნება, მაგრამ დროის დინებასა და ცხოვრებაში გახედ-გამოხედვის მატებასთან ერთად, გაკვირვებასა და კმაყოფილებას ინვევდა იმის აღმოჩენა, რომ ეს შეგრძნება მხოლოდ ჩვენი ოჯახის სპეციფიკა არა ყოფილა... იგი არსებობდა ექიმების, გეოლოგების, ინჟინრების, ასე გასინჯეთ, თვით პარტმუშაკთა ოჯახებშიაც კი...

ამირან გომართელი (მეცნიერი, კრიტიკოსი):

განსაკუთრებული მაღლიერებით უნდა მოვიხსენიო ჩვენი დიდებული მწერლები: ილია, აკაკი, ვაჟა ? ისინი, ვინც საშუალება მომცა, ახალი შინაარსი ამომეკითხა მათ უკვდავ ქმნილებებში, თავი ცოცხალი ლიტერატურული პროცესის მონაწილედ (კრიტიკოსად) შეგრძნო და არა ლიტერატურის ისტორიკოსად. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ლიტერატურული კლასიკა არ



გურამ პეტრიაშვილი



გიორგი წერეთელი



ამირან არაბული



ნანა ბრეგვაძე

ბერდება. იგი ყოველი თაობის მკითხველს აძლევს სიახლის აღმოჩენის საშუალებას. სწორედ ამაშია ლიტერატურული კლასიკის მარადიულობა. ასეთია ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედება.

ჩვენი კლასიკოსების ლიტერატურული პაექრობა, მათ თხზულებებში გამოვლენილი მხატვრული პოლემიკა, ის, რაზეც ჩემს წიგნშია საუბარი, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე მეტყველებს: მიუხედავად ლიტერატურული მეტოქეობისა, მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებისა ამა თუ იმ საკითხზე, თემასა ან პრობლემაზე, ჩვენს კლასიკოსებს არასოდეს ღალატობთ კოლეგიალობის გრძნობა, ურთიერთდაფასება და პატივისცემა. რაც მთავარია, გასაოცარია საქვეყნო საქმეში მათი თანადგომა და ერთსულოვნება. ეს კი, დამეთანხმებით, ფრიად შთამბეჭდავი მაგალითია დღევანდლობისათვის, როცა ჩვენ, განსხვავებული აზრის შემთხვევაში, დინჯი და დარბაისლური სამეტყველო ენა ვერ გვიპოვია ერთმანეთთან დიალოგში, როცა შეხედულებათა თუ პოზიციათა სხვადასხვაობა პირად მტრობად აღიქმება და ჩვენი მასმედია „წყალობით“, ნაქეზება-ხელშეწყობით, განსჯადისკუსია სასიერო სანახაობად გადაქცეულა. არადა საამისო დროება ნამდვილად არ გვიდგას. ჩვენ ხომ აღთქმული ქვეყნისათვის ჯერ არ მიგვიღწევია. ჩვენ გზაში ვართ...

2 აგვისტოს, საგურამოში ილიას მუზეუმის დირექტორის, ანდრო ბედუკაძის გასაოცარი ძალისხმევით აღდგენილ „ილიაობაზე“ სახლ-მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრმა, მეცენატმა და სწავლულმა კაცმა, ჩვენმა მეგობარმა, მიხეილ ლოლაძემ დიდი ილიას სიტყვები გაიხსენა: „სამშობლოს სიყვარულს ჭკუა უნდა. მამული გააზრებულად, ჭკუადამჯდარი სიყვარულით უნდა გვიყვარდეს“. დიდებული შეგონებაა, რომელიც გამუდმებით უნდა გვახსოვდეს. მით უფრო დღეს, როცა ტყვეობიდან თავდაღწეულ მოსეს ერს ვგავართ, რომელიც აღთქმული ქვეყნისაკენ მიემართება. ამას კი ორმოცი წელიწადი სჭირდება.

ათვისს წერტილად, პირადად მე, 1989 წლის 9 აპრილი მიმაჩნია. ჰოდა, თუ ასეა, ამ გზაზე მეტი მოთმინება, სიძინჯე, ურთიერთდანიშნულება და სიყვარული გვმართებს, ჩვენი მეგობარი კი ამ ძნელ სავალზე, ჩვენი მოსე, ჩვენი პარტიარქი კვლავ და კვლავ ილია ჭავჭავაძეა. სულიერ საგზადად, ციურ მანადად კვლავ მისი სიტყვა, ფიქრი და აზრი მიგვეყვება და კიდევ? აკაკისა და ვაჟასი, იმათი, ვისი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულითაცაა გაჯერებული ის პანია წიგნი, რომელსაც თქვენგან ასეთი დაფასება ერგო.

გიორგი ლობჯანიძე (პოეტი, მთარგმნელი):

ამ 8 წლის წინათ, როდესაც ყურანის ჩემული თარგმანი დაისტამბა, დიდხანს ვფიქრობდი, მქონდა თუ არა მორალური უფლება, თარგმანი ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის მიმეძღვნა. ეს მიძღვნა შეპირობებული იყო ერთი გარემოებით: როგორც მოგეხსენებათ, ყურანის პირველი ქართული თარგმანი, 1906 წელს, პეტრე მირიანაშვილის მიერ ფრანგულიდან შესრუ-

ლებული, სწორედ ილია ჭავჭავაძის მითითებითა და თანადგომით გაკეთდა. ილიას კარგად ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულად ამ უნიკალური წიგნის გადმოღებას და არა მხოლოდ კულტუროლოგიური, არამედ სწორედ გეოპოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით. არსებობს მოგონებები, რომ სწორედ ილია უწევდა რედაქციას მირიანაშვილის თარგმანის გარკვეულ ნაწილებს და მთარგმნელს ურჩევდა, როგორ შეიძლებოდა უკეთესად გადმოეღო ესა თუ ის პასაჟი.

ეს ცნობა გასაკვირი სულაც არ არის, ილია ჭავჭავაძის მასშტაბურ ფიგურას თუ სრულად დავინახავთ: იმდროინდელ საქართველოში ხომ არცერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე არ დარჩენილა, რასაც მისი მადლიანი ხელი არ შეჰხებოდა.

სრულიად გამოგნებელია, როგორ ახერხებდა ეს ერთი საკმაოდ ჯანგატეხილი ადამიანი ყველაფერზე ეზრუნა, ყველაფერს გადასწვდომოდა მისი მზერა და იმავდროულად ეწერა პირველხარისხოვანი შედეგები, ნებისმიერი ერის ლიტერატურას რომ დაამშვენებს.

გამიგია ასეთი აზრიც: რომ არა ქვეყნის აუნყოფელი ვითარება, რაც ილია ჭავჭავაძეს აიძულებდა თავისი ენერგია საზოგადო საქმეთაკენ მიემართა და არა უშუალოდ მწერლობისაკენ, ის გაცილებით მონუმენტური და მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც მწერალი. შეიძლება ეს აზრი მართალი იყოს მხოლოდ ილიას ბელეტრისტული მემკვიდრეობის რაოდენობასთან, მაგრამ არამცადაარამც ხარისხთან მიმართებით. მას რომ მხოლოდ ერთი მოთხრობა — „კაცია-ადამიანი?!“ — რომ დაეწერა, მაინც უდიდესი პროზაიკოსი იქნებოდა, აღარას ვამბობ „ოთარანთ ქვრივზე“, „სარჩობელაზე“ და სხვა შედეგებზე.

გურამ პეტრიაშვილი (მწერალი, რეჟისორი, მსახიობი):

1970 წელს დავიწყე ზღაპრების წერა.

პირველი ზღაპარი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით დავწერე. ვეთამაშებოდი ჩემს პატარა გოგონას და სხვა სააღერსო სახელებს შორის ვუთხარი, ჩემო პატარა დინოზავრო-მეთქი. და იმ ღამით მომაფიქრდა სიუჟეტი.

რამდენიმე ზღაპრის დაწერის შემდეგ მივხვდი რას ვესწრაფოდი: მინდოდა შემექმნა ქალაქური მითების მსგავსი ამბები.

ინსტინქტურად ვცდილობდი ეს ამბები ღამაზე ყოფილიყო: ღამაზე დაწებულყოფი და ღამაზე დამთავრებულიყო. და რადგან სიღამაზე და სიცოცხლის ხალისი ერთი მგონია. ამიტომ ჩემს ამბებში სიკვდილს არ ვუშვებდი. თვით ყველაზე საძაგელი არამზადა მოქმედი პირიც კი არ მომიკლავს.

უნდა ვთქვა, რომ ამ ჩანაწერში სიტყვა „სიღამაზე“ არაა მთლად კარგად გამოხატველი იმისა, რის დახატვასაც ვესწრაფოდი. უფრო ზუსტი იქნება „მშვენიერება“. მშვენიერება ისაა, რაც ფორმითაც და არსითაც ღამაზეა. და თუ ამასთანავე ამბავი მართალიც იქნება მაშინ ეს ორი (მშვენიერება და სიმართლე) წარმოშობს მთავარ მესამეს — სიკეთეს.

იმედი მაქვს, რომ იშვიათად, ხანდახან, აქა-იქ და კანტიკუნტად გამოშდის ამ სამი მთავარის ერთიანობა.

გოგი წერეთელი (მხატვარი):

მცხეთის ჯვარს რომ გავცდები, გული სხვანაირად მიდგერს, ცენტრალური გზიდან როცა წინამურის გზას დავადგები და ობელისკთან აღმოვჩნდები, ფიქრები ამეშლება იმ შავზნელ 1907 წელზე, როცა დიდი ტრაგედია მოხდა და ჩემს თავს კითხვებს ვუსვამ, როგორ განირა უღირსი ქართველის ნასროლმა ტყვიამ ილია ჭავჭავაძე.

ილიას სახლ-მუზეუმში მოხვედრისას მაღალი სულიერი განწყობა მეუფლება. რამდენ სიტბოს იტევს ეს აივანი, გავყურებ გადაშლილ ველს და ვფიქრობ, რა ბედნიერი ვარ, როცა ილიას აივანზე ვდგავარ, ვსუნთქავ იმ ჰაერს, რომლითაც ილია და მისი თანამოაზრეები საზრდოობდნენ და ქვეყნის მომავალზე ბჭობდნენ. ამ წუთებში მე ბედნიერი ვარ, უფაღს მადლობა, რომ ამ ადგილზე დგომის ღირსი გამხადა.

ვაკვირდები ინტერიერს და ვიაზრებ, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და სწორედ ამიტომ თავს მდაბლად ვუხრი ამ ბრძენკაცს, რომელიც საქართველოს შეენირა და ისტორიაში ილია მართლის სახელით ჩაენწრა.

მოვდივარ და გულში საოცარი სიტბო და სინმინდე მრჩება. ეს ბობოქარი, სიცოცხლით აღსავსე, მებრძოლი სული დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, პირუთენელად და უშიშრად მივემსგავსო მას სამშობლოს სიყვარულში.

მადლობა, ღმერთო, რომ ღირსი გამხადა ილია მართალი მეხსენებინა და გამომეხატა ჩემი პატივისცემა და სიყვარული მისადმი.

ამირან არაბული (მეცნიერი, მწერალი):

ოქროს ზოდს ჟანგი არ ეკიდება.

არც ღვთივცხებულ მწერალთა მხატვრულ სიტყვას აკლდება შინაარსი, შნო და მშვენება.

ნაღვერდალი, მათ ნაფიქრ-ნაზარევი რომ ღვივის, გონიერ მკითხველთა ყოველი ახალი მიახლებისას მწველ ალად აბრიალდება და მუდამდლიური დულილით, ბორგვით და ფეთებით დაღლილ გულებს ცით მოსული ნათლის უმსუბუქეს საბურველად დაეფინება ხოლმე...

თანამდევი სულივით მარადიულია წმინდა ილია მართლის სიტყვა: მარადიული და წონადი, საქმიანი, უბერებელი.

ხოლო საიდუმლო ამ უშრობი, უშრეტი მადლისა ხალხის გენიასთან, ცხოვრების ნიბო-წახნაგების ხალხისეულ ხედვასთან, ხალხური სიტყვების წმინდა ნიალთან სიახლოვეშია საგულგებელი...

ცნობილია ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული გატაცება ჭარმაგი და მაინც უცნაურად მოციაგე ხალხური სიმღერებით. ამ ზარიანი, ხალიბური ფოლადივით მჭრელი და ჯავარიანი სიმღერების თავკიდურია ლადო აღნიშვილის რეპერტუარის „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. სტუმრიანობის დროს ილიას სწორედ ამ ძელგი სიმღერის შებანება ჰყვარებია, მიუხედავად იმისა, რომ უნაკლო მუსიკალური სმენით თავს მაინცდამაინც ვერ მოინწონებდა.

„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავო...“

თითქოს თავის გადაგვარებულ თანამედროვეებს, ფშავლიშვილებისა და ბერბიჭაშვილების მსგავს სულგაყიდულ არსებებს, აფრთხილებდა, იმგვარი რამ არ ჩაედინათ, რაც მათ სახელებს შავი ასოებით ჩაწერდა საქართველოს ისტორიაში.

და არ დაუჯერეს, ყური არ დაუგდეს, სამშობლოს მხურვალე მსახურების საზღაურად დასაჯეს, განირეს და სასიკვდილოდ გამეტეს ნაჯაფ-ნატანჯი, ღვთისა და ერის წინაშე ვალმოხდილი, კვლავაც ლაბა ხარივით გამწევი ბერიკაცი!

გაიმეტეს, მაგრამ ვერ მოკლეს...

წლის ნებისმიერ დროს სასიამოვნოა ილიას კარ-მიდამოში შემობიჯება, მითუფრო მაშინ, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ჯილდოს ღირსად ჩავთვლიან და პასუხისმგებლობას გაგიათმაგებენ.

და დღესაც გვწრთვნის და გვასწავლის ჩვენი დიდი სულიერი წინამორბედი; მოგვინოლებს სიფიზოლისკენ, „შეუნონარი სირეგენის“ მონებად რომ არ ვიქცეთ; გვიხმობს მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი, ვინც, ვაჟას ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი“.

ლერი ალიმონაკი

ფაფორა

გუძლენი კანონს: „გონივრული ეჭვის საფუძველზე?!“

1961 ან 1962 წელია. ზამთარს წელი წყდება. თუმცა მზიანი დღეა, სუსხავს. ისე არცერთ ქალაქს არ უხდება მზე, როგორც ქუთაისს. ბაღში თოვლია. გამიშვლებულ ხეთა შტოებს ჭილყავი შესევია, არი ქოთქოთი, გნიასი. აკაკის მეფურ ძეგლს თოვლი თეთრი ბისონივით შემოხვევია. სულ ცოტაც და მიძინებული კვირტები ამოფითქინდებიან, თეთრად დაფეთდება მანდაურობა. ჭილყავივით გადაქოთქოთდება, წავლენ, მოვლენ მტრედები, ქედნები, დადგება სალხინო დღეები. ჯერ კი... ძველი თეატრის წინ, ბალისკიდეზე, ძელსკამთან არავინ ჩანს — აქ უფროსი თაობა იყრის თავს. დილის სუსხი შეღვდება და გამოვლენ. ყველა კოლორიტია. მაგრამ არი იმათი ერთი — ოთარ სულაბერიძე, მეობა. კაცს, ვისაც ცხოვრებაში ხელში კალამი არ აუღია, არც ფუნჯი, არც საჭრეთელი, გავა დრო და, მისი გარდაცვალების შემდეგ, ღრმადქართველური ბუნებისა და იერის წყალობით, თავად გახდება პოეტთა, ხელოვანთა მუზის საგანი, თანამოქალაქენი ქალაქის სკვერში ძეგლს დაუდგამენ.

ჩინური პლაშჩია მოდაში, ის მაცვია. რა ვქნა, პალტო არ გამაჩნია. ტანზე ორი თუ სამი ჯემპრი შემომჯაჯვია, მცივანა ვარ.

კვირა დღეა.

მეგობართან უნდა გავიდე, ზაურ ბიკაშვილთან, თეთრ ხიდსგაღმა.

თეთრი ხიდი.

ვინ იცის, რამდენ ლეგენდას სძინავს მის ბურჯებში. ზაურმა ხაზვა იცის, მოცემულობის ამოხსნაში უნდა მომეხმაროს, ფარვიზაც იქ იქნება. ხვალ გამოცდა მაქვს, ნიჟარაძესთან.

ზამთრის სესიებია.

ტროლეიბუსის გაჩერებაზე ვდგავარ, ბალისკიდის გადმოღმა, ბაზრის გვერდით. როგორც იქნა, მოლოლია ღდა ტროლეიბუსი. თითქმის ცარიელია, ორი კაცი ყანყალობს მძლოლის კაბინასთან. ის არი საფეხურზე ფეხი ავდგი, იქით-აქედან მეცნენ, გამძაგრეს. ტყავის შავი ტუყურკები აცვიათ, ძერჟინსკის ჩეკისტებს რომ ეცვათ, იმგვარი, სამოქალაქო შარვლები ჩექმებში ჩაუჭურთავთ. ერთი, ბებლენი, ვერ ვიცანი (ან რატომ უნდა მეცნო), მეორე, ჯიჯგვი — ქალაქში ცნობილი კაცია, ხვადაგიანი, რუბენა, მილიციის მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე. კანონები არ ვიცი, ან რაში მჭირდება, რა ეჭვის ნიადაგზე დამიჭირეს, არც ის ვიცი, მაგრამ „ვოლგამ“ რომ ებრაელების უბნისკენ შეუხვია, შაუმიანის ქუჩაზე და მილიციაში მიდურთეს თავი, ეს დასტურად ვიცი.

— რატომ დამიჭირეთ-მეთქი? — ჩუმი პროტესტი ვკითხულობ მანქანაში.

— მაგას ამაღამ გაიგებ, — ფერღმი იდაყვს მკრავს ხვადაგიანი, — ქორწილს რომ გადაგიხდით!

ჭირის ოფლს მასხამს.

მეგობარი მახსენდება, როდამ ბაქრაძე, ნიადაგ ფათერაკებშია. მამა ჰყავს გავლენიანი, მილიციაც ვავალახად ვერაფერი უბედავს. იბარებენ ერთხელაც როდამს მილიციაში, არ მიდის. იბარებენ, არ მიდის. ხვადაგიანს თვითონვე

ლერი ალიმონაკი დიდხანს რჩებოდა ლიტერატურის კრიტიკოსად, ერთ ყველაზე გემოვნებიან და საიმედო მეგზურად მკითხველისათვის, შემდეგ კი გამრავალფეროვნდა მისი სამწერლო მოღვაწეობა უდავოდ წარმატებული თარგმანებით (ლაო ძის „დაო დე ძინმა“ განსაკუთრებით გაუთქვა სახელი), ლექსებით, რომანით, ჩანაწერებით, თავისებურ დოკუმენტურ პროზად რომ წარმოდგებოდა.

და აი, მან წამოიწყო ციკლი დოკუმენტური ნოველებისა, რომლის ერთი ნიმუშიცაა „ფამფორა“, თვალნათლივ რომ წარმოაჩენს საბჭოთა მილიციის ყოფასა და ადამიანის უმწეობას, და საერთოდაც წვეთივით აირეკლავს საბჭოთა რეჟიმსა და სინამდვილეს, რომელიც ბოლოსდაბოლოს სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკი, ამასთან ნოველაში ხელშესახებად წარმოჩენილი ქუთაისური კოლორიტი და ის ნიუანსები, რომელიც ლერი ალიმონაკის დაკვირვებულ და არაორდინარულ მზერას შეიძლება შეემჩნია და შემოეტანა მხატვრულ აზროვნებაში.

ამ გარემოსა და კოლორიტის შთამბეჭდავი წარმომჩენია კარლო ფაჩულიას გრაფიკული და ფერწერული ტილოები, და თავისთავად მოხდა ისე, რომ ფამფორა, მთავარი გმირი ლერი ალიმონაკის ნოველისა, იყო პერსონაჟი კარლო ფაჩულიას ერთი ნახატისაც.

ასე რომ, ამჯერადაც მხატვრის ყალბი და მწერლის კალამი მოხდენილად მიესადაგა ერთმანეთს, თითქოს იმთავითვე ერთად განზრახულანო.



აუკითხავს სახლში, საფიჩხიაზე, დილაუთენია პირდაპირ საძინებელ ოთახში დადგომია თავზე. კედლებზე როდამს ჯინა ლოლობრიჯიდას, მერლინ მონროს, ბრიჯიტ ბარდოს, სხვა ცნობილი კინომსახიობების სურათები აქვს გაკრული. უთვალთვლებს ხვადაგიანს კედლები, უთვალთვლებს, უკითხავს — ესენი ვინ არიან?! — ესენი, რუბენა ბიძია, სუყველა ჩემი ნაშები არიანო! — ჩაფიქრებულა ხვადაგიანი, ნიკაპზე ნათათუნებია როდამს. — მერე ერთი მანინც დამაჯახეო! — მაგას რა ლაპარაკი უნდა, რუბენა ბიძია, ახლა გასტროლებზე არიან, როგორც კი ჩამოვლიან, ა, ამას დაგაჯახებო! — ბრიჯიტ ბარდოზე დაუდია როდამს თითი. — ახლა თავი მტკივა, მეძინებო!..

გამახსენდა ეს, მაგრამ სიმწრით რა გამაცინებდა, ხვადაგიანმა მორიგეს რომ გასძახა:

— ჯიბის ქურდია, კამერაში შეაგდეო!

კამერა საერთოა, რა ჯურის ხალხი გინდა, აქ არ იყოს. ერთი მოხუცი კაციც არი, მელოტი, ჩია, რატომ ჰყავთ, არ ვიცი. ყველაზე გულლია ესაა, ამას ვუზიარებ ნუხილს. კამერის კარში გამოღებული უმინო სარკმელი სამორიგეო ოთახში იხედება. სამორიგეოს ფანჯრებიან კარში, პირდაპირ ქუჩაში რომ გადის, პატარა მოედანზე, კარგად ვარჩევ ჯაფარიძისა და მახარაძის ქუჩებზე ამვლელ-ჩამვლელს, თვალისცეცებით ნაცნობ სახეებს ვეძებ. თუმცა... ჩვენს ზურგსუკან ებრაელების უბანია. სხედან ალბათ ახლა სინაგოგას წინ ჟღალწვერა ებრაელები, მზისგულზე, თავზე ფესით, კრიალოსანს მარცვლავენ და იგონებენ აბრაამს, აბრაამის მოდგმას, როგორ გასწარა სასიკვდილოდ კენება აბელი, მშვენიერი იოსები ძმებმა როგორ ჩაამწყვდიეს ხაროში, ბასობენ შოვნაზე, წაგებაზე, ყისმათზე, ისინკას აგლახავებენ, ჭორფლებიან დალალ ბიჭს — ის როგორ იყო, ისინკა, დედ-მამის სულს გაფიცებ, მოყევი ერთი, შენ დაგენაცვლე... შოთა ფიჩხაძეც აქ ცხოვრობს, სადღაც ახლო, უმაღლეს მათემატიკას მიკითხავს, ზის ახლა ალბათ თავის ოთახში, იცხააკ ნიუტონის ინტეგრალებს უკირკიტებს. იქით თავისუფლებაა, მე კი... რა ცოტახანია აქა ვარ და უკვე თავისუფლების ნოსტალგია გულგვამს მიჭამს. ოცი-ოცდაერთი წლისა დაზაფრული ვარ, რასაკვირველია. თუმცა აქ ვინ რას გიმველის, აქ ყველას თავისი გასაჭირი ადგას. ღამე დაგვანაწილებენო, ისმის ვილაცის დაგუდული ხმა. ზაფრა მემატება, ყურში ხვადაგიანის ხლიჩინა ხმა რო ჩამესმის:

— ამალამ ქორწილს გადაგიხდითო!

ღამის მოახლოება მზარავს, დაღამებამდე უნდა გავალწიო როგორმე აქედან. ბიძასთან დამარეკინეთ-მეთქი, ვთხოვ მორიგეს. კათედრის გამგეა პედაგოგიურ ინსტიტუტში, გენო ბურჯანაძე, ქალაქშიც ავტორიტეტი აქვს. შენც არ მომიკვდე, ვინ გაკარებს ტელეფონს.

თანდათან ვეჩვევი ნახევრადბნელ კამერას, სარკმლიდან რა შუქიც შემოდის, ეგ არი. საკნელებსაც ვუშინაურდები — მინდა იცოდნენ, რომ... გაჭირვება გვაშინაურებს ერთმანეთთან. ვწრიალებ, ვწუხვარ:

— რა დღე მიცდება!..

— აპა, ბიჭო, რა დღე გიცდება!.. — ილინცურად ელიმება ფიცრის სკამზე მიწოლილ მოხუცს (არყით მოვაჭრეა, მგონი). აქ ვინ დაგიჯე-

რებს, ამ კვირა დღეს საშოვარზე რომ არა ხარ დილაუთენია გამოსული — მთელი ქალაქი ბაზარშია გამოზიანებული.

— ე, შენ, ბებრო, ამ კაცმა არ გითხრა, სტუდენტი ვარო!..

კუთხეში ვილაცა ვილაცას ყრუდ ებუტბუტება — ტროლეიბუსის გაჩერებაზეო!..

მოშუადღევდა.

მორიგეს ფეხსადგილში გავყავართ. ბეჟანა მორიგე, უმცროსი სერჟანტი, რიჟა, სასტუმროსთან მორიგეობს-სომე. ავუსხნი, ვფიქრობ, ტყუილბრალოდ რომ ვარ, ეგება... მეტი არ იქნა შენი მტერი.

— რიონგამოლმა ყველას ვცნობ, შენ ალბათ ახალი დანყებული გაქო!

გაბლიკებული თითებით შუბლზე ჭირის ოფლს ვინწმენდ.

განყოფილებაში შემოსასვლელ ზამბარიან კარს წამდაუნუმ რაჯგარუჯგი გაუდის, არი მიდი-მოდო, ჰაი-ჰუი, ბოჟიალი. სამორიგეო ოთახში რაც ხდება, ყველაფერს ვხედავ — სარკმელს ვარ მიციებული. იქნება ვინმე... იქნება ვინმე... ფეთქავს ტვინი. იღება ღრჭიალით კარი და — ვალიკო იჯგიმება გენერალივით, ჩიტინი, მთელი ქალაქი იცნობს, ხელში საღამურისხელა სასტვენო უჭირავს, უკან ბორია მოჰყვება, კონსტანტინოპოლსკი, ფერდაკარგული, ინდაურით ხელში. ბორია ბიძია ნათესავად მერგება — ჩემი ბიძაშვილის, არიკო ბურჯანაძის, დეიდის ქმარია.

გამიხარდა.

— ბეჟანა, ბიჭო, — ბრინინებს ჩიტინი, — სპეკულიანტია ეს კაცი, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ინდაურს ყიდდა?! — ტროლეიბუსის ხსენებაზე ცივ ოფლს მასხამს.

— რას ამბობთ... ბატო... ნო... ო?! — მთლად გაუთეთრდა სახე ბორია ბიძის, ისედაც ენა ებოროკება, სულ დაეჭა. ბორია კონსტანტინოპოლსკი ნისქვილკომბინატის დირექტორია, კრისტალივით პატიოსანი კაცია — მთელმა ქუთაისმა იცის. ხმას როგორ გავიღებ, კაცს თავისი გასაჭირი ადგას. ბეჟანამ განზე გამოიხმო ჩიტინი, სარკმელთან ახლო.

— ვალიკო, არ გაყიდა ეგ კაცი ინდაურს, ვცნობ, ბაზრის უკან ცხოვრობს, რიონისპირზე...

— ხომ იყიდა სპეკულიანტისგან! — იხტიბარს არ იტყვის ჩიტინი.

— რა ვიცი, ბატ...ონო... ვინ იყო... სპეკ... ულიანტი... თუ...

— კრინტი, შენც სპეკულიანტი ხარ! ბეჟანა, ამოუწერე ამას შტრაფი და კარი პალური! — ბრიხინებს სახეგარეგვინებული ჩიტინი. ბორია ბიძის ფერი მოუდის. ღრჭიალა კარში ისე გადის, აქეთ არ იხედება. მორიგის ფეხებქვეშ დატუსაღებული კონსტანტინოპოლისის ინდაური გახელებული კივკივებს.

ბინდებიან.

ვხედავ ფანჯარაში, ადამიანები სახლებში მიცუხცუხებენ. ცარიელდება ქუჩა. რა ბედნიერები არიან, ვფიქრობ. დღე ცოტა იმედი იყო, ღამდება და ეს ცოტაც ქრება. კამერაშიც დუმილი ისადგურებს. მეც ვჩუმდები, ვწვინდები ღამის მოლოდინში. სამორიგეო ოთახში ნათურა ინთება. მბჟუტავ სიყვითლეში ბუნდად ვარჩევ ახლა უკვე სხვა მორიგის ყინულვით გალიგვებულ სახეს. ვუყურებ და ვფიქრობ:

— არა, ამასთან კრინტის დაძვრაც არ ღირს.

დრო კი მიდის. სამორიგეოში არ წყდება მიდი-მოდი, რაჯგუნი, ბოჟიალი.

იღება ღრჭუნით კარი და — ფამფორა. სამორიგეოში ფამფორა შემოჰყავთ — დიდთვალეა, პირბუდალი ფამფორა. შუბლზე შინდისფერი „კასინკა“ გადაკრავს, ფოლაქებაც ვენილი გამობუნებული კუბოკრული პალტო მუხლებამდეც არ წვდება. ფაშფაშა ქალია ფამფორა, ქუჩის მეძავი, ვინ არ იცის. გარედან ქუჩის სიგრილე, რაღაც სურნელი შემოიყოლა. ჩვენთან ხომ არ დასვამდნენ, პატივით სკამზე დააბრძანეს, აქვე, კამერასთან ახლო. მეჩვენება თუ რა, ჩუმი ღელვით ნითელპომადიან სქელ ტუჩებს იჭამს, ლალისფერ საყურეს თითებით აწვალავს, ნახშირვით შავ თვალებს დამცინავი ღიმილით აცვცვებს. ფამფორა რატომ, ვფიქრობ, ის ხომ ღამღამობით დამონადირეობს, ნეტა ისიც ტროლეიბუსის გაჩერებაზე ხომ არ გამოაყოლებს ხელს. მილიციელები ფამფორას ექლოიკებიან, ეღობაუცებინან, აგლახავებენ რა. ამ ღამეში ვპოულობ დროს, ერთი-ორი სიტყვა გადავუწერწერო ფამფორას. თვითონაც. სტუდენტი ვარ-თქვა... ნდობით მეკიდება, ვატყობ. თუმცა დღეცინში მილიციელებს აპყობია (რა ქნას), წამიერად გუგები ეყინება, თითქო რაღაცას იხსენებსო, მწუხარე სახე ღმობიერებით ეფაკლება, მხოლოდ წამიერად.

დაღამდა.

კამერაში აცივდა. სულ ჩავგინწყა ხმა. ფანჯარაში ვხედავ, ქარში რა საცოდავად კონწილობს ბოძზე ყვითელი ნათურა, რა გულსაკლავად ხრილობენ ჟანგიანი სახურავები. კანტიკუნტადლა თუ გავიგონებ ქუჩაში ჩავლინი მგზავრის ფეხის ჩქამს, ჩახველებას, ჩალაპარაკებას. მგონია, მომწყვითა ღამემ გარეთა ქვეყნიერებას, მარტოდ შემატოვა ქარში მოკონწილემ მბჟუტავ მოლოდინს.

დრო კი ინელება, ღამე პანტერასავით თვალებს მიეღვებს.

სამორიგეოში ფაცაფუცი ატყდა:

— უფროსი მოვიდა!

— უფროსი მოვიდა!

შვებით ვხვნივ. მოვუყვები როგორც იყო, ვფიქრობ, უფროსია, ხნეკაცი, გაიგებს. მორიგე იჯგიმება, ქამარს ისწორებს, პატაკს აბარებს სამორიგეოში შემობრუნდებულ უფროსს, სახემოყანალებულ ჯინჭველაშვილს. ვილაცას რაღაცას ეუბნება, ვილაცა რაღაცას ეუბნება, კაბინეტში მიბრუნდალებს, ზემოთა სართულზე, შიბლეტების კრაჭაკრუჭით.

გუნება წამიხდა.

აქაურობა გასერიოზულდა, ჰაერიც ყვითელი ელექტრონით დაიმუხტა, მილიციელებიც გასერიოზულდნენ, ფამფო-

რასთან საღლიცინოდ ვილას სცალია. უფროსის მძლოლი იქვე დარჩა, სამორიგეოში, გასასვლელ კართან გრძელ სკამზე ჩამოჯდა, სარკმლის პირდაპირ, სამი-ოთხი ნაბიჯი თუ გვაშორებს, ხელში გასაღებებს არაჩხუნებს. ახალგაზრდა ბიჭია, ჩემზე ბევრად უფროსიც არ იქნება.

სამორიგეოში მოძრაობა არ წყდება, გაყავთ, შემოყავთ, არი ჰაი-ჰუი, ღიღლიდი, ბოჟიალი.

ფამფორა ზღაზვნით დგება, დავილალო, გადის, გამოდის, რედიკულიდან პანია შუშას იღებს, ყურისძირებში იცხებს, მძლოლს ეპირფერება, მხარზე ხელს უთათუნებს, ხმაღანვით ებასება, ჩემკენ ახედებს. მძლოლი მიყურებს, მაკვირდება, თავს უქნევს.

— დაეგდე ადგილზე! — ჯღავის მორიგე.

ფამფორა ჯდება, მეწურწულება:

— დაგენაცვლე, დაწერე მისამართი, გვარი და მომეცი.

ღმერთო!

ვილაცა ჯიბიდან გაღეულ ფანქარს იღებს, ვილაცა ფურცლის ნახევს.

ვმფოთავ, ვჩქარობ:

უნაძის 16[?]. კუკური ბურჯანაძე.

კუკური გენოს ძმაა, უფროსი, მშენებელი ინჟინერია. გენო — მწარე კომუნისტია, კუკური — მწარე ანტიკომუნისტი, ჭირისდღესავით სძულს საბჭოთა წყობილება. „კომუნისტი“ კი აქვს გამონერილი (ან ისე ვინ დააყენებს), მაგრამ რად გინდა — ერთს მალვალაკურად გადაავლებს თვალს, მიაღუჭებს, ნახევებად აქცევს, ნახევები ფეხსადგილში გააქვს დუდღუნით ბიცოლაჩემს. ტელევიზორი, პანია „რეკორდი“, ერთთავად იატაკზე გდია — ნანახი, ნაგვემი, რას უძლებს, არ ვიცი. — ამათ არ გაეკარო, ბიძია, ამათ ტიფამ ელაპარაკაო, მაფრთხილებს-ხომე. დადის — სამსახურია, ქუჩაა, თეატრია, ენას არ აყენებს. ვალიკო ჩორნა დაუბარებიათ ქალაქკომში, ტრესტის უფროსი — ბურჯანაძე უნდა გაათავისუფლოო! — დივერსანტობა არაფერი შემიმჩნევია, ბატონო, ისე მაგნაირი ინჟინერი მეორე არ მყავს, თქვენ ხომ არ გადაირიეთო! — ქალაქში პატივს სცემენ ვალიკო ლორთქიფანიძეს, ღირსეული კაცია, ვაგლახად სიტყვას ვინ შეუბრუნებს.

ფურცელს წვრილად ვკეცავ, მალულად ფამფორას ვანვდი. ისიც მალულადვე პალტოს ჯიბეში ჩქმალავს. ვერ ისვენებს, ვატყობ, წრიალებს. ისევე დგება, გადი-გამოდის, დაკეცილ ფურცელს მძლოლს მუჭში უდებს.

— დაეგდე-თქვა, გელაპარაკები, შე!.. — დადლანებს მორიგე. ფამფორა ჯდება. მძლოლი ნაკეც ქალაღდს ხსნის, კითხულობს, საჩვენებელი თითით მანიშნებს: იქით არი — თითს ებრაელების უზნისკენ იშვერს, თუ აქეთო — ახლა თითს სადგურისკენ იშვერს. აქეთ-თქვა, სადგურისკენ ვანიშნებ, კიროვის ქუჩისკენ. აქედან ბიძაჩემის სახლამდე წუთი, წუთნახევარი თუ უნდა მანქანით, მეტი არა. მძლოლი დგება, უფროსის ოთახში ადის.

სიმწრის ოფლს მასხამს.

უმალვე ბრუნდება, რაჯგუნა კარში გადის.

— აპა, ფეხზე, — მორიგე რაჩხუნით აღებს საკნის კარს, — აფხოდი იწყება! — ჯინჭველაშვილი ქუთუთოებმეშუპე-ბულია, ვხედავ, გამოშვინდილებული, თმადავარცხნილი. მბჟუტავი ნათურასავით გაციალდა გულში იმედი.

— შენ რაზე ხარ?! — ღვინის ოხმივარს აფრქევს პირიდან.

— ეს, უფროსო, თბილისის ქუჩის კუთხეში, „თოლიასთან“ ღვინით ვაჭრობდა!..

— ხოოო!.. — გაბრიგინდა ჯინჭველაშვილი. — ვერ მო-

გაშლევ ვი ხო ეგ შენ!.. სადაური კაცი ხარ?!

— საქარის ცოლიკოურია, ჩემო ბატონო...

— კაი რამე ქე იქნება!.. გგნამლაგ ხო!.. შვლაპი ნეილე და... ბიკენტას შეასხი ნაცხში!.. ამოუწერეთ ამ გლახას

შტრაფი, კარით პალური! — და საჩვენებელი თითი საფეთქელში ატაკა მოხუცს. არ ვიცი, სიხარულით, არ ვიცი, სიმწრით, მოხუცს თვალები აუცრემლიანდა.

იქნება მეც „შტრაფით“ გადავრჩე-თქვა, ვფიქრობ.

— შენ რაზე ხარ?! — ახლა უფრო უხვად აფრქვევს ჯინჭველაშვილი ოხშივარს.

— ეს, უფროსო, ბაზრის გასასვლელში რო ტანსაცმლის მალაზიაა, ტროლეიბუსის გაჩერების წინ, იქ ჩეხური პიჯაკი მოუზმანებია, ხოდა, ქე ნასულა!..

— არა, უფროსო, იქავე ძველი ნაცნობი გადამეყარა, გამიბა ლაილაი და...

— ლაილაი!.. მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ლაილაი!.. ხონში რო გაგიშვებ, ძველ ნაცნობებთან, იქ ილაილავებ!.. გაგულავებ იქ მე შენ ჩეხური პიჯაკით!.. — ამასობაში მძლოლიც დაბრუნდა, გადავეციო, მანიშნა.

ღმერთი გიშველის.

— შენ რაზე ხარ?! — მე, ბატონო, სტუდენტი ვარ, გამოცდა მაქვს ხვალ, — ნამოვიწყე ხმის კანკალით, — სტალინის ქუჩაზე გავდიოდი, ტროლეიბუსში ავდ...

— ჯიბის ქურდია! — მოჭრა მორიგემ, ვინ გაცალა სიტყვის თქმა.

— რა გვარი ხარ?! — ოხშივარს აფრქვევს ჯინჭველაშვილი.

— ალიმონაკი...

— ალიმონაკი?! — წამით ჩაფიქრდა ჯინჭველაშვილი, ცერათითი საფეთქელთან ჭალარა შეისწორა. — გადაპარსეთ ამას ამაღამვე თმა, სურათი გადაუღეთ, კინო „კომუნისტან“ რო კედლის გაზეთია — „ვინ გვარცხვენს ჩვენ“, იქ გამოაკარით!.. აათრიეთ გამომძიებელთან!.. ტროლეიბუსს გაჩვენებ მე შენ!.. — საჩვენებელ თითს მიქიცინებს.

— შენ რაზე ხარ?! — ეს უფროსო... ოოო, ეს მსხვილფეხაა, უფროსო, ახალციხიდან გასტროლებზე გვესტუმრა... ამას, უფროსო, უპურმარილოდ ვერაფრით გავისტუმრებთ!..

— რა გვარი ხარ, შენი!.. — რალაც სომხურ გვარს ეუბნება. მაღალი ბიჭია, ხმელი, ნახშირივით სახე აქვს, ნახშირივით გრძელი თითები. ის ხანი, რაც ერთად ვართ, ხმა არ გაუღია. — მერე, შე ჩათლახო, ესენი არ მეყოფიან აქ, — ჩვენკენ ზნექს ცერათითს, — შენ რო ფალვანდივით არ წამებოროკო ფეხებში?! — და სახეში ლენა. ახალციხელი თავზე ხელებს იფარებს.

— რაპორტი შეადგინეთ, პროკურატურაში გადაათრიეთ!

— შენ რაზე?!..

— შენ რაზე?!..

— შენ რაზე?!..

ყურებში კაშხალივით რალაცა მიშხუის, აღარაფერი მეყურება, საფეთქლები მიფეთქავს. მგონია, თვალშიც ბინდი ჩამიდგა.

გადამიწყდა იმედი.

მარტო ჩემს თმაგადაპარსულ თავსლა ვხედავ ქალაქის კედლის გაზეთში. მთელი ქუთაისი მიცნობს, ჩემი თაობაც, უფროსი თაობაც, ამას ვინ დაიჯერებს, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს ეჭვი, ვფიქრობ სულგამწარებელი, მართლა ხომ არ წაუცდა ლერიას ხელი სხვისი ჯიბისკენო?!

იღება უცბად სამორიგეოს ღრატუნა კარი, ვხედავ — ბიძაჩემი, ფართობორტებიანი გრძელი რატინის პალტოთი, კაზიროკიანი ქუდით. ტანმორჩილა კაცია, ხმელი. არ ვიცი, ყინვით, არ ვიცი, ბრაზით, სახე აღენვია. ალიმონაკთან ვარო, გაბზარული კილოთი ცრის კბილებში.



კარლო ფაჩულია

ვამფორა ფისოსთან ერთად

— რა არი შენი?! — დიშვილია!..

— გამოიყვანეთ!.. ეს არი?!. ამას როგორ გაგატანო, სიცხე ხო არ გაქ! — იპუტავს ყველაფერს ჯინჭველაშვილი.

— ამან გადაატრიალა ქუთაისის ჯიბეები, ამას ვეძებთ რამდენიხანია! — ბიძაჩემს სახეზე სისხლი ასკდება. ნამეტანი ფიცხი კაცია, თუ აფეთქდა, მტრისას. თუმცა ახლა თავს იკავებს, ვგრძნობ, გარემოებას აყურადებს.

— მეე, ბატონო?!. მეე?!. — ტანსახეზე ღვითქი გადამდის.

— ე, შეხედეთ!... აფერისტი!.. შეხედეთ ერთი, რამდენი აცვია!.. შეუგდეთ ისევე კამერაში!..

— ამხანაგო უფროსო, აღარ იზამს, სტუდენტია, ვაპატ... — კუკური ბიძია... მე... მე არ... მე... — შენ გაჩუმდი! — მიცაცხანებს ბიძაჩემი.

— ა, ხო ხედავ?!. აპა, ჩემი თანამშრომელი ტყვილს მეტყოდა — ტროლეიბუსში მიძვრებოდაო?! რას ამბობ, ხომ არ გადაიროე, ამას ვეძებთ რამდენიხანია, ამას როგორ გაგატანო?!

— საშა რო იყო, ხო გახსოვს, ამხანაგო უფროსო, ალიმონაკი, ძველი ქუთაისელი ფეხბურთელი?!.

— საშკა ალიმონაკი ვის არ ახსოვს!

— ხოდა, იმისი შვილია... სტუდენტია... რა იყო, შეკაცო, მეტს აღარ... — ფარული ბრაზით ელიჯინება ჯინჭველაშვილს ბიძაჩემი.

— სტუდენტია!.. ამ ქალაქში ყველა სტუდენტია, ველარ გევიგე, ყველამ რო..

— იმ შენი კაი დედის და მამის სულის ცხონებამ, გაიხსენე ერთი, თუ კაცი ხარ, თავისი ფინტებით საშკას რამდენჯერ აუბლავლებიხარ სტადიონზე, რა იყო, შეკაცო?!.

— ყურები უნდა დაანიწნოს კაცმა!.. ამოუწერეთ ამას შტრაფი და... არა, მოიცათ, ჩამოართვით ახსნა-განმარტება და... იცოდე, გაფრთხილებ, თუ კიდე წამებოროკე ფეხებში, ვირის აბანო არ ავცდება!..

სუსხავს. ხმელ ფანტელს ქარი სახეში მაყრის, თმას მიწენავს, ბოძებზე ყვითელ ნათურებს აკონწიალებს, უამურად ახრიალებს სახურავებს. ოფლით გაღვითქულ სახეს პლამჩის საყელოში ვმალავ. გაოგნებულს რალაც გაურკვეველი ფიქრები გულგვამს მიჭამს. რა ერთი წკიპი კმარა ზოგჯერ, კაცს რომ ცხოვრება გაუმრუდდეს.

— წამოდი, ბიძია, წამოდი, — მგონია კითხულობს ბიძაჩემი ჩემს ფიქრებს, — ამათ ტიფამ ელაპარაკა!

ზაზა აბზიანიძე

სურათი 1.

ამბავი დე ლა მელასი

(საახალწლო ზღაპარი
დიდებისა და პატარაებისათვის
იმპის სურათად)

მოქმედი პირნი:

- გრაფი დე ლა მელა - სამელიეთის საგრაფოს წინამძღოლი. ბარონი დე სუნსულიო - საგრაფოს „მთავარი ვეზირი“.
- ბარონი დე ცუნცულიო - საგრაფოს „მთავარი ვეზირი“.
- მელიტონი - „სახლთუხუცესი“ („მაჟორდომობას“ ითავსებს).
- მელიარესი - „უკუდოთუხუცესი“.
- მელკიბიადესი - საგრაფოს „ოფიციალური ისტორიკოსი“ (ამასთანავე - ასტროლოგი და ალქიმიკოსი).
- რენატა - საგრაფო კარის „ფრეილინა“.
- მელიტა - ხანდაზმული „ფრეილინა“.
- მელანო - საგრაფო კარის „ფრეილინა“.
- ცუგრუმელა - საგრაფო კარის „ფრეილინა“.
- მელასკესი - „კარის მხატვარი“ და, შეთავსებით - „კარის პოეტი“.
- კუდრაჭი - თავგოსაშენის ზედამხედველი.
- ყვანჩალა ზიტა.
- ბუ სოფი.
- კლარა - პატარძალი.
- ფრეილინები.
- კარისკაცები.
- უკუდონი.
- გნომები - სცენზე არ ჩანან. მათი ხმა ისმის მხოლოდ.

უხილავი გნომის ტექსტი: არ მინდა გეგონოთ, რომ კულისებში გემალეებით და ისე გელაპარაკებით — სცენაზე გახლავართ. ვერ მხედავთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გნომი ვარ. თუ ვინმეს ძლიერი დურბინი აქვს, ან ძალიან ძლიერი სურვილი, შესაძლოა, დაინახოს კიდეც... თუმცა, ამას არცა აქვს მნიშვნელობა — ჭრიჭინას ვერაფერს ხედავს, თუმცა ყველა უსმენს... ჰოდა, მაშინ მეც მომისმინეთ. ჩემზე უკეთ არავინ იცის, ამ ტყის ამბები.

დიდი ხნის წინ, ეს პატარა ციხე-დარბაზი გნომებს აუშენებიათ იმდროინდელი რაინდების ნაბაძვით; ერთხანს უცხოვრიათ კიდეც აქ, მაგრამ მერე ისევე ძველებური ყოფა მონატრებითა და ტყეში დაბრუნებულან; ციხე-დარბაზი კი აქაური ტყის მელათმთავრის, დე ლა მელას ბაბუამ — მელაკუდ პირველმა ჩაიბარა იმ პირობით, რომ მელიები ყოველდღე მიუცუნცულელებდნენ გნომებს თავისი ლამეული ნადავლის მეოთხედს.

ადრე, როცა კუდგრძელები ჯერ კიდევ ტყეში ცხოვრობდნენ, მგელი სევასტი სადაც კი დაიგულებდა, პირიდანვე სტაცებდა ქათამს. ისე რომ, მელაკუდებმა გნომებთან გარიგება არჩიეს. ახლა ისინი გარიჟრაჟზე ერთად ბრუნდებიან ლამეული ნადირობიდან და ამაყად შედიან თავიანთ ციხე-სიმაგრეში.

დამშეული სევასტი კი კბილების კრაჭუნით გარშემო უვლის სამელიეთის გაღავანს და დე ლა მელას მოდგმის აქ დასახლების დღეს წყევლის. თვით ამ გაღავანს შიგნით კიდევ უფრო საინტერესო ამბები ხდება: გნომებისგან გაგონილი სარაინდო ისტორიებით გატაცებულმა დე ლა მელამ ქვეშევრდომებს ნამდვილი საგრაფოების წეს-ჩვეულებები შეასწავლა. ისე რომ, მელაკუდები ახლა ღამლამობით საქათმეებში რომ დაძვრებიან, დღისით — რაინდულ შეჯიბრებებს აწყობენ. ამჯერად, მაგალითად, პოეტური ტურნირი აქვთ. მოდით, ჩვენც დავცესნროთ.

დე ლა მელას სასახლის „სატახტო“ დარბაზი: დე ლა მელა „კარისკაცებისა“ და „ფრეილინების“ გარემოცვაში.

დე ლა მელა (ზეანული კილოთი) — მივეესალმები ამ დარბაზში შეკრებილ გულად თანამძრომელებს და კუდფუმფულა ფრეილინებს. გახსნილად ვაცხადებ სამელიეთის პოეტურ ტურნირს. ვიდრე სიტყვას საგრაფოს მთავარ ვეზირს, ბარონ დე სუნსულიოს გადავცემდე, ტრადიციისამებრ — სამელიეთის ჰიმნი! დღეს ლოტბარიც მე ვიქნები! (ყველანი მღერიან. დე ლა მელა ლოტბარის როლშია)

ვართ ჯინაზე ყველასი,
რაზმი დე ლა მელასი,
და აღარ გვეშინია
სევასტ-საფრთხოვლასი!

ვიციოთ, მიზნად ისახავს,
სათითოდ ჩაგველაპოს,
მაგრამ გვიცავს მტრისაგან
დე ლა მელას საგრაფო!

აქ არავინ გეცნობათ
ჩვეულებრივ მელიად:
ადვილია მხეცობა,
რაინდობა ძნელია!
მისამღერი:
ადვილია მხეცობა,
რაინდობა ძნელია!
(აპლოდისმენტები)

დე ლა მელა — სიტყვა ეკუთვნის საგრაფოს მთავარ ვეზირს, ბარონ დე ცუნცულიოს.

დე ცუნცულიო (პათოსით) — კუდბრწყინვალენო და უკუდონო! ნება მომეცით, შესავალი სიტყვის ნაცვლად, თქვენს წინაშე წარვსდგე ჩემი პირველი პატარა პოეტური ნიმუშით. იმედია, არ დამძრახავთ:

ამ ლექსს მე ვუძღვნი მელაკუდ პირველს,
მის შვილებსა და შვილიშვილებსაც,
და ვგმობ სევასტის მოდგმას, რომელიც,
სამელიეთზე კბილებს ილესავს!
(მოკრძალებული აპლოდისმენტები)

დე სუნსულიო (ირონიულად) — ბარონო დე ცუნცულიო, ნათესაობამ რა დავიშავათ, რატომ გამოტოვეთ?!

დე ცუნცულიო (სერიოზულად) — მაგათზე, პატივცემულო სუნსულიო, ცალკე დავწერ.

დე ლა მელა (ირონიულად) — ჯერ არ დავიწყია, ცუნცულიო?!

დე ცუნცულიო — არა, თქვენო კუდბრწყინვალესობავ, მარტო სათაური მაქვს მოფიქრებული.

დე ლა მელა (ირონიულად) — რა სათაურია ასეთი?!

დე ცუნცულიო — „საქათმის რაინდებს!“

დე ლა მელა — ამ რაინდებში ვის გულისხმობ, ცუნცულიო, მამლებს?!

დე ცუნცულიო — არა, რას ბრძანებთ, ბიძათქვენ მელაჯანს, კუდი რომ მოაჭამეს ძაღლებმა, იმას...

დე სუნსულიო (ყალბი პათოსით):

მონმობს ძაღლთაგან მოჭმული კუდი,
რომ ის არ იყო უბრალო ქურდი!

დე ცუნცულიო (დე ლა მელას მიმართავს) — გთხოვთ, გააჩუხოთ ეს ცინიკოსი!

დე ლა მელა (დამაშოშინებელი ყესტით აჩერებს დე სუნსულიოს. ირონიულად) — შეეშვი, რა, დე სუნსულიო! მიხედე შენს

საგარეო საქმეებს და ცუნცულის კიდე აცალე საშინაო ამბები მოაგვაროს! (შეკრებილთ მიმართავს) — ჩვენს საგრაფოში ისევე, როგორც ყველგან, ორი მთავარი ვეზირი ვერაფრით ვერ ეწყობა ერთმანეთს...

დე ცუნცული (თავისთვის ჩაილაპარაკებს) — რატომაა კოლეგის გამასხარავება „საგარეო საქმეთა მოგვარება“ — არ მესმის...

დე ლა მელა — ახლა თქვენს წინაშე წარსდგება ჩვენი კარის მხატვარ-პოეტი — მელასკესი. მისი ნამუშევრების გამოფენა ნახეთ ალბათ. იმასაც შეგახსენებთ, რომ დღევანდელი საზეიმო განწყობის შექმნა და წარმართვა — მისი მოვალეობაა!

მელიტა — (გვერდზე მდგომ ფრეილინას გადაულაპარაკებს) — ეს დე ლა მელა რა ეშმაკია! ჩვენ კი არა, — მელასკესს შეახსენა თავისი მოვალეობები. ეტყობა, უკმაყოფილოა რაღაცით...

მელასკესი — ჩემი ნახატების შთაგონებით, ერთი ლექსი მაქვს დაწერილი და თუ ნებას დამრთავთ, წაგიკითხავ.

დე ლა მელა (შენუხებულო) — ისევ ნათესავებზე, მელასკეს?!
მელასკესი — არა, ხვლიკებზე.

დე ლა მელა — ოოო, ხვლიკებზე ნამდვილად საინტერესოა, ნაკითხე.

მელასკესი — (კითხულობს გამოთქმით, მსახიობების ნაბაძვით):

ჩვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით:
მაგალითად, მოდის მტერი,
ვერაგი და არცთუ შტერი.
ცხვირწინ უზის ოთხი ხვლიკი:
ორი — აქეთ,
ორიც — იქით.
სანამ მოიფიქრებს მტერი,
ვისი შეჭმის არის ჯერი,
არ გეგონოთ,
იცდის ხვლიკი,
როდის მოვა მისი რიგი.
ჩვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით,
გვაქვს სახელი ქებული
— „კუდზეხელაღებული“!
თავდასხმიდან გადის წუთი:
აქეთ — ხვლიკი,
იქით — კუდი.
მტერი ვედარაფერს იგებს,
იჭერს კუდეებს,
უშვებს ხვლიკებს.
მეომარი ქებული,
რჩება განზილებული.
ჩვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით.
ასეთები ვიყავით,
ასეთები ვიქნებით!
(აპლოდისმენტები)

მელიარესი — მელასკეს-ბატონო, ამ თქვენს „ხვლიკებში“ ვინ მოიაზრება?!

მელასკესი — ნიანგები, ბატონო მელიარეს!

მელიარესი (მრავალმნიშვნელოვნად) — გასაგებია...

დე ცუნცული — ვფიქრობ, პატივცემული მხატვარ-პოეტის პასუხი უკუდოთუხუცესის შეკითხვაზე და მისი აქ ნაკითხული ლექსიც, ჩვენი კუდგამეტებული ვეტერანების შეურაცხყოფაა, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს საშინაო ვითარების სტაბილიზაციას!

დე სუნსული — მე კი მგონია, ბ-ნო დე ცუნცულიო, რომ მელასკესის ნახატებშიც (აქვეა გამოფენილი და ადვილად დარწმუნდებით), ისევე, როგორც მის ლექსებში — ყოვლად უწყინარი იუმორია, რაც ხელს უწყობს სამელიეთის დადებითი იმიჯის

შექმნას მის საზღვრებს გარეთ! საწყენია, რომ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას შესხენება სჭირდება...

დე ლა მელა — კარგი ახლა, ძვირფასო ბარონებო, პოეზიის საღამოს სუნსულიო-ცუნცულის დისკუსიად ნუ გადავაცქვევთ. პოეტებო, სიყვარულზე არა გაქვთ ვინმეს ლექსი?

რენატა (ამოიკვნესებს) — მე მაქვს, თქვენო კუდუბრწყინვალესობაგ! („ფრეილინები“ გამოცოცხლდნენ).

დე ლა მელა (გაბადრული) — აბა, ჩვენს მომხიბლავ „მისს სამელიეთს“, ქ-ნ რენატას მოვუსმინოთ.

მელანო (ჩაილაპარაკებს) — როდის აირჩიეს, რაღაც არ მახსოვს...

რენატა (გრძნობით):

კუ აახლებს ბინას,
თითქმის აღარ სძინავს,
საქმრო გამოუჩნდა
ამ ცოტა ხნის წინათ.
ელვარებას ჯავშნის
შელამება აქრობს,
ჭერი უკვე გაშრა,
იგვიანებს საქმრო...
(აპლოდისმენტები)

მელიტა — როგორი მელანკოლიაა...

მელანო (ირონიულად) — შეყვარებული კუს პრობლემები გვაკლდა ახლა...

მელინდა — კაი, რა მელანო, რისი კუ! თავის თავზე წერს, ამდენი არ გესმის?!

დე ლა მელა (არ იმჩნევს, რომ რამე გაიგონა) — კიდევ ვინმეს ხომ არა აქვს ლექსი სიყვარულზე?

კუდრაჭი — მე მაქვს, ოღონდ სახუმაროა.

დე ლა მელა — შენც, კუდრაჭ?! ლექსი?! ე.ი. გასტრონომიულ ინტერესებს პოეტურმა სძლია?! ძალიან კარგი. თავგებზეა?!

კუდრაჭი — არა, გრაფო, თავგები არ გამაგონოთ!

დე ლა მელა (გაეცინება) — არ თქვა ახლა, რომ გადაგიყვარდა?!

კუდრაჭი — გოჭხეა და ტურახე.

დე ლა მელა — ააა, გასაგებია! გოჭი კი ჯობია თავგს გემოთი! გთხოვთ, მოვუსმინოთ ბ-ნ კუდრაჭის — საგრაფოს თავგთ-საშენის ზედამხედველი, გახლავთ... (პაუზა) ჯერჯერობით...

კუდრაჭი (ნირნამხდარი):


ტურას შეუყვარდა გოჭი,
რომანტიკული და ნორჩი.
გოჭის მშობლებს,
ანუ ღორებს,
მის სახელს ვერ გააგონებ:
— ჩვენი გოჭის სანახავად,
ღამით დადის სალახანა.
გაგვიელვა ეჭვმა, —
უნდა გოჭის შეჭმა!
(აქა-იქ - აპლოდისმენტები)

პირველი უკუდო — კუდრაჭ, ეს გოჭი რამდენი წლის იყო?!

კუდრაჭი — რა ხდება რო, რატომ გაინტერესებთ?!

პირველი უკუდო — ერთ წლამდე გოჭის შეყვარება ჩვენს ტყეში აკრძალული რომაა არ იცი?!

ხმა ფრეილინების კუთხიდან — შეჭმაც აკრძალულია!



მეორე უკუდო — ჯობია მაგ თქვენმა კუდრაჭამ გვიპასუხოს — ტურას მართლა შეუყვარდა ის გოჭი, თუ შეჭმა უნდოდა?!

მესამე უკუდო — ჩვენმა კუდრაჭამ ჯერ ვეგეტარიანელი ტურა გაგვაცნოს სადმე და მისი „შედევრის“ განხილვა მერე მოვანყოთ.

კუდრაჭი (შეურაცხყოფილი) — ჯერ ერთი — „კუდრაჭამ“ კი არა, — „კუდრაჭმა“! და მეორე (**სარკაზმით**) — ჩემს „შედევრს“ სამხედრო საბჭოზე განიხილავთ?!

პირველი უკუდო (ირონიული ტონით) — განვიხილავთ ბ-ნო კუდრაჭ (**ხომ სწორად ვამბობ?!**), განვიხილავთ; პომეებსაც განვიხილავთ და პრეტენზიებსაც!

მელასკესი — უთაგვებოთ თუ დავრჩებით — გაიხსენეთ კუდრაჭები!

მელინდა — რენატას როგორ აბამდა ამ თავგებით?! (**გამოთქმით**):

მოპოვებული შრომით და დავით, მინდა მოგართვათ ეს ორი თავი!

მელიტა (თავისთვის ჩაილაპარაკებს) — ჩაუშვა...
რენატა — კაი, რა, მელინდა, რეებს იგონებ?! (**უხერხული პაუზა**).
გნომები:

მოპოვებული წვითა და დავით, მინდა მოგართვათ ეს ორი თავი!

ცუგრუმელა — ეს გნომებიც ხო გაგაგიჟებენ: ციტატა შე-მისწორეს! (**კუდრაჭს მიუბრუნდება**) — ავტორთან ბოდიში!

კუდრაჭი (შეურაცხყოფილი) — ჩემთან რატომ იხდი ბო-დიშს?!

მელინდა — აბა, მე შევაფასე ეს მზეთუნახავი ორ თავგად?!
მელასკესი — ქათამი მაინც მიერთმია!

ცუგრუმელა — ქათამი, არა! სადღაც ნკვარამში უნდა იძ-რომილო: ხაფანგები, სოფლის ნაგიჟარი ძაღლები — აქ კი ჰყავს მზამზარეულად ეს საცოდავი თავგები და აბამს „ნაშებს“...

მელიტა (ამრეზით) — ნამდვილი მელაძეა!
კუდრაჭი (შეურაცხყოფილი) — დღეს მე გყვეართ პროგრამაში?! ბარემ წინასწარ გამოგეტყუებინათ!

დე ლა მელა (ჩაერევა, უკმაყოფილო) — კარგით, ბ-ნო კუდრაჭ, შემდგომისათვის გავითვალისწინებთ... (**პაუზა**) — ყველაფერს! (**ახლა უკვე დანარჩენებს მიმართავს**) — ახლა შევეშვით პა-ტივეცემულ კუდრაჭს, ტურებსაც და თავგებსაც და უფრო სასი-ამოვნო თემაზე გადავიდეთ — მელიტაზე არავინ წერთ ლექსებს?!

მელასკესი — თქვენო კუდრბრწყინვალესობავ, ვიდრე მელი-ტაზე გადავიდოდეთ, გაგეცინებათ, მაგრამ იმ გოჭზე მეც მაქვს ლექსი დაწერილი — კიდევ ერთი თავყანისმცემელი ჰყოლია!

დე ლა მელა (გაეცინება) — გისმენთ, მელასკეს.

მელასკესი:

ლორი ჰყვება:
— შემხვდა ტახი,
ახმახი და მაიმახი.
გამოვარდნილია ტყიდან.
„— თქვენთან ჩასიძება მინდა!“
ხმა დაიტკბო, გაინაზა:
„— დამიფრთხოო გრძნობამ ძილი!..“
ოჰ! ამ შავს და გაუპარსავს
„უყვარს“ ჩვენი ქალიშვილი.
(**აპლოდისმენტები**).

დე ლა მელა (გაეცინება) — გამაცანით ერთი, ვინაა ეს ერო-ტიკული გოჭი, ამდენი თავყანისმცემელი რომ ჰყავს?! მელიტა-ზე გადავიდვართ თუ არა?! — აბა, ვისა აქვს ლექსი?!

მელასკესი:
როცა თვითონ ხარ მელია,

მელაზე წერა ძნელია და ადვილია ყველაზე — წერა ერთ „არამელაზე“!

დე ლა მელა — ექსპრომტებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი მხატვარ-პოეტი ფორმაში შედის! (**დაინტერესებით**) — და ეს „ერთი არამელა“ ვინლა არის?!

მელასკესი — აბა, ვინ უნდა იყოს?! თქვენი ძველი ნაცნო-ბი — ტურა კომპარინა, რალა თქმა უნდა!

დე ლა მელა (იუმორით) — მელასკეს, დახატულიც ხომ გყავს?!
მელასკესი — როგორ არა, გამოფენილია კიდევ აქვე!

დე ლა მელა — კარგი, ნავიკითხე ეგ შენი ლექსი, გისმენთ.
მელასკესი — ერთი სტროფია სულ:

ტყეში ატყდა დიდი ომი:
ტურას უნდა, გახდეს ლომი.
ლომს არ უნდა იქცეს ტურად
და იქცევა სადისტურად!

მელიარესი — სად ნახა ამ ტყეში ლომები?!
დე ლა მელა (ლიბლით) — არიან, ბ-ნო მელიარეს, დამიჯე-რეთ, არიან... მელასკეს, დიდი მადლობა, ძალიან სასაცილო იყო! ისევ მელიებს დაუბრუნდეთ... აბა, ლექსი?!

მელანო — მე მაქვს ერთი ლექსი, გრაფო, ოღონდ მარტო მელიაზე არაა, სხვებზეცაა.

დე ლა მელა — რა, პრობლემაა, მელანო, იყოს სხვებზეც...
მელანო:

ჭოტი ჰყვება:
— გუშინ ყვავთან
დავესწარი
პურ-მარილს.
მელა ჰყავდა მიწვეული —
საპატიო სტუმარი.
ყვავმა:
— მე აქ ვბინადრობო
მეორასე წელია!
— ჰოდა, ჩვენი იუბილარი
გადასანსლა მელიამ!
(**აპლოდისმენტები**)

მელიარესი — სხვათა შორის, ძალიან ულამაზოთ ვართ მე-ლიები გამოყვანილი. ამ ტყეში ჩვენ თუ არ გავუფრთხილდით ჩვენს ავტორიტეტს, სხვას რა უნდა მოვთხოვოთ?! (**დე სუნსუ-ლიო თავის ქნევით ამცნობს, რომ იზიარებს ამ მოსაზრებას**).

დე ლა მელა — კაი რა, მელიარეს, ძაღლებმა იუმორის გრძნობა კუდთან ერთად მოგაჭამეს?! აღარც ვიხუმროთ?! საქ-მე საქმეზე თუა, — აგერ, სხვენში რომ დასკუპებულა ცნობის-მოყვარე ყვანჩალა ზიტა (**მალა აიხედავს, თავანში ჩაყოლილი სარკმლისაკენ**) — ვინმე წაეტანა შესაჭმელად?!

მელანო (ირონიულად) — ანუ, არ აფერინდით?!

დე ლა მელა (გაეცინება, ცოტა უხერხულად) — არა, მელანო, ეს ისე... ვინდაც აქ იჯდეს. ვინაა მაგის შემჭმელი?! ასი წელი...

რეპლიკა „ფრეილინების“ მხრიდან — „ორასი“! (**პაუზა**). **დე ლა მელა შესატყვის მაგალითს ეძებს**.

დე ლა მელა — აბა, ბუ სოფი რომ მოდის აქ და დაბაჯბა-ჯებს — რამე ემუქრება?!

მელიტა — ბუ სოფისთან ჯერ კიდევ თქვენი დედ-მამა არ მეგობრობდა, განა?! ახლაც, თუ შემოფრინდება — ხან სევას-ტის ადგილსამყოფელს დაგვიზუსტებს, ხან ბომბოკო დათვის ამბავს გვეტყვის — ცუდი სტუმარია?!

დე ლა მელასთან ერთი პატარა, გაქუცული მელია მივა და ყურში რალაცას ჩასჩურჩულებს. ეტყობა „საგრაფოს“ ეტიკეტი დაარღვია და „მაჟორდომი“ აიძვარება, მაგრამ დე ლა მელა შეს-ტით დააშოშმინებს.

დე ლა მელა — ეჭააა, მგონი მართლა დაგვჭირდეს ბრძენი ბუს გამომხობა. ძვირფასო კუდფუმფულეზო, თავისუფალი ბრძანდებით! მობრძანებისათვის დიდი მადლობა. პოეტური საღამო ცოტა შეკვეცილი გამოვივიდა, მაგრამ არ გაგვიანაყენდეთ. ვეზირებთან და ვეტერანებთან ერთად რალაც სერიოზულ საქმეზე უნდა მოვიტათობოთ. *„კუდფუმფულა ფრეილინები“ დარბაზს ტოვებენ. დე ლა მელას ტახტის გარშემო უფროს-უმცროსობის დაცვით, განლაგდებიან: ვეზირები, სახლთუხუცესი, უკუდითუხუცესი, კარისკაცები და ვეტერანი-კუდმოჭმულეები* როგორც მაცნობეს, ამაღამდელი ნადირობისათვის გამზადებულმა რაზმმა თხრილზე გადასასვლელი ხიდი ვერ ჩაუშვა. ვილაც მზაკვარს გარედან ისე აქვს ჩახერგილი ხიდიცა და ალაყაფის კარიც, რომ ახლა თუ ციხის გაღვინიდან გადახტომას და თხრილში თავის დახრჩობას არ აპირებ, გარეთ ცხვირს ვერ გაყოფ. აბა, ვინ რას გვეტყვის: ბარონი დე სუნსულიო! *„აქცენტირებულიად“* — გთხოვთ.

დე სუნსულიო (დაყინებით) — თქვენო, კუდფუმფულეზო-ბავ! ზუსტად ვიცი, ვისი თათიც ურევია მაგ საქმეში — სევასტი!

დე ლა მელა — ბარონო დე ცუნცულიო, თქვენც იგივე აზრისა ხართ?!

დე ცუნცულიო (დაყინებით) — მაგისთანა აზრს თავში არც გავივლებ! ამის ყველაფრის ჩამდენი არი ბომბოკო-გადარეული!

დე სუნსულიო (ამბიციურად) — თქვენო, კუდფუმფულეზო-ბავ! იმის შესახებ, რაც სამელიეთის ფარგლებს გარეთ ხდება, მე სარწმუნო ინფორმაციას ვფლობ!

დე ლა მელა — ნამდვილად გავითვალისწინებთ ორივე მთავარი ვეზირის აზრს. ჩვენი სახლთუხუცესი, ბ-ნი მელიტონი რას გვეტყვის?!

მელიტონი — თქვენო, კუდფუმფულეზო-ბავ! ერთდერთი ინფორმაცია, რომელიც შემიძლია მოგანოდოთ, როგორც სახლთუხუცესმა, ისაა, რომ ჩვენი სურსათ-სანოვანის მარაგით, ბლოკადის პირობებში მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში თუ გავძლებთ. ისე, ლექსების წერის მაგივრად, ამ ჩვენს კუდრაჭს თავვითსაშენისათვის წესიერად რომ მოევილო, მეტსაც გავძლებდით...

კუდრაჭი (აღშოთებული) — რა ჩემი ბრალაა, ეგ ოხერი თავგები თუ არ მრავლდებიან?!

დე ლა მელა (ირონიით) — გასაგებია! სანუგემო ინფორმაცია! ახლა მის უკუდმოჭმულესობას ბ-ნი მელიარესს მოვუსმინოთ. როგორც უკუდითუხუცესი — ვეტერანთა აზრს მოგვახსენებს.

მელიარესი (პათეტიკურად) — თქვენო, კუდფუმფულეზო-ბავ! მინდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩვენი პირადი შემადგენლობა — კუდიანებიცა და უკუდონიც, სახეზეა და მთავარსარდლის ბრძანებას ელის!

დე ლა მელა (ირონიით) — ანუ, თხრილში რომ გადახტეთ და კოლექტიურად დაიხრჩოთ?! *„მიხედება, რომ ზედმეტი მოუვიდა“* არა, მელიარეს, არ გენყინოს, ვიხუმრე: ცოტა იუმორით თუ არ გავაზავებთ ახლა ეს სიტუაცია, გავაფრენთ! ცხადია, მზადყოფნაში უნდა იყოთ... მიხედე მაგ საქმეს! *„კვლავ სერიოზულ ტონზე გადადის“* — საგრაფოს ოფიციალური ისტორიკოსი, აგრეთვე ყოველი ჩვენიგანის ბედ-იღბლის მესაიდუმლე ასტროლოგი და ალქიმიკოსი, ბ-ნი მელკიბიადესი! გთხოვთ!

მელკიბიადესი — თქვენო კუდფუმფულეზო-ბავ! სამელიეთის საგრაფოს ქრონიკებში ამგვარი ბლოკადის აღწერას ვერ აღმოაჩენთ. შესაბამისად, არც თავდახსნის რეცეპტი გვაქვს!

მელიარესი — ხომ შესაძლებელია, ვყოფილიყავით კიდევ როდესმე ასე გამოკეტილი, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტი ქრონიკებში ვერ მოხვედრილიყო?! *„ირონიით“* ყველა ქრონისტი თქვენნაირი კეთილსინდისიერი კი არ იყო...

მელკიბიადესი — პატივცემული მელიარეს, „ისტორიულ ფაქტად“ იწოდება მხოლოდ ის, რაც აღწერილია ქრონიკებში — დანარჩენი მითოლოგია!

მელიარესი — ე.ი. ბაბუაჩემს რომ მოეყოლა ამგვარი ამბავი, მაგრამ იმ თქვენს მანუსკრიპტებში არ გქონოდათ, — არ დაუჯერებდით?!

მელკიბიადესი — ცხადია, არა! და მთელი ეს ზღაპარი ბაბუათქვენის სინდისზე იქნებოდა...

მელიარესი (გაცოფებული) — ბაბუაჩემის სინდისს ნუ ეხებო, შე კუდგაქუცულიო, თორემ აქვე გაგათავებ!

მელკიბიადესი (აუღელვებლად) — ისტორიას აინტერესებს არგუმენტები და არა კუდები, რომლებიც ზოგს აქვს და ზოგს — არა!

მელიარესი გინება-გინებით წაინწევს მელკიბიადესისაკენ, მაგრამ დე ლა მელა კატეგორიული უსტიით შეაჩერებს.

დე ლა მელა (ხან ერთს მიაჩერდება, ხან მეორეს) — ახლა აქ ერთმანეთს თუ დავერევი, მაგრად წაწვეთ წინ საქმეს! ისე, ბ-ნი მელკიბიადეს, ეგ მეც მაინტერესებს: თქვენ რას ამტკიცებთ — რაც არ აღწერილა, არც მომხდარა?! მაგალითად, მგელი სევასტი ტყეში თუ დაიბადა და ეს „საბედნიერო მოვლენა“ სასახლის საგვარეულო წიგნში არაა აღწერილი, ე.ი. — არც არსებობს?! აბა, ვინ დაგვდევდა ქათმების წასართმევად?!

მელკიბიადესი (აუღელვებლად) — ცხადია, სევასტი დაგვდევდათ, მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, იგი ისტორიის სუბიექტი არ გახლავთ!

დე ლა მელა (ცოტა დაბნეული) — გასაგებია!.. ამ სიტუაციაში, ბრძენი ბუ სოფი თუ უშველიდა ჩვენს გასაჭირს, მაგრამ, ფრენა ჩვენ არ შეგვიძლია და, აბა, ხმას როგორ მივანწვენთ?!

ზიტა (ზემოდან ჩამოსჩხავლა) — მე მოგიყვანთ სოფის! სულ ცოტა ხანი დამჭირდება *„უხერხულობისაგან თავს ფრთებში ჩამალავს“*.

დე ლა მელა (მცირე პაუზის შემდეგ) — ეს ყვევი გადამრევს მე...

სიჩუმე ჩამოვარდება. ცოტა ხნის შემდეგ, დე ლა მელა რალაც უნდობლად აიხედავს იმ სარკმლისაკენ, სადაც სამელიეთის არამკითხველ მხსნელი ეგულეა. ყვანჩალა უკვე გაფრენილია... მელაკუდები პატარ-პატარა ჯგუფებად არიან დაყოფილი და რალაცაზე გაცხარებით კამათობენ: განწმამებული კუდრაჭი თავს მართლებს; მელიარესი ქირქილებს მელკიბიადესის „ისტორიულ ფაქტებზე“ და სულ იმეორებს: „დე ლა მელას უმადლოდეს, აქედან ცოცხალმა თუ გააღწია“-ო. სუნსულიო-ცუნცულიოც ერთმანეთს ისე უვლიან გარშემო, საცაა კვლავ ტრადიციულ „დუელს“ განაახლებენ. სწორედ ამ დროს დარბაზში ბუ სოფი შემობაჯბაჯდება და დარბაზიდან მოკალათდება დე ლა მელას წინ (ზიტაც თავის ადგილს დაიკავებს მაღლა სარკმელში).

დე ლა მელა — აი, ჩვენი ბრძენი მეგობარი, ბუ სოფიც მობრძანდა. თუ ვინმეს არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ჯერ კიდევ სამელიეთის დაარსებამდე, ქ-ნი სოფის ბაბუამ შესაქმელად არ გაიმეტა მელაკუდ პირველის ახლადმოპოვებული ტყუები. სწორედ ამის შემდეგაა ბუთა მოდგმა ჩვენითვის კბილმუხუბელი.

ბუ სოფი — რა განსაცდელი დაგდგომიათ, მელათა გრაფო?!

დე ლა მელა — წყლიანი თხრილი რომ გვაქვს ციხე-დარბაზის გარშემო, ხომ მოგეხსენებათ?!

ბუ სოფი — კი, ბატონო...

დე ლა მელა — ალაყაფიდან არხზე გადასასვლელი ხიდიც გინახავთ, იმედია...

ბუ სოფი — რა თქმა უნდა...

დე ლა მელა — ჰოდა, ჩემო სოფი, სწორედ ის ხიდი ვერ ჩავუშვით დაბლა; ზემოდან ისე ჩანს, რომ ვილაცას ხე ამოუგლეჯია ძირფესვიანად და ხიდი გაუჭყტდავს... ვართ ახლა გამოკეტილი ამ ჩვენს ციხე-დარბაზში.

ბუ სოფი — ეჭვი ვისზე გაქვთ?!

დე ლა მელა — მგელი სევასტი ან დათვი ბომბოკო... მეტი ვინ უნდა იყოს? თქვენ თუ გაქვთ რაიმე ვარაუდი?!

ბუ სოფი — აბა, რა გითხრათ: მას აქვთ, რაც თქვენ ამ ციხე-დარბაზში გამაგრდით, სევასტი ნახევრად მშვიდი დაბნადალბს აქეთ-იქით და ხის ფესვიანად ამომგლეჯი ნამდვილად არ არის... ბომბოკოს კი აქვს სამაგისო ჯანი, მაგრამ არ ჰგავს ასეთი მზაკვრობის ჩამდენს. თან, თქვენთან არსადროს მტრობდა...

დე ლა მელა — მაგაზეც ვიფიქრე: სევასტი ჯანზეც რომ ყოფილიყო, ხეს მაინც ვერ ამოგლეჯდა, მაგრამ, ეგებ, ქარიშ-

ხლისაგან ამოგლეჯილი მოათრია-მეთქი; ბომბოკოზე კიდე, აბა, არც ვიცი რა ვთქვა: ველურმა ფუტკარმა ხომ არ დაკბინა და ახლა სიმწრით არ იცის, რას აკეთებს?!...

ბუ სოფი — გასაგებია... ორივეს ბუნაგს შემოვუფრენ და ეგებ რამე სამხილი აღმოვჩინო...

დე ლა მელა (გაიღიმებს) — საპაერო დაზვერვა! ისე, ბრძენი გნომებისათვის რომ გვეკითხა რჩევა?!
ბუ სოფი — აგერ არა გყავთ სამი ერთად?!
დე ლა მელა (ჩაეცინება) — არა, ეგენი ტყეში არ გადაიან და სადღაც აქ არიან... ხანდახან თუ შეგვეხმიანებიან სამ ხმაში... დანარჩენები სანახავი, ტყეში რომ სახლობენ...

ბუ სოფი — კი, ვიცი მაგათი „შტაბი“ სადაცაა. ყოველთვის მეპასუხებოდნენ ხოლმე, როცა კი მივფრენილვარ...

დე ლა მელა (ხუმრობით) — ეგებ გენახვებოდნენ კიდეც?!
ბუ სოფი (ასეთივე შეხუმრებით) — აბა, ნუ იტყვი... პირველად გათენებულზე მივადექი რალაც საქმეზე და რომ ვერ დავინახე, ვინ მელაპარაკებოდა, მეთქი — დღისით ვერ ვხედავ; მეორე ჯერზე — ღამითაც რომ ვერ დავინახე, მაშინ კი ვიპოვე — აბა, რისი ჯადოქარია, თუ გამოგეჭიმა წინ?!
დე ლა მელა — რატომღაც მაგათი იმედი მაქვს...
ბუ სოფი (ხუმრობით. სარდაფისაკენ მიუთითებს) — ამათი არა?!
დე ლა მელა — მოიცა, შენი ჭირიმე, ახლა რამე არ მოეჩვენოთ საწყენი: ისმენენ ყველაფერს. როგორც კუდს ვერ მოიშორებ, ისე მაგათ... (ხმას აუნწებს ხაზგასმით) მე რომ მაგათი პატივისმცემელი ვარ, ისე ვინაა სხვა, მაგრამ ტყის ამბავში მგონი მეორენი ჯობიან — „შტაბში“ რომ სხედან...

ბუ სოფი — არა, მეც ვიხუმრე, ცხადია. ტყის გნომებს კი უსიკვდილოდ მივაკითხავ. ისე, ალბათ აჯობებს დროზე გაფრინდე, თორემ, საცაა ინათებს... ზიტაც ხომ არ გამატანდით მეგზურად?!
დე ლა მელა — აგერ თქვენ და აგერ — ზიტა. რა პრობლემა?!
ზიტა (წაიჩხავლებს) — მე მზად ვარ!
დე ლა მელა (ბუს მიმართავს) — აბა, გზა მშვიდობისა ჩვენო მხსნელო და იმედო... (ბუ ნაბაჯბაჯდება, ზიტაც გაქრება თავისი სარკმლიდან).
დე ლა მელა — ახლა კი, ბატონებო და ქალბატონებო, ცოტა ხნით შეგვიძლია დავიშლათ.

სურათი 2.

ციხე-დარბაზის გალავანი; მწვანე მდელო დე ლა მელას ციხე-დარბაზის შორიანხლოს; სოფი, რიტა და კლარა.

სოფი („სადაზვერვო ოპერაციიდან“ დაბრუნებული, ციხე-დარბაზის გალავანზე ზის ზიტასთან ერთად) — რა ვუთხრათ ახლა ამ ჩვენს დე ლა მელას, ვერანაირი კვალი რომ ვერ აღმოვაჩინეთ?!
ზიტა — აბა! დამშუული სევასტია მორის ამწევი?! ბომბოკო კიდე განცხრომით წევს ბუნაგთან და თათს ილოკავს... რა უგავს მაგას გიჟის?!
სოფი (მცირე პაუზის შემდეგ, მდელოსაკენ იყურება და შემფრთხილებული ინტონაცია აქვს) — ზიტა, მისმინე, რაც გათენდა, სულ უფრო და უფრო ცუდად ვხედავ; საგნების მოხაზულობას აღვიქვამ მხოლოდ; ამ მდელოზე გორაკი იყო როდესმე?!
ზიტა (დაბნეულად) — არა, ნამდვილად არ იყო. იცი, მე მგონი, იძვრის...

სოფი — რა იძვრის — მინა?!
ზიტა — არა, გორაკი!
სოფი — ზიტა, შაყირის დროა ახლა?! მოლანდებები თუ გაქვს, მითხარი.
ზიტა — რა მოლანდებები — შეინძრა და რა ვქნა?!
სოფი — მართლა?!
ზიტა — ბახალბებს გეფიცები!

სოფი — ეჰაა, ახალი შარი! მოდი, მივფრინდეთ და ახლოდან ვნახოთ, კიდე რა უბედურებაა ჩვენს თავს (უახლოვდება „ბორცვს“, რომელიც უზარმაზარი გველეშაპი აღმოჩნდება).
ზიტა — ეჰე, ეს ვინ არი?!
სოფი — გველეშაპი გაგიგია?!
ზიტა — გაგებით კი გამიგია, მაგრამ თუ ვნახავდი, ნამდვილად არ მეგონა.
სოფი — ნახვას ვინ ჩივის, თუ იცი, მაგასთან ლაპარაკიც რომ მოგვიწევს?!
ზიტა — გაგიჟდი?! რაზე უნდა ველაპარაკოთ?!
სოფი — რაზე, ჩემო სიცოცხლე და, ის ჩვენი მეგობარი მელიები რომ გამოკეტა ცხრაკლიტულში, რა აქვს ჩაფიქრებული?!...
ზიტა — მაგის გაკეთებულია?!
სოფი — არა! ტურა კომპარინასი — კონკურენტები მოიცოლა... (სოფი ცოტა ხანს შეყოვნდება. ეტყობა, ძალას იკრებს, მაგრამ მერე მხნედ ნაბაჯბაჯდება გველეშაპისაკენ და ზედ ცხვირწინ დაუსკუპდება. ზიტა „უკანა პლანზეა“ და „დილოგში“ არ მონაწილეობს. გველეშაპი მონკურული თვალებით მიაშტერდება ბუს — ეს ვინააო? სოფი ცდილობს, რაც შეიძლება ბოხი და სერიოზული ხმით ილაპარაკოს და სიტყვა-პასუხიც განსაკუთრებით ზრდილობიანი ჰქონდეს — რაც უნდა იყოს, ელჩობა აქვს ნაკისრი) — პატივცემულო გველეშაპო, მაპატიეთ, სახელით რომ ვერ მოგმართავთ.
კლარა (მოულოდნელად ნაზი და ნკრიალა ხმით) — კლარა მქვია...

სოფი (ცოტა არ იყოს შეცბუნებული, მაგრამ ახლა უკვე თავისივე ხმით) — მაღამ კლარა...
კლარა — გასათხოვარი გახლავართ!
სოფი — ოო, მომიტყვეთ, მადმუაზელ, ეს ხომ ისედაც ჩანს... ასეთი ნაზი და მშვენიერი არსება...
კლარა (აშკარად ნასიამოვნები კილოთი) — თქვენ ასე მიგაჩვენათ?!
სოფი — რალა თქმა უნდა, ამას ხომ ბრმაც დაინახავს!
კლარა — როგორ დაინახავს, თუ ბრმაა?!
სოფი — გამოთქმა ამნაირი. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: „შიშით გული გამისკდაო!“ — მართლა ხომ არ გვისკდება გული?!
კლარა — ჰოოო? თუმცა, ყოველთვის მიჭირდა ამგვარ გამოთქმებში გარკვევა... მშობლებსაც მაგიტომ გამოვექეცი...
სოფი — რატომ გამოვექეცი?!
კლარა — ჩვენს გამოქვამულში შემთხვევით კვერცხს დავაბიჯე ფეხი და დედ-მამამ სულ „მოსაკლავი“ მიძახა. შემეშინდა და აქეთ გამოვიქეცი... ესე იგი, არ მომკლავდნენ?! აბა, თუ ბოროტები არ იყვნენ, რატომ იძახდნენ: „ამ მოსაკლავმა ჩვენი უკანასკნელი იმედი დაამსხვრიაო!“ — მე ხომ მხოლოდ კვერცხი შემომატყდა?!
სოფი (მძიმედ ამოიხრავს და რალაც უიმედოდ ახედავს გველეშაპს) — რას ბრძანებთ, თქვენი მშობლები, ასეთი პატივსაცემი გველეშაპები, თავიანთ ქალიშვილს მოსაკლავად როგორ გაიმეტებდნენ?.. იმ კვერცხიდან, ალბათ, თქვენი ძმის ან დის გამოჩეკას ელოდნენ და იმიტომაც გაცეცხლდნენ.
კლარა — არა, პირიდან ცეცხლს რომ აფრქვევენ, ისინი ჩვენი შორეული ნათესავები არიან... (პაუზა. კლარა თავისაზე ფიქრობს, სოფი თავის გეგმას აწყობს).
სოფი (ნელინელ, მოთქმით) — სულ მარტოდმარტო დარჩენილი, თან ასეთი ლამაზი, ასეთი ახალგაზრდა... რა უსამართლობაა... (უეცრად შეწყვეტს ამ მოთქმას და რიხიანი კილოთი დაასკვნის) — თქვენ უნდა დაბრუნდეთ! დიახ, თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ მშობლიურ კერას!
კლარა — რას დავუბრუნდე?
სოფი — მშობლიურ გამოქვამულს!
კლარა — არავითარ შემთხვევაში! მე მათთან საერთო აღარაფერი მაქვს! სულაც დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. მე უკვე საკმაოდ დიდი ვარ. (სოფიმ ერთი კი დააპირა შეპასუხება, „პატარა ხარო“, მაგრამ ამ ვეება მთას რომ ახედა, ენა არ მოუბრუნდა ამის სათქმელად და უიმედოდ ჩაქინდრა თავი. კლარა, პირიქით, გახალისდა და ლაპარაკის გუნებაზე დადგა. მეოცნებე

ხმით განაგრძობს — დიას, მე უკვე ზრდასრული ქალიშვილი ვარ და დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. სხვათა შორის, საკუთარ ბედზეც უნდა ვიფიქრო. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ოცდაათი მელია მჭირდება.

სოფი (განზრახ დამტკბარი ხმით) — ასე მოგშივდათ, განა?

კლარა — სულაც არ მშია... თუმცა ჰო, ძალიანაც მშია და სანამ ის მელაკუდები ოცდაათ თავისიანს არ გაიმეტებენ, ციხიდან არ გამოვუშვებ!

სოფი — პატივცემულო კლარა, მელიების ნაცვლად, ვთქვათ, სამასი თავი რომ მოგვერთმია ან ქათმები... მერწმუნეთ, გაცილებით უფრო გემრიელია...

კლარა (ჭირვეულად) — არავითარი თავგები და ქათმები! ოცდაათი მელა და მორჩა! მე არსად არ მეჩქარება, მაგათ იკითხონ! **(მერე აძურწულ სოფის დახედავს და დაამატებს)** — ოცდაათი მელა და თან ყველაზე ლამაზი. ყველაზე ლამაზი ყველაზე გემრიელიც იქნება. ხომ ასეა?!

შეშინებული სოფი და ზიტა ნელ-ნელა უკან-უკან იხევენ, თან, გამომშვიდობების ნიშნად, განუწყვეტლივ თავს უქნევენ გველშაპს და ისე გაეცლებიან იქაურობას.

სურათი 3.

„სატახტო“ დარბაზი: დე ლა მელა კარისკაცებისა და ფრეილინების გარემოცვაში; სოფი და ზიტა. ზიტა თავის ჩვეულ ადგილზე მოკალათდება სარკმელში. სოფი მოცელილივით დაეშვება დე ლა მელას ტახტის წინ და ისე უხერხულად ჭუტავს თავის დიდრონ თვალებს, რომ ცხადია – სასიკეთოს ვერაფერს იტყვის.

დე ლა მელა — თქვი, ჩვენზე ფიქრით ძილგამკრთალო დაო, — რა ამბავი მოგიტანია?!

სოფი — ოოო, ბუთა მოდგმის კეთილო მფარველო, საზარელი ამბავი უნდა გამცნოთ!

დარბაზს კუდების ცახცახმა დაუარა. უძრავად ზის მხოლოდ დე ლა მელა და დგანან მისი თანამძრომელები (თუმცა, ამ უკანასკნელთ, კუდები საერთოდ არა აქვთ).

დე ლა მელა — გვაუნყე ჩვენი უბედურების ამბავი, ქალბატონო სოფი, ნულარ აყოვნებ! *(თვლებმოჭუტული გადახედავს დარბაზს).*

სოფი — აბა, რა გითხრათ, გრაფო, ჩვეულებრივი გველშაპია, ძან ნორმალური ურთიერთობაში, არაფერი საპანიკო!

ხმადაბალი რეპლიკა — „გვამშივდება!“

სოფი — ერთადერთი გადახრა აქვს — მელიმანია!

ცუგრუმელა — *(წაიკნავლებს)* — ვაიი, მუსიკა უყვარს?!

სოფი — რა მუსიკა?! მელიები უყვარს, ოღონდ შესაჭმელად! ალბათ „მელიამანი“ უნდა მეთქვა. გელაპარაკება, გელაპარაკება: დედა, მამა, მძიმე ბავშვობა, როგორც ყველას, რა... არაფერი განსაკუთრებული... თან რაღაცა გულსაკლავიცა აქვს ხასიათში; შეიძლება გაუთხოვრობის გამოა, რას გაიგებ?! აი, ამ მელიების თემაზე კი ნაღდად რეკავს, სუფთა გიჟი! **(გამოთქმით)** — „ოცდაათი მელია მინდააა!“ უნდა შეეჭამოო! შიმშილით ვკვდებიი!“ რას ჰგავს ეს?! **(წამოენთება):**

გველშაპი ლელავს!

ოცდაათი მელა, თან ლამაზი ყველა, უნდა შესაჭმელად!

დე სუნსულიო (ჩაიქირქილებს) — რა დროს ლექსებია?!

დე ცუნცულიო — დიდად პატივცემულო დე სუნსულიო! ჭეშმარიტი პოეზიის ძალა სწორედ ასეთ ნუთებში ვლინდება! სამწუხაროა, თუ ზოგიერთს ეს არ ესმის...

დარბაზში მოულოდნელი კისკისი გაისმა. კუდმოჭმულემა უკმაყოფილოდ გადახედეს შორეულ კუთხეში შეყუჟულ მზინვარეჭურქიან ფრეილინებს. ფრეილინებმა დამნაშავედ დახარეს თავი. ამასობაში კუდების ცახცახიც შეწყდა (პაუზა).



ნახატი ავტორისა

დე ლა მელა (მჭექარე ხმით):

მამ, ოცდაათი მელა, თან ლამაზი ყველა (რენატას მიაჩერდება), უნდა შესაჭმელად?! ვერ მივართმევთ, ვერა!

დარბაზი ერთბაშად იქუხებს: „გრაფს გაუმარჯოს! ვაშაა!“; „დე ლა მელა — გაგვიძეხი ყველას!“ და ა.შ.

დე ლა მელა — ღრმად პატივცემულო კუდგრძელებო და უკუდონო — ჩემო უღალატო თანამძრომელნო! ქალბატონო სოფი და თქვენც, ქალბატონო ზიტა, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს გასაჭირს ყვირილით არაფერი ეშველება. ჯობს, თითოეულმა ბრძენთაგანმა გამოთქვას თავისი აზრი. ჯერ საგრაფოს მთავარ ვეზირებს მოვუსმინოთ. ბარონი დე სუნსულიო რას გვეტყვის?!

დე სუნსულიო (გაბადრული გადახედავს დარბაზს. ემჩნევა, რომ ხსნის გზა ნაპოვნი აქვს) — ჩვენი საგარეო პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სევასტის შევურიგდეთ და ის გვიშველის!

მელიტა (ისტერიულად) — ვის შევურიგდებე?! მშობლების თვალწინ, ჩემი მამიდაშვილი რომ შესანსლა, იმას?! თქვენ გადაირიეთ?! მაგასთან დამგობრებას შიმშილით სიკვდილი არ ჯობია?!

გული წაუვა. გვერდზე მდგომი ფრეილინები ასულირებენ: „წყალი, ჩქარა, თუ შეიძლება, წყალი! (პაუზა).“

დე ლა მელა (იცდის, ვიდრე მელიტა არ მოსულიერდება) — ქ-ნო მელიტა, თუ შეიძლება, დამშვიდდით! აქ მხოლოდ ვარაუდი იყო გამოთქმული და არა საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც **(აქ ტონს შეიცვლის)** ჩემს გარდა ამ სასახლეში ვერავინ ვერ მიიღებს! **(მელიტას**

აკვირდება, რომელიც ცოტა დაშოშმინდა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძობს) — მოგეხსენებათ, ჩვენს საგრაფოს ორი მთავარი ვეზირი ჰყავს. ახლა ბარონ დე ცუნცულის მოვუსმინოთ.

დე ცუნცული — არავითარი სევასტი, ეგ სისხლისმსმელი!!! (მელიტასაკენ გაიხედავს) საგრაფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე სამ-პუნქტიანი პროგრამა შევიმუშავე: პირველი — უნდა დაინყოს მოლაპარაკება ბომბოკოსთან; მეორე — დათვს უნდა მიეცეს საგრაფოს ოფიციალური გარანტიები, რომ ერთი წლის განმავლობაში თავლით იქნება მომარაგებული და, მესამე — უნდა შეიქმნას „ბომბოკოს ფონდი“ თავლის შესაბამისი მარაგის მოსაპოვებლად; თუ მისი კუდუბრწყინვალესობა დამავალებს, სიამოვნებით ჩავეუდგებოდი სათავეში ამ ფონდს.

დე ლა მელა — გასაგებია. მადლობთ, ბარონო! ახლა სიტყვა ეკუთვნის მის უკუდმოქმედებას, ბ-ნ მელიარესს! უკუდოთუხუცესს და „ოქროს დეზის“ ორდენის პირველ კავალერს.

მელიარესი — ჩვენ, მისი კუდუბრწყინვალესობის ძველ თანამძრომელთ, თუმცაღა, კუდეები არ შეგვრჩა ორთაბრძოლებში, მაგრამ გულეები, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, (ვეზირებს გადახედავს) — საგულესა გვაქვს! (აქ ხმას აუნევს) — ამიტომაც, ჩვენი საერთო მზაობა ერთი სიტყვით გამოიხატება — „ომი“! ახლა წინამძღოლზეა ჯერი!

გნომები: (ხმა ისმის მხოლოდ, თავად არ ჩანან):

ჩვენ, პატარა გნომები,
არ ვართ მომხრე ომებისა,
ეგზეკუციებისა
და გადამჭრელ ზომების!

დე ლა მელა (გახალისებული) — აი, საზოგადოებრივი აზრიც გავიგეთ...

სოფი (სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკებს) — აბა, ნამდვილი ანტიმელიტალიტური მანიფესტი! ისე, ამათვისაც ხომ არ გვეკითხა რჩევა?!

დე ლა მელა (არაფერი უპასუხია, მაგრამ ისეთნაირად იქნევს თავს, ეტყობა, ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა. მერე, რატომღაც სასახლის თავანს ახედავს და შემპარავი ხმით მიმართავს მელიარესს) — საომარი გეგმა თუ გაქვთ, უკუდოთუხუცესო?!

მელიარესი (გაიჯიშება) — საომარი გეგმა ერთ კვირაში თქვენი კუდუბრწყინვალესობის წინ გაიშლება! (ღირსებით აღსავსე თავდახრით დაასრულებს თავის პატაკს).

ის-ის იყო, დე ლა მელამ საბოლოო სიტყვა უნდა თქვას, წინ მელათმწიგნობარი მელკიბიადესი აეტყუება. აცახცახებულ თავებში ობმოკიდებული ტყავის გრაგნილი უჭირავს. ეტყობა, რომ დელავს და რაღაც დიდმნიშვნელოვანის თქმას აპირებს, მაგრამ გრაფის ნებართვის გარეშე ვერ ბედავს. გაქუცულკუდიანი მეცნიერის მიუპატიჟებლად ტახტის წინ გამოჩენა, როგორც ჩანს, საგრაფო კარზე მიღებული ეტიკეტის დარღვევაა, მაგრამ დე ლა მელა თავლებით ანიშნებს ბალანაბურძგნილ სასახლეთუხუცესს, რომ სავანაგაშო არაფერი მომხდარა.

დე ლა მელა (მელკიბიადესს მიმართავს: ძნელია გარკვევა — სერიოზულად თუ ხუმრობს) — დიდო მელკიბიადეს! აი, ახლა კი მოგეცა საშუალება, შენი ალქიმიკოსობა გამოამჟღავნო: ჩაუჯექი შენს სინჯარებს და რამე, ნებისმიერი ნაერთი შექმენი — ოღონდ იჭმებოდეს! უკან დასახევი გზა მართლა არა გვაქვს: ერთ კვირაში ამ ჩვენს ცუდლულტ კუდრაჭის (თუ — კუდრაჭს, როგორცაა მოკლედ) ყველა თავგი შექმული ეყოლება და შენს იმედად უნდა ვიყოთ!

კარისკაცებმა მლიქვნელურად ჩაიხითხითეს, მაგრამ მელკიბიადესი ამას არ აქცევს ყურადღებას. დე ლა მელას არ აცილებს თვალს და მხოლოდ მას მიმართავს.

მელკიბიადესი — თქვენო კუდუბრწყინვალესობავ! როგორც კი ბრძენმა ქალბატონმა სოფიმ ეს საზარელი ამბავი

მოგვიტანა, მე გნომების ბიბლიოთეკას მივაშურე და ძველ ხელნაწერებში ერთი ეტრადი ვნახე: იქ საოცარი რამ წერია...

დე ლა მელა — მაინც, რა წერია ასეთი?!

მელკიბიადესი — გველემაპი ხორცს არ ჭამსო, გრაფო, მენდეთ... მხოლოდ ბალახსო... აი, აქ წერია, ამ ეტრატზე. ჩანახატიც არის...

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდება. გარკვევით ისმის მელკიბიადესის მისამართით ნათქვამი: „ამას ეკუთვნის სარგო — ოთხი ქათამი თვეში?!“; „ათ თავზეც გადავა, ნუ გეშინია...“; „ძანაც სწორია: რამდენსაც იმუშავენს — იმდენს შეჭამს!“; „წიგნის ჭია...“. ყოველივე ამის გამო მელკიბიადესი ცოტა დაბნეული და აძურწულია, მაგრამ თავისას მაინც არ თმობს.

მელკიბიადესი — მე ყველა გველემაპს როდი ვგულისხმობ, ქალბატონმა სოფიმ რომ აგვიწერა, მხოლოდ იმაზე ვამბობ! (სოფის გრაგნილი გაუშალა წინ) — ხომ ჰგავს?!

სოფი — შეიძლება, კიდევაც ჰგავს (ფრთები აჩჩეჩა), მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ გეტყვით, ხომ იცით, დღისით რა ცუდად ვხედავ.

გრაგნილმა მთელი დარბაზი შემოიარა, რაღა თქმა უნდა, უფროს-უმცროსობის დაცვით. ყველამ დაათვალიერა გველემაპის სურათი და მინაწერი. ის-ის იყო, გრაგნილი კვლავ მელკიბიადესს უნდა დაბრუნებოდა, ზევიდან ჩხავილი გაისმა და სარკმელში ყვანჩალა ზიტა გამოჩნდა.

ზიტა — თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, მაპატიეთ, რომ დაუკითხავად ვერევი თქვენს საქმეში, მაგრამ ქვის გული ხომ არა მაქვს?! ვიდრე აქ ბჭობდით, მე გნომებთან გადაფრენა მოვასწარი და მათი პასუხიც მოგიტანეთ.

დე ლა მელა (ზიტას ახედავს, მერე სოფიზე გადაიტანს მზერას და, თითქოს მისგან რაღაც უხმო დასტური მიიღო, ყვანჩალას დარბაზში შემოიპატიჟებს) — ჩამოფრინდით, ქალბატონო ზიტა, აქ თქვენ კბილს არავინ გახლებთ. რაც უნდა მოშივებულნი ვიყოთ, თქვენგან ისე დავალბულნი ვართ, რომ...

ზიტა (ხმა ჩაუვარდა, მაგრამ ტახტის წინ მაინც დასკუბდა) — ცუდი ამბავი რომ მოვიტანე, გრაფო?!

დე ლა მელა — რითაც დაგვემარეთ, იმისთვისაც მადლობელნი გახლავართ... მაინც, რა თქვეს ასეთი გნომებმა?!

ზიტა — არაფერი შეგვიძლიაო, ჩვენი ჯადოქრობა მხოლოდ ამ ტყის ბინადრებზე ვრცელდებოდა და ის გველემაპი კი ცხრა მთას იქიდანაა გადმოხვენილიო... მისი აქ გამოჩენის ამბავი თქვენზე ადრე გავიგეთ და რომ შეგვძლებოდა, როგორ არ დავიხსნიდით, თვითონაც ხომ შიმშილი მოგიწინესო... (ქვილით ჩამათავრა ეს მართლაც უნუგეშო ამბავი).

დე ლა მელა (პირველად ნახა მტირალი ყვავი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ზიტას კვლავინდებური სიმშვიდით მიმართავს) — ჩემო ზიტა, ჩვენ დიდი გასაჭირი გვადგას, მაგრამ სატირალი მაინც არაფერი გვაქვს. ნუ მიცემთ ცუდ მაგალითს ახალ თაობას (ნაძალადევი ღიმილით გადახედა ფრეილინებს და შემდეგ კვლავ ყვავს მიუბრუნდა) — დიას, სატირალი არაფერია, და საფიქრელი კი — ბევრი. ვთხოვთ ქალბატონ სოფის, კიდევ ერთხელ აგვიწეროს გველემაპთან შეხვედრა. რაიმე წვრილმანი ხომ არ გამოგჩნდა?.. ისე აღვლევთ ბრძანდებოდით... ბალახს ხომ არ ძოვდა, თქვენ რომ მიფრინდით?

სოფი — ბალახს? (ჩაეკითხა) — არა, ბალახს ნამდვილად არ ძოვდა. საერთოდ, არაფერს არ ჭამდა, თვლემდა... შეიძლება იმიტომაც არ ჭამს, რომ ცუდ გუნებაზეა... უკვე დიდი ხანია, რაც მშობლებს გამოექცა, სულ მარტოდმარტოა და ტირის... ისე, მგონია, სულაც არ არის ბოროტი არსება... მაგრამ, მელიებს რომ მოითხოვს?!

მელიარესი — იმიტომაც მოითხოვს, რომ მელიათმჭამელია და მოშივებული! (წიშნისმოგებით გადახედავს მელკიბიადესს).

დე ლა მელა (შემრიგებლური კილოთი) — ნუ განვახლებთ კამათს, ძვირფასო მელიარეს. (მერე, წამით ჩაფიქრდება და ჩა-

ილაპარაკებს) — ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, თუ არ ჭამს, რა ჯანდაბად უნდა ოცდაათი მელა?!

რენატა — მე ვიცი... (ნაიკანვლა და იმავე წამს ცხვირი ჩამალა გვერდზე მდგარი მეგობრის ბენეში).

დე ლა მელა (ეშმაკურად გალიმებული) — ბრძანეთ, მადამუ-აზელ რენატა, ახლა თქვენს ხელთაა სამელიეთის ბედი! (როდესაც შენიშნავს, რომ ფრილინამ სულ ჩაიკომინდა ხმა, უფრო სერიოზულად გაუმეორებს) — გისმენთ, რენატა!

რენატა (ალელგებული, მაროსავით იქნევს ფაფუკ კუდს) — დიახაც, ვიცი! გველეშაპი გაუთხოვარია და სულ მარტოდ-მარტოა... ხომ თქვით, რომ გაუთხოვარია? (ჩაეკითხა სოფის. სოფიმ უხმოდ, თავის დაქნევით დაუდასტურა).

დე ცუნცული — რა შუაშია აქ — გათხოვილი და გაუთხოვარი?!

დე სუნსული — იმ შუაშია, ბ-ნო სუნსული, რომ... — (წამოიწყებს და უმნოდ გადახედავს რენატას, რადგან წინადადებას ვერ ამთავრებს. ისევ რენატამ უშველა).

რენატა — დიახ, იმ შუაშია, რომ მარტოდმარტოა და კუდის სწორს ეძებს... კუდი ხომ გრძელი აქვს? (კვლავ ჩაეკითხა სოფის და ისევ უხმო დასტური მიიღო): აბა, როგორ გათხოვდებოდა, თუკი ვინმეს თავი არ მოაწონა?! თავის მოწონება კი მარტო ჩვენნიარა ფაფუკი ბენეით შეიძლება... ჰოდა, ყელსაბურავი უნდა გაიკეთოს ჩვენგან... (ერთ-ერთი ხანდაზმული „ფრილინა“ შეაშველებს სიტყვას: „Чернобурка!“) ჩვენც რომ მასე შიშველ-ტიტვლებს გვერბინა და თავყვანისმცემელი არ გვეყოლოდა, შეიძლება უარესად გავმწარებულყავით...

დარბაზი ისევ არჩქოლდა: „სისულელეა“; „სად სიყვარული და სად გველეშაპი“; „შეჭმა უნდა!“; „თითონ რენატა რალაზეა გაუთხოვარი?!“ — მოისმის საერთო ხმაურში.

დე ლა მელა (წყნარად) — გაჩუმდით! (სუნსული-ცუნცული-ოს წყვილს მიაჩერდება) — რალაც გინდათ ბრძანოთ, ბატონებო?!

დე სუნსული — დიახ, თქვენო, კუდუბრწყინვალესობაე! რენატა მართალია და სიყვარული ყოვლისშემძლეა, მაგრამ, მაინც მგონია, რომ გველეშაპის საგარეო პოლიტიკა მელიების შეჭმისკენაა მიმართული.

დე ლა მელა — აბა, ბარონი დე ცუნცული რას იტყვის?!

დე ცუნცული — თქვენო, კუდუბრწყინვალესობაე! კუდფაფუკი რენატა, სამუხაროდ, ცდება და გველეშაპისათვის ისევე უცხოა სიყვარულის ამალღებული გრძნობა, როგორც ხორციელი სიყვარული.

დე ლა მელა (თვალბმონკურული) — თუ ხორცისადმი სიყვარული, ცუნცულიო?

დე ცუნცული (მყისვე დაეთანხმება) — დიახ, დიახ, ხორცისადმი სიყვარული!

დე ლა მელა — მაშინ რალაში სჭირდება ეს მელიები?

დე ცუნცული — გასართობად, მხოლოდ გასართობად, ხომ თქვენს, მოწყენილიაო (სხაპასხუპით ჩამთავრებს წინადადებას და მზერას აარიდებს დე ლა მელას. უკუდოთუხუცეს მელიარესს აფორიაქება ემჩნევა და სულ დე ლა მელასაკენ იყურება — სიტყვა ითხოვს).

დე ლა მელა — საგრაფოს უკუდოთუხუცესი, მისი უკუდმოჭლელობა ბ-ნი მელიარესი ითხოვს სიტყვას. გთხოვთ!

მელიარესი (მჭახე ხმით) — თქვენო კუდუბრწყინვალესობაე, კუდმოჭმულთა აზრით, ლაპარაკი სიყვარულზე იქ, სადაც წყდება სამელიეთის ბედ-ილბალი, ჩვენი კუდების ხსოვნის შეურაცხყოფაა და მადმუაზელ რენატამ საჯაროდ ბოდიში მოგვიხადოს!

დე ლა მელა (წამით შეცბება, მაგრამ მაინც არ დაიბნევა და შემრიგებლური კილოთი წარმოსთქვამს) — ძვირფასო თანამძრომელნო! გაიხსენეთ, ჯერ თქვენი რაინდული ფიცი და მერე თქვენი გმირული წარსული: „ოქროს დეზის“ ორდენები რაში მიიღეთ?! როგორი კუდგამეტებით ებრძოდით სევასტისა და სოფლის ნაგაზებს? სად გაქრა თქვენი რაინდობა?! მადმუაზელ რენატა, იქნებ, მართლაც ცდება, მაგრამ ახლა, მკრეხე-

ლობა უნდა დავნამოთ?!.. შეხედეთ, — რა ახალგაზრდა და მშვენიერია. აბა, ვინ უნდა იოცნებოს სიყვარულზე, თუ არა ასეთმა ფერიამ?!.. ჩვენ კი, უფროსმა თაობამ, კვლავ სახელმწიფო საქმეებზე ვიფიქროთ. ასე არაა, ქალბატონო სოფი?

სოფი (ისედაც ფართოდ დაჭყეტილ თვლებს კიდევ უფრო დაჭყეტს და საკმაოდ ხმამალა, დამარცვლით წარმოსთქვამს) — მე ვფიქრობ, რომ მად-მუა-ზელ რე-ნა-ტა მარ-თალს ამ-ბობს!

დარბაზი გაისუსება მელათმთავრის გადამწყვეტი სიტყვის მოლოდინში, მაგრამ დე ლა მელა რალაცის თქმას რომ დააპირებს, ზიტა აჩხვლდება.

ზიტა — ვიდრე რამეს გადამწყვეტდეთ, კუდფაფუკებო, უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ აქ ჩამოფრენილი იხვებისაგან გავიგონე — ვილაც ყმანვილი გველეშაპი ცხოვრობს თურმე აქედან ერთი კვირის საფრენზე, სრუტის გადაღმა ნისლიანი კუნძული რომაა, იქ... ტბაში დავინახეთ, მარტოდმარტო ცურავდა... უზარმაზარია და საშინელი შესახედავია...

დე ლა მელა — ეგება გვეშველოს და ითხოვს ეს ოჯახ-დაქცეული ყელსაბურავის გარეშე?!

კარისკაცები ხმას არ იღებენ; სუნსული-ცუნცულის უკვე აღარ ახსოვთ, თავდაპირველად რა აზრი გამოთქვებს და ახლა ენა ჩაუვარდათ; კუდმოჭმულები რიგ-რიგობით, მომწუსხვად ამტერდებიან ხან რენატას, ხან სოფის და ხან ზიტას. ვეტერანები დარწმუნებულნი არიან, რომ გრფი ტყუვდება, მაგრამ ვერ გადაუწყვეტიათ, ღირს ახლა კამათის თავიდან წამოწყება, თუ არა.

ზიტა (მელაკუდებში გაშინაურებული ყვანჩალა არ ცხრება და სხაპასხუპით გაიძახის) — მე ზიტა არ ვიყო, თუ ხუთ დღეში სამხარობლო ამბავი არ ჩამოგიტანოთ! თქვენ ჯერ ნამდვილი ყვავი არ გინახავთ!.. (ზიტა კიდევ რალაცის დაყოლებას აპირებდა, მაგრამ გრაფის გამომცდელ მზერას წაანყდა და უცებ დადუმდა).

დე ლა მელა — ქალბატონო ზიტა, თქვენ მართლა შეგიძლიათ, ხუთ დღეში ჩამოგიტანოთ ზღვისგადაღმელი სასიძოს ამბავი? (ზიტამ ენაზე იკბინა — ან როგორ უნდა იფრინოს ხუთ დღეში ერთი კვირის საფრენი? ან ამდენი ხნით ვის იმედად ტოვებს თავის ახლადგამოჩეკილ ბახალებს?) — როგორ ფიქრობ, სოფი, შესძლებს?!

სოფი — რალა თქმა უნდა! (მერე, თითქოს ზიტას საფიქრალს მიუხედავად, ყვავს გადაულაპარაკებს) — ბარტყებზე ნუ ფიქრობ, ერთი ბუმბულიც არ დასცვივდებათ, საჭმელსაც არ მოვაკლებ.

დე ლა მელა — მამ, მშვიდობით ფრენა ვუსურვოთ ჩვენს პატარა მხსნელს!

ზიტასკენ გადადგამს ნაბიჯს, მაგრამ ყვავი ტყვიასავით ავარდება ზევით. ეს დაუმშვიდობებელი გაფრენა საქმის გადაუდებლობით იყო ნაკარნახევი, თუ უნდობლობით, არავინ იცის, ოღონდ ძალზედ სასაცილო კი იყო და მელიები ერთიანად ახარხარდებიან... თვით სერიზულზე-სერიოზული ვეტერანებიც კი იცინიან... დე ლა მელა ამ სიტუაციით ისარგებლებს და კუდმოჭმულების გულის მოსაგებად პირველად სწორედ მათ მიმართავს:

დე ლა მელა — სინიორებო! საომარი გეგმა მაინც გაამზადდეთ. ამასთან ერთად, ძალიან დამავალებთ, თუ ახალბედა მონადირეებს ჩვენს ხელოვნურ საქათმეში ავარჯიშებთ. ახლა კი სადილზე გეპატიჟებით ყველას (მეზობელი დარბაზის მიმართულებით გაიშვერს თათს) — იმედია, არ დამძრახავთ, კუდრაჭასაგან გადაჩენილი თავგებით თუ გაგიმასპინძლებით.

სურათი 4.

„სატახტო“ დარბაზი ხუთი დღის შემდეგ: (იგივე შემადგენლობა). სარკმელში არაქათამოცლილი ზიტა გამოჩნდა. დე ლა მელამ წამით დაივიწყა ჩვეული სიღარბაისლე და ერთი ნახტომით ტახტზე აღმოჩნდა.

დე ლა მელა — ფრთამალო და კეთილშობილო ყვავო! — შენნაირ მაცნეს საზეიმოდ უნდა ვხვდებოდეთ, მაგრამ ბარემ ახლავე გვიტხარი — როგორი ამბით ჩამოფრინდი?! **ზიტა (ამაყად ასნია ნისკარტი და სადღესასწაულო კილოთი დაიჩხავლა)** — სამელიეთი გადარჩენილია!

ერთი წამი დასჭირდა ბენჯერწყინვალეთა საზოგადოებას, გონს რომ მოსულიყო: „ვაშაა!“; „ზიტას გაუმარჯოს!“ — გაისმის დარბაზში. სარკმელში მჯდარი ზიტა მადლობის ნიშნად წამდაუნუმ ხრის ნისკარტს და გრძნობს, რომ ამგვარი ბედნიერების ნუთები აღარ გაუმეორდება, თუნდაც კიდევ სამასი წელი იცხოვროს...

დე ლა მელა (მელათმთავრის ცივი თვალები ამჯერად სითბოს ასხივებენ) — რაინდულ ფიცს ვდებ, რომ ამიერიდან ჩვენი ტყის ყვავები კბილ-შეუხებელნი იქნებიან სამელიეთის ყველა თაობისათვის. **(ღიმილით)** — შეუძლია წინასწარ გადაიხადოს 200 წლის იუბილე! არავითარი — „გადასასწავლა მელიამ!“ მორჩა! ახლა კი, ჩვენი ფრთამალო მხსნელი, გთხოვთ, სარკმლიდან ჩამოფრინდე და დაწვრილებით მოგვიყვე ყველაფერი.

ბუ სოფი სწორედ იმ დროს გამოჩნდება საგრაფო ტახტთან, როდესაც მელიები უფროს-უმცროსობით ჩამომსკრივდნენ თავიანთი წინამძღოლისა და ზიტას გარშემო. ახლა ყველანი აქ არიან.

ზიტა (დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავს, მაგრამ საყოველთაო ყურადღება ძალას უორკეცებს) — დიახ, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ვნახე, ნისლიანი დღე იყო, მაგრამ მაინც ვნახე. იქაურმა ყვავებმა მიმასწავლეს. ველაპარაკე კიდევ. თვითონ გველეშაპს ველაპარაკე... ჰენრი ჰქვია. ისიც მარტოდმარტოა, მაგრამ ისეთი მახინჯია, რომ მაგასთან შედარებით ჩვენი კლარა მზეთუნახავი გეგონებათ **(ფრეილინებმა მორცხვად ჩაიხითხითეს)**.

დე ლა მელა (განცვიფრებული) — მაშ, ისიც მარტოა და უარზე არაა, ცოლი შეირთოს?!

ზიტა — რალა თქმა უნდა! რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდა... თურმე ეგონა, რომ სულ მარტოა ქვეყანაზე. რაც დედ-მამა დამეხოცა, გველეშაპი თვალთა აღარ მინახავსო...

ცუგრუმელა (მელანქოლიურად) — ორივე დედი-სერთა ყოფილა...

მელანო (ცნობისმოყვარეობით) — ბედგამონაცვალი ხომ არ არის?! **(კითხვა უპასუხოდ დარჩა)**.

დე ლა მელა (შევიბით ამოისუნთქა) — ისეა თუ ასე, მგონი გვეშველა! **(ყვანჩალას მიუბრუნდება)** — ყელსაბურავზე თუ ჰკითხე რამე?

ზიტა (ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტება) — რად უნდა, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ყელსაბურავი, როცა მთელი დღე ტბაში დაცურავს და ცოლიც წყალში უნდა აცხოვროს?! მე მხოლოდ კლარას გარეგნობა ავუნერე და აღტაცებული დარჩა. ჩქარა გაფრინდი და აქ ჩამომიყვანე!

დე ლა მელა (შეფიქრიანდა) — ისე, ჩემო ზიტა, მაინც კარგიიქნებოდა, რაინდის სიტყვა ჩამოგერთმია, რომ უკან არ გამოაბრუნებს სულ მთლად შიშველტიტველ პატარძალს. ვთქვით და, ეგენი მართლა არ თხოულობენ ცოლს, რამე უცნაური თუ არ აცვია.

სოფი (რიხიანად) — არაფრით არ გამოაბრუნებს! პატარძლის საქმეს კი ჩვენ მოვავაგრებთ არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა.

დე ლა მელა — მაშინ, კუდუფაფუკო და ბენჯერწყინვალე საზოგადოებავე, ხვალ დილაამდე დავიშალოთ და ამ კეთილშობილ ფრთოსნებს მივანდოთ ჩვენი ბედი!

სურათი 5.

მდელი: კლარა, ზიტა და სოფი.

სისხამდლით სოფი და ზიტა ცხვირწინ დაუსკუპდნენ გველეშაპს. კლარას ჯერ კიდევ ეძინა. ძილში კვენსოდა, ვილაცას ეძახდა. ეტყობოდა, რალაც მძიმე სიზმარს ხედავდა. რომ გამოეღვიძა, უცებ ვერც კი გაერკვა, სად იყო და უაზროდ მიაჩერდა შიშით ერთმანეთზე მიკრულ ბუ-ყვავს. როგორც იქნა, კლარა მიხვდა, რომ ეს უცნაური, ოთხთვალა და ორნისკარტა არსება ორი ფრინველისაგან შედგება და ამათგან ერთ-ერთს იცნობს კიდევ.

კლარა (უხალისოდ) — ააა, თქვენა ხართ... **(ისე გაიზმორა, რომ ზიტა იმ წამსვე უკან გადახტა. ეს უცნაური უკან დახვევა გველეშაპმა ყვავებში მიღებულ მისალმებად ჩათვალა და საპასუხოდ მძიმედ დაუკრა თავი)**.

სოფი (რალა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა, და ზიტა გველეშაპს წარუდგინა) — მადმუაზელ კლარა, გთხოვთ, იცნობდეთ ჩვენს ახლო მეგობარსა და შესანიშნავ ყვავს, ზიტას... ახალგაზრდა დედაა. ქალბატონ კლარას, მე მგონი, წარდგენა არც კი სჭირდება...

ზიტა — მე თქვენ შორიდან გიცნობთ, უფრო სწორედ, ზემოდან. რომ იცოდეთ, როგორი სასიხარულო ამბავი ჩამოგიტანეთ!

კლარა (გამოცოცხლდა) — რა ამბავი? საიდან? მე კი ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე...

სოფი — ცუდი სიზმარი თუ ნახეთ, ესე იგი, ნამდვილად კარგ ამბავს შეიტყობთ!

კლარა — თქვენ, რა, სიზმრების ამოცნობა იცით?

სოფი — როგორ გითხრათ... ძალზე მიახლოებით...

კლარა — მაინც, გეთაყვა, რას უნდა ნიშნავდეს... **(უცებ ხმა ჩაუნწყება, და უზარმაზარი თვალები ცრემლით ავესება)** — არა, ამ სიზმარს ვერ მოვყვები...

სოფი — თქვენი ნებაა. ჩვენ კი მართლა კარგი ამბები გვაქვს...

კლარა (დამშვიდდა და მიაჩერდა ახლა უკვე დაცალკეებულ წყვილს) — მაინც რა ამბები გაქვთ?!

სოფი — ჩვენი ზიტა ზღვისგადაღმელ ქვეყანაში გადაფრინდა და იქ საქმრო აღმოგიჩინათ! ახალგაზრდა, ულამაზესი, საკუთარი ტბა აქვს, ჰენრი ჰქვია... უკვე მესამე დღეა ნაპირზე ზის, არაფერს არ ჭამს და თქვენ გელოდებათ!

კლარა (ხმა აუკანკალდა) — მართლა? საქმრო?! მელიოდება?! რომ არ მიცნობს?! ვთქვით და, არ მოვენონე?!

ზიტა (ექვმიუტანელი კილოთი) — რას ბრძანებთ! რაინდის სიტყვა! ჩვენს დროში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა! პასუხს მე ვაგებ!

კლარა — როგორ აგებთ?! **(გულწრფელად გაიკვირვა, რადგან მართლა ვერ წარმოედგინა, რა პასუხი უნდა მოეთხოვა ცხრა მთას იქით გადაკარგული ყვანჩალასაგან)**.

ზიტა — დიხაც, ვაგებ! მთელი ჩემი ღირსებით... მე თქვენი გულისათვის ხუთი დღე-ღამე ვიფრინე, შვილები დავტოვე... **(ხმა აუთრთოლდა)**.

კლარა (გული მოუღება და ეუხერხულა, ასე რომ ააღელვა ეს პატარა და უმწეო არსება) — კარგით, თანახმა ვარ! მაგრამ, როგორ წავიდე, როცა გზაც არ ვიცი და ყელსაბურავიც არა მაქვს?!

სოფი — ქალბატონო კლარა! ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ. ზიტამ გზადაგზა გააფრთხილა თავისი მეგობრები, თავდაპირველად თვითონ გაგიძღვებათ, მერე ისინი გაგაცილებენ.

კლარა — ყელსაბურავის გარეშე მაინც არ წავალ, ისხდნენ იმ თავის ცხრაკლიტულში, ბოლოს და ბოლოს, ხომ მომივდებათ...

ზიტა — მადმუაზელ! ყელსაბურავზე არც კი იფიქროთ! სერ ჰენრის რომ ვუხსენე, კინალამ მომკლა. მელიის ბენჯზე თურმე ისეთი ცემინება უტყდება — ტბა ნაპირებიდან გადმოდის...

გნომის ტექსტი: ამ ისტორიის დასასრულს ისევე მე მოგიყვებით: გასათხოვარი გველეშაპის შორი მგზავრობისათვის მზადებას დიდი დრო არ დასჭირებია: პატარძალი აშკარად ლელავდა და წამდაუნუმ სთხოვდა ყვავს, კიდევ ერთხელ შემომიფრინე ირგვლივ, როგორ გამოვიყურებო?! სამზადისს რომ მორჩნენ, განვიმდა კიდევ და პროცესია გზას გაუდგა: წინ — ზიტა, მერე — სოფი და ბოლოში — კლარა. დე ლა მელას ციხე-დარბაზს როცა მიუახლოვდნენ, დაინახეს, როგორი გამალებით იქნევდნენ სველ კუდებს ქონგურებს შორის ჩაკეცებული განუნული მე-

ლიები. მხოლოდ დე ლა მელა იდგა განმარტოებით და დაჰყურებდა, როგორ ათავისუფლებდა გველეშაპი ჩამოსაშვებ ხიდს და ამის შემდგომ როგორ გაუდგა გზას უცნაური სამეული.

განუწული მელიების დანახვამ კლარას გული მოუკლა და დილანდელი სიხარული გაუნელა: ახლა ვერც კი წარმოედგინა, რატომ დაამშვენებდა წვიმისაგან მზინავ მის სხეულს ოცდაათი მელიის გალუმპული ტყავი; ან რა ყურთასმენა გაუძლებდა ამათ სასონარკვეთილ ღნავილს, მათ თვალწინ არჩემებული სამკაულით რომ გაევილო... „რა ბედნიერებაა, ამ ჰენრის მელიის ბენეზე ალერგია რომ აქვსო“, — გაიფიქრა, ვეება თავის მოქნე-ვით მოიცვალა თვალზე მომდგარი ცრემლი და გზა განაგრძო.

სურათი 6.

„სატახტო“ დარბაზი: მეჯლისი (კლარას გამოკლებით, ყველა-ნი აქ არიან).

დე ლა მელა — მივესალმები გულად თანამძრომელებს, კუდფუმფულებს და პატივცემულ სტუმრებს. სამელიეთის დღევანდელი მეჯლისი, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით საზეიმოა და ვიდრე ცეკვები დაიწყებოდას მოდით, ყველამ ერთად, ტაშისცემით გამოვხატოთ ჩვენი უღრმესი მადლიერება სამელიეთის ერთგული მეგობრებისადმი! (გვერდივერდ მდგარ ბუ სოფის და ყვანჩალა ზიტას მიუბრუნდება. მქუხარე აპლოდის-მენტები) — სმენა იყოს და გაგონება! ჩვენი მადლიერება მარტო ტაშისცემით არ გამოიხატება: ნება მიბოძეთ, კეთილშობილ ფრთოსნებს გადავცე საგრაფოს უმაღლესი ჯილდო — მელა-კუდ პირველის ორდენი!

დაჯილდოების ცერემონიალი მცირე შეფერხებით წარიმართე-ბა: დე სუნსულიო და დე ცუნცულიო ვერაფრით ვერ თანხმდებიან, პირველი რომელი მიიტანს დე ლა მელასთან წითელ ბალიშზე „და-ვანებულ“ ორდენს:

დე სუნსულიო — ეს ორდენი ფრთოსნებს საგარეო საქმიან-ობისათვის მივანიჭეთ!

დე ცუნცულიო — კი მაგრამ, საშინაო საქმეები არ მოგვარ-და ამით?!

დე ლა მელა (გამოსავლს მონახავს) — რადგან ქ-მა ზიტამ არა თუ სამელიეთის, არამედ მთელი ჩვენი ტყის საზღვრები დატოვა, ზიტასათვის განკუთვნილ ორდენს ბარონი დე სუნსულიო მოგვი-ტანს, ხოლო ბარონი დე ცუნცულიო სამელიეთის შინაგანი საქმე-ების მომგვარებელ ქ-ნ სოფის ორდენს მოაბრძანებს! (ორივე და-ჯილდოებულს, რიგ-რიგობით, დე ლა მელა თვითონ ჩამოკიდებს კი-სერზე „ვეზირთავან“ მიწოდებულ ორდენებს, ტუში და აპლოდისმენ-ტები. დამორცხვებული ზიტა და სოფი განუწყვეტელი თავისქნევით პასუხობენ მასპინძელთა ენთუზიაზმს. დე ლა მელა რალაცის თქმას დააპირებს, როდესაც გნომები „ჩაერთვებიან საქმეში“).

გნომები:

ჩვენ, პატარა გნომები,
ვართ მრჩეველები ლომების,
— გვისმინეს და მიიღეს
სამშვიდობო ზომები!

დე ლა მელა (ღიმილით) — აი, მელიარეს, რომ არ გჯეროდა ამ ტყეში ლომების არსებობა?! ხომ დამტკიცდა! (მუს გადაულა-პარაკებს, უფრო ხმადაბლა) — დავიღუპეთ, ამ გნომებს ჩვენები-საგან გაგორებაც უსწავლიათ... ისე, სოფი, მაინცადამაინც ახ-ლა რატომ წაიმღერეს თუ იცი?! — „ხომ არ დაგავინწყდითო?!“ მოუკვდეთ ჩემი თავი! (ისევე ხმამაღლა) — ტაში გნომებს! (კვლავ აპლოდისმენტები)

მელასკესი (ჩაილაპარაკებს) — აი, რომ დაგვნახებოდით კიდევ, ორდენებსაც მიიღებდით!

დე ლა მელა (გადაულაპარაკებს) — გაჩუმდი, რა მელასკეს! ახლა შარი გვინდა ჩვენ?!

მელანო — დღეს ლექსებს არ ვკითხულობთ?!

დე ლა მელა — მარტო ექსპრომტებს, ქ-ნო მელანო!

მელანო — ანუ?!

დე ლა მელა — რა „ანუ“, მელანო?! არავითარი წინასწარ მომ-ზადებული ტექსტები: რამე სათქმელი თუ გაქვთ და თან გართი-მათ — აგერ თქვენ და აგერ ჩვენ: „გზა მივცეთ ტალანტებს!“

ზიტა — შეიძლება, გრაფო?!

დე ლა მელა — რა თქმა უნდა, ზიტა!

ზიტა (მცირე ყოყმანის შემდეგ) —

ერთი, უბრალო ყვავი ვარ, მაგრამ
მეც მაქვს სინდისი ცოტაოდენი,
თუკი რენატას ამაგი გაჰქრა,
— ვერ გავფრინდები მე ამ ორდენით!

დე ლა მელა — ვაიმე, სულ ორი ორდენი რომ გექონდა?! (პა-უზა). მაგრამ, მოიცათ, მგონი, ვნახე გამოსავალი! (სახლოუხუცესს იხმობს) — მელიტონ, სასწრაფო დავალება მაქვს! (კვლავ პაუზა, ოლონდ ცოტა უფრო ხანგრძლივი: პაუზის დასასრულს, სახლოუხუ-ცესი, გასაღებების აცმის უღარუნით, შემოძუფტუგდება და „გრაფს“ ხავერდით გადაკრულ პატარა ყუთს შემოუტანს) — ამასობაში, ერ-თი ექსპრომტი მეც მომაფიქრდა. შეიძლება, ნავიკითხოთ?!

დამსწრენი (ერთხმად) — ნავიკითხეთ, ნავიკითხეთ!

დე ლა მელა — ოლონდ, უორდენოდ დარჩენილი რენატა-სადმია მიძღვნილი და, თუ არ დაიზარებს, ვთხოვ, წინ გადმოი-ნაცვლოს! (რენატა წინ გადმოინაცვლებს და ახლა დე ლა მელა უშუალოდ მას მიმართავს):

თუ გიხილავთ სადმე ნეტავ,
თქვენ ასეთი რენატები?!

(ამის შემდგომ ზიტას მიუბრუნდება):

— ზიტა, მენდე, მე მის ამაგს, —
ჯილდოს ვუძღვნი შესაბამისს:
ახლავ ნახავთ, რადგან თან მაქვს
სადედოფლო ყელსაბამი!

(ხავერდის ყუთს გახსნის და რენატას, ორდენის ნაცვლად, დე ლა მელათა საგვარეულოს დედოფლების ყელსაბამს ჩამოაცვამს კისერზე. საზეიმო ინტონაციით) — რადგან ეს ყელსაბამი დე ლა მელათა დედოფლების საგვარეულო რელიკვია გახლავთ, ამ წუთიდან თქვენს წინაშეა — სამელიეთის პირველი მელ-ლედი! (ტუში. მქუხარე აპლოდისმენტები. მილოცვები) — აი, ახლა კი, — ცეკვები! გთხოვთ, მელ-ლედი!

ინვეს საცეკვაოდ რენატას, რომელიც გრაციოზული კნიქს-ნით იღებს ამ მონვევას. თავდაპირველად, მხოლოდ „სამეფო წყვი-ლი“ ცეკვავს. შემდგომ, ყველანი აცეკვებიან. რალაც მომენტში, დე ლა მელა მბრძანებლური ყესტით შეწყვეტს მუსიკას:

დე ლა მელა (სახლოუხუცესს მიმართავს) — ამ ვნებათა-ღელვაში, მელიტონ-ბატონო, ჩვენი ტრადიციული ჰიმნის შეს-რულება რომ დაგვაგინწყდა?!

მელიტონი — ვერ გაგობედეთ შეხსენება, თქვენი კულდობრ-წყინვალესობაგ!

დე ლა მელა — სხვა დროს, გაბედე! აბა, ყველამ ერთად: ვართ ჯინაზე ყველასი...

(ყველანი ერთად მღერიან „სამელიეთის ჰიმნს“. დე ლა მელა კვლავ ლოტბარის როლშია).

ფარდა



სოსო მეშველიანი

იმ ღამით

ბოლომდე იგრძნო, იდუმალი, დუმილი ტყემაც, წვეთავს რატომღაც, ხავსიანი ცაცხვის მერქანი. იქ სადაც ცვივა უკვე მნიფე ნაყოფი ტყემლას, ხვალვე ღორები, რბილ ნიადაგს გადაქექავენ.

ერთ მენისქვილე ბერიკაცთან, ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის, კვლავ შეხვედრებს ვიგონებ, ხშირ-ხშირს. თუ ძილში ჩამყვა მძაფრი სუნი ნანვიმარ ანწლის, ვბორგავ და ვგმინავ, მომწყვედუელი სიზმრების ჩიხში.

და უცებ მზერა ჩაეხვევა, შორეულ ვარსკვლავს, უკვე დაკარგულ დრაჰმის ამბავს მიყვება ლუკა. გზა აებნევა, მამისეულ გიშერა ხარს კვლავ და ხშირ უღრანში, დედის ლოცვებს დაყვება უკან.

არავაკას სასაფლაო

არავაკას სასაფლაოზე, 1936 წელს, ფრანკოს ბრძანებით დახვრიტეს დიდი ესპანელი მწერალი და მოაზროვნე რამირო დე მანესტუ, რომელმაც სიკვდილის წინ ასე მიმართა მკვლელებს. „თქვენ არ იცით, რისთვის მკლავთ, მაგრამ მე ვიცი რისთვის ვკვდები: იმისთვის, რომ თქვენი შვილები თქვენზე უკეთესები იყვნენ!“

მე ვის მივმართო, რომ ვიცოდე-როგორ მივმართო? ან რომც მივმართო, ხომ ვიცი რომ არავინ მესვრის. კუჭს მინვაეს შიში, დროა წელში რომ გავიმართო, საფლავის კედარს შევანთხოო, ბოლმა და გესლი.

და არა სისხლი, როგორც გულში გასულმა ტყვიამ, ხეო ბებერო! კანქვეშ რა დიდ ტკივილს ინახავ. სამარეს ეძებ? გაიარე! ამ უკვე ტყიან სასაფლაოზე. და დაფიქრდი, ამ დროს ვინა ხარ.

ბავშვობის მეგობარს

რა ტროტუარი, ბაილ, რა ქუჩა! აქ ორლობა და კაკლის ჩერო. მზე, აივანი და ნედლ ნაქურჩალს ის სურნელი აქვს, ოდითგან ჩვენ რომ

დავიბადე 1974 წლის 28 მარტს, სოფელ ნანარში (ქვემო სვანეთი) სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო იძულებული გავხდი სწავლისთვის თავი დამენებებინა და საზღვარგარეთ წავსულიყავი. ჩვიდმეტი წელი გავატარე უცხოეთში, ბოლო ცამეტი წელი — ესპანეთში. ლექსების წერა სტუდენტობის დროს დაიწყო, მაგრამ თხუთმეტი წელი ჩემს გარდა არც არავის ნაუკითხავს, პირველად, ჩემი ლექსები ჟურნალ „ცისკარში“ ცოტა მოგვიანებით კი „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა, იმავე წელს ამ უკანასკნელის პრემიის ლაურეატი გავხდი. გამოცემული მაქვს ლექსების ორი კრებული (სამწლიანი ინტერვალით) „ღამესასწაული“ (რედაქტორი ნინო სადღობელაშვილი) და „მიუღაპარ“ (რედაქტორი ზვიად კვარაცხელია) ორივე გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. ამჟამად ვმუშაობ პროზაში, ვწერ იმ მკაცრ რეალობაზე რაც ჩემს თავს და ჩემს გარშემო ხდებოდა, როგორც ემიგრაციაში, ასევე, სამშობლოში ყოფნის დროს. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

გვიყვარდა. ასე ბევრი ჩვენსავით, კი იგრძნობს, მაგრამ ლექსად ვერ იტყვის. გვიყვარდა სველზე მოკრეფა მაყვლის და გარინდება ნანვიმარი ტყის.

პოეტი

რენე კალანდას

გარეული მსხლის ნედლი საძირე, კვებავს გულაბის გაფოთილი ნამყენს. დედა ჩვილს-დათვი ბულებს აძინებს, არ დავსვამ წერტილს, დავსვამ ამ მიძიმეს, იქნებ ეს განცდა, დიდი ხნით გამყევს. გარეული მსხლის ნედლი საძირე, კვებავს გულაბის გაფოთილი ნამყენს.

გაკრთება მთვარე ფოთლებში კაკლის, ქარი ჰქრის, ვუსმენ ხეების შრიალს, სველია მიწის ყოველი აკრი, ნუთუ ეს არის ბუნების ნაკლი, ონჭყო სიმინდს მტრობს, შავჯაგა-შვრიას. გაკრთება მთვარე ფოთლებში კაკლის, ქარი ჰქრის, ვუსმენ ფოთლების შრიალს.

და ვგრძნობ სუსხიან ყვავილებს ჭინჭრის, ასევე, ტოტებ-ბენვიან ცირცელს. და მესმის სანამ და თვალის მიჭრის, ცას ვუმზერ, ვუსმენ ხეების ჭრი-ჭრის, ექცევა ჩემში მდუმარე სივრცე... და ვგრძნობ სუსხიან ყვავილებს ჭინჭრის, ასევე ტოტებ-ბენვიან ცირცელს.

* * *

რა საბაბი მაქვს, აბა ერთი დამისახელე, რომ ამ ყველაფერს, ამზერილი თვალის ვუყურო. ერთიმეორის მიყოლებით თვალს ახელენ, ვარსკვლავები და... ვეებერთელა შავი ფულურო, გამოიბურცა ფიჭვის ხეზე. და ის გახელეს, რომ მოჩვენებებს სიზმრის კარი გამოუხურო.

ცამ ბაყაყების ბნელ გუბიდან ამოიხედა, მოღრუბლულ ქვირითს ეფარება მთვარის ნალევი. ერთი შეხებით ვიკუმშები, უკან ვიხევე და ვით ლოკოკინა, ჩემს ნაჭუჭში შევიმალე.

სპარცო

რბილ ქვაზე ვზივარ,
 გაქვავებულ თოვლზე დგას ძალლი,
 სქელი ხავსი თუ ქარაგოზი ფარავს კლდოვან ტევრს.
 ნაძვის მერქნიდან წყალი წვეთავს,
 მინამდე დახრილ
 ტოტებზე ქარი გამოაშრობს, წინვებს და გირჩებს,
 მაღალ ბუჩქებში, შაშივი ქექავს თავგების დახრილ
 თხილის ნაჭუჭებს, გამუდმებით რალაცას ეძებს...
 რბილ ქვაზე ვზივარ, გაქვავებულ თოვლზე
 დგას ძალლი,
 მიშტერებული, ქარით ოდნავ შერხეულ ძეძვებს.

ხე

სახლის უკან რომ ბალი დგას,
 ყანის და ქარაფის გამყოფზე,
 ნახევრად შიშველი ფესვებით.
 უფრო, სიკვდილისკენ გადახრილი,
 ადრე რომ ჩრდილით ძლივს სწვდებოდა,
 ნაშლიან ყაფარს,
 ახლა პირდაპირ ხახაში დამზერს.
 ბაბუაჩემის დამყნობი ბალი,
 რა ტკბილად ხარობს, მწარე ბლის ვარჯზე.
 ჩიტის სკინტილიდან აღმოცენდა, რომლის საძირეც,
 დგას სახლის უკან ვეება ხე, ქარაფის თავზე,
 ჩიტებით სავსე გადაჰყურებს ნაშლიან ყაფარს.

ანდალუსიური კაპრიჩიო

ვეგეტერიანელ ანტონიო ჰერედიას,
 გვადალკვივირელ..
 უფრო სწორად, კორდობელ მევენახეს,
 შეეძლო ესაუბრა მუსიკაზე, როგორც ფეხბურთზე,
 ან, ეროვნული კერძების რეცეპტზე.
 სენსანსზე და ეუსებოზე ერთდროულად,
 იმაზეც რაც ყოველთვის სძაგდა,
 ნაციონალურ ღორის ვიჩინაზე.
 სხვა რამეზეც შეეძლო საუბარი,
 მაგალითად, სურბარანზე, სურბარანის ფრანცისკეზე,
 ცხოველების მფარველ წმინდანზე,
 მისით იწყებდა და ამთავრებდა მწუხრის ლოცვებს,
 ვეგეტერიანელი ანტონიო ჰერედია.
 ყოველ დილით რომ,
 ახლად დანურულ ფორთოხლის წვენს სვამდა უზომოზე.
 ახლოს მდებარე კაფე-ბარში,
 სადაც ყოველთვის, თამბაქოს კვამლში გახვეული
 იჯდა დონ პედრო,
 სან-ავგუსტინის ეკლესიის ნაპასტორალი,
 ყავას წრუპავდა, ეცნობოდა სტატიებს პრესის,
 აბოლებდა და უკვე კარგად ჩასუქებული,
 თითით აცლიდა სიგარას მსხვილ ფერფლს.
 ჰერედია კი, გაუნძრევლად იდგა ყოველთვის,
 მძიმე ფიქრებით დახუნძლული,
 მომაკვდავ ცოლს რომ,
 ვერ უკითხავდა ესპროსნედას „ფრაგმენტო სეხტო“-ს,
 უკვე ნახევრად დაბრმავებული.
 “მდინარის პირას, აიშალა მწერთა ლაშქარი,
 ნესტიან ქარში აშრილდა, „ბალი ლიმონის“.

ღანამცნეხული ფიქრებიდან

 და ბოლოს ჩემთან, ჩემი ყველა ვნებაც დამინდა,
 მომიჭერს მინა, გავიგონებ ტკაცუნს ლავინთა.
 “და ფსკერისაკენ დავეხრები დანისლულ ბირვილს”
 ეს ყველაფერი გულში მქონდა, თქმა დამავინყდა.

*სულო ძლიერო, შენ გადუხადე
 სამაგიერო კბილის ტკივილით.
 რობერტ ბერნსი*

მეც ბედს მივენდე, ამაზე მეტს რას გავრისკავდი,
 გადამიშალა ბედისწერამ, თვალწინ ის კარტი.
 ვყმუოდი ღამე ნადირივით, გამთენიისას,
 ვიგრძენი ჩხვლეტა, სიგრილის და მამლის ნისკარტის.

 ხე დამყურებდა, ხის მჭრელს, როგორც
 თვითმკვლელ გარენარს,
 შექანდა მძიმედ, სხვა ხეებსაც ჩამოაღწენა
 ტოტები მუხამ, ძირს დაეცა, უკეთ გამოჩნდა
 სიცარიელე, ვარსკვლავები და მდუმარე ცა.

 აქ, ამ პალმებთან, ყველას ახსოვს ხოსეს პაპიდა,
 ღრმა სიბერემდე რომ ელოდა თავის კაპიტანს.
 შებინდებამდე გაჰყურებდა კადიზის სრუტეს,
 მაცნიელ ნუბერუს თუ უხმობდა, ზღვის სქელ ქაფიდან.

 სტრაბონის რუკა, ქანაანი და ასურეთი,
 შორს გულანშარო, საქაჯეთი, საავსულეთი,
 დამტვერილ ქვაზე, მისრესილი სახე მარდუქის,
 რა გნამთ, რა არ გნამთ, ეს არ არის ჩემთვის სულერთი.

 ნექტარით მთვრალი, ჩართული ვარ საძმო ომში და
 ჩემს აყვავებულ ნაბლებიდან, მსხლიდან კომშიდან,
 ვდევნი სხვის ფუტკრებს, ჩემსას ვსარდლობ – ესეც სიზმარი,
 ალბათ მშიერს თუ ჩამთვლიმა და ძილში მომშვიდა.

ველური სოფლის პიიზაჟი

გამხმარ ფუნადან ამოქექა ჩიტმა მატლი და
 მშიერ ბარტყებთან გააქანა, თავის ბუდისკენ.
 მზის ამოსვლისას ჩამოფერთხა ნამი ზღმარტლიდან,
 ქარმა. გუბებებს დააფინა, ჩრდილი თუთის ხემ.

მზე დაუჩრდილა, ბაყაყების მომწვანო ქვირითს,
 (ნადირის ბენვი შერჩენია, ჩირგვნარს ეკლიანს)
 დგას წისქვილის წინ ბერიკაცი, დასვრილი ფქვილით
 და თვალებს მკაცრი სიმარტოვე, აურეკლიათ.

უკუსკლა

მე ვებერთელა გომბეშო ვარ!
 ჩემს ცივ, ნებოვან ენას ვიქნევ უმისამართოდ
 და ყველაფერი ჩემში ექცევა.
 ვნაგვიანდები,

ვერ დავხტივარ, მუცლით დავხობავ,
რადგან სამყაროს სიბინძურე მამძიმებს ასე.
ახლაც სისხლიან გუბებში ვყვინთავ,
ჩემს თავზე მთვარე,
ზეამობრუნდა დედაკაცის საზარდულივით,
და უნაყოფო სანყისისკენ მიმეზიდება.

შაგალი

რაც დავბრმავდი
ფერად სიზმრებს ვხედავ
(პირიქით ამიხდა წინა)
უცნაურად ფერადს,
პირველყოფილ ცის სილურჯეს
იმდენად საკმარისი ტემპერატურით,
მზე არაა საჭირო
არც მთვარე.
საკმარისი სინათლეა,
კარგად ვამჩნევ
ყვითელ წინკლებს მწვანეზე,
ბალახში მიმოფანტულ წიწილებს.
ჩიტის ნაცრისფერ კვერცხებს
ნითელფოთლებიან ნეკერჩხლის ტოტზე...
შვილსაც ვაჩვენებ ფეხშიშველა სიარულს,
გადააბიჯა კარტოფილის ბოლქვებს,
ელუნება რბილი სხეული,
ტერფებზე თხუნელა უხითინებს,
ვხარხარებთ,
გვიხარია ნამის უსასრულობა
ცა ისე დაბლაა
გაფრთხილებაა საჭირო
“ვარსკვლავებს ხელს ნუ ახლებთ”
ვეება მსხალი, გალაქტიკაში ისხამს ნაყოფს
შემდეგ მნიფდება
და იმ სამყაროს მიღმა ცვივა,
ახლა რომ ჩვენ ვართ,
ალბათ სიცხადეში,
ძველი სასაქონლის თავზე,
ყავრებზე ხმაურობს და
ქრება, კვახისბარდიან ბალახებში.
რასაც ძაღლის ყეფა მოყვა,
ყეფას, შემკრთალი ჩვილის ტირილი,
ამ ყველაფერს, მამლის ყივილი და
ნაუცბათევი განთიადი.
გესმით?!

მე არ მესმის,
რაც დავყრუვდი, მხოლოდ სიზმრებში ვუსმენ,
ქარების სუნთქვით შერხეული
მთის ტბების შრიალს.

იმპრასიონისტული პორტრეტები და ავტოპორტრეტი პოეტის გპერნერაში

ორი პოეტური კრებულის ავტორს („დღესასწაული“, „მიფლაჰარ“) სო-
სო მეშველიანს პოეზიის მოყვარული მკითხველი კარგად იცნობს. დაკ-
ვირვებულ თვალს და ყურს წარმოუდგენელია გამოპარვოდა, თუნდაც
იმის გამო, რომ სოსო მეშველიანი თავისი პოეტური განწყობით ძველი
ჰაერის, ჰანგის პოეტიკა.

ბოლოდროინდელი ციკლი - ლექსებისა, რომელსაც ჩვენი ჟურნალი
წარმოგიდგენთ, ვფიქრობ ერთი მთლიანი ამოსუნთქვის გაგრძელებაა,
რომელიც სიცოცხლის - როგორც დღესასწაულის - შეცნობის შემდეგ
იბადება.

პოეტური მრწამსი პიროვნების სულიერი მდგომარეობის ტყუპისცალია.
სოსო მეშველიანის პოეზია ერთგვარი ხიდია, გნებავთ ბოგირი, რომელიც
დღევანდელ ურბანულ ყოფას როგორც ჰაერი, ისე სჭირდება. აპოკალიპტი-
ური ნაგებობების, ქალაქის ერთფეროვან ქანდაკებების განწყობას პოეტური
ალუზიები სიმწვანეს, ფერებსა და მზის სინათლეს ჩუქნის. სოსოსთან არა
მხოლოდ შინაგანი ინტელექტუალიზმი, არამედ ბუნების, როგორც პირველი
შემოქმედის, როგორც სიცოცხლის უზენაესობის კულტი მძვინვარებს. არ-
ცაა გასაკვირი. ავტობიოგრაფიაში პოეტი წერს, რომ ქვემო სვანეთშია და-
ბადებული. წარმოუდგენელია ადამიანი გაჩნდეს ასეთ უნიკალურ ლანდ-
შაფტში, გაატაროს ბავშვობის სამოთხისეული წლები იქ და არ წეროს, შეე-
დგე რაც უნდა პილიგრიმული ბედისწერა შეაჩეროს განგებამ ხელთ. არ წე-
როს როგორც, ლუკა რაზიკაშვილმა, როგორც ალექსანდრე ყაზბეგმა, გნე-
ბავთ, როგორც ესმა ონიანმა. დიახ, ბრწყინვალე პოეტი და ასევე ბრწყინვა-
ლე მხატვარი ესმა ონიანი სოსო მეშველიანის უძლიერესი ფესვია, მათი
ძლიერი გენეტიკა, წარმომავლობა, რომელიც ლენტეხს უკავშირდება, მონა-
თესავე სულელებს უფრო მეტად დაამგვანებს ურთიერთს. ქალბატონ ესმას
უძლიერესი ფერწერა, სიტყვის განსაკუთრებული სიმნიფე ახასიათებს. სო-
სოსთანაც ეს ფერთა და სიტყვათა თანხვედრა ერთ-ერთი გამორჩეულობაა.
ჩვენ კვლავ მოწმენი ვხდებით ფერებით მოაზროვნე ბგერწერის დიდოსტა-
ტის შემოქმედების დაბადებისა. სოსო მეშველიანის პოეზია და განსაკუთ-
რებით ეს ბოლო დროის ლექსების ციკლი, გამოირჩევა პორტრეტების (პოე-
ტი რენე კალანდია, ბებერი მენისქვილე, ბავშვობის მეგობარი, შაგალი) გა-
ელვებით, ხოლო „დანამცეცებულ ფიქრებიდან“ - მე ვიტყვოდი პოემის ჩანა-
სახის მსგავს მინიატურებში - ავტოპორტრეტიც იკითხება.

სოსო მეშველიანის მეტაფორები, მისი რითმა დასამახსოვრებელია. მისი
ხმა ქართულ პოეზიაში ქმნის ძველისა და ახლის შერწყმის შესანიშნავ გამო-
ხატულების მაგალითს. მთლიანად, პოეტის მეტაფორები ლექსებში მოედინ-
ებიან აპოკალიპტიური განწყობისათვის, მეგაპოლისების დაცარიელებულ
ცათამბჯენებისთვის, როგორც ნყალკურთხევა, ასერიგად დაბეჩავებულ
თანამედროვე გალარიბებულ ყოფაში მოხვედრილი ადამის განწმენდა უკუ-
სვლით, ლაბირინთებიდან სამოთხეში დასაბრუნებლად.

პოეტის ლირიკულ გმირს ხოგაის მინდისაც შევადარებდი. გულწრფე-
ლი სიტყვების სათუთი ურთიერთგადანვნით, გნებავთ დამყნობით, სოსო
მეშველიანი გვთავაზობს თანამედროვე პოეზიას, რომელიც მუდმივობის
ბეჭედს ატარებს, თავისთავში.

„ვბორგავ და ვგმინავ, მომწყვდეული სიზმრების ჩიხში“ (იმ ღამით), „რომ
მოჩვენებებს სიზმრის კარი გამოუხურო. ცამ ბაყაყების ბნელ გუბიდან ამო-
იხდა“ (***), „სჭირდება თურმე უღრანივით ფიქრს გამოხშირვა“, „ხე დამ-
ყურებდა, ხის მჭრელს, როგორც თვითმკვლელ გარენარს“ (დანამცეცებუ-
ლი ფიქრებიდან), „და თვალებს მკაცრი სიმარტოვე, აურეკლიათ (ველური
სოფლის პეიზაჟი), „ცა ისე დაბლაა გაფრთხილებაა საჭირო: „ვარსკვლავებს
ხელს ნუ ახლებთ“ (შაგალი), „მე ვეებერთელა გომბემო ვარ!“ (უკუსვლა) - ეს
მეტაფორები და სხვებიც ამართლებენ პოეზიის ნამდვილ დანიშნულებას,
შეცვალონ ადამიანი უკეთესობისკენ, გნებავთ პირიქით, დააბრუნოს ადამი-
ანი ედემისაკენ, იქ, სადაც მარადიულობა მძვინვარებს.



მარკ შაგალი
ლურჯი ანგელოზი

ნატა პარადა

ელენე ჩიქოვანი ახალგაზრდა პოეტია. მიუხედავად ამისა, მისი ლექსები ხანგრძლივი სულიერი გამოცდილებით არის აღსავსე. იგი წერს გაუხუნარ ადამიანურ გრძნობებზე, სიყვარულზე და სევდაზე, სიცოცხლის მომხიბვლელობაზე და მასთან გამოთხოვების მწუხარებაზე. საგულისხმოა, რომ ავტორი ხშირად მიმართავს მედიტაციურ ნიაღვრებს, თითქოს ამ გზით ცდილობს გარშემო არსებული სიყვარულის შევსებას.

ელენე ჩიქოვანის ლექსები ინტენსიური განცდის კვალს ატარებს. ვფიქრობთ, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ თანაგრძნობას გამოიწვევს მკითხველში, რომელიც, მჯერა, დიდსულოვნად შეხვდება ახალგაზრდა პოეტის გამოჩენას.

თამარ ქორიძე



ელენე ჩიქოვანი

დედას

1.
რად ფაციფუცობ ჩემს ლექსებში რა დაგრჩენია?!
იქნებ შენს სახელს დაეძებ და ვეღარა ხედავ?!
ნუთუ არ მითქვამს? ყველა ლექსი მხოლოდ შენია,
შენთვის დავენერე ძვირფასო დედა.
ალბათ ნატრობ, რომ ვიყო პატარა
და გამუდმებით ლექსებს გინერდე,
მე მაპატიე ეს გულისტკენა!
ნუ გაიცრუებ ჩემზე იმედებს.
წლები გავიდა, ბავშვი აღარ ვარ
და უკვე ვეღარც ლექსისთვის ვიცლი,
თუკი ცხოვრებამ ცოტაც მაცალა,
ბოლოჯერ დავენერ და შენ მოგიძღვნი!
შენ რომ არ იყო ამ ქვეყნად, დედა,
ვინ განდევნიდა გულიდან ქარებს?
ვინ დამიფრთხობდა არეულ სიზმრებს?
ვინ შემიშრობდა ცრემლიან თვალებს?
შენ რომ არ იყო ვინ მანუგეშებს?
და ვინ მიმღერებს ტკბილად სიმღერებს?
ზოგჯერ ბედისგან იმედდაკარგულს
ვინლა მანუქებს ბოლო იმედებს?

შენა ხარ ის, ვინც სუნთქვა მანუქა
და ეს ცხოვრება გამიხალისა,
შენ რომ არ იყო, ბავშვის ტირილზე
ვინ იფარფატებს შუალამისას?
ერთი თხოვნა მაქვს, ნუ დაიღლები
და ამ სიყვარულს ნუ დამამადლი,
თუ წასვლა გასურდეს უმალ დაბრუნდი,
არ მომანატრო შენი ფარფატი!

2.
ჩვენ დავშორდებით ალბათ გვიან შემოდგომისას
ჩვენ გავიყრებით გაყვითლებულ ფოთლების ჩრდილში...
ჩვენ დავშორდებით ალბათ თეთრად შემოთოვისას
ჩვენ გავიყრებით...
ჩვენ დავშორდებით, როცა ვაზი მოისხამს მტევნებს,
როცა ბაღებში დასკდებიან ბრონეულები,
მოსული თქემი შენკენ სავალ გზებს დაასველებს
და გავიყრებით...
ჩვენ გავიყრებით, როცა გულში ჩადგება ნისლი
და როცა შენს სულს ჩემი სულის ტარება დაღლის,

იქნება ზამთარს კვლავ როგორმე გადავაგინყდეთ,
იქნებ როგორმე შემოვრჩეთ აპრილს,
იქნება სანამ ბრონეული დამსკდარა ბაღში
და სანამ ვაზებს შეჰპარვიათ მძიმე მტევნები,
სანამ ფოთლები გაფანტულან წვიმიან ქარში,
ნუ მიმატოვებ... ნუ გამეყრები...

* * *

სადღაც უკრავენ როიალზე ძალიან გვიან
და მის ჰანგებზე ოცნებებსაც ჩემთან ვუხმობდი,
იმ მელოდიას მე არ ვიცი დღესაც რა ჰქვია,
მაგრამ იმ ჭაბუკს, ვინც უკრავდა კარგად ვიცნობდი.
ძლიერი ვნებით მიგზავნიდა ყველა მისამღერს
და ყველა ბგერა იფრქვეოდა ჩემს გულთან ახლოს,
დღესაც არ ვიცი, რა დაფარქვა იმ შემოილ ჰანგებს,
მაგრამ ჭაბუკის ვნებიანი თვალები მახსოვს.

ჩემს შვილს დათოს

შენა ხარ ბავშვი... მე კი დაღლილი
და ეს სხვაობა მეტად მწარეა
ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი
შენთვის მზეა და ჩემთვის მთვარეა.
შენა ხარ წმინდა, მე კი ცოდვილი
შენს სამყაროში კერპად ქცეული,
განთიადი ხარ, ლოცვა ხარ დილის,
მე-ქარიშხალი გადარეული
შენ ხარ სიცოცხლე, მე კი სიკვდილი,
მე ცრემლები ვარ, შენ ამღერება,
ჩვენ ვართ დღე-ღამის უხმო ჭიდილი,
მე დასასრული...
შენ გაგრძელება...

* * *

იქნებ გვეცადა, დავიბრუნოთ თუნდაც ერთი რამ,
მოსულიყავი და წარსულზე ერთად გვეტირა.
იქნებ ვცადოთ და დავიბრუნოთ შენი ღიმილი,
თუნდ ერთი ცრემლი შენი თვალების,
თუნდაც ლოდინი, თუნდაც ტკივილი და თუნდაც
შიში გადაყვარების,
თუნდ ერთი კოცნა ემაგ ტუჩების
და გაოცება ძველი ქუჩების,
თუნდ ერთი ჩხუბი, ჩხუბი ბავშვური,
თუნდ ერთი ლოცვა ცამდე ასული,

იქნებ ვცადოთ და დავიბრუნოთ
მხოლოდ ერთი დღით,
ამ ყველაფრიდან თუნდაც ერთი რამ,
და თუ არარა გამოვიდოდა
ჩვენს შეცდომებზე ერთად გვეტირა.

ი.წ.

რა სათუთუა შენი ფიქრი, შენი ოცნება
რა უსასრულოდ იძირება შენში სამყარო
როგორ ანათებს შენი სულის პატიოსნება,
რა გულწრფელი ხარ, თან რა თბილი და უანგარო.
ბედნიერი ვარ რომ შეგვეშინოს ერთად ცხოვრება,
ცდილობ რომ მუდამ გამიღიმო და გამახარო,
შენ ყველა ცოდვა უნებლიე მიგეტყვება,
სხვეებს შენი სულის დაფასება როგორ ვასწავლო.
მე შენს ხატებას მუხლმოყრილმა ლოცვა ავუნთე,
ვეგრძნობ ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ დაგშორდები
და რა შევცოდე შენს წინაშე — უფლისგან პასუხს
ჩემი ცხოვრების ბოლო გვერდზე დაველოდები.

გაზაფხულზე

გაზაფხულს იისფრად დამისიზმრე,
აშაღე ნაჩვევი ფიქრები
ან ცაზე ვარსკვლავად ავენთები,
ან ველად გაშლილი ვიქნები.
მეძებე ხან ტყეში, ყვავილებში,
ხან ხეზე შემომჯდარ ბელურად,
მანვიმდა სუსხიან ამინდებში,
ხან შენზე ოცნება მეხურა,
ჩქარობ და სულ მუდამ უკან გრჩები
და სველი მრჩებიან თვალები,
ამ ზამთარს თუ ისევ გადავრჩები
სიცივეს თუ დავემალები.
გაზაფხულს იისფრად დამისიზმრე
აშაღე ნაჩვევი ფიქრები,
ხან ცაზე ვარსკვლავად ვიციმციმებ,
ხან ველად გაშლილი ვიქნები.



დავით ხიზამბარელი

**მთავარი გმირები
(არ) კვდებიან, ჯორჯ!**

როდესაც ტირანი ჯოფრი ბარათონის ბრძანებით უინტერ-
ფელის ლორდ ედარდ სტარკს ვესტეროსში, ეშაფოტზე თავი წა-
აგდებინეს, მკითხველმა და შემდეგ უკვე სერიალის („სამეფო კა-
რის თამაშები“) გაოგნებულმა მაყურებელმა იგრძნო, როგორ
დაიბადა თვალსა და ხელს შუა ახალი საკულტო ეპოსი — „ყინუ-
ლისა და ცეცხლის სიმღერა“. ამ ეპიზოდამდე უბრალოდ კარგ
ისტორიულ რომანს ვკითხულობდით, მაგრამ ედარდის სიკვდი-
ლით დასჯამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ფენტეზი, რო-
გორც ჟანრი, რთულად ეგუება მთავარი გმირების სიკვდილს და
ისიც ფაქტობრივად ნაწარმოების დასაწყისში, როდესაც ეს-ესაა
დაუახლოვდი პერსონაჟს, მასთან ერთად მიატოვე მშობლიური,
თოვლიანი უინტერფელი, ცოლ-შვილი, წინაპრების აკლდამები
და ღმერთები, შემდეგ დედაქალაქის სამხრეთულ სიციხეებსა და
ინტრიგებში ცდილობ მასთან ერთად ღირსეულად დაუსხლტე
მტრულად განწყობილ სამეფო კარს და როცა გგონია, რომ მე-
ფის სიფრიფანა ქალაქზე დაწერილი ანდერძით შუა საუკუნეე-
ების სიბნელეში თავის სიმართლეს დაამტკიცებს, აი იქ ექცევა
თავზე ყველაფერი, იმ თავზე, რომელიც ცოტაც და აღარ შერჩე-
ბა მხრებზე. ასეთია ვესტეროსი, ის, ვინც დროის მოთხოვნებს
ვერ პასუხობს, თავს აგებს, ძველი ეპოქა მთავრდება და სარაინ-
დო ამბებიც, მოხუცი ნენი რომ ბუხრის წინ უამბობდა უინტერ-
ფელის, კაცი ვერ მოთვლის, რამდენ თაობას „მეფის საბიჯელ-
ში“ სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიო.

ფენტეზი და სამეცნიერო ფანტასტიკა ის ჟანრებია, რომ-
ელშიც ჯორჯ რ. მარტინი ძალიან კარგად ერკვევა. ვინც
მის ბიოგრაფიას ჩახედავს, აღმოაჩენს, რომ ორივე ჟანრში
აქვს ბედი ნაცადი, და როგორც ამბობენ, არცთუ წარუმატებ-
ლად. ფენტეზი რომ კარგად გამოისდის, ამას „ყინულისა და
ცეცხლის სიმღერაც“ ადასტურებს. ამ ჟანრის კანონები ოფი-
ციალურად არავის დაუდგენია, თუმცა ჯერ კიდევ გასული
საუკუნის 30-იან წლებში ოქსფორდის უნივერსიტეტის ფარგ-
ლებში არსებობდა არაოფიციალური საზოგადოება **Inklings**
(ნართაულები), რომელშიც მსჯელობდნენ ფენტეზის, რო-

გორც ჟანრის ნიშან-ფარგლებზე და ამ ჯგუფის ყველაზე
ცნობილი წევრები, კ.ს. ლუისი და ჯონ რ. ტოლკინი, გახლ-
დნენ სწორედ ის პირველი ავტორები, რომლებმაც ერთგვარი
პარადიგმული ნაწარმოებები შექმნეს („ნარნიას ქრონიკები“;
„ბეტდების მბრძანებელი“) და ყველა მომდევნო ავტორი, ნე-
ბით თუ უნებლიეთ, მათი გავლენის ქვეშ ექცეოდა.

შემდეგ კი მოხდა ის, რაც ლიტერატურის ისტორიამ ძალი-
ან კარგად იცის, ამერიკამ ისწავლა და შემდეგ თავად დაუნყო
სწავლება თავის მასწავლებელს, ტოლკინი-ლუისის წყვილს,
და მარტინის შემთხვევაც სწორედ მსგავსი ისტორიაა, მხო-
ლოდ უფრო ლოკალური მასშტაბის. თუ XX საუკუნის მეორე
ნახევარში „ბეტდების მბრძანებელი“ და „ნარნიას ქრონიკები“
განსაზღვრავდა ჟანრის მიმდინარეობას, XXI საუკუნეში უკვე
„ყინულისა და ცეცხლის სიმღერამ“ (ისევე როგორც ჯოან
როულინგის „ჰარი პოტერის“ სერიებმა) აიღო საკუთარ თავ-
ზე ეს მისია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურუ-
ლი თვალსაზრისით, მარტინის ნაწარმოები, მის წინამორბედთ
ბევრად ჩამოუვარდება, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირ-
ველეს ყოვლისა, მისი მთავარი ნაკლია ნაწარმოების ასე
ვთქვათ „სერიული“ ხასიათი (საგულისხმოა, რომ თავდაპირვე-
ლად რომანი სულ რაღაც სამ ტომად იყო ჩაფიქრებული), რაც
ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. თუმცა ავ-
ტორს, რომელიც ცდილობს, თავისი შრომით გარკვეული მა-
ტერიალური კეთილდღეობა მოიპოვოს, ვერ დაეძრახავთ. მთა-
ვარია ოქროს შუაღედი დაიცვას და არც თვითონ იზარალოს,
არც ნაწარმოების მხატვრულმა ღირებულებამ და, რაც მთავა-
რია, მკითხველმა. მარტინს კი უკვე ემჩნევა, რომ ფინანსებზე
სერიოზულად ფიქრობს, მაგრამ თვითონ „ყინულისა და ცეცხ-
ლის სიმღერის“ სიუჟეტი, ფორმა (რამდენად აქვს ამ რომანს
ფორმა, ეს ცალკე განხილვის საგანია) და პერსონაჟთა ხასია-
თები აძლევს საშუალებას, რომ რომანის ყოველი მომდევნო
ტომი უფრო და უფრო სქელტანინანი გამოუვიდეს.

თავის მხრივ კი, მკითხველს მოუწევს იმის იმედად ყოფნა,
რომ საბოლოოდ ეყოფა ზომიერების გრძნობა, ასე ხშირად
რომ ღალატობს ხოლმე და მორიგ „პოტერიანად“ არ გადააქ-
ცევს რომანს, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია გარკვეულ სი-
ბაღღეზე დგომა.

ტოლკინს და ლუისს ეს პრობლემა არ შექმნიათ. მათ და-
ინყეს და დაამთავრეს თავიანთი ნაწარმოებები, მათთან და-

სასრულის საკითხი არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ უფრო დავკონკრეტდებით, ლუისმა სულ რაღაც ოთხ წელიწადში დაასრულა „ნარნიას ქრონიკების“ შვიდივე ნაწილი, ხოლო ტოლკინმაც დაახლოებით იგივე დრო მონაწილეობა „ბექდების მბრძანებლის“ დასრულებას, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ათი წელი მუშაობდა „შუამინეთის“ სამყაროს შესაქმნელად, რაც თავისთავად არ შეიძლება ნაწარმოების მხატვრული ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორი იყოს, მაგრამ საკუთარი ნაწარმოების მიმართ ავტორის დამოკიდებულებაზე ცხადად მიანიშნებს. ამ მხრივ მარტინიც არ ჩამორჩება მის წინამორბედებს, რადგან ისიც საკმაოდ დიდ დროს ანდომებს რომანის თითოეული ნაწილის გამოცემას და ვერ დავაბრალებთ არასერიოზულ დამოკიდებულებას, მაგრამ ის ფაქტი, რომ დაიწყო და აღარ მთავრდება, მარტინის სასახელოდ არ მეტყველებს, ხოლო რაც მის სასახელოდ მეტყველებს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ და მისი ღირსებები ამ მხრივ არცთუ ისე ცოტაა.



კადრი სერიალიდან „სამეფო კარის თამაშები“

რა იყო და არის მარტინის საიდუმლო ფორმულა და როგორ დაიპყრო მსოფლიო?

ბევრი არაფერი, უბრალოდ როგორც ამერიკელებს სჩვევიათ, უარყო საზღვრები და დაარღვია ტოლკინის პარადიგმა, მაქსიმალურად ჩამოაშორა მას ჯადოსნური სამყარო და მთავარი აქცენტი ადამიანებზე გადაიტანა. ამიტომაც, ვისაც მარტინი უყვარს, ტოლკინის კითხვა უჭირს. XXI საუკუნეში ძალიან რთულია ახალი „შუამინეთი“ შექმნა, თუ შიგ რეალისტური ეპიზოდები არ ჩააბნეო. მარტინმა სწორედ ეს შეძლო ძალიან კარგად. პირველ რიგში, გამოიგონა ვესტეროსი, შექმნა შესაბამისი, მე ვიტყვოდი, სრულყოფილი სამოქმედო არეალი, გარემო და შემდეგ უკვე ისეთი პერსონაჟები დაასახლა ამ მიწაზე, რომლებიც ლამის ოჯახის წევრებად უქცია მკითხველს და თან თვითუფლებში ჩადო შიშის ფაქტორი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

უსუალოდ კი, აი, რას გულისხმობს აღნიშნული „შიშის ფაქტორი“, — როცა პირველივე წიგნში მთავარ გმირს გიკლავენ, რომანის ყოველ მომდევნო ნაწილში გიმძაფრდება განცდა, რომ შესაძლოა შენს ფავორიტ პერსონაჟსაც დაუშავდეს რამე, მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენება (როდესაც ამ შიშთან იწყებ ურთიერთობას, რომანის მესამედი უკვე ნაკითხული გაქვს, როგორც წესი), რომ მარტინთან არავინაა სიკვდილისგან დაზღვეული და ავტორსაც ვერ დავაბრალებთ ბოლომდე ამ საკითხის მსგავს გადაწყვეტას.

როგორც აღვნიშნე, XXI საუკუნე მეტ რეალიზმს ითხოვს ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებისგანაც კი და იმ ეპოქაში, სადაც მოქმედება ვითარდება (ვესტეროსში, ჩვენგან განსხვავებით სხვაგვარი კალენდარი და ნელთარლიცხვა აქვთ, რის გამოც შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა დრო და ეპოქაა, ინტუიციით ვგრძნობთ, რომ სადღაც შუა საუკუნეების ბრიტანეთში ვართ) ზუსტად ისევე იყო ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანი სიკვდილისგან დაუცველი, როგორც წიგნშია აღწერილი. ამ მხრივ მარტინს ახალი არაფერი უთქვამს, უბრალოდ ფენტეზის ჟანრის კანონებით, მთავარი გმირები არ კვდებიან, ან კვდებიან ბოლოს. მაგრამ მარტინს არ ენალვლება, იმდენი ამბავი და პერსონაჟი გამოამწყვდია წიგნში, სულ წყვილ-წყვილად რომ ჩახოცოს თითო ტომში, მაინც დარჩება ერთი-ორი ღირსეული.

ასეა, როგორც გინდა შვიდი წიგნის მანძილზე შეინარჩუნო მკითხველი, თუ გული არ მოუკალი და არ გააოგნე. ჯერ იყო ედარდ სტარკი, რომელსაც ზემოთ მოკვეთეს თავი, შემდეგ „ნითელი ქორწილი“, სადაც სტარკის უფროსი ვაჟი, რძალი და მეუღლე „მოაშთეს“, შემდეგ მეფე ჯოფრი, რომელიც საკუთარ ქორწილში მოწამლეს, ასევე, ტაივინ ლანისტერის მკვლელობა თავისივე შვილის ხელით საპირფარეოში და, როცა მიხვდა, რომ უნდა შეჩერებულიყო, ახალი პერსონაჟი შემოაგდო, ობერინ მარტელი, რომელმაც გააჩინა იმედი, რომ თავისი ქარიზ-

მით და წინააღმდეგობრივი ბუნებით შეძლებდა ავტორის გულის მოგებას (მკითხველის გული წიგნში პირველივე გამოჩენიდან დაიპყრო: მათი წინამძღოლის ცხენი კი ცოდვასავით შავი იყო, ცეცხლისფერი ფაფართა და კუდი. მხედარი კი უნაგირზე ისე იჯდა, თითქოს იქ დაბადებულიაო. მაღალი, მოხდენილი, ელეგანტური. ღია ფერის ნითელი აბრეშუმი ეშვეოდა მხრებიდან, ზედატანი კი სპილენძის დისკებით დეფარა და ჭენებისას მზის ელვარება გადასდიოდა. მოოქროვილი მუზარადის საშუბლეზე სპილენძის მზე დაემაგრებინა, ცხენზე დაკიდებულ მრგვალ პრიალა ლითონის ფარზე კი მარტელების გერბი — მზე და შუბი იყო გამოსახული. — თარგმანი თ. მესხისა) და ერთი-ორი წიგნის განმავლობაში მაინც შეძლებდა ზემოთნახსენები პიროვნული დანაკარგების შევსებას, მაგრამ იმედი იმედად დარჩა, ისეთი სისასტიკით მოკლეს მესამე წიგნის ბოლოში, რომ უკვე აღარ იცი, რა იქნება მომავალში და სადამდე გაგრძელდება ხოცვა-ჟლეტა მარტინის ლიტერატურულ სასაკლავოზე.

მიუხედავად ამ ბრუტალურობისა და ფატალიზმისა, მაინც გამოიკვეთა რამდენიმე პერსონაჟი (ჯონ სნოუ, დენერის ტარგარიენი და ტირონ ლანისტერი), რომელთაც მარტინი, სავარაუდოდ დიდხანს ვერ გაუბედავს ვერაფერ ავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ სამეულზე დგას მთელი „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“, რომლის მხოლოდ ხუთი ტომია გამოსული (ქართულ ენაზე მხოლოდ ტომ ნახევარი) და რომელიმე ამ პერსონაჟის სიკვდილს რამდენადა გაუძლებს მკითხველი და თვით წიგნი, ძნელი სათქმელია. თუკი სიკვდილისგან ვინმეა დაზღვეული, სწორედ ეს სამეული. დანარჩენს იოლად გადაიტანს მკითხველი, მაგრამ მაინც მგონია, რომ დროა ეს ჟლეტა შეწყდეს, რადგან საბოლოოდ ამ სქელტანიანი ნაწარმოების მთავარი ღერძი სიკვდილი გამოვა, მთავარი გმირების სიკვდილით გამოწვეული შოკი, რაც პირველ რიგში მის მხატვრულ ღირებულებას დააკნინებს. თუმცა რამდენად გაითვალისწინებს ამ ყველაფერს მარტინი მეექვსე და მეშვიდე, ჯერ კიდევ დაუნერულ (გამოუცემელ) წიგნებში, გამოჩნდება. ამ მხრივ ძალიან ძნელია ჩამოყალიბებული აზრი გქონდეს ნაწარმოებზე, რომელიც ჯერ კიდევ წერის პროცესშია და ისიც არ იცი, სასწორი საით გადაიხრება, ვინ აღმოჩნდება შერისხული და ვინ — დაფასებული. ამ მხრივაც ძალიან კარგია ეს წიგნი. მარტინის მთავარი ღირსება ალბათ ისაა, რომ არ ქმნის სტატიკურ, ნაქანდაკე პერსონაჟებს, რომლებიც ადგილიდან არ იძვრიან. წიგნში არაა არცერთი შემთხვევითი გმირი, ყველას აქვს ნარსული, გარკვეული მოტივაცია და მიზანი, ყოველი მათი ნაბიჯი გააზრებულია და ლოგიკის ფარგლებში ჯდება (თითოეულის სიკვდილიც კი დამაჯერებელი და გამართლებულია და

გარკვეულ კანონზომიერებას ეფუძნება). ისინი იცვლებიან, ვითარდებიან, განიცდიან კათარზისს, გზადაგზა კარგავენ და იძენენ ხასიათსა და სხვადასხვა თვისებებს, რაც მთავარია, წლები გადის, ბავშვები იზრდებიან, კაცებად და ქალებად ყალიბდებიან და ხშირად ისეთ ტრანსფორმაციას განიცდიან, რომ საკუთარ თავს საყვედურობ, რომ აყვეი სხვის ხმას და ტყუილად მოიძულე ან შეიყვარე ესა თუ ის გმირი.

გმირებსა და პერსონაჟებზეც ამიტომ მიხდება საუბარი, რომ „ყინულისა და ცეცხლის სიმღერის“ მთავარი ხიბლი სწორედ პერსონაჟები და მათი ხასიათების მრავალფეროვნებაა, სწორედ აქ ჩანს მარტინის, როგორც მწერლის, შემოქმედებითი უნარი საუკეთესო მხრივ — მის გმირთა ხასიათების განვითარებასა და ძერწვაში. ალბათ ჯეიმი ლანისტერია ყველაზე უფრო სრულყოფილი მაგალითი, თუ როგორ უნდა დაამუშავოს მწერალმა საკუთარი პერსონაჟი. ჯეიმი ლანისტერი ნიგნის დასაწყისში ერთი ქედმაღალი, განებივრებული, მდიდარი და ძლიერი მამის შვილია, მეფის მკვლელად ნოდებული, რომელიც საკუთარი დანაშაულის დასაფარად ბავშვის „მკვლელობასაც“ არ ერიდება, მაგრამ ნიგნის შუაში უკვე იმხელა კათარზისს გადის, რომ ავტორს საშუალებას აძლევს, რომანის ერთი (მეოთხე) ტომის მთავარი სიუჟეტური ხაზი მასზე ააგოს. თუმცა აქ მხოლოდ კათარზისზე არაა საუბარი, მარტინის მწერლური გონებამახვილობაც მნიშვნელოვანია, გარდა იმისა, რომ გმირს კათარზისს უწყობს, ამასთან ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად აწვდის მკითხველს მასზე ინფორმაციას, იმ ინფორმაციას, რომელსაც არასწორად ფლობდა და რომელსაც ნიგნის სხვადასხვა პერსონაჟები თავიანთი შეხედულებისამებრ აცნობდნენ, მანამ, სანამ თვით ჯეიმი ლანისტერი ახდიდეს ყველაფერს ფარდას. რატომ იყო მეფის მკვლეელი? არცერთ მკითხველს არ მოსდის აზრად ეს კითხვა დაუსვას საკუთარ თავს და პერსონაჟს, ამიტომაც მარტინი სჯის კონფორმისტ მკითხველს და, ასე ვთქვათ, სიცრუეში აცხოვრებს პირველი სამი ნიგნის განმავლობაში, ვიდრე გააახლებდეს, რომ ჯეიმში ჭკუიდან გადასული მეფე მოკლა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სამეფოს გადაწვა და უმწეო ბავშვების ამოხოცვა.

მარტინის გონებამახვილობა იმაშიც ვლინდება, რომ რომანის სიუჟეტში ნელ-ნელა აძლიერებს ჯადოსნურ სამყაროს, რაც, ამავდროულად, შეიძლება მის ნაკლადაც მივიჩნიოთ, რადგან რაც უფრო ბოლოსკენ მიდის ნანარმოები, მითუფრო ელევა რეალისტური სიუჟეტი და იძულებულია, მთელი დატვირთვა ამჯერად უკვე ნამდვილ ფენტეზზე გადაიტანოს, რაც დისკომფორტს უქმნის „ყინულისა და ცეცხლის სიმღერის“ მკითხველს, მათ ხომ ეს ნიგნი იმის გამო შეიყვარეს, რომ მასში ნაკლები იყო კლასიკური ფენტეზის ელემენტები, მათ არ სურთ საბოლოოდ „ბეტყდების მბრძანებელი“ შერჩეთ ხელში და, რაც უნდა სამწუხარო იყოს, რომანში ეს მიმართულება უფრო და უფრო გაძლიერდება და შეუქცევად ხასიათს მიიღებს, სიუჟეტიდან გამომდინარე.

მკითხველს იმისაც ეუბნია, რომ 65 წლის, დიაბეტით დაავადებული ჯორჯ მარტინი ვერ მოასწრებს ნიგნის დასრულებას, დააობლებს და შუა გზაზე მიატოვებს თავის მრავალჭირვარამგამოვლილ პერსონაჟებს, და მართლაც, ეკუთვნიან სტარკებს უინტერფელში დაბრუნება, დენერის ტარგარიენს თავისი კუთვნილი სამეფო ტახტზე ასვლა, ჯეიმი ლანისტერს თავისი გვარის ღირსეული წინამძღოლობა, ტირიონს დაფასება და დიდი ბიბლიოთეკა, რომელშიც მშვიდად წაიკითხავს დრაკონთა შესახებ უჩვეულო ამბებს, ჯონ სნოუსაც ეკუთვნის თავისი წილი კეთილდღეობა (სულ მცირე), ეს რა თქმა უნდა იდეალურ შემთხვევაში, მაგრამ მარტინი სამყაროს იდეალისტის ვარდისფერი სათვალით არ უყურებს და არც თავის პერსონაჟებს უპირებს მშვიდ და დალაგებულ ცხოვრებას, მითუმეტეს, რომ ყინულის უზარმაზარი კედლის მიღმა „უცხო“ არსებანი ბინადრობენ და როდის რა მოუვლით თავში მათ და მათ შემქმნელ ჯორჯ რ. მარტინს, მარტო ამ უკანასკნელმა იცის.

ეკა ბუჯიაშვილი

„გზები. გზები. დანყვეტილი ბილიკები...“

ხდება ხოლმე ასეც — აჩქარებული ცხოვრების რიტმის გამო დროულად ვერ მივაღვენებ თვალს „ჩვენი მწერლობის“ ახალ ნომერს, ხანაც დროდადრო უკან ვუბრუნდები ზოგიერთ პუბლიკაციას თავის დროზე გამორჩეულად მთამბეჭდავი რომ მეჩვენა, სხვა თვალთ წავიკითხავ, ბევრ რამეს ახალსაც აღმოვაჩენ ხოლმე. სწორედ მათ შორის მინდა გამოვარჩიო **ალეკო თუთუბერიძის** მეშუარისტული ჩანაწერები „დასაკარგავად რაც მენანება“ (№21, 2014), ჩვენი თვალსაჩინო თეატრმცოდნისა და დოკუმენტური პროზის ოსტატის ნოდარ გურბანიძის მიერ ხელდასმული ეტიუდები, ამბები, დასაკარგავად რომ არ გაუმეტებია მოგონებათა ავტორს და ძალიან ცოცხლად, ექსპრესიულად გვიხატავს გასული საუკუნის საინტერესო მოღვაწეთა პორტრეტებსაც და იმ ეპოქასაც, თავისი ღირსებითა და ნაკლით, დრამატიზმითაც და იმ განუმეორებელი სურნელითაც, დროს რომ გადააჰყვა მარადიულობაში.

რეპრესირებული ოჯახის შვილს საკუთარ თავზეც გამოუცდია იმ ავადსახსენებელი წლების შედეგები. მამა, ილია თუთუბერიძე, დაუხვრეტიათ.

დედა რეპრესიებისგან ბაბუას, ალექსანდრე აბაშელს უხსნია — თავისი ერთადერთი ქალიშვილი სასწრაფოდ გადაუმალავს და თვითონ უთავია ობლად დარჩენილი შვილიშვილის აღზრდაც, იმ რეჟიმისგან დარბეული კიდეც ორი ოჯახის პატრონობასა და საზრდოობასთან ერთად.

ბატონი ალეკო ბელეტრისტის ოსტატობით გვიხატავს იმ წლებსაც და ბაბუას პორტრეტსაც — ომის დროს, დაბომბვისას, განსაკუთრებით, როცა ღამით ცხადდებოდა განგაში, როგორ „მიძინებულბდა ალექსანდრე აბაშელი მინამიყრილი თხრილი-საკენ, ე.წ. ბომბსაფარისკენ მძიმე ჩემოდნით ხელში და იქ იცდიდა განგაშის შეწყვეტამდე. „მეზობლებს უკვირდათ: რას მალავს აბაშელი, რა აქვს ასეთი ძვირფასი, არადა, ჩემოდანში ვაჟა-ფშაველას არქივი და მისი ტომების სარედაქციო მასალა ეწყო“.

რევაზ ინანიშვილის სიტყვები კი, მარჯვედ რომ მოიხმობს მოგონებათა ავტორი, ბიბლიური მისტირიდან ამოზიდული კადრივით დატრიალდება მკითხველის თვალწინ:

„ქუჩაში რამდენჯერმე შევხვედრივარ ალექსანდრე აბაშელს.

თბილისელთა საეჭვოდ შემღვრეულ ტალღას იგი მოჰყვებოდა როგორც ქრისტე მშვიერთა და დავრდომილთა ბრბოს“.

საგულისხმო დეტალებს იგონებს ავტორი კონსტანტინე გამსახურდიას შესახებაც, ახალ შტრიხებს რომ სძენს მწერლის თითქოსდა კარგად ნაცნობ პორტრეტს.

ალექსანდრე აბაშელი და კონსტანტინე გამსახურდია ახლო მეგობრები ყოფილან (ამიტომაც არიან გვერდი-გვერდ შავჩოხიანთა ცნობილ ფოტოსურათზე — პავლე ინგოროყვასა და ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად).

„მეც ბავშვობიდან მიახლოებდა, მათამამებდა, როცა წამოვიზარდე, როგორც წესი, ჩვენთან სტუმრობის მერე გამიყრიდა მკლავს და სეიარნობით მიმაცილებინებდა თავს სახლამდე“.

ამით გათამამებულს ერთხელ კიდეც უსარგებლოა და მასწავლებელს მისი მორიგი ცუდლუტობის გამო მშობელი რომ დაუბარებია, შინ თქმა ვერ გაუბედავს და ბატონი კონსტანტინესთვის უთხოვია, ეგება წამომყვეთო.

დათანხმებია ისიც და მისულა სკოლაში.
„რატომ გამოეწყო ასე, არ ვიცი, ეცვა მუქი მწვანე რალაც კამზოლი, წვივებზე მოტყუცულ ყავისფერ კრავებში ჩატანებული თუთუნისფერი შარვალი, ხელში ჩალის ქუდი ეჭირა. ატყდა ჩორქოლი... ისმოდა: გამსახურდია, გამსახურდია. კაბინეტიდან გამოსული დირექტორი იპოლიტე სურგულაძე დაბნეული მიესალმა. შეიპატიჟა და მეც შეეყვები. იქ თავშეკავებული ურთიერთმოკითხვისა და ჩადენილ დანაშაულში გარკვევის შემდეგ ბატონი კონსტანტინე მომიტრიალდა და მითხრა: „და შენ როგორ ბედავ და ასე ანუხებ ამ პირველ ინტელიგენტს?!“

მერე კი:
„და შენ როგორ ბედავ და ასე ანუხებ ამ პირველ მწერალს?!“
„პირველ მწერალზე“ სხვა საგულისხმო ამბებსაც იგონებს ბატონი ალექო. მათ შორის იმასაც, გაგანია სამამულო ომის დროს ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭისთვის რომ უთქვამს: „უთხარი ბაბუაშენს, შეწყვიტოს გერმანელთა სალანდღავი ლექსების წერა“.

და ამ ფრაზით მწერალი არა მხოლოდ ახალგაზრდობისა და განათლების წლებს დაუშვადლის გერმანიას, არამედ მასში ამოახვევს თავის პოზიციასა და დამოკიდებულებასაც სტალინის რეჟიმისა და მისი თანმდევი მოვლენების, მეორე მსოფლიო ომისა და მისი შედეგების, იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარებისა და ეპოქალურ პროცესთა მიმართ, მხოლოდ ათწლეულების შემდეგ რომ გადააფასა ისტორიამ.

ბატონი ალექო მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პერსონაჟებით ხატავს მკითხველისთვის ადამიანებს — ნაცნობსა თუ უცნობს, ჩვეულებრივ მოკვდავთა თუ გამორჩეულ მოღვაწეთ. მათ შორისაა აკადემიკოსი ფერდინანდ თავაძე, ტექნიკური ინტელიგენციის უბრწყინვალესი წარმომადგენელი, ვისთვისაც, ერთ-ერთი „საყველპური მასლაათისას“, კონსტანტინე გამსახურდიას უკითხავს:

— ბატონო ფერდინანდ, ნითლად გავარჯერებულ ხმლებს რომ ანრთობდნენ ძველად ცხენზე ამხედრებული ვაჟაკები, რა ხდებოდა ამ დროს ლითონში?..

ნოველის ქარგადაც გამოდგებოდა ის სიუჟეტი, ნოველისებურივე ექსპრესიით რომ გვიხატავს ავტორი:

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეონიდე ოკლეის ღვაწლს რომ წამონევეს, იმასაც დასძენს, რომ ცოლად ზურაბ ანჯაფარიძის ყოფილი მეუღლე ივეტა ბახტაძე ჰყოლია. ერთხელაც შვილის კონცერტისთვის საგანგებოდ ჩამოსული ზურაბი ბატონ ლეონიდეს სხვა სტუმრებთან ერთად შინ მიუწვევია კონცერტის შემდგომ ბანკეტზე.

„დიდი სუფრაა გაშლილი. ბანკეტი მშვენივრად წარმართა, ლეონიდემ ბრწყინვალედ ითამადა... სუფრა დიდხანს გაგრძელდა. „ივეტა, მიდი, ერთი, დაუკარი“, — წამოისროლა შეზარხოშებულმა ზურაბმა. გაიმართა დაუვინყარი კონცერტი. ივეტა უკრავს, ზურაბი მღერის. დილისათვის გამოგველია სიგარეტი. მე გამოვედი გარეთ სიგარეტის შოვნის იმედით. კიბეზე ჩამომავალს შემომხვდა ზურაბის ბიძა, ოტოლი ანჯაფარიძე შემფოთებული სახით. გასაგებია მისი შემფოთება — ზურაბი ივეტას ახალ ოჯახშია და მთელი ღამე არა ჩანს, რაიმე უბედურებას ხომ არ გადაეყარა. ამ დროს სადარბაზოში გაისმის: „ადანდალი დანდალი, ჩემი ოქროს შანდალი“. **Ох, дуррак!** ჩაიქნია ხელი და დამშვიდებული წავიდა“.

შთამბეჭდავია და გულისამაჩუყებელიც ის სურათი, გალაკტიონის დაკრძალვის დღეს მეგობრებთან ერთად მიმავალს ეროვნული ბანკის წინ მდგომ მამაკაცთაგან ერთი წარმოსადგეი შესახედობის კაცი რომ გამოარჩევს და იხმობს. სახელისა და გვარის დადგენის შემდეგ კი:

„მხარზე ხელი მომხვია და მიმიზიდა. გულისჯიბიდან ამოიღო პორტმონე, გადახსნა და დამანახა მამაჩემის სურათი.

მე გავოგნდი. მამა 38-ის მარტში დახვრიტეს. იგი არც კი მახსოვდა, მაშინ ჯერ ოთხივე არ შემსრულებოდა. მერე, მართალია, ახლობლები მამსგავსებდნენ მას, მაგრამ ასე, ქუჩაში, მეგობრების წრეში მიმავალი როგორ გამომარჩია, დღესაც აუხსნელია ჩემთვის.

ეს კაცი გახლდათ ცნობილი კინორეჟისორი ლელიკო ხოტივარი, როგორც მერე დედამ მითხრა, მამაჩემის ახლო მეგობარი“.

მეგობრებს კი თავისასაც გამორჩეული სიყვარულით იგონებს — თუნდაც ანზორ სალუქვაძეს და თავის პირად არქივში შენახულ მის ლექსს — მიძღვნილს მერი ციციშვილისადმი — შესაძლოა არც კი რომ იცნობს ლიტერატურული საზოგადოება.

იხსენებს ოთარ ჭილაძის სტრიქონებსაც — „გზები, გზები. დაწყვეტილი ბილიკები, და სახლები გადაყრილი კამათლებად“ — ასოციაციად რომ მოსდევს 50-იან წლებში მწერალთა დასასვენებელი სახლის გარემო კიკეთში. გამორჩეულად გვიხატავს ირაკლი სურგულაძის პორტრეტს და იმ ამბავსაც იხსენებს, როგორ უთხოვია ბატონი ალექოსათვის ნათესავისაგან დროებით მიბარებული ბინა, როგორ გამოკეტილა შიგ და როდის-როდის რომ შეხმინებია მეგობრებს, კუპრინის ლეგენდარული „სულამითის“ თარგმანი დაუხვედრებია მათთვის — ბრწყინვალე ქართული ვარიანტი რიტმით, ლირიზმით, მდიდარი ლექსიკით, ბიბლიის პოეტური ტექსტებით.

— ბაირონს ჰგავდაო, — წერს ბატონი ალექო მეგობარზე, — თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით, სიყვარულის უსასრულო მარაგით, მემამბოხე სულით, ნიჭიერებითა და — ახალგაზრდობაში — გარეგნობითაც.

ასეთივე სიყვარულის მარაგი გამოარჩევს ამ მოგონებათა ავტორსაც, მახვილ იუმორისტულ პასაჟებს ნიჭიერადვე რომ ჩანაცვლებს ტკივილითა და დრამატიზმით აღსავსე ამბებით. სულისშემძვრელად აღწერს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ჩამოსვენების სურათს:

„კოშკის ჭიშკართან რამდენიმე კაცი იდგა. არც ერთი ნაცნობი. იყო სრული სიჩუმე. ეზო ისე გავიარე, არავინ შემხვედრია. კონსტანტინე გამსახურდიას საცხოვრისი სრულიად იავარქმინილი გახლდათ. ყველაფერი, რასაც ცეცხლი მოსდებოდა, აღარ არსებობდა. არც კარი, არც ფანჯარა, არც იატაკი, არც კიბე, არც ავეჯი. უბათქაშო კედლები შავად დამწვარ აგურებამდე იყო გამოშვლებული.“

ასეთსავე განადგურებულ, სრულიად გაშავებულ სასტუმრო ოთახში პირდაპირ მიწაზე ესვენა ზვიად გამსახურდიას ნეშტი თავდახურულ კუბოში. კუთხეში რამდენიმე შაოსანი ქალი იდგა. არავინ ტიროდა. სიკვდილის საიდუმლო დაუფლებოდა გარემოს. იყო რალაც შემზარავი და დიადი ამ ტრაგედიაში. დრო გაჩერებულიყო. მე ვიდექი... და ჩემში ჟღერდა ბეთჰოვენის გმირული სიმფონია“.

კითხულობ, კითხულობ... გიხარია, რომ შენ გვერდით არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ასე განიცადონ წარსული და დასაკარგავად არ გაიმეტონ არაფერი, რამაც კი კვალი დააჩნია მათ ცხოვრებას. შენ თვალწინ კინოკადრებით ტრიალებენ წლები, ათწლეულები, ისე ემოციურად, ისე შთამბეჭდავად, ისე ცოცხლად აღწერილი, თითქოს შენც მიუყვებოდი ამ გზებს, „დაწყვეტილ ბილიკებს და სახლებს, გადაყრილს კამათლებად“, რომელთა ჭერქვეშაც — ამ მიგნებათა ავტორის წყალობით — უკვე შენთვისაც კარგად ნაცნობი ადამიანები ცხოვრობდნენ.

P.S. გააგრძელე წერაო, — ძმური სიყვარულით შემოუთვლია ნოდარ გურაბანიძეს ბატონი ალექოსთვის.

გვინდა ჩვენც, მკითხველებმაც შევავალიანოთ ბატონი ალექო საამისოდ, და ასეთი საინტერესო ჩანაწერებით მოხიბლულნი მის ახალ დოკუმენტურ ნოველებს დაველოდებით.

„მეც აღაშინათა სიყვარული მამოძრავებს“

(სოფიკო ჯირვალის
ესაუბრება
ცისანა ჯანაშვილი)

კავკასია, კერძოდ, საქართველო, გეოპოლიტიკურ-სტრატეგიულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე თავისი მრავალეროვნულობითა და მრავალკონფესიურობით მეტად „ფეთქებად“ რეგიონს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობანი, მათი პარამონიულად ჩამოყალიბება ჩვენი ქვეყნის, მთლიანად რეგიონისა და მსოფლიოსათვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ კუთხით ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს მსოფლიოში ანალოგი არ მოუძებნება.

საქართველოს ისტორიამ შემოგვიწინა მათი მრავალსაუკუნოვანი, მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობის მრავალი მაგალითი, რომელთა წარმოჩენა ყოველი ჩვენგანის ვალია.

ამ ორი უძველესი ერის ისტორიული თანაცხოვრების ამსახველი მასალებით იყო გაჯერებული საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც ოფიციალურად 1933 წლის 23 ნოემბერს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით დაარსდა. 1992 წელს (აღდგენის შემდეგ) მუზეუმს ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის სახელი მიენიჭა და დღეს საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მუზეუმის მისამართია ანტონ კათალიკოსის ქუჩა 3 (ყოფილი სინაგოგის შენობა).

ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის სიღრმეებში აღარ წავალ, უბრალოდ მკითხველს უახლეს წარსულს შევახსენებ, კერძოდ, 1918 წელს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ფორმირებაში ორი ქართველი ებრაელი აბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილი მონაწილეობდა... 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს კი სამმა ებრაელმა (ი.ელიგულაშვილი, მ. დავარაშვილი, ი.გოლდმანი) მოაწერა ხელი. თავისუფალი საქართველოს ხანაში, ქართველ ებრაელთა ლიდერებმა ბევრი ქნესეთის ოქროს მარგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეიტანეს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ეკონომიკური საფუძვლების განსამტკიცებლად. მალევე, იძულებითი ემიგრაციის დროს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საქართველოს განძს მეთვალყურედ ყოფილი ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრის მოადგილე, იოსებ ელიგულაშვილიც ახლდა.

წელს საქართველოში საზეიმოდ აღინიშნება ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობა და ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის ბატონი გივი ლამბაშიძისაგან ვიგებ, რომ მუზეუმის სარემონტო სამუშაოები „ქართუ ჯგუფის“ მიერ უკვე დასრულებულია, 2014 წლის 20 ოქტომბერს, სამ საათზე მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნება. მას უკვე დაბრუნებული ექნება ყველა ექსპონატი, რომელიც 1951 წელს, მუზეუმის გაუქმების შემდეგ, განთავსდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, ინსტიტუტსა თუ საცავში და სტუმრებს მდიდარი ექსპოზიციით უმასპინძლებს. აღინიშნება ასევე მუზეუმის დაარსების 80 და ნაგებობის (სინაგოგა) 100 წლისთავი. საიუბილეო დღეები 3 დღეს გასტანს, დაგეგმილია წიგნების, ბუკლეტების, ალბომების გამოცემა, კონცერტები, ოფიციალური მიღებები, საქართველოს ქართველ-ებრაელ ხელოვანთა დიდი დელეგაციაც ენევა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვლენ. მოწვეულთა შორისაა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მხატვარი ცისანა ჯანაშვილი. საქართველოდან 40 წლის წინათ წასული არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელიც უზადო ქართულით მეტყველებს და წერიტაც უამრავ ქართველს მოიტოვებს უკან. ქალბატონ ცისანას 9 სექტემბერს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა და, ვგონებ, უპრიანი იქნება „ჩვენი მწერლობის“ მკითხველებმა უკეთესად გაიცნონ...

ჩემს სამუშაო ოთახში კედლიდან ქალბატონ ცისანას მიერ შექმნილი გრიკოლ რობაქიძე მიმზერს, რომელიც მალე საჩუქრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმს გადაეცემა, მაგიდაზე კი ულამაზესი ხელით ნაწერი, ათასჯერ გადაკითხული ბარათი მიდევს:

„სოფიკო,

დღეს დიდი დღეა საქართველოში, ზვიადობას გილოცავთ! ზვიად გამსახურდიას პორტრეტი მოლბერტზე გამოვიტანე! უდიდესი სიყვარულითა და განცდით დავხატე... როდესაც მისი საიუბილეო თარიღი იქნება, მაშინ წარმოვადგენ... ჯერჯერობით თავს ვიკავებ, დასამთავრებელია.

წინასწარ მადლობას გიხდის წიგნების გადაცემისათვის. გიგზავნი ჩემი შემოქმედებითი სალამოს DVD-ს, მგონი მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით იმუშავებს – აქაურ სისტემაზეა ჩაწერილი. ჩემი ნამუშევრების ასლები, ზოგიერთები წიგნებში ჩავედ ადრესატებისათვის...

გისურვებ ჯანმრთელობას, მრავალ შემოქმედებით სიხარულს, ბედნიერებას ოჯახში.

31 მარტი, 2013 წელი
ნიუ-იორკი“

„ქალბატონი ცისანა ჯანაშვილი ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის ქალიშვილია და მხატვრობა გენეტიკურად მოსდგამს. მას ბევრი რამ აქვს შეთვისებული, რაც ე. წ. ტრადიციონალისტებს ახასიათებდათ. ბედა იგი ამერიკაში წაიყვანა, სადაც დროთა განმავლობაში მისი მხატვრობა თვისობრივად შეიცვალა.

ამერიკული ავანგარდიზმის გამოცდილების შეთვისებამ ცისანას მხატვრობისათვის ადრეულ წლებში დამახასიათებელი ტრადიციულობა შეცვალა პირობითი, ალეგორიულ-სიმბოლური სახეებით, რაც მის კომპოზიციებს უფრო დიდ განზომილებებს აძლევს.

ცისანას გავლენა აქვს ის პერიოდი, როდესაც „მოყვარული“ მხატვარი ოსტატი უნდა გახდეს. იგი მართლაც ოსტატია, ამ სიტყვის ფართო გაგებით“ — წერდა მისი შემოქმედებით მოხიბლული გიორგი ხუბაშვილი.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ სეფიაშვილი კი ასე აფასებს მის ხელოვნებას: „ცისანა ჯანაშვილის შემოქმედება უთუოდ იმსახურებს ღრმა განსჯას და პროფესიონალურ ხელოვნებათმცოდნურ ანალიზს. მისი ნამუშევრები, პირველ რიგში გულსიყურს იპყრობს ქალური სიფაქიზითა და სინატიფით, პლასტიკის მუსიკალობით, ასოციაციური აზროვნებისაკენ მიდრეკილებით. მის ფერტილოებზე უკონფლიქტოდ თანაარსებობენ ზედმიწევნით კონკრეტული და განზოგადებული, რეალური და წარმოსახული, სინამდვილე და ნაოცნებარი. მის სტუდიო-გამოფენებს არ აკლდება სტუმარ-დამთვალეიერებელი, მოდიან ამერიკელები, უცხოელები, არტ-ბიზნესის წარმომადგენლები...“

ვიკითხვობ ქ-ნ ცისანას შემოქმედების შემფასებელთა რეცენზიებს და უკვე ის დროც მოდის, როდესაც ერთმანეთს ტრადიციულად „სკაიპით“ უნდა ვესაუბროთ:

— ქალბატონო ცისანა, უკვე ოფიციალურად ხართ მონკვეული საქართველოში ამ მართლაც, ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით, რამე კომენტარს ხომ არ გააკეთებთ?

— 2014 წელი, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოცხადებულია 26-საუკუნოვანი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საიუბილეო წლად და ეს თარიღი გამოთვლილია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაზე“ დაყრდნობით. ძნელია რამე დამატო 26 საუკუნის მეგობრობას, იმას, რომ საქართველოდან წასული ებრაელები სულიერად ქართულ წიაღში არიან კვლავ, ამის დასტურია ქართველ ებრაელთა მიერ შექმნილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, წიგნები თუ შემოქმედთა ნამუშევრები... მოწვევა, მართალია, ოფიციალურად მაქვს, მაგრამ არ ვიცი რამდენად მოვახერხებ ჩამოსვლას ოჯახური მიზეზების გამო. 86 წლის დედა უმძიმეს მდგომარეობაშია. თუმცა, ჩემს წვლილს ამ ღონისძიებაში აუცილებლად შევიტან. ვვარაუდობ, მცირე გამოფენა მაინც მექნება ქართველ ებრაელთა ისტორიულ მუზეუმში, რომელსაც ჩემი 9 ტილო საჩუქრად გადავეცი...

— ჩამოუსვლელია გამო ხომ არ ხდება, რომ სოციალურ ქსელში ინტენსიურად ახდენთ თქვენი ფერწერული ნამუშევრების გამოფენას?

— შეიძლება ასეც ითქვას, რადგან გაურკვეველია ჩემი ჩამოსვლის საკითხი. ამ ფორმით ვუერთდები ისტორიულ თარიღს, თან შესაძლებლობას ვაძლევ უამრავ მეგობარს, ასე ესტუმროს ჩემს გამოფენას, თუმცა, ამას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც აქვს...

— სენტ-ეგზიუპერი ამბობდა: „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“... ოჯახი, სადაც დაიბადეთ, თბილისი, თქვენი ბავშვობა როგორი იყო ის?

— დავიბადე 1954 წლის 9 სექტემბერს, თბილისში. ჯერ 126-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, 1969–1973 წლებში კი იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის ფაკულტეტზე. სადიპლომო თემა ბალეტზე დავიცავი, დიდი ფერწერული ტილო შევქმენი - „რეპეტიცია“, ჩემი პირველი ნამუშევარი, რომელიც 1972 წელს გამოქვეყნდა თბილისში საზაფხულო გამოფენისას, გაზეთში - „Молодёжь Грузии“...

მამის, მიხეილ ჯანაშვილის, პირველი ქართველი ებრაელი პროფესიონალი მხატვრის უზომო სიყვარული და თავდადება ხელოვნებისადმი იყო ისეთი თვალსაჩინო მაგალითი, რომელსაც შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა ჩემზე. გავიზარდე იმის ყურებაში, თუ როგორი ენთუზიაზმით ხატავდა მამა, გარშემო ფერწერული ტილოები და ზეთის საღებავების ფერების სურნელი იდგა, რომელიც დღემდე სტიმულს მგვრის. თურმე, მამას ხუთი წლის ასაკში გამოუმჟღავნებია ხატვისადმი მისწრაფება და მეც ასევე...

რაც თავი მახსოვს, ვხატავ, ალბათ, როგორც კი ვისწავლე ფანქრის ხელში დაჭერა... ბალეტითაც ვიყავი გატაცებული. ტელევიზორი ახალი ხილი იყო მაშინ, ვიჯექი, ვუყურებდი და ვხატავდი. ბალერინობა მინდოდა, ვეხვეწებოდი მამას ნავეყვანე საბალეტო სკოლაში. ეს ყველაფერი ხუთ წლამდე იყო... ერთ დღეს, მამა ჩემს ნახატებს რომ ათვალერებდა, განმიცხადა: „ცისანა, შენ უკვე მხატვარი ხარ!“ მეც დავიჯერე, ეს მაშინ, როდესაც ამ სიტყვის წარმოთქმაც მიჭირდა და ყველასთან გავიძახი: „მე ხვატვარი ვარ“; შემდეგ ამას მამას მეგობრები მახსენებდნენ. მე-4 კლასში მამამ პერსონალური გამოფენა მშობლიურ 126-ე სკოლაში მომიწყო. ჩემი ნახატები შეაგროვა, სტენდებზე განათავსა საყვარელი ბალერინები...

დედა ეკატერინა, ნადია ასიტაშვილია. მშობლებმა ერთმანეთი რომ გაიცნეს, იგი კიროვის რაიონის მე-11 პოლიკლინიკაში (ახუნდოვის ქ. 13) ექთანად მუშაობდა, თან საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მდივანი იყო. მამას, სამხატვრო აკადემიის II კურსის სტუდენტს, ცნობა აკადემიურის ასაღებად სჭირდებოდა, რადგან ბაბუა 53 წლის ასაკში გარდაცვლილა და ოჯახი მამას უნდა ერჩინა, ამას დაემატა მამიდა ევას ქმრის დაპატიმრება. ასე და ამგვარად, მამას უმძიმესი ტვირთი დააწვა... ამ პერიოდში გაიცნეს მშობლებმა ერთმანეთი, დაახლოვდნენ და დაოჯახდნენ კიდევ. დედაჩემის დიდი ბიძგითა და მხარდაჭერით, მამა მალე აკადემიაში დაბრუნდა, სწავლა გააგრძელა. დედა მთელი ცხოვრება დღეღამე მუშაობდა, რომ ვერჩინეთ და მამასაც საშუალება ჰქონოდა შემოქმედებისათვის.

პირველი საცხოვრებელი ადგილი მამის დედასთან იყო, რომელსაც ყველა მოფერებით „სონა მამას“ ვეძახდით. მისი ნამდვილი გვარ-სახელი, სოფია მარმერი იყო, გახლდათ ვილნიუსიდან, დიდი რაბინის ქალიშვილი, 18 წლისა ბაბუაზე - ისაქ ჯანაშვილზე დაქორწინებულა, რომელიც სურამელი ებრაელი ვაჭრის შვილი იყო და თვითონაც ამ საქმიანობას მისდევდა. შესძენიათ 2 ვაჟი და 4 ქალიშვილი...

ჯანაშვილების ოჯახსა და თბილისის შესანიშნავ სინაგოგას საერთო კედელი ჰყოფდა, მაგისტრალურ ქუჩას ლესელიძე ერქვა, ჩვენსას კი - ლვინის ჩიხი, რომლის ახლოს შეითან ბაზარი მდებარეობდა, მარცხენა მხარეს - მეტეხის ციხე. მალე ოჯახი ხარფუხში, თელეთის ქუჩის 13 ნომერში, გადავიდა.



ცისანა ჯანაშვილი

ეს ბინა ერთმა მოხუცმა ქალმა შესთავაზა ჩემს გაჭირვებულ მშობლებს იმ პირობით, თუ მას დედა მოუვლიდა და ასეც იყო, სანამ არ გარდაიცვალა... აქედან იწყება ჩემი მესხიერება, მალე ოჯახში ჩემი ძმა, დათო, დაიბადა.

ხარფუხიდან არაჩვეულებრივად მოჩანდა ძველი თბილისის სანახები, მეტეხის ციხე... აი, რატომ გამოვსახავ ჩემს კომპოზიციებში მას ასე ხშირად. შემდეგ იყო ერთთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალში, მერე კი - სახელოსნო მამასთვის ნუცუბიძეზე. მოკლედ, ემიგრაციამდე ვაჟა-ფშაველაზე ვცხოვრობდით.

ზაფხულს მე და ჩემი ძმა ბაგებში, დედის მშობლებთან ვატარებდით, კალოზე ერთი პატარა ქოხი იდგა, სადაც, ცხადია, ვერ ვეტყვოდით. ღამე გარეთ ვმლიდით შალებს და მგლების ყმუილში ვიძინებდით, მორიელეების კბენის სამომროებაც იყო, მაგრამ ასევე ზღაპრული ატმოსფეროც სუფევდა: მაღლა ვარსკვლავებით მოჭყედილი ცა, დაბლა - ციციანათელები და საოცარი ადამიანური ურთიერთობები. ბაგებში ბუბიასთან ჩემი ორი დეიდა და დეიდაშვილი დიანა ცხოვრობდა, რომელთანაც ემიგრაციამდე განუყრელი მეგობრობა მაკავშირებდა, ბიძა კი ოჯახით კიევში ცხოვრობდა და დღემდე იქაა... ასეთ გარემოში გავიზარდე და ცხადია ეს ყოველივე ჩემს ნამუშევრებში აისახა...

— როდის გაემგზავრეთ ისრაელში და რა გრძნობები გაგვართ საქართველოდან?

— 1974 წლის 24 იანვარს ჩვენი ოჯახი ისრაელში გაემგზავრა. სამუხაროდ მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. 1975 წლიდან ჩვენ დედასთან ერთად ნიუ-იორკში, ქვინსში დავიდეთ ბინა.

მე განსაკუთრებული სიმძაფრით შევიგრძენი ემიგრაცია, სამშობლოს დატოვება 19 წლის ასაკში, ადგილის, ამხანაგების, ნათესავების - ყველასი და ყველაფრის. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ყოველ ღამე სიზმრად ჩემი სახლისაკენ მივისწრაფოდი, მიზანს ვერ ვალწვედი და მტანჯველი გრძნობით მეღვიძებოდა... ჩემი ოცნება, მონატრება, სიყვარული ტილოზე გადმოქონდა; ერთი ნახტომით მინდოდა გამეერთიანებინა ჩემი თბილისი და ნიუ-იორკი. ამ თემაზე შევქმენი ტრიპტიქი „ოცნება“. ასე რომ, ჩემს ტილოებში არის ნოსტალგია, მონატრება... საქართველოდან დიდი სიყვარული გამყვავა, ფიქრებში ახლაც ხშირად მივუყვები საყვარელი სასწავლებლის გზას.

— რას იმშნავს თქვენთვის ქართული კულტურა და რატომია ის ასე ახლობელი?

— ქართული კულტურა ორგანულია ჩემთვის, 19 წელი საქართველოში ვიცხოვრე. ბავშვობა, მუსიკა, პოეზია, თეატრი, ფილმები და ღრმა სულიერება - ეს ყველაფერი სამუდამოდ რჩება ადამიანის სულსა და გულში. დიდი შვება იყო ჩემთვის ამ ყველაფრის გამოსახვა ტილოებზე. ვქმნი ადამიანთა პორტრეტებს, ვინც მიყვარს, რომელთა ცხოვრებასაც ვითავისებ, ვისი სულიერი სამყაროც მალეღვებს. „ჩემთვის ხელოვნებაში მთავარია ადამიანი“ — ჩარლი ჩაპლინის ეს ფრაზა ჩემი შემოქმედების კრედაა.



ფიროსმანისა და კობოშვილის შეხვედრა თბილისის ღვინის სარდაფში

დღესდღეობით ზოგადდაცობრიული პორტრეტული ჟანრი წამყვანია. ვხატავ ქართველ, ებრაელ საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, ბიბლიურ პერსონაჟებს, მათ, ვინც კვალი დააჩნია ჩემი ორი ერის კულტურას, ისტორიას. მაქვს ასევე ნატურმორტების სერია... ყოველგვარი გათვლის გარეშე, თანაბრად დამიხატავს ქართველი, ებრაელი... ჩემი კომპოზიციები თავისუფალი, პერსონალურია, ყველამ შეიძლება, ამოიკითხოს თავისი თავი.

— რა არის თქვენი შემოქმედების დედაზრი, საიდან ჩნდება პორტრეტების შექმნის იმპულსი?

— „სიყვარული ცხოვრების გვირგვინია, იგი მოიცავს ყველაფერს“ — ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ჭეშმარიტი სიტყვებია, მეც ადამიანთა სიყვარული მამოძრავებს...

შემოქმედების ურთულეს გზას დავადექი მხატვრობაში, ამ მეტად სასტიკ, მატერიალურ სამყაროში...

მიუხედავად გარშემო ხალხის სკეპტიციზმისა, თავიდანვე მივიღე გადაწყვეტილება — როგორი დაბრკოლებაც არ უნდა შემხვედროდა ცხოვრების გზაზე, ჩემს გეზს არ გადავუხვევდი.

ჩემი სათაყვანო მხატვრები, პოეტები, მწერლები და მეგობრები მარად იქნებიან ჩემი შთამაგონებლები! თავიდანვე ეუფნ დელაკრუას დღიურებს ვკითხულობდი, მისი აზრები, გამონათქვამები ხელოვნებაზე გახდა როგორც წარმმართველი, გეზის მომცემი პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე; ასევე დიდი როლი ითამაშა ჩემს ჩამოყალიბებაში იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედებამ. მისი „რჩეული ლირიკა“ აკაკი გელოვანმა მისაჩუქრა, როდესაც მისი პორტრეტი დავხატე, ისრაელში გამგზავრების წინ. ეს ნიგნი მუდამ ჩემთანაა... ბატონი აკაკის უზომოდ მაღლობელი ვარ!

შინაგან მოთხოვნილებას, ჩემს ინტუიციას დავემორჩილე, გადავწყვიტე უკომპრომისო სვლა ბოლომდე, რომ ჩემს ოცნებას და დასახულ მიზანს არასოდეს ვუღალატებდი.

პორტრეტული ჟანრია ჩემთვის ორგანული, მრავალი სახე გამოვხატე ტილოზე და რასაკვირველია, დელაკრუა და გოეთეც არიან ჩემს გალერეაში...

— შემოქმედების თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი თქვენი ცხოვრების რომელი პერიოდი იყო?

— ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული, სულიერად ამაღლებული განწყობილება მქონდა, რასაც მოჰყვა გამორჩენილ ადამიანთა პორტრეტების სერია, რომელმაც უდიდესი სიხარული მომიტანა. 2009 წელი კი ზღაპრად მექცა, 55 წელი შემისრულდა და მრავალი პორტრეტი შევქმენი: ტერენტი გრანელი, ჩარლი ჩაპლინი, ერნესტ ჰემინგუეი, სერგო ქობულაძე, გალაკტიონი და მერი, ოთარ სეფიაშვილი, სამოელ ბეკეტი, ბორის გაპონოვი, შალომ კობოშვილისა და ფიროსმანის შეხვედრა თბილისის ღვინის სარდაფში, თინათინ მღვდლიაშვილი... ამ პერიოდში გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ წავიკითხე და მისი პორტრეტიც დავხატე („ქვეყანა ქარვასლა და ჩვენ ქარავანი ვართ“). 2009 წელი ჩემს ცხოვრებაში ჭეშმარიტად მაგიური იყო.

— რამდენადაც ვიცი, 65 ტილო საქართველოს საჩუქრად გამოუგზავნეთ...

— ჩემ მიერ შექმნილ ქართველ და ებრაელ მოღვაწეთა პორტრეტებს გადავცემ მუზეუმებს, უდიდესი სიყვარულის ნიშნად სამშობლოსადმი... გრიგოლ რობაქიძის პორტრეტს ვჩუქნი თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს.

ტერენტი გრანელის პორტრეტმა უკვე მის სახლ-მუზეუმში, ნაღენჯიხაში, დაიდო ბინა. ბორის გაპონოვის (რომელიც მიხეილ ფიზიკოსის შესანიშნავმა მონოგრაფიამ შემაქმნევინა), ჩარლი ჩაპლინის, შალომ კობოშვილისა და ფიროსმანის შეხვედრა თბილისის ღვინის სარდაფში, დავით და გერცელ ბააზოვების და კიდევ სხვათა პორტრეტები საჩუქრად გადავციე ქართველ ებრაელთა ისტორიულ მუზეუმს. ასევე, საქართველოშია პეტრე ხვედელიძის, ალექსანდრა ჯაფარიძის, ლევან გოთუას, თინათინ მღვდლიაშვილის, აკაკი ხიდაშელის და სხვათა სულ 50 პორტრეტი, ნაწილი 15 კი გზაშია, მათ შორის - ზვიად გამსახურდიასი, რომელიც მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შევქმენი.

— თქვენ მრავალი მეგობარი გყავთ ამერიკაში, საქართველოში, რას გვეტყვი მათზე?

— მას შემდეგ, რაც ბატონი ოთარ სეფიაშვილი ნიუ-იორკში, ჩემს ახლოს, დასახლდა, მასთან მეგობრობა, საუბრები დიდ ადამიანებზე, მოგონებები გახდა ბააზოვების, გრიგოლ რობაქიძის, ტიცინან ტაბიძის, ფიროსმანისა და შალომ კობოშვილის პორტრეტების შექმნის იმპულსი. მისი ერთ-ერთი ნიგნი შედეგია „ჩარლი, პატარა ადამიანი? — არა გმირი!“ გახდა საწყისი ჩარლი ჩაპლინის პორტრეტის შექმნისა. ბატონი ოთარის შემოქმედება ჩემთვის შთაგონების მუდმივი წყაროა. მისი ნიგნი „ლეგენდა ვარსკვლავზე“ კი ნატო ვაჩნაძის პორტრეტის შექმნით დავვირგვინე. მინდა აღვნიშნო, პორტრეტის დაწყებამდე ძირისძირობამდე ვეცნობი ინტერესის ობიექტის ცხოვრებას, შემოქმედებას, ამ ყველაფრით ვიმუხტები და შემდეგ იწყება პორტრეტზე მუშაობა.

დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში ცნობილმა სპელეოლოგმა, პრომეთეს მღვიმის აღმომჩენმა, ჟურნალისტმა ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა, რომელიც ამერიკაში მივლინებით იყო ჩამოსული. თითქმის 7 წელი გაგრძელდა ჩვენი თანამშრომლობა, რასაც მოჰყვა უამრავი ნერული ჩემი შემოქმედების გარშემო. მან რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება, მისმა ყურადღებამ სტიმული მომცა, რწმენა, იმედი გამიძლიერა და შეიქმნა დიდებულ ქართველთა პორტრეტები. ისინი სისტემატიურად ქვეყნდებოდა ნიუ-იორკში, ჩვენი თემის გახეთში „დავითის ფარი“ (გამომცემელ-რედაქტორი ბატონი სიმონ კრიხელი), თბილისში - „საქართველოს რესპუბლიკა“, ინგლისში — ჟურნალში „თანამემამულე“ (რედაქტორი ზ. მესხი).

მეგობრებში ნამდვილად გამიმართლა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მეცნიერი, ქართული ემიგრაციის ამაგდარი და ქომაგი ივანე ჯაფარიძე, რომლისგანაც არაერთი მეგობრული თანადგომა მახსოვს, ახლაც რადიოგადაცემის თაო-

ბაზე მესაუბრება, მითანხმებს დეტალებს; ასევე პოეტი და მხატვარი გიორგი მელუა; მეტად საინტერესო შემოთავაზება აქვს თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელს, უკვე მეგობარს, რუსუდან კობახიძეს, რომელიც საგამოფენოდ მუზეუმის დარბაზს მთავაზობს; ქალბატონი ნინო მიქაბერიძე, რომელმაც 1997 წლის გამოფენის გზა გამიკაფა ნიუ-იორკიდან თბილისში; მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი აკაკი ხიდაშელი; ჟურნალისტი მანანა არველაძე, მან არაჩვეულებრივი გადაცემა მოამზადა ჩემს შემოქმედებაზე, რომელსაც ფონად ჩემი ძმის, მომღერლისა და მუსიკოსის, დათოს მიერ შესრულებული „სულიკო“ გასდევდა. ეს შესრულება „სულიკოსი“ საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია დაცული, მას ამერიკასა და ინტერნეტ სივრცეში უამრავი მსმენელი ჰყავს. ამ გადაცემამ მთელი თბილისი ააღელვა, ნაცნობსა თუ უცნობს ცრემლი მოჰვარა, ერთმანეთს გასძახოდნენ ფანჯრებიდან და აივნებიდან, ჩქარა ჩართეთ ტელევიზორი, ცისანასა და დათოს აჩვენებენო.

მადლიერების ნიშნად, საქართველოდან გამოყოფილ დიდ სიყვარულსა და მეგობართა თანადგომას, ჩემი შემოქმედებით უკან ვაბრუნებ.

— როგორი განცდაა, როდესაც დიდი სიყვარულით შექმნილი ტილოები გტოვებენ... და პორტრეტები, რომელთაც ვერასოდეს შეეღვევით?

— აღრიდანვე გამოიმჩნეოდა ჩემს ნამუშევრებთან გაყრის იმუნიტეტი. ჯერ კიდევ 19 წლის ასაკში, როდესაც ემიგრაციაში გავემგზავრეთ, მომიხდა დამშვიდობება არა მარტო სამშობლოსთან, არამედ ჩემს 100-მდე ფერწერულ და გრაფიკულ სურათთან... ბევრი ცრემლი ვღვარე. დღესაც მენატრება და სიზმრად ვხედავ დაკარგულ ნამუშევრებს. ისრაელში ისევ მომიხდა დატოვება არა მარტო წმინდა მიწისა, არამედ საკუთარი მამისაც, რადგან მეუღლის მშობლებმა ამერიკაში წასვლა გადაწყვიტეს, იქაც დავტოვე ნახატები.

მე არასოდეს ვხატავ გაყიდვის მიზნით თუ შეკვეთა არაა. ასე რომ, როდესაც ჩემგან მიდის ესა თუ ის პორტრეტი, ჩემი სულიც მას მიჰყვება, მაგრამ ასევე, სიმშვილეს მგვრის განცდა, რომ იქ ივანებენ, სადაც მათი ადგილია... ისინი ხომ საკუთარი სახლში ბრუნდებიან!

არასოდეს დავთმობ მამის პორტრეტებს, ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ ჩემს შექმნილ წარმოსახულ ბიბლიურ სახეებს, აბრაამის, სოლომონ ბრძენის, იოსებ ფლავიუსის, ჯორდანო ბრუნოს, სანამ ცოცხალი ვარ, ისინი ჩემთან იქნებიან.

— რამდენად ხშირად მონაწილეობთ გამოფენებში?

— როცა ახალგაზრდა ვიყავი, გამოფენები მაშინ უფრო მიტაცებდა. უკანაა მოტოვებული ლინ კატლერის გალერეა, ენგელ ვუდი, ნიუ-ჯერსის შტატი, სოხო - „მუსეაი არტ ცენტრი“, ნიუ-იორკისა და ატლანტის „არტ ექსპოზიციონი“; მოწყობილი მაქვს ერთი სტუდიო-ვერნისაჟი, ხუთი პერსონალური გამოფენა და 16 ჯგუფური, მაგრამ განსაკუთრებული მაინც 1997 წლის პერსონალური გამოფენა იყო თბილისში. ჩემმა ქვეყანამ, ქართველებმა სიყვარულისა და ყვავილების ზღვაში ჩამძირეს, იყო წერილები, გადაცემები; ამერიკაში დაბრუნებულმა, ემოციებით სასველ შექმნილი ტილო, რომელსაც ასე დავარქმევდი: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი, შენი ტრფობით ვინვები, მოვკვდები და ფერფლად გადაგეყრები“...

— როგორია თქვენი პირადი ცხოვრება, შვილები, რას საქმიანობენ ისინი?

— ადამიანთა პირადი ცხოვრება რთული, პრეტენზიული და მტკივნეულია, ამიტომ ამ საკითხზე საუბარი ჩემთვის მიუღებელია.


ვარ ქალ-ვაჟის დედა. მყავს ორი შვილიშვილი. ქალიშვილი დალილა გატაცებულია ფოტოხელოვნებით და ხშირად იბეჭდება; რიჩარდი ერთ-ერთი კომპანიის რეკლამების დირექტორია. ის ასევე ნიჭიერად ქმნის კარიკატურებს. ორივე კოლეჯდამთავრებულია.

ამჟამად ვცხოვრობ სამოთახიან ბინაში, სადაც უკვე იმდენი ნახატია, იძულებული ვაგხდი, ავეჯი გადამეყარა, ერთი სავარძელია დავიტოვე.

— უამრავი ფერწერული ტილოა თქვენს ირგვლივ, რაზე მუშაობთ ამჟამად?

— დღესდღეობით რევან გაბაშვილისა და დოდო ამილახვრის პორტრეტებს ვხატავ კომპოზიციაში. ჩემს სტიქიაში ვარ და ეს ბედნიერებაა...

გრძნობა ყველაფერი - თქვა გოეთემ, რევან გაბაშვილის დამოკიდებულება დოდოს მიმართ, მისი სულიერი ცხოვრების რომანია... გაბაშვილის სიყვარულის ტაძარს საძირკველი დედამიწაზე აქვს, მხოლოდ გუმბათია მისი ციურ სიმაღლეზე. მუშაობის პროცესში სულ გოეთეს ლექსი „დარდის სიამე“ მახსენდება და ჩემთვის ვიმეორებ: „**ნუ დაშრებით, ნუ დაშრებით წამითაც, მარადიულ სიყვარულის ცრემლებო! აჰ, ნახევრად დამშრალ თვალში ქვეყანა რა მკვდარი და პარტახი ჩანს, ცრემლებო! ნუ დაშრე-**



სოთარ სეფიაშვილი

ბით, ნუ დაშრებით წამითაც, უბედური სიყვარულის ცრემლებო!

არ შემიძლია, განსაკუთრებული სიყვარულითა და მადლიერებით არ ვისაუბრო ამჟამად ნიუ-იორკში მცხოვრებ ჩემ მეგობარზე, ციცი-ნო ჯერვალიძეზე, რომლის ნიგნიც „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ (რ. გაბაშვილის წერილები), გახდა შთამაგონებელი ამ კომპოზიციის შექმნისა; ასევე ბატონ როსტომ ჩხეიძის არაჩვეულებრივი რომანი „ვითა სიზმარი ღამისა“ (რევან გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა), რომელშიც ამ დიდებული ქართველი ემიგრანტის ცხოვრების ყოველი კუთხე-კუნჭული იშვიათი ოსტატობითაა დახატული. ამჟამად, ამ ორი ნიგნით ვსულდგმულობ და ნელ-ნელა კომპოზიცია იქმნება...

ციხანა ჯანაშვილს

საკმარისია ცა იყოს ლურჯი, და რწმენა კლდეზე ამოკვეთილი, რომ სუსტი ქალის თითებშიც ფუნჯი მადლით ალივსოს მოსეს კვერთხივით... საკმარისია მიგნება ფრაზის, და მოლბერტის წინ ქალი-პირიმზე, რომ დაემსგავსოს ყოველი ხაზი ცეცხლნაკიდებულ რწმენის ბილიკებს. საკმარისია ფერი და სივრცე, გასაოცარი ლოცვა და მესხა, რომ პერგამენტზე ამღერდეს მტკიცედ, იაკობისთვის ალთქმული ზეცა.. საკმარისია ცა იყოს ლურჯი, და რწმენა კლდეზე ამოკვეთილი, რომ სუსტი ქალის თითებშიც ფუნჯი მადლით ალივსოს მოსეს კვერთხივით...

სოსო ნადირაძე

მარინე ტურავა

ქართული კრიტიკა არსებობს

ცოდნა კუმულაციური ხასიათისაა, ახალი ცოდნა ძველი კონცეფციებისა და თეორიების კრიტიკის საფუძველზე იქმნება, მაგრამ რას ფუფუნება ე.წ. „ახალი კრიტიკა“, რომელიც ასეთი პოპულარული და მოდურია დღეს მსოფლიოში. ეს არის მიმართულება თანამედროვე ამერიკულ და ევროპულ კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში, რომელიც განიხილავს მხატვრულ ნაწარმოებს, როგორც თვითკმარ „პოეტურ ფენომენს“ და ანალიზებს მას საზოგადოებრივი, ისტორიული და ბიოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებულად. „ახალი კრიტიკა“ ჩამოყალიბდა სოციოლოგიურ, კულტურულ-ისტორიულ და მე-19 საუკუნის სხვა პოზიტივისტურ მიმართულებებთან პოლემიკაში. უმთავრესი ამ მეთოდისათვის არის „საფუძვლიანი წაკითხვა“ (close reading), ტექსტის ღრმა ანალიზი, მისი ამბივალენტურობის დადგენა. თუ ქართულ კულტურულ სივრცეში აქამდე დომინირებდა აზრი, რომ ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში არ არსებობს, ამ ბრალდებას ბოლო დროს ოდნავი სახეცვლილება განიცადა — თანამედროვე ქართული კრიტიკა ახლოსაც ვერ მივა „ახალ კრიტიკასთან“, მის მეთოდებთან, დონესთან და ა.შ.

ბევრი ვიფიქრე, რა ინვესს ასეთ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, როცა რამდენიმე ყურადსაღები ლიტერატურული გამოცემა გამოდის, სადაც საკმაოდ კარგი კრიტიკული წერილები იბეჭდება, არსებობს ლიტერატურული ბლოგები, ბოლოს და ბოლოს მუშაობს ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ ლიტერატურის ანალიზით არის დაკავებული. თუმცა, როგორც ჩანს, ეს პრობლემა უფრო ძველია და ღრმა ფესვებიც აქვს. „სამოციანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, რევაზ თვარაძე, ოტია პაჭკორია, ნოდარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი გამოვიდნენ, ქართული სალიტერატურო კრიტიკის არანაირ ჩამორჩენაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი, რა არის კრიტიკის მიმართ მწერლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ამგვარი დამოკიდებულების ფარული მიზეზი (მიზეზები), მე მგონი ვიცი, მაგრამ ამაზე სხვა დროს“, — წერს ლევან ბრეგაძე თავის ცნობილ წიგნში „მოთხრობები ლიტერატურაზე“, რომლისთვისაც 2009 წელს ლიტერატურული პრემია „საბა“ მიიღო. არადა ყველაზე მეტად ამ საკითხზე სწორედ ლევან ბრეგაძის აზრი იქნებოდა საინტერესო, ვინც დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი აღიარებულ მეტრად ითვლება.

ჩვენში კრიტიკის ფუნქცია ცალმხრივად ესმით. კრიტიკოსმა აუცილებლად უნდა დაინუნოს, უნდა გაროზგოს, განკეპლოს ავტორი და, თუ საჭირო იქნა, სასჯელისთვისაც გაიმეტოს, როგორც იმ ავადსახსენებელ საბჭოთა წარსულში იყო, სადაც კრიტიკოსის მოსაზრება უფრო საბრალდებო დასკვნას ჰგავდა. არადა იქნებ სხვა ფუნქცია უფრო საყურადღებოა — ნაწარმოების მხატვრული ანალიზი და რეკონსტრუქცია, ახლის აღმოჩენა, დაფარულის გამოამკარავება და ამით მკითხველის დაინტერესება. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, მაგრამ არ გულისხმობს ავტორის აუტოდაფეს, განკითხვის დღეს, გულისხმობს რჩევას, რომელიც მომავალში ან ამ ავტორს გამოადგება, ან სხვას, რომ ლიტერატურა უკეთესი გახდეს, მკითხველმაც ზუსტად იცოდეს მხატვრული სიტყვის ფასი. ნამდვილი კრიტიკა არც გაუთავებელ დიტირამებზე და ავტორის ქება-დიდებას გულისხმობს.

სწორედ ამგვარი ნამდვილი კრიტიკის ნიშნები „მოთხრობები ლიტერატურაზე“.

ეს არც კრიტიკული წერილებია, არც რეცენზიები და ესეები, ეს არის ავტორის მხატვრულ-კრიტიკული რეფლექსია

ლექსზე, მოთხრობაზე, რომანზე, ესეისტურ თხზულებაზეც კი. როგორც თანამედროვე კრიტიკოსს, ლევან ბრეგაძეს, პირველ რიგში, ტექსტი აინტერესებს: „ავტორს იმედი აქვს, რომ შეძლებს მკითხველის აყოლიებას და მოუწყენლად ტარებას მხატვრული ტექსტის საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე, ვინაიდან ხანგრძლივი გამოცდილებით იცის: მთხზველთა ოსტატობის შესახებ თხრობა არავის ტოვებს გულგრილს, რისი მიზეზიც ის უნდა იყოს, რომ ყველა ჩვენგანი, მეტად თუ ნაკლებად მთხზველია“, ვკითხულობთ შესავალში.

დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ ლიტერატურაზე ასეთი ინტერესით, სიყვარულით, გატაცებით ისაუბრო... უფლებაა საჭირო, რომ წიგნს ლიტერატურაზე ასე დაარქვა. ლევან ბრეგაძემ მოიპოვა ეს უფლება. „გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის სახელი“, ამბობდა ტერენტი გრანელი. საქართველოში არანაკლებ ძნელია დაიმსახურო კრიტიკოსის სახელი.

კრებულში არაერთი საინტერესო მოთხრობაა ლიტერატურაზე: აკაკი ბაქრაძის, ჯემალ ქარჩხაძის, სოსო პაიჭაძის, აკაკი წერეთლის, მუხრან მაჭავარიანის, ივანე ნიკლაურის, გურჯა კვარაცხელიას, ნაირა გელაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ნინო დარბაისელის, ზაურ კალანდიას, ანა კორძია-სამადაშვილის და სხვათა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნააზრებზე. ლევან ბრეგაძე „ახალი კრიტიკის“ ერთგულია, როცა ტექსტის ანალიზით, მისი უღრმესი შრეების კვლევით არის დაკავებული, განსჯის საგნად აქცევს მწერლის ფრაზას, სინტაქსს, შედარებებსა და ასოციაციებს, ინტონაციას, სიტყვათქმნადობას, მეტაფორულ აზროვნებასა და ა.შ. ამ პოზიციიდან არის დაწერილი „პოეტური სასწაული“, რომელიც მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ სიახლეებს ეძღვნება. იგი მთლიანად ლექსის იმანენტურ ანალიზზეა აგებული.

მოთხრობების ნაწილში ლევან ბრეგაძე ტრადიციული მეთოდების ერთგულია და მსოფლიო თუ ქართული ლიტერატურის კონტექსტში განიხილავს ამა თუ იმ ნაწარმოებს, პრობლემას და ეს სულაც არ უშლის ხელს ტექსტის ანალიზში. „შენც წახდი, მეც წამახდინე“ აკაკი წერეთლის რამდენიმე ისტორიული ნოველის ანალიზს ეთმობა, რომელთა უმთავრესი მოტივიც — „ქართველთა უძველესი ეროვნული ჭირი — ერთმანეთის გაუტანლობა, ძმთა შორის შურია“. წარმოუდგენელია ამ პრობლემაზე წერა ქართული ლიტერატურის ერთიანი კონტექსტის გაუთვალისწინებლად, ამიტომაც ლევან ბრეგაძე „შუშანიკის ნამებიდან“ მოყოლებული გადავლებს თვალს სხვადასხვა კუთხიდან აღქმულ „შულსა და ქიშპს“. მკვლევარი კარგად იცნობს ევროპულ ლიტერატურასაც. „ლაკონური, მაღალინფორმაციული ექსპოზიციებით დიდი გერმანელი რომანტიკოსი ჰაინრიხ ფონ კლაისტია ცნობილი. აკაკის ეს ექსპოზიცია არაფრით ჩამოუვარდება კლაისტისას, თუმცა ერთნაირ მიზანს ეს ორი მწერალი განსხვავებული ხერხებით აღწევს.“ ქართველი რეალისტი მწერლის შედარება გერმანული რომანტიზმის გამოჩენულ სახელთან, მხოლოდ ღირსებას მატებს წერილს და არაფერს აკლებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლევან ბრეგაძე რეცეფციული ესთეტიკის მნიშვნელობას თანამედროვე ლიტერატურაში და ამ თვალსაზრისით განიხილავს სხვადასხვა პოეტურ ნიმუშს. რეციპიენტის აქტიური თანამონაწილეობა, მკითხველის მზაობა ტექსტის გასაგებად აუცილებელია ნაწარმოების მხატვრული რეალიზებისათვის. ტექსტის განხილვა, რეცეფციული თვალსაზრისით, ლიტერატურის კვლევაში წინგადადგმული ნაბიჯია, სწორედ ამაზეა საუბარი კიდევ ერთი მოთხრობაში „მე ვწერ, მკითხველო, შენი იმედით.“ ნავიდა ის დრო, როცა მკითხველს „ტვინის ჭყლეტა“ არ სჭირდებოდა ნაწარმოების გასაგებად, ალბათ, ამიტომაც იკლო ჭეშმარიტი მკითხველის რიცხვმა და იმატა ხარისხმა. კითხვამ აქტიური ქმედების სახე მიიღო, ამიტომაც წერს ავტორი: „ამ მოძღვრებამ აამაღლა მკითხველის სტატუსი, მიაპყრო რა ყურადღება არამარტო მის დიდ როლს ტექსტის აღქმისას ნაწარმოების „გაცოცხლების“ საქმეში, არამედ მის იდუმალ თანამონაწილეობასაც ტექსტის შექმნის პროცესში.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ლექსის, ერთი პოეტური ქმნილების ანალიზი ლევან ბრეგაძისათვის უმნიშვნელოვანესი პროცესია და ამას ყოველთვის დიდი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდება. ეს ანალიზი ყველა მხარეს მოიცავს — იდეურ-ესთეტიკურიდან დაწყებული მეტრული კვლევით დასრულებული.

პლაგიატის არსებობაზე ლიტერატურაში არაერთი წერილი დაწერილა, მაგრამ ლევან ბრეგაძის „ანტიგუგული“ სათაურითაც იპყრობს ყურადღებას, ჭარბი ინფორმაციითაც და სანდო ანალიზითაც. ეს არის გამოხმაურება როსტომ ჩხეიძის სტატიაზე „მინამდისინ თუ თმას გაღვივარცხნი“ („ჩვენი მწერლობა“, №4, 2000), რომელშიც ლიტერატურულ გავლენებზე, ნასესხობაზე, პლაგიატზე იყო საუბარი. ლევან ბრეგაძე დასაწყისშივე ხსნის წერილის სათაურს: „გერმანელმა პოეტმა ოსკარ ბლუმენტალმა (1852-1917) ერთ თავის ეპიგრამაში პლაგიატორს შებრუნებული გუგული ანუ ანტიგუგული უწოდა: ნამდვილი გუგული თავის კვერცხებს სხვის ბუდეში დებს, შენ კი სხვის კვერცხებს იპარავ და საკუთარ ბუდეში ათავსებო.“

ლევან ბრეგაძის სტატიაში დაუფრებელი ლიტერატურული ფაქტებია ასახული, მათ შორის აღიარებულ, სახელოვან მწერალთა ბიოგრაფიებიდან, შემოქმედებიდან... ერთხელ დაწერილის სხვაგვარად, განსხვავებულად წარმოჩენის დაუოკებელი სურვილია მხილებული — კონკრეტული პარადიგმებითა და მაგალითებით, საგულისხმო ფინალიც მკითხველის სამჯავროზე: „ერთი წიგნიდან თუ გადაინერ — ეს პლაგიატია, ორი წიგნიდან თუ გადაინერ — ესეი, სამი წიგნიდან თუ გადაინერ — სადოქტორო დისერტაციაა, ხოლო თუ ოთხი წიგნიდან გადაინერ — მეხუთე წიგნი გამოვა“ (როდა როდა), არანაკლებ საგულისხმოა გერმანულ რაიხელის სიტყვები: „ორიგინალობა, ეს არის ხელოვნება, დაიმასხორო, თუ რამეს ჭკვიანურს გაიგონებ, და დაივინყო, სად გაიგონე.“ მკითხველს ისლა დარჩენია, კრიტიკოსის მსგავსად, მსუბუქი ირონიით შეხედოს ამ პრობლემას და მხოლოდ თავისი განათლების იმედი იქონიოს...

სემიოტიკური კვლევები ენის გასატყვის ჰგავს ხშირად, სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია კიდევ უფრო ართულებს ამ სამყაროში შეღწევას. თითქოს შეუძლებელია მარტივად, გასაგებად ამაზე საუბარი. ნიშნობრივ მოვლენებს, როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობის შედეგს, ვერ კიდევ სტოიკოსებმა მიაქციეს ყურადღება. სემიოტიკა, როგორც ნიშნებისა და ნიშანთა სისტემების შემსწავლელი დისციპლინა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. იგი აერთიანებს ცოდნის ყველა მიმართულებას სიგნიფიკატორულ მოვლენებზე. თეორიულ მიდგომათა გარკვეული სხვადასხვაობის მიუხედავად, ნიშნის კლასიკურ განსაზღვრებად აღიარებულია ამერიკელი ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის ჩარლზ პირსის დეფინიცია: „ნიშანი ახდენს საგნის რეპრეზენტაციას და ენაცვლება მას ცნობიერებაში“ — სემიოტიკის ყველაზე მოკლე, თითქოს გასაგები დეფინიციაც კი, რთული და ჩახლართულია. ლევან ბრეგაძემ მოახერხა და ერთ წერილში „როგორ ვასწავლი სემიოტიკას ორ საათში“, ერთი მხრივ, თავისი შედაგოგიური გამოცდილება გაგვიზიარა, მეორე მხრივ კი, ეს ურთულესი პრობლემა ნებისმიერი მკითხველისათვის გასაგებ, ხელმისაწვდომ ენაზე განმარტა.

ზოგადად ლევან ბრეგაძის კრიტიკული რეფლექსიისთვის ურთულესი საკითხების მარტივად, გასაგებად გადმოცემა სრულიად ბუნებრივია. მკვლევარს არ უყვარს, ჩვენში მოდური, ტერმინებისა და გამოთქმების დახვევა, სათქმელის ხელოვნურად გართულება. ეს ქმნის ილუზიას, რომ ასე წერა ყველას შეუძლია, მაგრამ ლევან ბრეგაძის სისადავის გამოერება ადვილია, სიღრმისა კი ძნელი, ამიტომაც მის პლაგიატორებს აშკარა



მარცხი და ხელმოცარვა ემუქრებათ. ლევან ბრეგაძის კრიტიკული სტილი დიდი განათლების, ერუდიციის, შინაგანი წვის, მრავალწლიანი გამოცდილების შედეგია, ამიტომაც არის ასეთი დახვეწილი, რაფინირებული.

ცალკე დგას წერილი „ქართული პოსტმოდერნიზმი“, რომელიც ამ თემაზე არსებულ ნებისმიერ სალექციო კურსს შეიძლება დაედოს საფუძვლად. ტერმინიდან დაწყებული, ყველა სადავო და მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურად არის შესწავლილი. ავტორი აქაც არ ლალატობს თავის თავს და ურთულესი ტერმინებისა და ხერხების გასაგებად ახსნას ცდილობს. ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება, მეტატექსტი, რიზომა, „სიჭარბის ხერხი“ — ამ წერილის წაკითხვის შემდეგ არ გეჩვენება ასე საშიშად და უცხო. აქვე გაანალიზებულია ქართული პოსტმოდერნისტული ნაწარმოებები. კვლე

ვა საგულისხმო დაკვირვებით სრულდება: „რა ფორმებს შეიმუშავებს ახალი ეპოქის, ახალი (სხვა) მოდერნის ხელოვნება, ახლა ამის გამოცნობას ალბათ ვერავინ შეძლებს. ეპოქის მაქსიმალურად შესატყვისი ფორმების მოძებნას დრო სჭირდება. მანამდე კი პოსტმოდერნისტული ინერცია გაგრძელდება. და, მე მგონი, იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ თხრობის ესეისტურ მანერას არც პოსტმოდერნიზმის მომდევნო მიმდინარეობისგან (ნეტა რა სახელს შეარქმევენ) მოაკლდება ყურადღება.“

დღეს იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ ლევან ბრეგაძემ თავისი კვლევებით, წერილებით, ესეებით ქართული კრიტიკის ახალი ნაკადი დაამკვიდრა — არა მამხილებელი, არა შემძახებელი, არამედ რეფლექსიასა და განსჯაზე, ტექსტის ღრმა ანალიზსა და იმანენტურ ჩხრეკაზე დამყარებული. არ ვიცი, რამდენად ჰყავს მას მიმდევრები, მაგრამ ფაქტია, რომ ლევან ბრეგაძის გამოზომილი კრიტიკული სტილი და მანერა ყოველთვის მიიპყრობს ახალგაზრდა მკვლევართა და ლიტერატორთა ყურადღებას.

ლევან ბრეგაძეს სავესებით მიესადაგება ჰერმან სიტყვები: „ნამდვილი კრიტიკოსი არის ადამიანი, რომლის კრიტიკული აზროვნების იმპულსი გამოწვეულია არა მონდომებითა და განათლებით, გამოცდილებითა და ცოდნით, არა პატივმოყვარეობითა და ავი ზრახვებით, არამედ კეთილგანწყობით, გონების სიმახვილით, ანალიტიკური აზროვნებით, კულტურისადმი სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობით.“

ქართული კულტურა, ზოგიერთი გამოწაკლისის გარდა, თითქოს ვერ ჰგუობს ფრანგული რივიერას მსგავს ფენომენს და გერტრუდა სტაინის, ეზრა პაუნდის მსგავს მოღვაწეებს. მარტინ ვალზერის უკანასკნელი რომანი „კრიტიკოსის სიკვდილი“ გარშემო ატყეხილი ამბებიცა და სკანდალური უცხოა ჩვენთვის. უცხოეთში კრიტიკოსის აზრს, მის შეფასებებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის წარმატებაში, რომ ცნობილი მწერალი მარტინ ვალზერი გერმანიის ლიტერატურულ წრეებში კრიტიკოსის მარსელ რაიხ-რანიცკის მხილებასა და შურისძიების მცდელობაში დაადანაშაულებს, რის გამოც მწერლის „კრიტიკოსის სიკვდილი“ გერმანულმა ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა არ მიიღო.

აქვე უნდა აღვნიშნო, ლევან ბრეგაძის მთარგმნელობითი საქმიანობაც, მარტინ ვალზერის ცნობილი ესეი „რაგომ კითხულობენ ნიგნებს“ სწორედ მან თარგმნა ქართულ ენაზე. გერმანული მარსელ რაიხ-რანიცკის, შვეიცარელი პეტერ ფონ მატის მსგავსი კრიტიკოსები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ლიტერატურულ ცხოვრებას ევროპასა და ამერიკაში. მგონი, სწორედ ამგვარი კრიტიკის არსებობის ემინიათ მწერლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, როცა ქართული კრიტიკის არარსებობაზე ლაპარაკს ჯიუტად, დაჟინებით აგრძელებენ.

არადა მხოლოდ ლევან ბრეგაძისა და მისი კრიტიკული წერილების, პორტრეტების, ესეების, მოთხრობების... არსებობა იკმარებდა ამ აზრის გასაბათილებლად...

შოთა ძიძიგური

რამდენიმე სიტყვა ოთარ ჩხეიძის „ალმარტ-დალმარტის“ გამო

ეს ნიგნი რისიმე მიმსგავსებით დანერგოს არა ჰგავს და ბუნებრივი იყო, რომ ამ „ერთი ჭაბუკის ცხოვრების ეპიზოდში“ ბევრი რამ კარგი დავინახეთ პირველად: ნაწარმოებში იგრძნობა ღრმა ფიქრი, შემოფოთება, გულისტკივილი, სიმართლისადმი ჩანვდომის სურვილი, ზიზღი უარყოფითისადმი, სიყვარული უბრალო ადამიანისადმი. იგი სატირაა დღემდე შემორჩენილ არაკაცებზე, ცხოვრებას რომ ამღვრევენ და ანაგვიანებენ. იგი სიყვარულით გამთბარი თანაგრძნობაა იმ ადამიანებისადმი, ცხოვრებას ნათელი თვალებით რომ შეჰყურებენ და მისი დიდი ქურიდან უცხო, დამნავეიანებელი მინარევების მიუხედავად კეთილშობილი ლითონებით წმინდანი და ფაქიზნი გამოდიან საბოლოოდ. ეს არის ერთი შეხედვით ჩვენი პირველი შთაბეჭდილება ამ ნაწარმოებზე.

ავტორი მეტისმეტად გაბედულია, ძალზე შორს მიდის მამხილებელი ფაქტებით, მისი მხატვრული ჩვენებით. მეერ რა! სწორედ ეს არის კარგი, სწორედ ეს უნდა იყოს ჭეშმარიტი მწერლის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება. თანამედროვე ქართულ მწერლობაში უკვე საფუძვლიანად მომწიფდა საკითხი, რომ ვიყოთ ნამდვილად გულწრფელი, გაბედულნი, უღმობელნი სიმახინჯის მიმართ, ტრფიალნი ყოველივე მშვენიერისა. ამას მოითხოვს მთელი სიმწვავეთ დრო და ვითარება, ამას მოითხოვს ჩვენი საზოგადოებრიობა. ასეთი მიმართება, ასეთი შემართება მწერლისა, ნამდვილი ნიჭიც თუ ახლავს თან, უთუოდ დიდი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ოთარ ჩხეიძის ნიჭსა და შესაძლებლობაში, მიუხედავად იმისა, რომ გაბედულება და შემართებაც არ აკლია ამ მოთხრობას, შემოქმედის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მე, როგორც მკითხველს ოდნავადაც არ განმიცდია.

თითქოს რა უნდა ჰქონდეს რომელიმე გამომცემლობას სანინალმდეგო იმისა, რომ დაბეჭდოს ნიგნი, სადაც „ბულდოგისთანა“ ნაძირალები ასე გაბედულად არიან მხილებულნი? სადაც იონასთანა გაქნილი ყალბაბანდები ნამდვილი რეალური სახით არიან წარმოსახულნი ასე ხევაერიელი ფერებითა და ტიპიური გარემოთი? ეს ხომ ჩვენს საზოგადოებაში შემორჩენილი უარყოფით მოვლენათა მართალი და მძაფრი კრიტიკაა! დიახ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს კარგია და მისაღები. ჩვენ სასვებით ვეთანხმებით მწერალს პრინციპში, — ჰქვდას სახე მედლის ორივე მხარეზე სარკასტული მტრებით რომ ამოტვიფრა. „ბულდოგის“ ოჯახურ სამყაროში აღზრდის პროდუქტი სხვანაირი მორალური სახით თითქოს ვერც ჩამოუყალიბდებოდა, — მაგრამ ეს არის და ეს. ამის შემდეგ არც ერთი მხატვრული სახე აღარ არის დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, რა უნდა ვთქვათ ფლორაზე? რატომ გადააქცია წმინდა კომერციის საგნად თავისი სხეულის სილამაზე სასვებით ჯანმრთელმა, შრომი-სუნარიანმა, სულით ნათელმა და თავმოყვარე ქალმა? ვერ იშოვა სამუშაო, ვერ ჰპოვა დასაყრდენი საზოგადოებაში? იქნებ შემოგვედავონ და გვითხრან: — ხომ ხდება ზოგჯერ ჩვენს სინამდვილეში ასეთი რამეო. დიახ, ხდება მაგრამ ფლორას სახეში დამაჯერებლად და ლოგიკურად არ არის მოტივირებული მიზეზები, რამაც გამოიწვია მისი ასეთი უკიდურესი დაცემა. და ამიტომ გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენში არსებობენ რალაც სოციალური და საზოგადოებრივი ტენდენციები, რომლებიც ხელს უწყობენ ფლორასთანა ახალგაზრდებს დაადგენენ მოლოპულ დამღუპველ გზას.

რაც ფლორაზე აღვნიშნეთ, ნაწილობრივ ეს ითქმის ლენტოზეც, ნაწარმოების მთავარ გმირზე. ლენტოს სახის შენებაში ავტორი სატირულ-ლირიკულ გზას ადგია. თუმცა ზოგჯერ დაკვირვებული მკითხველიც კი ვერ მიხვდება, სად თავდება სატირული, სად იწყება ლირიკული ტონები და — პირიქით. სასვებით უარყოფა ლენტოს სახის ტიპიურობისა და რეალურობისა უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ერთის

მხრივ, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მეტისმეტი გადაჭარბებული კონტრასტული ფერებითაა ნახატი და მეორეს მხრივ, მასში ძალიან ბევრია „ამოუვსებელი“ ადგილები. მაგალითად ჩვენთვის სრულიად აუხსნელია, რამ მიიყვანა ლენტო ქაშვეთის ეკლესიაში, რამ დაანთებინა სანთელი და რამ დააღვრევინა წმინდა მღვდლარე ცრემლები. ავტორი ამტკიცებს — „ინსტინქტმაო“. და ჩვენც ლამის ვირწმუნოთ, რომ ყოველ ადამიანში სთვლემს ღვთაებრიობისადმი რწმენა და ინსტინქტი მისი შეცნობისა.

ყველაზე დადებითი პერსონაჟი — ფარნაოზი ცარიელი სქემა და მეტი არაფერი. ეს მამინ, როდესაც უარყოფითი ტიპები შედარებით სისხლსავსედ, ცოცხლად გამოიყურებიან და უფრო მკაფიოდ არიან გამოძერწილნი. ჩვენ სრულიადაც არ ვიზიარებთ ლიტერატურაში გავრცელებულ შუქ-ჩრდილების თანაზომიერად განლაგების ყალბ თეორიას, მაგრამ არც იმის მომხრე ვართ, რომ ასეთ ბნელ და ჭუჭყიან ფონზე წარმოვუსახოთ ჩვენს ახალგაზრდობას თანამედროვე ადამიანების ცხოვრება.

პოეტ ალაძის (თუ გალაძის) სახე განზრახ მოვიტოვეთ ბოლოსათვის. აქამდე ზემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟებზე ვლაპარაკობდით, როგორც წმინდა, მხატვრულად განზოგადოებულ სახეებზე, თუმცა ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ისინი დოკუმენტური მასალის სატირული ასლები იყვნენ (მაგალითად იონა — იგივე იონა გრძელმიშვილი ნამდვილად არსებული და საკმაოდ გახმაურებული პიროვნება).

ჩვენ ახლა გვინდა ვილაპარაკოთ არა მხატვრულად განზოგადებულ სახესა ან ხასიათზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პიროვნებაზე, მწერლის დახასიათებით რომ ვთქვათ გახრწნილ, მექრთამე, სინდისდაკარგულ, თავისი შემოქმედებითი ნიმუშებით უსიროცხვილოდ მოვაჭრე და გარყვნილი ადამიანზე. ავტორი ცხადი და პირდაპირი ნიშნებით მიგვანიშნებს, რომ იგი პოეტი კარლო კალაძეა, იგივე ოდილაგაძე. და სრულიად ბუნებრივად დაგვებადა აზრი, რომ ეს ნიგნი პირადი შურისძიებით აგზნებული კაცის ყველაფრის ნამლეკავი ზიზღით დანერილ პამფლეტად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე მალაქი მოვალეობით, საზოგადოებრივი იდეალების შთაგონებულ მხატვრულ ნაწარმოებად. ეს უკვე უმძიმესი ბრალდებაა ცნობილ ქართველ კომუნისტ მწერალზე, საზოგადო მოღვაწეზე, რომელსაც სულ სხვანაირად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მწერალი ნიგნის ბოლოში ამბობს: მეშინია „ეს ნიგნი წმინდად სახმარი, არავინ გამიჩირქოსაო“ — ვფიქრობთ კარგი იქნებოდა ამ წმინდა მცნებას პირველ ყოვლისა თვითონ ის მისდევდეს...

ძალზე გადატვირთულია სიუჟეტი დეტალებით და ყოველგვარ საზღვარს გადაცილებულია მრავალსიტყვაობა. ამბავს თითქმის სრულიად ნთქავს ეპიზოდური აღწერილობანი, სადაც მხატვრული საშუალებანი ზოგჯერ დეკადენტური არსენალიდანაა ნასესხები (მაგალითად, ლენტოს მოჩვენებები, შიშველი ძვლების კომმარული კაკოფონია და სხვ.). ეს მრავალსიტყვაობა და აღწერილობანი აღუნებს სიუჟეტურ ბერკეტებს, მოქმედებას. ამ მოზღვაებული რემარკებისა და ლირიკული გადახვევების გარეშე მოთხრობილი ამბავი ას გვერდზე თავისუფლად დაეტეოდა. ამას უნდა დაუშვათ ისიც, რომ ეპიზოდებისა და კომპონენტების განლაგება არათანაზომიერია მოცულობისა და მიზანდასახულობის თვალსაზრისითაც (მაგალითად, ძალზე გაჭიანურებულია გვერდებზე ლენტოსა და ფარნაოზის სვანეთში მოგზაურობა, აგრეთვე მათი ალპინისტური ექსპედიცია და სხვ.).

ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზისაგან, ვფიქრობ გვიჯობს თავი შევიკავოთ. ვიტყვით, მხოლოდ, რომ მისი ნაკლოვანებანი ძირითადად ნაწარმოებების მხატვრულ-სტილისტური ხასიათიდან გამომდინარეობს. ჩვენის აზრით, იგი ხელოვნურია, ხშირად ბუნდოვანია, უმიზნოდ სიტყვაჭარბია. იქნებ ვცდებით, იქნებ ავტორი ცდილობს შექმნას ახალი, სატირულ-ლირიკული

ნანარმოებისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ენა და სტილი. იქნებ ეს ცდა ნაწილობრივ მაინც გამართლებულია. ამაზე ჩვენ უარყოფითად ვუპასუხებთ, თუმცა ვალიარებთ, რომ ჩვენი ასეთი თვალსაზრისი მთელ ნანარმოებზე არ ვრცელდება; ვალიარებთ, რომ ოთარ ჩხეიძე ამ მოთხრობაში გვევლინება დიპლომატის შესანიშნავ ოსტატად, ზოგჯერ ვირტუოზულ მთხრობ-

ლადაც კი, მაგრამ საერთოდ ნანარმოების ენა მეტისმეტად თავისუფალია ბუნებრივი კანონზომიერებისაგან. ზოგჯერ ისიც კი გვეჩვენება, რომ ავტორი ამ სატირაში არა მარტო უარყოფით ტიპებს დასცინის, არამედ თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასაც.
ნიგნის გამოცემა მიზანშეუწონელია.

რეცენზიის რეცენზიად

(ეპიზოდი შოთა ძიძიგურის კულუარული საქმიანობიდან)

ამ გვარმოუწერელ რეცენზიას, გამომცემლობის შეთავაზებით დაწერილს, გზას რომ გადაუღობავდა ოთარ ჩხეიძის რომანის „აღმართ-დაღმართი“ წიგნად დასტამბვას, დეტალურად განვიხილავდი ჩემს ბიოგრაფიულ რომანში „ავგისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“. ასეთი შიდარეცენზიების დაკვეთა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ საბჭოთა ეპოქის საგამომცემლო ცხოვრებაში — მოძალებულ ავტორთა მოსაგერიებლადაც და „იდეურად საეჭვო თხზულებათათვის“ გზის მოსაჭრელადაც. ამასთან, სათანადო ჰონორარიტაც უხვად ამარაგებდნენ დირექტორები თუ მთავარი რედაქტორები ნაცნობ-მეგობრებს, საკმაოდ შემოზღუდული წრე რომ იკვროდა ამა თუ იმ გამომცემლობის ნიაღში და იქ შეღწევა ადვილი არ გახლდათ, რაკილა იოლი შემოსავალი ან ვის მოჭარბებია და ან ვის ეთმობა?!

იშვიათად გამოერეოდა ამგვარ წრეებში კეთილსინდისიერი და გემოვნებიანი ლიტერატორი, გულდასმით რომ გაეცნობოდა ხელნაწერს და დასაწუნს დაინუნებდა, მოსაწონს კი ყოველმხრივ ამოუდგებოდა გვერდში. საქმოსნური გარემო უფრო იქმნებოდა — მედროვეობისა და უნიჭობისათვის მეტად ხელსაყრელი, ნამდვილ ლიტერატურულ ქმნილებათათვის კი დიდად დამაბრკოლებელი, თუ სულაც გზის გადაშეკვეტი არა.

რეცენზიები, როგორც წესი, აწონიშურად ინერებოდა, რათა უმეტესწილად განაწყენებულ მწერალს სამაგიერო არ გადაეხადა უარყოფითი დასკვნისათვის, ანდა ვაითუ რაიმე გზით ეიძულებინა ოფიციალური თუ მოხალისე კრიტიკოსი, რეცენზია პირნიშნად გადაეკეთებინა და საპირისპირო დასკვნით დაებოლოებინა.

დაფარვით მაინც არ იფარებოდა, თუმცა რეცენზენტს საშუალება ეძლეოდა ფიცი-მტკიცს მოჰყოლოდა: ნარმოდგენა არა მაქვს, რა რეცენზიაზეა ლაპარაკი, რა უარყოფით დასკვნაზეო...

არც ამ რეცენზიის ავტორის ვინაობა დაიმალებოდა, „აღმართ-დაღმართს“ ასეთ მკაცრ და შეუვალ განაჩენს რომ გამოუტანდა:

— ნიგნის გამოცემა მიზანშეუწონელია.

რეცენზიის ხელნაწერს ოთარ ჩხეიძე თავის არქივში შეინახავდა და... გულს მსუბუქი ირონიით მოიხებდა.

— როგორც გადმომცეს, ეს რეცენზია შოთა ძიძიგურს ეკუთვნის. ნეტავი რომელ ტომში უნდა შეიტანოს.

შოთა ძიძიგური — ენათმეცნიერი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — შინაურ კაცად მიიჩნეოდა სამწერლო წრეებში.

თამაზ ჩხენკელის ესეიში „მწერალთა მეგობარი“ იგი სწორედ ამ კუთხიდან წარმოჩნდება, ახალგაზრდებთან ურთიერთობისას არანაირად რომ არა მულავნდებოდა მისი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რევალიები და მისი თავმდაბლობა და უშუალობა (სიმონ ჩიქოვანს რომ ადარებს ამ მხრივ ესეის ავტორი) ცოცხალ და ხალისიან განწყობილებას ამიტომაც ქმნიდა თუნდ „მნათობის“ რედაქციაში შემთხვევით თავშეყრილ ახალგაზრდა ლიტერატორთა შორის.

და ზოგჯერ ასეთი თავყრილობა მთაწმინდის პლატოზე ან სადმე სხვაგან სახელდახელო სუფრითაც რომ მთავრდებოდა: — თამადად, რა თქმა უნდა, შოთა ძიძიგური გვევლინებოდა. და იქვე მოხმობილია პოეტისეული ავტორგრაფიული წარწერა გიორგი ლეონიძის ლექსთა კრებულზე:

— „უშენოდ მოსცდეს მხიარულება“, ჩემს განუყრელ მეგობარს, ძვირფას შოთას გოგლასაგან.

ესეიში იგი დახასიათებულია ადამიანთა მოყვარულ და უღრმესი ტაქტის კაცად, სხვათა ჭირის გამგებად და სხვათა ფიქრის შემცნობად, და ამ თვისებათა გამო ხშირად თურმე არბიტორის როლსაც ასრულებდა, როდესაც ამა თუ იმ კოლეგას შორის შავკატიანი ურთიერთობა ჩამოვარდებოდა.

რა გასაკვირია, რომ ასეთი კაცი დაახლოებული გახლდათ გამომცემლობებთანაც და კარგადაც მორგებული რეცენზენტობის ინსტიტუტს. კითხვით დიდად არ ილლიდა თავს. თუმცა ენათმეცნიერების დარგში გამოცემულ ლამის ყველა წიგნზე ხელი ედო — რედაქტორი აუცილებლად თვითონ უნდა ყოფილიყო. ოთარ ჩხეიძის რომანი კი გულდასმით ნაუკითხავს, რადგანაც ეს მწერალი ხელისუფლებისაგან შერისხულად მიიჩნეოდა და სიფრთხილე მართებდა, რათა უნებურად კისერი არ წაეტეხა. ცხადია, ასეთი „შეცდომა“ არ მოუვლიდა.

მარჯვე გზასაც გამოძებნიდა რომანის დასაწუნებლად, როდესაც მოიხსენიებდა „პირადი შურისძიებით აგზნებული კაცის ყველაფრის ნამლეკავი ზიზლით დაწერილ პამფლეტად“, საბაბად კი მოიშველიებდა იმ გარემოებას, რომ პოეტ გალაქიძე, რომელიც დახასიათებული გახლდათ გახრწნილ, მექრთამე, სინდისდაკარგულ, თავისი შემოქმედებითი ნიშნებით უსირცხვილოდ მოვაჭრე და გარყვნილ ადამიანად, იგულისხმებოდა კომუნისტურ მწერალი და საზოგადო მოღვაწე კარლო კალაძე, რომელსაც სულ სხვანაირად იცნობდა ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამკარაა, კარლო კალაძის ხასიათის შეფასებისას ოთარ ჩხეიძე და შოთა ძიძიგური სრულიად საპირისპირო პოზიციებზე დგანან.

არ გაინტერესებთ, გალაქტიონ ტაბიძე რომელს დაუჭერდა მხარს?

რიტორიკულ შეკითხვად, თორემ თქვენითაც იოლად ამოიცნობთ, და გალაქტიონის დღიურის ჩანაწერი მხოლოდ დაადასტურებს თქვენს ვარაუდს. ამჯერად ერთი ამონარიდი ვიკმაროთ:

— კარლოც იმგვარადვე უნიჭოა, იმგვარადვე ფორმალისტიცა, იმგვარადვე ცინიკია და გაუმართლებელი სიამაყის მქონე კაცი. თან ფრთხილი, დიპლომატი, გაიძვერა მლიქვნელი, „მოსაქმე“, შურიანი, დაუნდობელი, გამყიდველი, ყოველგვარ სინდისს მოკლებული, უნიჭოა — ერთი რამე ღირშესანიშნავი, რომ ადამიანმა გაიხსენოს, მას არა დაუნერია-რა. ფორმალისტი თავიდანვე — როდესაც „პროლეტარული მწერლობა“ ფარფარებდა და ფუტურისტების ერთგვარ გავლენასაც განიცდიდა. ცინიკია — როდესაც ვინმე ბედისგან დაჩაგრულ პოეტთან (მაგ. ვარდთაშვილთან) აქვს საქმე. ფრთხილია — როდესაც უფროსებთან აქვს საქმე, დიპლომატიცა, როდესაც აკავშირებს მის მსგავს არამზადებს. მლიქვნელია, როდესაც ლექსებს, ყოველ ლექსს ერთგვარ მომაბეზრებელ დაბოლოებას აძლევს. „მოსაქმე“, როდესაც ახერხებს რადიოში — გამოთავყვანებული შინაარსის ლექსების თქმას თითქმის ყოველდღე, რა თქმა უნდა, რადიო-კომიტეტის დახმარებით. „არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხონ ქვიშითა“. საიდან ექნება ასეთ ადამიანს იმისი შეგნება, რომ შურიანობა არ ვარგა, რომ გამყიდველობას გაუგებენ და ვინ იცის, მალე სამარცხვინო ბოძებდაც გააკრან.

რეცენზიაში აშკარად ძალიანა გაზვიადებული ეს პერსონაჟი, უფრო გადაელვებული რომ ეთქმის, და ბიოგრაფიულ რომანში უკვე გაეხსნიდა კარლო კალაძის სახის მოშველიების მიზანს, შოთა ძიძიგური ასე რომ მოეჭიდებოდა:

— არადა, პოეტი გალაძე მესამეხარისხოვანი პერსონაჟია და ამხელა რომანი, თავისი უმძაფრესი პრობლემატიკითა და პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეით, მღელვარე სიუჟეტითა და ღრმად გააზრებული საზოგადოებრივი ფონით, ცხადაა, კარლო კალაძეზე შურისძიების გულისათვის არ შეიქმნებოდა, როგორც უნდა მორეოდა მწერალს პირადი შურისძიების განცდა. განა საამისოდ ნოველა არ იკმარებდა?

თუმცა დემავგოიურ ფანდად ძალიანაც ნაადგებოდა გამომცემლობას რომანის დასაწინებლად, რადგანაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში რალა კარლო კალაძის ნამდვილი სახის წარმოჩენა და რალა საბჭოთა სისტემისა და იდეოლოგიის მხილება.

ძალიან ნაადგებოდათ იმ სცენის „მხილება“ც, მთავარი გმირი ქაშუეთის ეკლესიაში რომ მიდის სანთლის დასანთებად. ქრისტიანული სარწმუნოებისა და სამღვდლოების დევნისა და სახელის გატეხვის პირობებში ასეთ სურათს, მითუმეტეს, მნიშვნელოვანს რომანის სიუჟეტური ქარგისათვის, ნომენკლატურული ხელმძღვანელობა როგორ მოითმენდა!..

იცოდა შოთა ძიძიგურმა, კარგად იცოდა, საიდან უნდა დაეარა თავს თხზულებისათვის, რათა მისი მკაცრი განაჩენი აღარ გადასინჯულიყო.

ჯერ საერთოდაც — რომანის გამოცემას მიზანშეუწონლად რომ სცნობენ, და მითუფრო იმჟამად ოთარ ჩხეიძისათვის:

ეს ის დროა, როდესაც კარგა ხნის ჩაშლილია „ბურუსის“ ნიგნად გამოცემის საქმე და არც რაიმე სანუგეშო მოჩანს.

„მეჩქრის“ ნიგნად დასტამბვაზე ვეღარც იფიქრებდა ავტორი.

ეს რომანები „მნათობის“ ფურცლებზე მაინც დაბეჭდილიყო, „ცთომილი“ კი ჟურნალშიც ვეღარ გააღწევდა უშიშროების კომიტეტის უშუალო ჩარევის შემდეგ.

ნლიდან ნელზე გადადიოდა ჟურნალში დაბეჭდვის დაპირება „ლანდებისა“.

მწერალი უკვე მიზანმიმართულად ფიქრობდა „ბორიაციის“ შექმნაზე, რომლის გამოქვეყნების იმედიც... იმთავითვე გადაწურვოდა.

და 1960 წელს დაწერილი „აღმართ-დაღმართი“ ჟურნალის რედაქციისთვისაც ვერ წარედგინა, რადგანაც „მნათობი“ „ლანდების“ დაბეჭდვას აჭიანურებდა, „ცისკარში“ კი არავითარი აზრი არა ჰქონდა ვითარების მოსინჯვას, რადგანაც იქაურობას იმხანად კონსტანტინე ლორთქიფანიძე დაუფლებოდა და ოთარ ჩხეიძე ამ რომანის გამოსაქვეყნებლად პირდაპირ გამომცემლობას მიაკითხავდა — „ლიტერატურა და ხელოვნება“.

და იქ... შოთა ძიძიგურის რეცენზიას დაახვედრებდნენ ძალიან მალე.

კიდევ კარგი, ამასობაში „ცისკრის“ რედაქციაში ისეთი ცვლილებები მოხდებოდა, იქ თანამშრომლობა შედარებით გაუადვილებოდა და საბოლოოდ ჯანსუღ ჩარკვიანის ხელში გამოქვეყნდებოდა „აღმართ-დაღმართი“ (1967, №12, 1968, №1-3).

სხვათა შორის, საჭურნალო პუბლიკაციას ქვესათაურად აწერია „ეპიზოდი ერთი ჭაბუკის ცხოვრებიდან“, რასაც შემდგომ მწერალი აღარ სცნობდა საჭიროდ.

მერე ნიგნადაც რომ გამოიცემოდა, ცალკე მაინც ვერა: პირველად 1970 წელს „კვერნაქა“ და „ლანდებთან“ ერთად, და მეორედ 1979 წელს „ბურუსისა“ და „ნაკრძალის“ გვერდით.



ოთარ ჩხეიძე

„აგვისტოს შვილებში“ იმ გარემოებასაც მივატყვევდი ყურადღებას, რომ როდესაც რეცენზენტი ასეთ ფრაზასაც წერს:

— ზოგჯერ ისიც კი გვეჩვენება, რომ ავტორი ამ სატირაში არა მარტო უარყოფით ტიპებს დასცინის, არამედ თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასაცო, — თავის დროზე, როდესაც შოთა ძიძიგური მკაცრად გამოვიდოდა „მნათობში“ გამოქვეყნებული „მეჩქრის“ წინააღმდეგ და ენობრივი თვალსაზრისით მკაცრად განაქიქებდა, ასეთი რამის თქმას მაშინ მოერიდებოდა მწერლის სტილურ მანერაზე და დასკვნის სახით ამას იკმარებდა:

— ეს ენობრივი ნატურალიზმი დასაგმობია.

არადა, რომ არა პოლიტიკური კონიუნქტურა, შოთა ძიძიგურს არ უნდა გაძნელებოდა ოთარ ჩხეიძის სტილური თავისებურების მართებული განსჯა-შეფასება, რადგანაც — განსხვავებით ბევრისაგან — იგი ხომ სასვებით სწორად გაიაზრებდა ვაჟა-ფშაველას ენობრივ ძიებათა ზოგად ნიშან-თვისებას:

— არ არის სწორი საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა მთლიანად დაფუძნებულია დიალექტურ მასალაზე. საკითხი ვაჟას მიმართებისა ფშაურ დიალექტთან გარკვეული შეზღუდვით უნდა განვიხილოთ. დიალექტიზმებს ვაჟას ნაწერებში სტილისტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული.

რა კარგია საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა უხიფათო გარემოში, თორემ ცოტა ხნის წინათ, რა გასაკვირია, ვაჟას წინააღმდეგაც რომ გაელაშქრა ამ დროშის ფრიალით: მისი ენობრივი ნატურალიზმი დასაგმობიაო.

იმ „ცოტა ხნის წინათ“ აკი ვაჟა-ფშაველას ენობრივ-სტილური მანერა გაეკვეროდა ჯვარზე, მაგრამ გაცლევობდა თუ არა წუთისოფელი საბჭოთა იმპერატორი — „ქართველი ჰომეროსის“ შერისხვის მთავარი ინსპირატორი — ვაჟას „უფლებები“ აღდგებოდა, თუმცა ეს ხელს ვერ შეუშლიდა საბჭოთა-ჩეკისტურ კრიტიკას, ოთარ ჩხეიძის სტილური თავისებურების წინააღმდეგ გაელაშქრა, ავანგარდში შოთა ძიძიგური ჩაეყენებინათ და ახლა ოთარ ჩხეიძისათვის ეკიჟინებინათ ბელეტრისტული ენის მთლიანად დაფუძნება დიალექტურ მასალაზე.

მისი ეს მკაცრი განაჩენი წინასაყრილობოდ დაიბეჭდებოდა სამწერლო გაზეთის ფურცლებზე, 1958 წლის 12 სექტემბრის ნომერში, ცოტა ხანში კი შოთა ძიძიგური ერთ-ერთი მონაწილე იქნებოდა „მეჩქრის“ თავზე დატეხილი აუტოდაფესი, რომელსაც ოფიციალურად ახალი რომანის განხილვა ერქვა, სინამდვილეში კი... (მასალები იხილეთ „ლიტერატურული გაზეთის“ 28 ნომერის ნომერში)

ის, რაც იმჟამად ახდილად ჩაედინა, ახლა ფარულად მოიმოქმედებდა და ერთ რომანს მეორესაც მიუყვლებდა.

ნეტა რომელ ტომში უნდა შეიტანოსო, — მისთვის ჩვეულ ჩაცინებას იკმარებდა ოთარ ჩხეიძე „აღმართ-დაღმართის“ დამწუნებელი რეცენზიის შესაფასებლად.

არ ვიცი, შოთა ძიძიგურის მეცნიერული ნაღვანის თავმოყრისას ამ რეცენზიასაც თუ მოისაკლისებენ, მაგრამ ჩემი მხრივ აუცილებლობად მიმაჩნია მისი სრული სახით დაბეჭდვაც „აგვისტოს შვილებში“ მეოხებით სალიტერატურო მიმოქცევაში შემოტანის შემდგომაც, რათა რაც შეიძლება სრულად ვერკვეოდეთ მწერლობის კულუარულ ყოფაში, მითუფრო, საბჭოთა რეალობისა, როდესაც ბევრი რამ სწორედ კულუარებში წყდებოდა — ხან მწარედ და ხან საბედისწეროდაც!..

ნინო დეკანოიძე

იგულისხმეთ — გამარჯვებული

(თეიმურაზ ხაჩისთავის
ლიტერატურული გასამართლება)

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ან ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციამ მორიგი ლიტერატურული ღონისძიება ტრადიციულისაგან განსხვავებით, სხვა ფუძეზე, სულ სხვა კუთხით განსაზღვრა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მრავლისმომსწრე სხდომათა დარბაზში აუდიტორია შეკრიბა. საბაბი — დასწრებოდნენ ქართული პროზის კლასიკოსის, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ სამი მთავარი პერსონაჟიდან ერთ-ერთის — თეიმურაზ ხევისთავის სასამართლო პროცესს. სავარაუდოდ, ტექსტის „ჩაკეტვის“ მიხედვით, „გაუსამართლებელი არც მარგო ყაფლანიშვილი და არც ჯაყო ჯივამვილი დარჩებოდნენ...“

ახალი და ჯერ ართქმულ-გაგონილი, რასაკვირველია, მოსალოდნელი არა იყო რა. სხვათა ქმედებებისადმი ნიჰილისტურად აკვიტებულნი გადაილაპარაკებენ იმასაც, რომ ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი განხილვა-სასამართლოები კარგა ხანია დააარქივა.

მანაც იმედიანი ვარაუდით განვეწყით — მითუმეტეს კლასიკის კვლავ ნაკითხვა-გადაკითხვა მუდამ ამოშიფრავს ხოლმე ახალს, შესაბამისად საინტერესოს — და შევალთ კარი სხდომათა დარბაზს.

როსტომ ჩხეიძე — ამჯერად მისი რეგალიები რომ აღარ დავივიწყოთ — როგორც იმდღევანდელი ლიტერატურული თავყრილობის მოთავე, აუდიტორიას ელაპარაკება: ...მაშინ აკაკი წერეთელი მონაწილეობდა ასეთ სასამართლოებში. განსჯიდნენ ისტორიულ პიროვნებებს, განსჯიდნენ ლიტერატურულ პერსონაჟებს, გამოვაცოცხლოთ ეს ტრადიცია. ძალიან საგულისხმო იქნება, პირველყოფისა გაგვეზრებინა თეიმურაზ ხევისთავი. ის არ არის მარტივი პერსონაჟი და, რასაკვირველია, არ შეიძლება ცალმხრივად შეფასდეს. საკმაოდ რთული ხასიათია და ცხარე დისკუსიის გამომწვევიც; რისი მოწმენიც ალბათ დღეს უნდა გაგხდეთ.

სიტყვით გამომსვლელი, ჩანდა, სასამართლო პროცესსაც ჩვეული ბუნებრივობით წარმართავდა; მიანიშნა აგრეთვე, ყველანი იმპროვიზებული სპექტაკლის მონაწილენი ვიქნებითო, და ამ მიანიშნებას არგუმენტად მოუმარჯვა: დღეს ჩვენ გვესწრება თეიმურაზ ხევისთავის როლის უბადლო შემსრულებელი, ბატონი **ნოდარ მაგლობლიშვილი**, რომელსაც გადანყვეტილი აქვს თავისი გმირი არავის დააჩაგვრინოს, რასაკვირველია, თუ ვინმე ამგვარი განზრახვით აპირებს გამოსვლასო.

აუდიტორიას შეახსენა აგრეთვე, „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნებამ რა დიდი მღელვარება და მწვავე დაპირისპირება გამოიწვია თავის დროზე; როგორ ადანაშაულებდნენ მიხეილ ჯავახიშვილს ქართული ინტელიგენციის დამცრობა-დაკნინებაში. მწერალი კი გამმტებელს გულმტკიცვინუვლად პასუხობდა: განა მეც თქვენთან ერთად არ ვარ და თეიმურაზში ჩემი თავიც არ ვიგულისხმებო?

მსმენელს მერე **თემურ ჩხეიძის** სატელევიზიო სპექტაკლის გამო არანაკლებ ცხარე დაპირისპირებანიც მოაგონა...

მოიხმო რა ვაჟა-ფშაველას სტრიქონები, როგორც სახარების პოეტური კომენტარი — „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევე, ოღონდ ამცილდეს მგელობა“ — მიანიშნა, თუ დაუწყვირდებით, თეიმურაზ

ხევისთავის ბედისწერაც ამოიკითხებაო. საამისოდ რომანის დასაწყისი დიმოწმა:

— ჯაყო შემოდის ასპარეზზე და ცხვარი ჰყავს იღლიაში ამოჩრილი. ესაა თითქოს ყოფითი სურათი და იქნეს ძალიან განზოგადოებულ შინაარსს. ეს ცხვარი არის თეიმურაზ ხევისთავი, ეს ცხვარი არის ქართული საზოგადოება...

ამის შემდეგ ასპარეზი დაეთმო პოპოქუროს. ითქვას ბარემ, რომ დაიცავენ თეიმურაზს, ნდობით აღჭურვილი პირები ეყოლება ჯაყოსაც, მარგოსაც. და ჩვეულებისამებრ ბოლოს აზრის გამოხატვა აქაც შეეძლება ნებისმიერ მონდომებულს.

გაცხადდა აგრეთვე, ვერდიქტი გამოცხადებოდა მსაჯულთა კოლეგიის მიერ — **გია მურულუას** თავმჯდომარეობით, **ზვიად კვარაცხელიას** და **თემურ ქორიძის** წევრობით.

განაჩენი დაექვემდებარებოდა თუ არა კასაცის, არაფერი თქმულა.

ამასობაში ქუთაისიდან საგანგებოდ მოვლენილი პროკურორი **ელგუჯა თავბერიძე** ირგუნებს სიტყვას და წინასწარვე შეაგუებს დარბაზს ცოტა ზედმეტადც ხმაგამკაცრებით:

— დღეს კანონის სრული დაცვით და მთელი სიმკაცრით დავადანაშაულებ თეიმურაზ ხევისთავს. ბრალდების ამოსავალი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ტექსტი და არანაირ ინტერპრეტაციას არ ექნება ადგილი...

ალაპარაკდა რა სამართალდამცავის მომწუსხავი სინტაქსით, პროკურორმა ერთმანეთის მიყოლებით, წარბშეუხრებლად ჩამოთვალა ყოველი ბრალეულობა თეიმურაზ ხევისთავისა: დადანაშაულა იგი როგორც კერძო საკუთრების უგულვებელყოფელი. საამისოდ მოიხმო ვრცელი დიალოგები რომანიდან, კერძოდ, რას ეუბნება ნაშინდარში ჩასული თეიმურაზი მოურავს, პატიოსან მეურნეს პეტრე დევიდარაშვილს, რომ ძვირფასი ტყე, სახნავ-სათესი დაანებოს გლეხებს და რომ ყოველივეს, სახელოვან წინაპართაგან დატოვებულ მემკვიდრეობას, მას ამეტებინებს არა სიკეთე, არამედ შიში კარიერის დაკარგვისა... პროკურორმა სასამართლო პროცესის მონაწილეებს ყურადღება გაამახვილებინა რა ეპოქაზე, დასძინა: მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ხდება რევოლუციამდე, წითელი გოლიათის შემოვარდნამდე. თეიმურაზს არ ალელვებს საკუთარი კარ-მიდამოს ზედი, მაგრამ მეტად თანაუგრძნობს ზანზიბარს, აინტერესებს ეშმაკის კუნძულზე რა ხდება, სუდანის ამბებიც აინტერესებს...

პროკურორმა თეიმურაზი მისი ვექილობისდროინდელი პროფესიული გულგრილობის გამოც არ დაინდო და ბრალდება კვლავ რომანის სათანადო ემიზოდებით გაამყარა. გაიხსენა მისი „კაპასი“ სტილი პუბლიცისტიკაში და შესაბამისად, მგზნებარებით ატყორცნილი არაფრისმთქმელი სიტყვები. უსუსურობა და არაპროფესიონალიზმი პოლიტიკაში თეიმურაზ ხევისთავს დამამძიმებელ გარემოებადაც დაემატა.

შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია, რასაკვირველია, თვალსაზრისი, რომ წითელი ურჩხულისადმი წინააღმდეგობის განევა ადვილი არ ყოფილა. მაგრამ რალაცა ღონე თეიმურაზს მანაც უნდა გამოეჩინაო.

ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი ზიზლით სკოლაში მასწავლებლობას ჯაყოს დუქანში დახლიდრობა რომ ამჯობინა და სინდისის დამსხვრეულმა ხმამ მანაც თავის დამლუპუნვლს მიაახლა, ესეც უპატიებლად იქნა მიჩნეული. და პროკურორმა არ დატოვა არცერთი დეტალი თუ ემიზოდ რომანიდან, თეიმურაზის, როგორც დამნაშავის, სამხილად რომ არ გამოდგომოდა: როგორც ბატონმა როსტომმა ბრძანა, თეიმურაზ ხევისთავი ტრაგიკული პიროვნებაა, მაგრამ მისი ტრაგიზმი გამომდინარეა მისივე ხასიათიდან. იგი არასდროს არაა მიზანმიმართული და პრინციპული. ამბიციურად მეოცნებეა. შემთხვევით სხვენზე ნაპოვნი ძველი წიგნები ერთიანად გადაქექა, ეგონა XVII საუკუნის საქართველოს ისტორია ამოატრიალა, მაგრამ როდესაც თავისი „ალმოჩენა“ მოხუც ისტორიკოსს თავმომწონედ გააცნო, ყველა იმედი გაუქარწყლდა.

ყველგან, ყველა საქმეში რასაც მოეჭიდება თეიმურაზ ხევისთავი, ჩანს მისი ხასიათის ნიშანი — უპრინციპობა. და რომ არა ეს ნაკლი ხასიათისა, მას შეეძლო გადაერჩინა თავისი მამული, განძი — წინაპართა ძღვევამოსილების ერთ-ერთი სიმბოლო, და, რასაკვირველია, საკუთარი ოჯახის, მეუღლის — მარგო ყაფლანიშვილის ღირსება. კიდევ ვიმეორებ, მისმა უსუსურობამ და მიაშიტობამ გამოიღო სავალალო შედეგი, რაც ყველასთვის ცნობილია.

ალარ გვაგარძელებ ჩემს სიტყვას, თუმცა კიდევ ბევრი რამის თქმა შემიძლო, მაგრამ დავიცოვებ უფლებას, თეიმურაზის დამცველებს რომ შევეპასუხო — დააბოლოვა რა თავისი მეხთატენასავით გამოსვლა, სიტყვა მათა ჯალიაშვილს ეთხოვა, როგორც თეიმურაზ ხევისთავის ადვოკატს.

ქ-ნმა ადვოკატმა წინასწარვე განუცხადა ბრალმდებლებს, რომ დაცვას თხოუმეტ თეზისად ჩამოაყალიბებდა, ითხოვა საგანგებო ყურადღება, რათა გამოპასუხებოდნენ.

რასაკვირველია, მათა ჯალიაშვილის სიტყვის სრულ ჩანაწერს ჩვენი ჟურნალი აუცილებლად გამოაქვეყნებს, აქ კი მხოლოდ შეკვეცილ ვარიანტს დავჯერდეთ...

მაია ჯალიაშვილი:

თეიმურაზ ხევისთავი კერძო, კონკრეტული ადამიანის სახეცაა და, იმავდროულად, სიმბოლურიც. ხიზნობა კი უნებობაა, ტყვეობაა, საკუთარ უფლებებზე უარის თქმაა, თავისუფალი არჩევნის ღვთით მომადლებული ნიჭის დაკარგვაა, უსასოობაა, ეშმაკისკენ მიდრეკა და მასთან უნებური გარიგება, ღვთის გზიდან აცდენა... ამიტომაც რომანი შეიძლება რამდენიმე ასპექტით გავიანზოთ და მთავარი გმირის სახეში სხვადასხვა სიღრმის საზოგადოებრივი შრეები მოვიინშნოთ:

რომანი ჯაყოსთან თეიმურაზ ხევისთავის შეხვედრით იწყება და ამას მოჰყვება დიდი გამოცდა — ტანჯვა-წამებით აღსავსე. ეს თვითონ ცხოვრებაა — წუთისოფელი — თავისი უღმობელი კანონებით, ამიტომაც ჭარბობს რომანში ბნელი ფერები. რომანტიკული და ამაღლებული აქ თითქმის არ არის, რადგან არც უმნიშვნელობა და უმანკობაა, რომელმაც სინათლე უნდა დაბადოს. რომანში ადამიანის დაცემა, მისი გულიდან სასუფეველის განდევნა და ჯოჯოხეთის დამკვიდრება ნიუანსური სიზუსტითაა წარმოდგენილი. სწორედ ეს ნიუანსები ცხადყოფს მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ ოსტატობას, რომლის გზითაც მან მკითხველს ადამიანის სულის უჩინარი უფსკრულების მოხილვის საშუალება მისცა. რომანი ლოცვით მთავრდება — მწყემსი უცილობლად იპოვის თავის დაკარგულ, გზაბნეულ ცხვარს, ოღონდაც ლოცვის ძალას ნუ დაკარგავს ბნელიდან სინათლის მხმობელი.

ცხოვრების ხიზნობა (სამოთხიდან გამოდევნა) გარდაუვალია, როგორც უფლის ნებით დამკვიდრებული გამოცდა (ტანჯვის გზით სულის გამოსწორება), მაგრამ მისგან თავდასხნა ადამიანის თავისუფალი ნების არჩევანია. მწერალს სურს, რომ მკითხველმა დაიჯეროს — თეიმურაზი ამ არჩევანს გააკეთებს.

ხეობრივი დაცემისა და არარაობად ქცევის პროცესში რწმენის დაკარგვის უდიდეს მნიშვნელობას კარგად იცნობს ქართული ლიტერატურული ტრადიცია. მიხეილ ჯავახიშვილი რომანში წარმოაჩენს, თუ როგორ შლის და ანგრევს ადამიანის მთლიანობას, სიმტკიცესა და ნებას ურწმუნობა. ძველი და ახალი აღთქმიდან მოყვანილი ციტატები (ლოცვები, იგავები, მცნებები) ღვთისკენ ადამიანის მისწრაფებას ამხევენ. მწერალი მიგვაღვინებს თვალს, თუ რა ცვლილებებს იწვევს რწმენა კაცში, როგორ განწმენდს და აამაღლებს. თეიმურაზისთვის რწმენის განახლება „ამოძრავების“ წყარო გახდა (თუმცა მისი „საქმე“ წარმოსახვას არ გასცილდა, მაგრამ მოვლენების სალი შეფასების უნარი მიაჩნა). ბიბლიიდან მოყვანილი ყოველი იგავი თუ სტრიქონი გმირის გარკვეული სულიერი მდგომარეობის რავგარობის გამოხატველია.

რა ვერ შეძლო და რა შეძლო თეიმურაზმა? ანუ როგორ დამარცხდა ხორციელად და როგორ გაიმარჯვა სულიერად?

მისი დადანაშაულება ნიშნავს, დადანაშაულო თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი. თეიმურაზი ხომ მისი ალტერ-ეგოა. მწერალმა ამ რომანით თვითონვე კიდევაც დაიდანაშაულა თავი და თავისი მოწამებრივი აღსასრულით კიდევაც გამოისყიდა. „ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს“. ეს მწერლის დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, ამიტომაც არის „ჯაყოს ხიზნები“ მწერლის თვითგვემა, თვითმხილება. მიხეილ ჯავახიშვილი ჯვარს აცვა საბჭოურმა რეჟიმმა. მიმართვა მსაჯულთა კოლეგიას: ჭკვიანი ხალხი ბრძანდებით, იმედია, არ გაიმეორებთ პილატეს შეცდომას და როცა საზოგადოების ნაწილი შესძახებს თეიმურაზზე, ჯვარს აცვი ეგეო, ბარაბას (ჯაყოს) არ გაამართლებთ და ისევე, 20 საუკუნის შემდეგ არ აცვამს ჯვართ ქრისტეს (რადგან თეიმურაზში ქრისტე ცოცხლობს).

ჯაყოს ნდობით აღჭურვილ პირად დასახელდა ლია კუხიანიძე. ბარზე აქვე ითქვას, ბრალმდებელთა „ქუთაისური ფრთა“ (აპრობირებული ფრთიანი გამონათქვამის არც მთლად შესატყვისი ინტერპრეტაციით) აფიქრებინებს კიდევ დარბაზს, მგონი მართლა სასამართლო პროცესს ვესწრებითო, და ადგილ-ადგილიდან ჩურჩულ-გადალაპარაკება ცხარე დისკუსია-კამათადაც იმძლავრებს დასასრულისაკენ.

აი რა თქვა ჯაყო ჯივავილის ნდობით აღჭურვილმა ლია კუხიანიძემ:

— რადგან არასტანდარტული სასამართლო პროცესია, რა თქმა უნდა, ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია იდენტური არ იქნება, მაგრამ სრულიად გულწრფელად დავიცვავ ჯაყო ჯივავილს, როგორც „პროფესიონალი იურისტი“.

პირველ რიგში უნდა გითხრათ, ვუსმენდი რა ბ-ნ პროკურორს, გავიფიქრე, უფრო მწვავედაც შეიძლებოდა გამოსულიყო. რეალურად მართლაც გვაქვს საამისო საფუძველი. თეიმურაზისადმი დაუნდობლობა ნიშნავს, თვითკრიტიკულნი ვიყოთ მეტადაც...

წინარე გამომსვლელების, ქ-ნ მაია ჯალიაშვილის მოსაზრებას ბევრ რამეში კატეგორიულად არ დაეთანხმა:

კერძოდ, „თეიმურაზი დადანაშაულო, ნიშნავს დადანაშაულო თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი“...

გამალიზიანებლად მიიჩნია ქრისტიანული ჭრილიდან თეიმურაზ ხევისთავის სულიერი მდგომარეობის წარმოჩენა. უფრო მეტიც, თეიმურაზი დადანაშაულა კონფორმიზმში.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ის შინაგანად გმირიც კია, არავის ქედი არ მოუხარა, — გაეპასუხა ჯაყო ჯივავილის ნდობით აღჭურვილი პირი თეიმურაზ ხევისთავის ადვოკატს, — ჩემთვის XXI საუკუნეში ეს გამალიზიანებელი გახლავთ. შეგახსენებთ, რომ, საბედნიეროდ, არსებობს იმ პერიოდზე დაწერილი მეორე არაჩვეულებრივი რომანი და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, არანაკლები — **ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“**. სადაც არიან ნამდვილი გმირები, ზუსტად თეიმურაზ ხევისთავის თანამედროვენი, იტრიელთა ოჯახის გარდა, არჯევნელები, კათარელები... ვერ ეგუებიან რა ახალ ხელისუფლებას, ყოველწუთიერ სიკვდილსაც უყურებენ თვალეში და ეწირებიან...

თეიმურაზ ხევისთავი კონფორმიზტია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ახირებული — „მე შეიძლება მომტეხონ, მაგრამ არ გავიღუნებ“ — არავისთვის არაფრის მომტანია. არ მესმის იმ კაცის, რომელსაც ურჩევნია დუქანში იჯდეს დახლიდარად და სკოლაში არ იმასწავლებლოს, და თუნდაც 30 მოსწავლიდან ერთს მაინც გაუღვივოს ჯანსაღი ფიქრი.

თეიმურაზი თავიდანვე გამალიზიანებულია. მან შეიპატიჟა სახლში ჯაყო, რომელიც დაურიდებლად აკვირდება ნათელიდევას სხეულის მიხრა-მოხრას, ქმარი ვერაფერს ხედავს, არანაირი რეაქცია არა აქვს და ასეთი კაცი ცოლს რომ ვერ პატრონობს, რაღა გასაკვირია, ქვეყანას ვერ უპატრონოს...

ლია კუხიანიძემ ისე მიუხეო ბრალდებათა ჯერი ადვოკატსაც, მაია ჯალიაშვილმა ხმა ამოიღო თავის დასაცავად: — ახლა

ისე ნუ წარმოაჩენთ, ქ-ნო ლია, თითქოს ყველაფერი მომწონდეს თეიმურაზ ხევისთავისო.

მაგრამ რაღა შეაჩერებდა ლია კუხიანიძეს. ხმის მიწვევით — სპექტაკლზე ვართ, მართლა სასამართლო პროცესი არ გეგონოთო, — კიდევ კარგი შეეშვა თეიმურაზის დამცველს, თუმცა თავისი სიტყვა მაინც ბოლომდე გაიტანა: მე მინდა გითხრათ, თეიმურაზ ხევისთავმა, ინფორმაციულობის გამო ამ საშიშად განათლებულმა კაცმა, XVII საუკუნის სიგელ-გუჯრები რომ ნახა თავისი სახლის სხვენში, უკვე იქ ჩანდა რა ტრაგიკული ნიადაგი მზადდებოდა ჩვენთვის და რა ნოყიერი ნიადაგი — ჯაყოებისთვის: ქართველის წარჩინებული გვარები გამუდმებით ექიშპებოდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის მტრობით კი უღებდნენ კარს ჯაყო ჯივაშვილებს...

მერე და მერე, რახან თავისი ორატორული ხელოვნებით დარბაზის სრული ყურადღება მოიპოვა ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის ეპოქებიდანაც მოიხმო რეალობის ამსახველი ფაქტები და ყოველივე მისი ნათქვამი ერთ მარტივ წინადადებაში რომ ჩაიწეროს, ალბათ გამოიხატება ამდაგვარად: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

— ანუ თავის დროზე მგელიც უნდა იყო, ასეთ დროს შეიძლება „გალობანი სინანულისანი“ აღარ დაინეროს, მაგრამ...

ბოლოს და ბოლოს რისთვის დაინერა ეს რომანი. ჯაყო სხვა არაფერია, თუ არა პასუხი ჩვენს ცოდვებზე.

თვით ჯავახიშვილის სიტყვებია: რა ბრალი აქვს მეთევზეს, თუ მღვრიე წყლით ისარგებლა, რა ბრალი აქვს მგელს, რომელმაც უპატრონო ბატკანი ნახა. ერთს ღმერთმა ამისთვის ბაღე გამოატანა და მეორეს ბასრი კბილები.

მიხეილ ჯავახიშვილი წერს, რომ სისხლი არ ემორჩილება არაფერს. თეიმურაზ ხევისთავი კი იყო სისხლგამშრალი, მის ძარღვებში სისხლი არ დიოდა.

ჯაყოები რომ ისევ არიან, ეს მათი ბრალი არ არის, დამცველებიც ჰყავთ და გამოუჩნდებიან კიდევაც, სანამ თეიმურაზ ხევისთავების გამოისობით დედაქალაქიდან 40 კილომეტრში რუსის ტანკი იქნება. დანარჩენი, რაც აქ ითქვა თეიმურაზის სასამართლებლად, ჩემთვის არის მხოლოდ ლიტერატურა და ეს ლიტერატურა რეალობას შველის, აკეთილშობილებს, გაჭირვების დროს გვეხმარება.

მე ვიცავ მოძალადე პერსონაჟს იმიტომ, რომ მეორე მხარე გამოფხიზლდეს და ჯაყოებს არ მიეცეთ ნიადაგი, — მომწუსხავად დაასრულა ლია კუხიანიძემ.

თეიმურაზ ხევისთავს ბრალს სდებს მარგო ყაფლანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი ნინო ვახანია, რომელმაც მეტად ორიგინალური ხერხით გამოხატა პერსონაჟის სათქმელი, აუდიტორიას გამოწვლილვით შეახსენა რა ამ ტრაგიკული პერსონაჟის ხვედრი.

ნინო ვახანია:

— მე ბრალს ვდებ თეიმურაზ ხევისთავს ჩვენს გაუბედურებაში. მისმა ბედოვლათობამ დაგვლუპა.

მე ახლაც მიყვარს თეიმურაზი. ვიცი, ზის და მელიოდება. ჩვენ სულიერი მეგობრები ვართ და ერთნაირ სიზმრებს ვხედავთ.

ლამაზი იყო თეიმურაზი, ნატიფი, ასხმული და ნაქანდაკევი. ამასთანავე განთქმული საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მწერალი, პატიოსანთა შორის პატივდებული, ამაყი და ქედუდრეკი თავადიშვილი. ყველაფერი იცოდა, კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საგნის ცოდნა — ღრმა და ფესვიანი. ნაცნობები ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახდნენ და მართლაც ზედგამოჭრილი იყო მისთვის ეს ზედმეტი სახელი. რომელ ქალს არ მოხიბლავს და მოინადირებს ასეთი მამაკაცი!



ლიტერატურული სასამართლო კოლეგია: ზვიად კვარაცხელია, გია მურღულია, თემურ ქორიძე

ქორწინების პირველ ხანებში სულ პირში შევცქეროდი. იმის ნაწერს ათჯერ გადავიკითხავდი, გადასაწერს გადავუწერდი, ყველგან მის ნათქვამს, ნააზრევსა და ნაწერს სიტყვა-სიტყვით ვიმეორებდი, იმის დღეს ვფიცულობდი და იმის ხატს ვლოცულობდი. მაგრამ ხანი რომ გავიდა, მომბეზრდა უხალისო სიცოცხლე, შვილის მოლოდინიც და აზრიანი მომავლის ძიებაც. თეიმურაზს სისხლის ნაცვლად ძარღვებში გაზეთები ჰქონდა. ვხედავდი, რომ რალაც უჭამდა გულს, დარდობდა, განიცდიდა, ნერვიულობდა, თუმცა მე არას მეუბნებოდა. ვუყვარდი, თუმცა ამ სიყვარულის გამომჟღავნებას, ქვევით დამტკიცებას ზედმეტად მიიჩნევდა. ვიცი, რომ ჩემი ცეკვაც უყვარდა და სიმღერაც, მაგრამ ვერაფრით ვერ ავანთე, ვერ გამოვავიხილე. ის ჟინიან ბავშვივით სულ გაზეთს გაიძახოდა.

მუდმივ დინჯმა, ცივმა და ქვეყნის ბედიტ გატაცებულმა თეიმურაზმა თანდათან გადაამჩვია მუსიკას, ცეკვას, ანცოლას, თავის მოგიჟიანებას, სიყვარულის სიცილსა და სიცოცხლის ღალატს. ის ჩემს სულიერ დაობლებას ვერც კი ამჩნევდა. ამასობაში გაზეთებში თავჩარგულ თეიმურაზს თავისივე დასახრჩობად გამოჩნეკილი კატა წამოადგა თავს. დროება გამოიცვალა, ახალი ქვეყანა შენდებოდა. ჩვენ რევოლუციის საღენწავ მანქანაში ჩავცვივდით. ახალმა დრომ და თეიმურაზმა ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს.. როცა ჯერი წიგნების გაყიდვაზე მიდგა, მხოლოდ მაშინ იგრძნო თეიმურაზმა, რომ იგი კარგა ხანია, შეუდგა თავის გოლგოთის გზას. ჩუმჩუმად ცრემლს ინმდებდა, თუმცა არაფრის გაკეთებას, არანაირ ბრძოლას არ აპირებდა. არ ესმოდა ძალის აუცილებლობა, არ შეეძლო, ძალას ძალით დაპირისპირებოდა. თავისი კეთილშობილებით მე და ჩემნაირებს კი გვხიბლავდა, მაგრამ ჯაყოსნაირი ველურებისგან რა შეგნებას და დანდობას ითხოვდა და ელოდა? თეიმურაზი არ იბრძოდა. ბედს მინდობილი თითქოს საამო დასასრულს ნატვრით ელოდებოდა.

გამოსავალს იმაში ვხედავდი, რომ ახალი ქვეყნისთვის ერთგულება გამოეცხადებინა, პირზე კლიტე დაედო და გაჩუმებულყო. არ შემიძლიაო, — მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება. საერთოდ მერყევსა და უპრინციულობას, ამ სუითხთან დაკავშირებით ჰქონდა ურყევი პოზიცია, რომელიც უკიდურესი გაჭირვების დროსაც არ შეიცვალა. მერეც, უკვე ჯაყოს ხიზნები რომ გავხედით, სკოლაში მასწავლებლობა შესთავაზეს. მე ბავშვს იმას ვერ ვასწავლი, რისიც თვითონ არ მწამსო, — შეუვალი გახლდათ თეიმურაზი. ვხედავდი, განწირული იყო. ბრძოლისა და გამარჯვების ძალა არ ჰქონდა, შერიგება და მორჩილება კი არ სურდა.

მე კი, ჯაყოს ხელში ჩავარდნილს, გაჩუმებისა და მორჩილების გარდა, სხვა რა გზა მქონდა. რატომ გამოუცხადა ჯაყოს ასეთი უპირობო ნდობა და გორის სადგურში ჩემთან დასახვედრად მარტო გამოუშვა, თვითონ არ წამოყვა?! თეიმურაზი

რაზის შეცდომა და დანაშაულიც ის მგონია, რომ გრძნობა და ფიქრი ერთობ გაისპეტაკა, აბსოლუტური სიკეთის განსახიერება მოინდომა. ყველას — მეცა და ჯაყოსაც ერთნაირი ნდობით გვექცევოდა.

ჯაყომ შეძლო, კაცის სიკეთე, დადებითი თვისება(ები) უარყოფითად წარმოესახა ყველასთვის და მათ შორის, ჩემთვისაც. მე ხომ მაშინაც ვიცოდი და ახლაც ასე მწამს, რომ ქათმის ვერდაკვლა სულაც არ არის კაცის ნაკლი, მით უმეტეს, ნაკლი არ არის კაცის ვერმოკვლა, მაგრამ მაშინ ისე მინდოდა თეიმურაზის მოქნეული მკლავის დანახვა, რომ უარი სისუსტედ ჩავუთვალე და მეც ვუსაყვედურე.

ჯაყოს რატომ გაყვევი? თეიმურაზმა ჩემი ბუნება ათი წლის განმავლობაში ძალით ალაგმა. ჯაყომ ერთხანობა გამალაღა. ადამიანის (ერის, ხალხის) თვისებაა, სიამოვნებაზე უარი არ თქვას. რადგან თეიმურაზი ვერ მომეპატრონა, მეც ვცადე, ჯაყოსგან მიმელო მაქსიმუმში. მის გაადამიანებასაც შევუნყვე ხელი. ჯაყომ თავისი წარსულის ხევისთავებთან და ყაფლანიშვილებთან გადაბმით საკუთარი ისტორიის დაგრძელება სცადა. თეიმურაზი არ იბრძოდა, მე კი არაფრის შეცვლა არ შემიძლო...

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნებოს“. ამიტომ არცერთი არ ვიბრძვით. მხოლოდ ღმერთს ვთხოვთ: უფალო, იყავნ ნება შენი და არა ჩვენი... და სასოებით ველოდებით...

დარბაზი გულისყურით მოუსმენს აგრეთვე თეიმურაზ ხევისთავის როლის უნაკლო შემსრულებელს ბ-ნ **ნოდარ მგალობლიშვილს**: ძალიან დიდი მადლობა, ბ-ნო როსტომ, ასეთი ღონისძიებისათვის. მსგავსი შეხვედრები არა მხოლოდ სასურველია, არამედ აუცილებელიც; ზოგადად, ადამიანის ხასიათისთვისაა აუცილებელი.

მეტად პროფესიულ გამოსვლებს მოვუსმინე. უდიდესი მადლობა ქ-ნ მაიას, რომ ასე დაიცვა მან თეიმურაზ ხევისთავი. მაგრამ ძალიან მაინტერესებდა, რას იტყოდა მომავალი თაობა... — თვალი მოავლო აუდიტორიას, სადაც სტუდენტ-ახალგაზრდობის ნაკლებობა ნამდვილად არ იყო, მაგრამ საკუთარი აზრის გამოსახატავად მათ არც გაბედულება გამოუჩენიათ და, სამწუხაროდ, არც მონდომება.

ნოდარ მგალობლიშვილმა დასაბუთებულად ჩამოაყალიბა რა თვალსაზრისი, დაიცვა თეიმურაზი, როგორც პერსონაჟი. მის პრინციპულობაზე მიანიშნა, მის პატიოსნებაზე, ფიზიკურად თუმცა უძალო, მაგრამ სულიერებით მის აღვსილებაზე ილაპარაკა:

— ისეთი სათნო ადამიანი, როგორც თეიმურაზია, უსათუოდ გამოავლენს ბოროტსაც ხოლმე. ასეთია ეს ცხოვრება, ასე ყოფილა. თუ არის ერთი, მეორეც იქვეა. ესე იგი დაპირისპირება არსებობს...

სიტყვით გამომსვლემა ისიც დასძინა, რომ ხშირად დავინწყებულა ჩემმარტობა, რომ დანაშაული ჯერ საკუთარ თავში უნდა ექებო და არა სხვაში. და ამის გაუთვალისწინებლად, ბევრი რამ, ხისტად და ხელალებით გადაწყვეტილი, სანანებელი რომ გამხდარა ხოლმე.

...და მაინც, პროფესიონალმა არტისტმა ამჯობინა ისედაც დამძიმებული მსმენელი ცოტათი განემუხტა და ხალისისმომგვრელად გაიხსენა ეპიზოდები თუ ფათერაკები, რაც გადახდენია თეიმურაზ ხევისთავის როლის შესრულების გამო:

— ქუჩაში გამოსვლასაც ვერიდებოდი, რადგან საზოგადოების რეაქცია იყო მეტად მძაფრი, მეტად გაუნელებელი. შემაჩერებდნენ სრულიად უცნობი ადამიანები და საკამათოდაც მიწვევდნენ...

ილაპარაკა აგრეთვე რეჟისორის მისიაზეც, რომ არაჩვეულებრივი ნაწარმოების გახსნა და დადგმა ჩინებულად შეძლო **თეიმურ ჩხეიძემ**. თავისი დაკვირვებაც გაამხილა აუდიტორიის წინაშე. — თავმდაბლობით, უბოროტობით, მიტევების განსაკუთრებული უნარითა და ნიჭით, რეჟისორი და პერსონაჟი, თეიმურ ჩხეიძე და თეიმურაზ ხევისთავი, ნამდვილად ჰგვანან ერთმანეთსო.

კვლავ თეიმურაზ ხევისთავის ნდობით აღჭურვილ პირს მივცემა ასპარეზი.

ნანა კუცია ჩვეულებისამებრ ექსპრესიით და გონიერებით შეზავებული სიტყვით მომწესხავად იმოქმედებს მსმენელზე. ნამდვილი ჭირისუფალივით გამოხატავს თავისი დასაცავის ვარაზს.

— თეიმურაზი ჩემში არ ინვესტ არანაირ გაორებას, ვერ ვანანილებ ამ კაცს სხვადასხვა პერსონაჟად, რომელშიც რაღაც მომწონს და რაღაც არა. მისი ბოლომდე მესმის. ლიტერატურა ძალიან საინტერესო სამყაროა. ერთდროულად არის და არც არის რეალობა. ამიტომაც თეიმურაზი ჩემთვის არის პერსონაც, პერსონაჟიც და პერსონიფიკაციაც. ეს სამი სხვადასხვა დონეა და, შესაბამისად ამისა, სხვადასხვანაირად შეიძლება გავიაზროთ თეიმურაზ ხევისთავი.

ნანა კუციამ დასახელებული სამივე დონის ფარგლებში საინტერესოდ განსაზღვრა სამივე მთავარი პერსონაჟის თვისებები... მათი ეპოქისა თუ უწინდელი წარსულის გათვალისწინებით ნამოჭრა სადღეისო კითხვაც, თანაც რიტორიკული:

— შეიცვალა ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაში რამე მიხილ ჯავახიშვილის საშინელი წინასწარმეტყველების მერე? ასი წლის წინათ დაწერილი რომანია და დღეს ჩვენ, ყველანი თეიმურაზები ვართ.

მე ვერ გავასამართლებ თეიმურაზს, იმიტომ, რომ მე თვითონაც თეიმურაზი ვარ.

1993 წლის 27 სექტემბერს მე თვითონ ვიყავი, როცა ვუყურებდი, როგორ იწვოდა ჩემი ქალაქი. ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ როგორ, არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი...

ძალიან ხშირად ამბობენ, რომ ნუ წავიკითხავთ ტექსტს ქრისტიანული კონტექსტით. მე ვფიქრობ, რომ ყველა ქართული ლირიკული ნაწარმოები სწორედ ამ კუთხიდან უნდა წავიკითხოთ. იმიტომ, რომ სხვა კონტექსტი მხატვრულ ლიტერატურას, ქართულ წეს-ტრადიციებს არასოდეს ჰქონია და თუ ოდესმე ექნება, მით უარესი...

ნამდვილად არავის გაჰკვირვებია სიტყვა **მარინე ტურავამ** რომ ითხოვა. კრიტიკოსთა „აფხაზური ფრთა“ წესისამებრ, სრული შემადგენლობით თუ არ წარმოჩნდება ხოლმე ჩვენს თავყრილობებზე — უკვე ხუთი და ლიტერატურაში — ერთმანეთს მაინც უმაგრებს ხოლმე პოზიციას. ამჯერადაც იგივე გახლდათ მოსალოდნელი, მაგრამ კრიტიკოსმა ქალბატონმა ყოფილი „კმარელის“ სიმკვირცხლით მოიმარჯვა მიკროფონი და დამტუქსავად გადაავლო თვალი დარბაზს:

— მოგესალმებით, ბატონებო, მოგესალმებით კოლეგიის წევრებო. არ ვაპირებდი დღეს გამოსვლას, მაგრამ აქ არ არის სასამართლო პათოსი, დარბაზში მე ვერ ვხედავ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ვერ ვხედავ საზოგადოებრივ სექტორს. ამიტომ იძულებული ვარ, მათი სახელოთი ორიოდ სიტყვა გითხრა. კი გამოცხადდა, თეიმურაზ ხევისთავს ვასამართლებთო, მაგრამ ჯაყო ჯივაშვილსაც რომ არ აცდა კრიტიკა?! იქნება ახლა, ამ ეპოქაში ასეთი ქმედება? ეს ხომ კიდევ უფრო გააღრმავებს ეთნოკონფლიქტს? იქნებ ევროპულ ინტეგრაციასაც შეუშალოს ხელი...

მარინე ტურავამ ჩამორჩენილობად მიიჩნია რა თითქმის 100 წლის წინათ დაწერილი რომანის პერსონაჟებზე საუბარი, სიტყვა ჩამოავდო, უფრო უპრიანი იქნება ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე, ერთა თვითგამორკვევაზე გვემსჯელოა. მან კიდევ ერთხელ დაინუნა არასამთავრობო ორგანიზაციების ინდიფერენტულობა, საზოგადოებრივი სექტორის უუნარობა და ისიც კი გაბედა შეკრებილთათვის მიეხალა:

— გამორჩნდება ადამიანი სტრასბურგამდე რომ ივლის, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და ერთხელ და საბოლოოდ გაარკვევს, სწორად მოეწყო დღეს ეს სასამართლო-განხილვა თუ არაო.

მერე ისე წაუსხაპასხუპა ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი მუხლები და პუნქტები, მის სიახლოვეს ვიღაცამ მწარედ ჩაილაპარაკა: — არასამთავრობოებს ნუთუ აქაც ვერ გადავურჩითო? „კოსმოპოლიტიკა“ ქალბატონმა ეგრევე ცინი-

კურად მოუჭრა: რა თქმა უნდა, ჩვენ ვერსად ვერ გადავირჩე-
ბითო, და თვითკმარად მიაშურა თავის ადგილს.

...წინასწარ გაცხადებულ იმპროვიზირებულ სპექტაკლში
მარინე ტურავამ მინდობილი როლი დამაჯერებლად კი შეას-
რულა, მაგრამ მისი გამოსვლა მაინც გამაღიზიანებლად გახ-
მიანდა დარბაზში და რამდენიმე ქალბატონმა, რახან ვითარე-
ბას ალღო ვერ აუღეს, ადგილებიც მოინაცვლეს, მასთან საკა-
მათოდ თუ ჯავრის არშესარჩენად...

ახმაურებულ დარბაზს გული მოფხანა **მანანა გაბაშვი-
ლის** გამოსვლამ:

— ასეთი წანარმოები ყოველთვის სხვადასხვა კუთხით გა-
ნიხილება და სხვადასხვა თვალსაზრისით არის საინტერესო.
ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის პოლიტიკის თვალსაზ-
რისათაა მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ თეიმურაზის სახე ჩნდებ-
და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ. საზოგადოების
რეაქცია თეიმურაზისა და ჯაყოს ურთიერთობაზე ესეც ცალკე
ისტორიაა. ნახეთ, როგორი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას,
როცა ეს წანარმოები პირველად გამოჩნდა? მერე თვით საბჭო-
თა პერიოდშიც როგორი შეუწყნარებლები იყვნენ. ეს ხომ სი-
ჯანსაღის მანიშნებელია საზოგადოებისა; როგორ სწორად
აღიქვამს ყოველივეს და როგორ არ უნდა — არც თეიმურაზი
მოექცეს ქვეყნის სათავეში და არც ჯაყო. და ჩვენ რა მივიღეთ?
დღეს საქართველოს მართავენ თეიმურაზები და ჯაყოები, თა-
ნაც ხმაშემმატებლებულად. საქართველოს ტრაგედია სწო-
რედ ესაა. დღეს დატეხილი ბევრი მოვლენის მიზეზი ჩვენს თავ-
ში უნდა ვეძებოთ. მე წინააღმდეგი ვარ თვითგვემის. ვერც ჩემს
თავში და ვერც თქვენში ვერ ვხედავ ვერც თეიმურაზსა და
ვერც ჯაყოს. იმიტომ, რომ ისინი დღეს სათავეში არიან და ამ წა-
წანარმოების აქტუალობა ამგვარადაც განისაზღვრება.

...ითქვა, რომ ათწუთიანი შესვენების შემდეგ ჯერი დად-
გებოდა ყველაზე მთავარი ნაწილისა და სასამართლო განაჩე-
ნი გამოცხადდებოდა.

პირველი სიტყვა **ზვიად კვარაცხელიამ** წარმოთქვა:

— საკმაოდ რთული მისია დამეკისრა, მიუხედავად იმისა,
რომ რამდენიმე წლის წინათ იურისტის დიპლომი მივიღე, ვე-
რასდროს წარმოვიდგენდი, ამ პროფესიული კუთხით, გამორ-
ჩეული მწერლის უკვდავი წანარმოების პერსონაჟთა გასა-
მართლება თუ მომიწევდა. რა თქმა უნდა, „ჯაყოს ხიზნები“
არ არის ჩვეულებრივი წანარმოები, ისევე როგორც თეიმუ-
რაზ ხევისთავი არ არის ჩვეულებრივი პერსონაჟი. ამიტომაც
დღევანდელ სასამართლოზე ის შეფასებები, რომელიც თეი-
მურაზ ხევისთავის დასაცავადაც გამოითქვა და მის წინააღმ-
დეგაც, ერთნაირად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია.

ძალადობის პრობლემა ერთ-ერთი ნამყვანი თემაა. მაგრამ
ვისი მიზეზით და რატომ ხდება, ნუთუ მხოლოდ საზოგადოებ-
რივი ფონია? რამ მიიყვანა აქამდე ეს სამი პერსონაჟი, რამ გა-
დააჯაჭვა ისინი ერთმანეთს? — ამაზე რა თქმა უნდა, ჩვენ ვი-
საუბრეთ და საბოლოო ვერდიქტსაც კოლეგიის თავმჯდომა-
რე გამოაცხადებს.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ჩვენ ვერ ვსწავლობთ ვერასდ-
როს მაგალითებით. ამ რანგის მწერალმა სახეში მოგვახალა
ყველა ჩვენი მანკიერება და ჩვენ ის მარტოოდენ სასკოლო
პროგრამაში შეტანილ სავალდებულო წანარმოებად დავტო-
ვეთ... ორიოდ სიტყვით დავასრულებ: უფრო მეტად გვესწავ-
ლოს ასეთი მწერლებისა და მათი წანარმოებების დაფასება და
მათი ნათქვამის გულთან ახლოს მიტანა და გათვალისწინებაც.

სასამართლო კოლეგიის კიდევ ერთი წევრი გამოხატავს
თავის ემოციას.

თემურ ქორიძე:

— ძალიან აღელვებული გახლავართ, ბატონებო. არა მხო-
ლოდ იმიტომ, რომ ფრიად უჩვეულო მდგომარეობაში ვარ, არა-
მედ იმიტომაც, რომ ვიდრე აქეთ წამოვიდოდი, კიდევ ერთხელ
შევხვდი თეიმურაზს, ჯაყოს, მარგოს. კიდევ ერთხელ მოვასწარი
ჩამხედდა მათ ცხოვრებაში. შეძრწუნებული ვარ. მთელ კაცობრი-

ობას გლოვობს მიხეილ ჯავახიშვილი. ჩვენს მშვენიერ პოეტს ანა
კალანდაძეს აქვს ლექსში სტრიქონი: „არ შევალ ტაძრად, უწმინ-
დური სადაც შევიდა“... ნახეთ რა ხდება მიხეილ ჯავახიშვილის
საქართველოში. ჯაყო გაიძახის: „აღარ გინდა ეკლესია, ქორტუ
ეკლესია, ეკლესია დაძველდა... მორჩა და გათავდა“. გადის დრო,
ჯაყო ამას იძახის: „ჯაყოს ეკლესია გინდა, ჯაყოს ღმერთი არ
გინდა, მაგრამ მღვდელი ძალიან გინდა“. და რამდენიმე დღეში
ეკლესიის კარები გაიღო და ჯვარი დასწერეს ჯაყოს და მარგოს...

რა ქნას თეიმურაზ ხევისთავმა, რომელსაც გადაუდგა
არამარტო ყველა ამქვეყნად, არამედ ღმერთიც.

ვისთვის გავასამართლოთ, ვინ გავასამართლოთ, როგორ
გავასამართლოთ ადამიანი, რომელიც ღმერთმა მიატოვა და
მთელი ტრაგედია უახლესი მსოფლიო კულტურისა ისაა, რომ
ადამიანი მიტოვებულია, გადაგდებულია, გაუცხოებულია.

თეიმურაზ ხევისთავი ტრაგედიის გმირი არ არის. თეიმუ-
რაზ ხევისთავი თვითონ არის ტრაგედია. გავუნანილოთ მას
ჩვენი ცრემლი, სხვა — სასჯელი არავითარი... რაოდენ სამწუ-
ხაროა, თეიმურაზ ხევისთავის აჩრდილი დადის და კიდევ ბევ-
რჯერ შეანუხებს მომავალ თაობებს...

განაჩენი კი გამოცხადდა სასამართლო კოლეგიის თავმჯ-
დომარის **გია მურღულიას** მიერ:

— ...თავადაც გრძნობთ, ჩვენს დღეში ყოფნა რა ძნელია.
ადამიანი რომ გაასამართლო, მას ბრალი უნდა წაუყენო.

რა დააშავა თეიმურაზ ხევისთავმა, რაში ვდებთ ჩვენ მას
ბრალს?

ვიდრე მოგახსენებთ, შიდა მოლაპარაკებებით რა გადაწყ-
ვეტილებაც მივიღეთ, პირველ რიგში, მადლობა უნდა ვუთხრა
ყველას, ვინც ბრალი დასდო, ვინც დაიცვა იგი. მართლაც შე-
სანიშნავი გამოსვლები იყო, ბევრ რამეზე დამაფიქრებელი.

მაგრამ ვუპასუხოთ კითხვას: თეიმურაზის მეტამორფოზა
ხდება თუ არა, იპოვის თუ არა ის თავის თავს? მართალია რო-
მანის ბოლოს ამბობს: „მეც ვნახე, მეც განვიცადე, ახლაც
მნამს...“ რაც ხაზს უსვამს მის სულიერ ბორიალს ამ წუთისო-
ფელში, მაგრამ დასმულ კითხვაზე პასუხი მაინც არ არის...

საკითხავია აგრეთვე, არის თუ არა რომანის მთავარი მი-
ზანი გვიჩვენოს, რა მოსდის კაცს, რომელიც ქრისტიანული
პრინციპებით ცხოვრებას გადაწყვეტს...

მოგეხსენებათ, რომ ზნეობას აქვს ორი მხარე: ერთია, რას
აკეთებ, ანუ რის უფლებას აძლევ შენს თავს და მეორე, რას
ამკვიდრებ. თეიმურაზს პირველი ნამდვილად აქვს, მეორე კი
— არა. ის ძალმოსილება არ გააჩნია, რაც გასდევს მთელ ლი-
ტერატურას და სულხან-საბამ ძალიან ლაკონიურად დაამკ-
ვიდრა: სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. თეიმურაზში ეს
ცნება აშკარად გათიშულია ერთმანეთისაგან.

შემდეგი მომენტი — „ღმერთი არ მნამს, მაგრამ ქრისტე მა-
ინც ღმერთკაცი იყო“. ეს პერიორაზია ნიჭშეს ზეკაცის იდეისა,
მაგრამ ზეკაცს მოქმედება თუ არ გამოარჩევს, უმოქმედო ზე-
კაცი ნაკაცარი ხდება, როგორც უწოდა მიხეილ ჯავახიშვილმა.

შორს რომ არ წავიდეთ და ჩვენი ლიტერატურის საგანძუ-
რიდან დავიმონწმოთ, ბოროტებას სიკეთე მაინც დაამარ-
ცხებს, რადგან ბოროტების „არიდება“ ძნელია, მაგრამ უნდა
გაძლოს ადამიანმა ამისათვის, აქედან გამომდინარე, საბო-
ლო კითხვა: უნდა ეპატიოს თუ არა თეიმურაზს, რომ საკუ-
თარი ჯოჯოხეთის დაძლევისას სხვაც გაახვია ჯოჯოხეთში
და არის თუ არა ეს დანაშაული?

და სულ ბოლოს, რომანში, პიროვნების მაგალითზე, ეროვ-
ნული უძღურების ტრაგედია ჩანს და ამ უძღურებას ჩვენ
ახლაც გვარიანად ვგრძნობთ და განვიცდით...

ქალბატონმა მანანა გაბაშვილმა ბრძანა, თეიმურაზში სა-
ხელმწიფოს გარეშე დარჩენილი ერთი კაცის ტრაგედია იგუ-
ლისხმებაო, თემურ ქორიძემ ღვთის გარეშე დარჩენილი ადა-
მიანი უწოდა...

ჩემი მხრივ კი უნდა მოგახსენოთ: თუ ჩვენ თეიმურაზ ხე-
ვისთავს აბსოლუტურად გავასამართლებთ, ხომ არ გაუხსნის ეს

გზას უძღვრებისა და უპასუხისმგებლობის შემდგომ გამოვლინებებს. და შესაბამისად, ამდენ სულიერ ნიაღვრებსა და საკუთარი თავის პოვნა-ძიებაში, როცა არაფერს აკეთებ და უმოქმედო ზეკაცია ხარ, ყველაფრის დამკარგავიც ხდები. ამიტომაც უმჯობესია მიეჩინოს ყველაფერს თავისი ადგილი და დაერქვას თავისი სახელი.

საბოლოო ვერდიქტიც ასეთია: თეიმურაზ ხევისთავი არის მსხვერპლი საკუთარი თავისაც და გარემოებისაც. დამნაშავეა იმის გამოც, რომ მან მხოლოდ საკუთარ თავს კი არ მოუწყო გამოცდა, მარგოც განირა და ნებით თუ უნებლიეთ მასაც მოუწყო ჯოჯოხეთი. ამიტომაც ის ჩვენთვის დამნაშავეც და მსხვერპლიც...

ამნაირი არაერთმნიშვნელოვანი, „უცაღლასხო“ განაჩენის გამოც, სხდომის წამყვანი კვლავ სთხოვს პროკურორსა და ადვოკატს, ეგებ ორიოდ წუთში გამოხატონ თავიანთი პოზიცია.

ელგუჯა თავბერიძე: რასაკვირველია, ხევისთავი დამნაშავეა და მართლაც არის მსხვერპლი. თუ მას დანაშაულს ჩამოვამოშორებთ, ხვალ მოსალოდნელია გაჩნდეს უამრავი თეიმურაზი, უფრო უნიათონიც. ჩვენ კი უფრო დიდი უბედურების ხელშემწყობნი გავხდებით, ამიტომ ვეთანხმები გადაწყვეტილებას.

მაია ჯალიაშვილი: მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა მსაჯულთა კოლეგიის მიმართ, არ ვეთანხმები გადაწყვეტილებას. მიმაჩნია, რომ მეტად იოლი გამოსავალი მოგიძებნიათ; აი იმგვარად, არც მწვადს რომ არ წვავენ და არც შამფურს.

რომანის ფინალიდან რომ დასვით შეკითხვები და ვერ შეამჩნიეთ, შეიცვალა თუ არა თეიმურაზი, მე ვპასუხობთ: დიახაც, შეიცვალა. სულიერად გაიზარდა. სულიერებითა და რწმენით შეიარაღებულ ადამიანს კი, მოგეხსენებათ კარგად, შეუძლია დაამარცხოვს გოლიათი.

— არ ჩანს ეგ, არ ჩანსო, — ხმაშეწყობილად, თითქოს მოილაპარაკესო, — იუარეს პროკურორმა და კოლეგიის თავმჯდომარემ.

— ჩემი აზრი მაქვს მე. მითუმეტეს ეგ კითხვა მიხეილ ჯავახიშვილმა მკითხველს დაუტოვა პასუხგაცემადო, — სიმკაცრე-კატეგორიულობა სათნო ღიმილით შებურა რა მაია ჯალიაშვილმა, მაინც დიდი მადლობა გადაიხადა ყველაფრისათვის და, როგორც წესად აქვს, იმ ზღვა ხალხში ისე სწრაფად გაუჩინარდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო, ნამდვილად გაიფიქრეს იმათ, პაექრობაში წარმატებისთვის ხელი რომ უნდოდათ მაგრად ჩამოერთმიათ...

დასრულდა ასე სასამართლო პროცესი. სასჯელი თეიმურაზ ხევისთავისა „ცალსახად“ მაინც არ თქმულა: თანაც ეს საქმე მივა თუ არა სტრასბურგამდე, პირი ნამდვილად არ უჩანს...

ისლა დაგვრჩენია დაველოდოთ — ვინ იქნება შემდეგი.

ნათე ბანძელი

მზესავით გაცემული სიტუ

(შახვედრა ნომადი ბართაიასთან მარტვილში)

ცხოვრების არსში ღრმად წვდომა და მისი ამოხსნა საკმაოდ რთულია და განსხვავებულ გონიერებას მოითხოვს. ნომადი ბართაიას შემოქმედების გაცნობისთანავე მკითხველი ხვდება, რომ აღმოაჩინა პოეტი, რომელიც ცხოვრების უბრალო აღწერით გვიმარტივებს ყოფით სირთულეებს. მის ლექსებში მოყოლილი თითოეული ამბავი ფოტოკადრს ჰგავს და თან გიქმნის იმის განცდასაც, რომ თავად მონაწილეობ ამ ისტორიაში: „კი არ იღიმოდა, სახე უღიმოდა, მობილურზე კრეფდა ნომერს ულამაზესს“. ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. მხოლოდ ერთეულების უნარია, შეხედოს ამ ფაქტს პოეტური თვალთ. ნომადი ბართაია ჩვეულებრივში ეძებს არაჩვეულებრივს და მკითხველსაც აიძულებს, ყველაფერი მისებურად აღიქვას.

„ქალი ასე, ორმოცი წლის, თუ იღლება ნეტა, ქსოვით?“ ეს პატარა ლექსი მთელი ცხოვრებაა და სრულყოფილად ხატავს ახალგაზრდა ქალის პორტრეტს. იაპონურ ლექსთსწავლაში ჩატეული ქართული სამყარო! — ასე შეიძლება ნომადი ბართაიას შემოქმედების დახასიათება.

31 ოქტომბერს მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში აღინიშნა შემოქმედის დაბადებიდან 70-ე წლისთავი. მრავალი გულთბილი სიტყვა უთხრეს პოეტს მისმა მეგობრებმა, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა.

„ქართული კინოფილმიდან მაგონდება შემდეგი სიტყვები: ხის სიმაღლე მინის ზედაპირიდან კი არ იზომება, არამედ — ფეხებიდანო... ამიტომ არის ფეხებთან დაბრუნება ყველაზე ამაღლებველი. დღეს არის ასეთი დღე — მარტვილს ეწვია კაცი, რომლის ცხოვრებამაც დიდი ხნის წინათ გაიგა ფეხები ჩვენს რაიონში. ლეხანდრეში ერთი ძველებური ქვის სახლია. ამ სახლში სამოცდაათი წლის წინათ იზიემეს დაბადება ბავშვისა. მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით — სამოცდაათი წლის ნომადი ბართაია“, — ამ სიტყვებით გახსნა შეხვედრამ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა იგორ კეკელიამ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი (პროფესორი): „ამას წინათ „მწერლის გაზეთში“ ნომადი ბართაიას ახალი ლექსები დაიბეჭდა. ეს ლექსები ავტორის ვინაობის გაუმჟღავნებლად უნივერსიტეტში ჩემს მეგობრებს წავუკითხე და აზრის გამოთქმა ვთხოვე. ჩემსავით ლექსების მოსმენით უაღრესად კმაყოფილი მეგობრები მაშინვე მიხვდნენ, რომ ამ ლექსების ავტორი ბატონი ნომადი იყო. ამ დეტალს საგანგებოდ ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ სხვათაგან მკვეთრად განსხვავებული პოეტური ინტონაციის მიგნების უაღრესად საძნელო საქმისაგან თავის დაღწევას მხოლოდ გამოჩვეულად ნიჭიერი პოეტი თუ მოახერხებს. ბატონ ნომადის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან უაღრესად ფასეულია მისი დამსახურება ქართული-ირანულ ურთიერთობათა აქამდე უცნობი არაერთი მნიშვნელოვანი მხარის წარმოჩენაში, აქვე უნდა ითქვას მისეულ მაღალმხატვრულ თარგმანებზეც, ირანის უმაღლეს სასწავლებლებთან ქართული უნივერსიტეტების დასაკავშირებლად მის აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ირანის ისლამური რესპუბლიკის ისტორიაში პირველად გილანის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ოთახი და საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის პრაქტიკულ სწავლებას. ეს სწორედ ნომადი ბართაიას დამსახურებაა. მრავალმხრივი და წარმატებულია მისი მოღვაწეობა ქართულის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლებისა და კვლევის მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმართვა სწორედ ნომადი ბართაიასა და მისი კოლეგების უდიდესი დამსახურებაა...“

თემურ ქორიძე (ლიტერატორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი): „ბატონი ნომადი მრავალმხრივი შემოქმედი. მის პიროვნებაში ჰარმონიულად თანაარსებობს მეცნიერი და პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი, დაუცხრომელი მკვლევარი და ცნობისმოყვარე მემკვიდრე. აღმოსავლური სუფიზმის ჩინებული ცოდნა მასში ფილოსოფიურ მჭვრეტელობას აცოცხლებს და საგანთა აღქმის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ავითარებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონ ნომადის შთამბეჭდავი პიროვნული მომხიბვლელობა. შინაგან არისტოკრატიზმთან შეზავებული ლავი კოლხური ხასიათი თანაბარი სიმშვიდით აღიბეჭდება მის კულტურულ ჰაბიტუსზე და ერთგვარ პოეტურ შენაკადად გარდაიქმნება. ჩვენში სწორედ

ასეთ ადამიანებს ეტყვიან ხოლმე: „მადლობა, რომ თქვენ არ-სებობთ!“ მადლობა ბატონ ნომადი ბართაიას!“

ომარ გვეტყაძე (პოეტი, პროფესორი): „ნომადი ბართაია ულამაზესი პოეტური სტრიქონებით და სათქმელის გადმოცემის ახლებური ელფერით გვხიზლავს. იგი მცირე ზომის ლექსე-ბით ხატავს ისეთ შთამბეჭქდავ სურათებს, რომლებიც სამუდამოდ გვაძახსოვრდება. მაგალითად, „სანაპიროზე, ავტოსად-გურთან, შთაბეჭდილება დამრჩა ძლიერი, ასე, ჩემი ხნის, ან ცოტა მეტის, ბრონეულს ჭამდა მილიციელი“, ან „ვილაცა ქელ-მა საფლავზე დაო აყვავებული რაღაცის ტოტი...“ მის ლექ-სებში არ გვხვდება აბსტრაქტულ სამოსელში გახვეული ფრა-ზები. სასაუბრო მეტყველებით გადმოცემული სიხარული, აღ-ტაცება, სინანული თუ მწუხარება საოცარი სილამაზით მოაქვს ჩვენს გულამდე. ასე მაგალითად, „ახლა ხელფასზე მატარებ-ლის ავიღებ ბილეთს, ალვის ხეების სანახავად სოფელში ჩა-ვალ...“ სხვათა შორის, დღეს, მანქანით რომ მოვდიოდით მარტ-ვილში, ნომადი გზაზე ალვის ხეებს აკვირდებოდა. კიდევ ასეთი სტრიქონები მაგონდება — „ოქტომბერი მიყვარს ქართლის, ფერთა მისი რიარია, სექტემბერი ადრე არის, ნოემბერი გვიან-ია“ ... ოქტომბერი ისე უყვარს, რომ აქ, სამეგრელოში, მისი სა-იუბილეო საღამოც ოქტომბრის ბოლო დღეს დაემთხვა. აქვე მინდა ერთი რამ აღვნიშნო: ჭადრის ფოთლებზე დანერვილია ნომადი ბართაიას ლექსმა შთაგვაგონა, რომ ქუთაისში დავანე-სოთ ჭადრის ოქროსფერი ფოთლის ლიტერატურული პრემია.

გია ხოფერია (მწერალი, პროფესორი): „ნომადის ლექსებ-ზე შეიძლება ითქვას, ფოტოაპარატითაა გადაღებულიო. ისინი პატარა-პატარა, ჩარიგებულ სახლებს გვაგონებს, სადაც დიდი სითბო და სიყვარული ტრიალებს, გამუდმებით ანთია ცეცხლი, სინათლე... ბევრი რამ უნახავს ამ შემოქმედს, მტრი-სა და მოყვრისთვის სათქმელი ქართულადაც უთქვამს, სპარ-სულადაც, სხვა ენაზეც. ბევრი უვლია... გავლილი წლებისთ-ვის ყურადღება ალბათ არც კი მიუქცევია, რადგან არ იღლე-ბოდა. არც ახლა ჩანს დაღლილი, ახალ წამოქორჩილი ვაჟკა-ცივით გამოიყურება... მაგრამ დრო ხომ მაინც თავისას აკე-თებს. მაინც ჩამოუთვლია სამოცდაათი წელი“.

ზურაბ დანელია (პედაგოგი): „არცთუ ისე ცოტა პოეტი გვეყავს ქართველებს, მაგრამ დანამდვილებით ვიტყვი, რომ ისე ვერავინ მახრუნებს ბავშვობაში, როგორც ნომადის ლექსები. პირველ სექტემბერს სკოლაში მისვლის განცდებიდან ყველაზე მეტად შემომრჩა ეზოს გაუთიბავ ბალახში კალიების ხტუნვით ტკობა; თუმცა ვერასდროს ვიფიქრებდი ამ განცდის გადატა-ნას ლექსში და, აი, სასწაული - ნომადი ბართაიას ლექსების კრე-ბულში ამოვიკითხე ეს: „საოცარია, ჩემო კარგებო, ბავშვის გულს ასე როგორ ათბობდით, სახლი არ გქონდათ, კარი არ გქონდათ? მთელი დღე გარეთ როგორ დახტოდით?“ მეამაყება, რომ ნომადი ჩემი სიყრმის მეგობარია, სკოლა ერთად დავამთავრეთ. მადლო-ბელი ვარ, რომ მან მე და მის ყველა თავყვანისცემელს უამრავი საჩუქარი გვიძღვნა შესანიშნავი ლექსების სახით. ვულოცავთ ჩვენს მეგობარს აკაკი წერეთლის პრემიის მოპოვებას და საჩუქ-რად ვუძღვნი ჩემს უბადრუკ, მაგრამ ალალი გულით მიძღვნილ ლექსს: „აბა, რა გითხრა, რით გაგახარო... თვითონ წვეთში რომ ხედავ სამყაროს... შენ ძალგდის ნახვა ასეთი რამის - ქარმა რომ ქორი წაიღო ლამის... ჩამოყრდნობილი კალამს - სატევარს, „რით გიდგას სული სიტყვის მადევარს?“ თუ დაჰკრავს შენი დაფი და ბუკი, ქართული თაფლი მექნება თუკი... აბა, რა გითხრა, რით გა-გახარო, თავად წვეთში რომ ხედავ სამყაროს...“

ოთარ დანელია (პედაგოგი): „ბატონი ნომადი მინიატურა-ში ატეხს თავის სათქმელს. რატომღაც მგონია, რომ მისი ლექსების გააზრებას ასაკი სჭირდება. „უნდა ყველაფერს შე-მოვხვიოს და ყველაფერი სამუდამოდ ჩაიკრას გულში“. ვერა-ფერს იტყვი. სუროს ბუნებრივი მდგომარეობის ასე დანახვა მხოლოდ ნომადი ბართაიას პრივილეგია აღმოჩნდა...“

ილია კუხალაშვილი (პოეტი): „ჩემამდე სიტყვით გამოსუ-ლებმა ამომწურავად ისაუბრეს ნომადი ბართაიას პოეზიაზე.



ილია კუხალაშვილი, თემურ ქორიძე, ბესიკ გვაზავა, ნომადი ბართაია, ფაუსტ ნადარია, ჯამბულ ხუროძე, ნოდარ ქორიძე, ვახტანგ ბახტაძე (ქვედა რიგში)

ამიტომ მე უფრო მის თარგმანებზე გავამახვილებ ყურადღე-ბას. საუბარია ირანულ პოეზიაზე, რომელსაც ბ-ნი ნომადი სხვა ქართველ მთარგმნელებთან ერთად, შეიძლება ითქვას, ვირტუოზულად თარგმნის. მე სალხინოელი ვარ და მიხარია, რომ ნომადი ბართაია თანამოაზრე და მეგობარია მაგალი თო-დუასი, რომელიც ასევე სალხინოელი გახლავთ და უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი ირანული პოეზიისა. მი-ხარია, რომ ეს შეხვედრა ასეთი მასშტაბური და გულწრფელი გამოვიდა, რაც დასტურია იმისა, რომ იუბილარის შემოქმედე-ბასა და კეთილ საქმეებს კეთილი სიტყვის შემანეწარი ბლო-მად ჰყოლია მშობლიურ რაიონში. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს შეხვედრა ასეთი საინტერესო და ხალისიანი გახდა“.

მარინე თოფურია (პედაგოგი): „ქართული სიტყვის ფერს, გე-მოს და სურნელს რომ მიაგნო, სულის მუდმივი მოძრაობა, გრძნობათა სიფაქიზე, დაკვირვებულობა და შინაგანი სიძლიერე გჭირდება. ბატონი ნომადი პოეტურ სულთან ერთად შემკულია პატიოსნებით, რასაც დაკვირვებული მკითხველი მის შემოქმედე-ბაზე თვალის ერთი გადავლებითაც გრძნობს. ნაღდ, ალალ, ნიჭი-ერ პოეტს უყვარს, ფიქრობს, ნუსხ, ხედავს, ძალუმად გრძნობს ქართული მიწის სუნთქვასა და ფეთქვას. „და აქუს მას სიტყვაი გამოჩინებული...“ ვამაყობთ ჭყონდიდელთა ძირძველი მიწის საა-მაყო შვილი. ღმერთმა ნუ მოგვიშალს მისი მადლიანი და ძარ-ღვანი სიტყვა ქართული ხელოვნების საკეთილდღეოდ“.

თინა ძაგანია (პედაგოგი, პოეტის თანაკლასელი): „ბავშ-ვობიდან გამორჩეული იყო... არასდროს უსარგებლია პრივი-ლეგიებით; არადა, რაიკომის მდივნის, პოეტისა და მეცნიერის შვილი გახლდათ. სათნო, კეთილშობილი, წყნარი, ნიჭიერი. ყველას უყვარდა და ყველას გვიყვარდა. თანაკლასელ გოგო-ნებს ყოველთვის „შპარგალკებით“ გვეხმარებოდა საკონტ-როლო წერის დროს. დღეს ვარ ბედნიერი მისი წარმატებით. აღფრთოვანებული ვარ და სიტყვები არ მყოფნის. უბრალოდ ვიტყვი, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ჩემო ნომადი...“

იზა ხაინდრავა (პედაგოგი): „ბატონი ნომადი ჩემი ახლობე-ლია და ეს გამომარჩევს დღეს ამ შეხვედრის მონაწილეთაგან... ის ხშირად გვსტუმრობდა სახლში, როცა მამაჩემი ცოცხალი იყო. ერთ რამედ ღირდა მათი პოეტური პაექრობის მოსმენა... თქვენ ერთი ლექსი გაქვთ, ბატონო ნომადი! „მოლაღურები“ ჰქვია. ერთგან წერთ: „შემოდგომაზე იცით მოფრენა, როდე-საც ლეღვი იწყებს მწიფობას, და არაფერი სჯობია მამინ ცის ცქერასა და სოფელში ყოფნას. ხმაცა გაქვთ რაღაც თავისებუ-რი და გაიჭყვივლებთ ხანდახან კიდევ, ხალხს ჩამოვიყვან

ვახტანგ ბახტაძე

პარტი ლექსები ყოველთვის გვინდა!

ამას წინათ ნომადი ბართაიას ერთი ძველი, 1985 წელს გამოცემული ლექსების პატარა კრებული ჩამივიარდა ხელში და გავვოცდი, იმდენი კარგი, თბილი, გულშიჩამწვდომი ლექსი აღმოვაჩინე მასში. „მე გიცნობთ ყველას“ — ასეთი ნიშანდობლივი სათაური აქვს ამ კრებულს. ანოტაციის ერთი შეხედვით ტრაფარეტული სიტყვები — „ნომადი ბართაიას ლირიკული ლექსების კრებული მშობლიური მიწის, მისი ადამიანების სიყვარულითაა გამთბარი“ — ამ შემთხვევაში ზუსტად შეესაბამება სინამდვილეს.

70 წელი მოგონებებითაა ხოლმე გაჯერებული და ბ-ნ ნომადის ალბათ არ ეწყინება, თუ მხოლოდ იმ ძველ კრებულზე ვილაპარაკებ, ახალგაზრდობას გავახსენებ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირში ე.წ. „გარდაქმნა“ ჯერ კიდევ არ იყო დანყებული, ხოლო ეროვნული სულისკვეთება, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი იმპულსები და შინაგანი პროტესტი ჭეშმარიტი პოეზიის განუყოფელ, მთავარ მოტივს წარმოადგენდა და უმთავრესად პატრიოტულ თემატიკაში იჩენდა თავს.

მაგალითად მისი ლექსი „საქართველოს“. მოსალოდნელი იყო ეს ლექსი, რითმებით ყოფილიყო განწყობილი, მაგრამ ავტორმა, თითქოს განგებ, რითმებზე უარი თქვა. მართლაც, როცა ლექსი გულიდან მომდინარებს, მას არ სჭირდება პოეტური სამკაულები, „მუსიკობანი“ (ეს სიტყვა — „მუსიკობანი“, — ცხადია, მომყავს მეფე თეიმურაზ 1-ის სტრიქონიდან: „სპარსული ენის სიტკობამან მასურვა მუსიკობანი“. ბ-ნი ნომადი ხომ შესანიშნავი ირანოლოგია!). აი, ეს ლექსიც:

**რა საამური რამა ხარ,
შენი სახელის ჭირიმე.
წავალ და ფარებს გავყვები,
დავიკარგები ღრუბლებში.
თვეობით ველარ მიხილავს
ჩემი ცოლი და ბავშვები.
არ მინდა შავი ნაბადი,
ალარც ძაღლი და კომბალი.
შენს წვიმას ხელებს შევუშვებ,
შენს მგლებს შევაჭმევ ჩემს ფარას.
რა საამური რამა ხარ,
შენი სახელის ჭირიმე.**

ამ კრებულში ბევრია ასეთი ტიპის ლექსი.

* 2014 წლის 31 ოქტომბერს, მარტვილში, ნომადი ბართაიას 70 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა.

თქვენს სანახავად, ჩემო კარგებო, თქვენ იზამთ იმდენს“. დღეს, ამ ოქროსფერ შემოდგომას, თქვენ შეკრიბეთ თქვენი მეგობრები, რომ გეჩვენებინათ მათთვის ჩვენებური მომხიბვლელობა შემოდგომისა“.

ბესიკ გვაზავა (სტუდენტი, მაგისტრანტი): „ნომადი ბართაიას შემოქმედება გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მრავალწახნაგოვანია, იგი სავსეა იმპროვიზაციით, მუსიკალურობით, ბგერათა შეხმატკბილებით. ბატონი ნომადის მოღვაწეობა უხმაურია. ეს ალბათ იმიტომ, რომ საყოველთაო აღიარებით, თავმდაბალი პიროვნებაა. თბილისში ბატონ ნომადის წიგნების პრეზენტაცია თუ შემოქმედებითი საღამოები საკმაოდ ხშირად იმართება, რასაც მეც არაერთხელ დავსწრებოვარ. მისმა წიგნმა - „საქართველო და ირანი - უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“, რომლის პრეზენტაცია საქართველოს უნივერსიტეტში მოეწყო და რასაც ცნობილი ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე უძღვებოდა, კიდევ ერთი დიდი აღიარება მოუტანა მას. ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი, საელჩოს კულტურის ხელმძღვანელები და ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ირან-საქართველოს კულტურულ დაახლოებაში ნომადი ბართაიას წვლილი მართლაც რომ უმნიშვნელოვანესია. ის თავიდანვე ამ სათავეებთან იდგა. არაერთხელ ყოფილა ირანში, ამ ხნის მანძილზე კი ბევრი ადამიანი გაუცნია, საკუთარი თვალთ შეხებას და აღუწუხავს საინტერესო ფაქტები, განცდილი და ნახაზი წიგნად უქცევია. საკმარისია ეს წიგნები წაიკითხოთ ნებისმიერმა ქართველმა (და არამარტო ქართველმა), რომ სიმპათიით განწყობს ავტორისადმი, შეიყვაროს ირანიც...“

იუბილარს მიესალმნენ აგრეთვე გაზეთ „მარტვილის“ რედაქტორი ფაუსტ ნადარაია, ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ წარმომადგენელი ვახტანგ ბახტაძე და ლეხინდრავოს საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ დანელია.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსულმა ნომადი ბართაიამ აღნიშნა: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელი ხიდად არის გავრცელებული წარსულსა და მომავალს შორის, რაც ამ დანუსებულების თანამშრომელთა დაუღალავი მოღვაწეობის შედეგია. აქ სისტემატურად ეწყობა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციები, შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები მათთვის სასურველ ადამიანებთან. მადლობა უფალს, რომ ასეთთა შორის მეც აღმოვჩნდი. მეტად მოულოდნელი, საოცარი და სასიამოვნო საჩუქარია დღევანდელი საღამო ჩემთვის“.

მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა იუბილარისთვის „მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ღიმილის ორდენით“ დაჯილდოებაც. მით უფრო, როცა გაიგო, რომ მისი პირველი მფლობელი თავად იყო. ღიმილი გვეფინოს სახეზე და ურთიერთკეთილგანწყობა არ მოგვაკლოს ღმერთმაო, - დასძინა გახარებულმა შემოქმედმა.

თვით ორდენის დანიშნულებასა და ისტორიაზე იდეის ავტორმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა იგორ კეკელიამ ისაუბრა:

„1969 წელს ერთმა ავადმყოფმა პოლონელმა ბიჭუნამ მამას გაუზიარა თავისი ფიქრი - ყველა ადამიანი, რომელიც სხვებს სიხარულს ანიჭებს, რა იქნება, „ღიმილის ორდენით“ დაჯილდოვდესო. პატარა ბიჭის აზრი მოსწონებიათ და ასე დაარსებულა პოლონეთში ღიმილის ორდენი. ეს ტრადიცია ჩვენც დავინერგეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სახელში და დღეს, ჩვენს სტუმარს შორის პირველი, ვისაც ორდენი ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის გადაეცემა, სწორედ ბატონი ნომადი გახლავთ“.

შეხვედრის დასასრულს ერთი პატარა გოგონა მივიდა იუბილართან ბლოკნოტით ხელში და ავტოგრაფი სთხოვა.

მისი ლექსების კითხვისას გიჩნდება აზრი, რომ მისი კალმის არცერთი მოსმა განცდის გარეშე არ ხდება. პოეტის ყოველი ფრაზა სიმართლის ანარეკლია. მან პოეზიის საგნად აქცია თითქმის ყველაფერი. ის ხედავს და მიგვანიშნებს ისეთ რამეზე, რაც სხვებისთვის შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს. ნომადი ბართაიას ძალუძს, ლექსი განცდილის, ნანახის გადმოცემის უნივერსალურ ინსტრუმენტად აქციოს, თანაც კალმის ერთი მოსმით და უაღრესად დამაჯერებლად: „გორი-ქარელის გზის მონაკვეთზე კინალამ ქარმა წაიღო ქორი“.

ნომადი ბართაიამ შეძლო შეექმნა ისეთი შემოქმედებითი სამყარო, სადაც ჩვენ, მისი მკითხველები, როგორც დესპანები, ვდგავართ ამ სამყაროს შესასვლელ კართან და ველოდებით, როდის მოგვეცემა იმის საშუალება, რომ მის ბატონ-პატრონს ვუთხრათ მისივე ფრაზა: „ნება მომეცით, მიყვარდეთ, ნება მომეცით, მომწონდეთ!“

სწორედ იმ დღეს, მისი დაბადების 70-ე წლისთავზე, მოგვეცა ამის საშუალება. ჩვენ გვიყვარს ნომადი ბართაია და მოგვწონს მისი შემოქმედება. დაბოლოს: „ღმერთმა ასეთი დაგბადა, ღმერთი ყოველთვის გვფარავდეს! მზე-სავით გასცემ სითბოს და მზესავით ითხოვ არაფერს“.



ნომადი ბართია

ადამიანებისადმი უალრესად თბილი დამოკიდებულება მკაფიოდ იგრძნობა ბევრ ლექსში, მაგალითად, აი, ეს, თითქოს ძალიან უბრალო:

რა არის, მაგრამ
მინც მემამა -
გუშინ
ქუჩაში
შემხვდა ნაცნობი
და ასე მითხრა:
„ერთი კვირის წინ
გაჩერებასთან დაგინახეო“.

ან ეს:

ნეტავი ვინმემ გამაჩეროს,
მკითხოს, რომელი საათია,
ან — ეს და ეს ქუჩა სად არის.

დანვრილებით ვეტყვი ყველაფერს,
ცოტა ხანს თვალსაც გავაყოლებ.

ადამიანებისადმი თანაღმობა, თანაგრძნობა დამახასიათებელია მისი პოეზიისათვის. ამის დასტურია თუნდაც ეს მშვენიერი, იუმორნარევი ნიმუში:

ეს მოხდა ტაშკენტის აეროპორტში,
თუმცა მე რას გეტყვით ახალს.
გოგო ბიჭს აცილებდა, —
ასეთი რამე არ მინახავს.
გოგოს შეღებული თვალები ჰქონდა,
ცრემლი სდიოდა ლაპალუპით,
ხელში ყვავილები ეჭირა,
ასე — გეორგინა ოთხი თუ ხუთი.
მერე უცებ აწრიალდა
ადგილს ეძებდა კეთილს ფრიად,
რომ კიდევ ერთხელ დაენახა,
რომ მისთვის ხელი დაეჭინა.
შორიდან შევცქეროდი ამ სურათს,
თვალები ჩანდა შავი, დიდი,
უკან ავედევნე იმ გოგოს,
კინალამ მასავით მეც ავტირდი.
ეს მოხდა ტაშკენტის აეროპორტში,
სადაც არავის არ ვიცნობდი,
ისე მემამა ცრემლის ნახვა,
უცებ რა მექნა, არ ვიცოდი.

ადამიანური ტრაგედიაც ჭეშმარიტი პოეზიის სიმალლეზე აჰყავს პოეტს:

რომ იცოდე, ჩემო გურამ,
როგორ ყვარებისხარ ყველას.
შენს ტირილში, შე ბედშავო,
საიდან არ ჩამოვიდნენ.
ამინდმაც რომ გაგიმართლა,
გადიდარა თითქოს განგებ.
ღვინოც დაილია, მაგრამ
არვის არევიან ფეხი.
ნაჯახაოს სასაფლაოს
ჩაგაბარეს მზის ჩასვლისას.
შენს საფლავზე შენი ცოლი
შავი მანდილივით ეგდო.

მართლაც მშვენიერი ციკლებია „რა ლამაზია თუშეთი“ და „ვერცხლის ტბის სიმღერები“. ერთ პატარა ნაწყვეტსაც მოვიტან ციკლიდან „ვერცხლის ტბის სიმღერები“ (მეგრულ სახელწოდებასაც ვიტყვი — „ტობავარჩხილი“):

აი, სასწაული ამას ჰქვია,
დაბლა მინას და მაღლა ცას ვფიცავ, —
რაც ვნახე ლებარდე — ვერცხლის ტბის გზაზე,
ყველაფერი ლექსად იქცა.
აქეთ-იქით ვიხედები
სიხარულით მეკვრის სუნთქვა,
თანაც მელიმება გულში,
ამდენი ლექსი ვის რად უნდა?

გვინდა, გვინდა, ჩვენო ძვირფასო ბ-ნო ნომადი! კარგი ლექსები ყოველთვის გვინდა!

დღეს, უსულგულო გლობალიზაციის ეპოქაში, მარადიულ ფასეულობათა დაცემის ჟამს, როდესაც ადამიანურ, თბილ ურთიერთობათა დიდი უკმარისობაა, ამ ლექსებმა მართლაც ძალიან გამითბო გული.

ბატონო ნომადი! დიდი მადლობა ამ ლექსებისთვის, თქვენი შემოქმედებისთვის!

კიდევ დიდხანს სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას გისურვებთ!

დაგილოცავთ თქვენს მშობლიურ ოდაბადეს!

თბილისი-მარტვილი



მარტვილის მონასტერი

ნინო დოლიძე

თანამედროვე პალესტინური ავტობიოგრაფიული რომანი

ნებისმიერი დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი რეალობას, ნამდვილ ამბებს ეფუძნება, რაც მკითხველისთვის ორმაგად საინტერესოა განსაკუთრებით დღეს და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ხშირად მედიის საშუალებითაც მიმდინარეობს ბრძოლა, საინფორმაციო ომი, ერთი სინამდვილის სხვადასხვაგვარად წარმოჩენა, სტერეოტიპების შექმნა. ამიტომ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ხშირ შემთხვევაში მთხრობელის მიერ სუბიექტურად აღქმული რეალობა სწორედ მკითხველთა ინტერესის საგანი და არა მოვლენათა „ობიექტური“ გაშუქება, მიმოხილვა თუ ანალიზი ექსპერტების, პოლიტიკოსებისა თუ ჟურნალისტების მიერ. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტურ პროზას, მემუარულ ლიტერატურას. ეს ის შემთხვევაა, როცა მე როგორც მკითხველს მაინტერესებს სწორედ მთხრობელის დამოკიდებულება, პოზიცია, ემოცია, ხედვა. მაინტერესებს, მან რა განიცადა, რა იგრძნო, რა შეემთხვა, რა გადახდა. აქ არ არის ვიდეოკამერა, რომელიც რაღაცას აფიქსირებს ან მესამე პირი, რომელიც რაღაცას გვიამბობს. აქ არის თვითმხილველისა და განმცდელის მიერ პირველ პირში მოთხრობილი ამბავი. ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოში დოკუმენტური პროზა (non-fiction ან ე.წ. oral history) თანდათან მხატვრულ ფანტაზიაზე (fiction) უფრო მოთხოვნილი ხდება, ხოლო თარგმანი არის ხიდი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ერთი მხრივ, გამოცდილების გაზიარება, ხოლო მეორე მხრივ, იმის ამოკითხვა, რაც არ ჩანს მედიის ენით მოწოდებულ ინფორმაციაში.

მემუარულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული დატვირთვა პოსტკოლონიურ ეპოქაში შეიძინა. აკადემიურ სივრცეში ავტობიოგრაფია აუდიტორიასთან ურთიერთობის გარკვეული ფორმაც კი გახდა. ხშირად ამბობენ, რომ ის კონკრეტული პოლიტიკური მიზნებით იწერება. არსებობს ავტობიოგრაფიის მთელი თეორია, რომელსაც აინტერესებს ერთი მხრივ, სად გადის ზღვარი დოკუმენტურობასა და მხატვრულობას შორის, და მეორე მხრივ, ის სპეციფიკური, ადგილობრივი თემები, რომლითაც ეს უნარი გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით ავტობიოგრაფია შეიძლება განვიხილოთ როგორც უნარი, კონცეფციაც და ტენდენციაც. გერმანელმა მკვლევარმა სიუზან ენდერვიცმა ავტობიოგრაფიას პალესტინურ სინამდვილეში „ერთადერთი და უნიკალური პალესტინური ფაზა“ უწოდა — ავტორები არა მარტო მოგვითხრობენ თავიანთ ცხოვრებაზე, არამედ ცდილობენ ამ მონათხრობით ნამდვილი პალესტინა დაგვანახონ და, შესაძლოა, დასავლეთის თანაგრძნობა გამოიწვიონ. მაინც რა როლი ენიჭება ავტობიოგრაფიას თანამედროვე პალესტინურ რეალობაში?

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეას ფლიში ალნიშნავს: „ავტობიოგრაფია ფიქციური შესვლაა წარსულში, თუმცა ავტორს არა აქვს უფლება, მოსწყდეს ანმეოს ან დროს. ამგვარად, ის დროთა შემაკავშირებელი გამოდის. მემუარები მოგონებაა, გახსენებაა. გახსენება და სსოვნა კი ერთი და იგივე არ არის“. თუმცა სწორედ სსოვნის საკითხმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა პალესტინურ ავტობიოგრაფიაში. ეს არ გახლავთ უბრალოდ წარსულის გახსენება. სსოვნა იდენტობასთანაა დაკავშირებული. 1948

წლიდან მოყოლებული სსოვნა პალესტინურ კონტექსტში გადასახლებული ადამიანის სსოვნაა. პარადოქსია, მაგრამ პალესტინელი არაბები იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელშიც აქამდე ებრაელები იყვნენ.

პარავარდის უნივერსიტეტის პროფესორ ჰომი ბჰაბჰას აზრით, პალესტინელები პალესტინაში წარმოადგენენ „მარგინალიზებულ უმცირესობას“, რომელიც თავის საკუთარ ეროვნულ, ნაციონალურ სივრცეს ქმნის და ამ სივრცეში არანორმალურად აღიქმება ყოველივე ის, რაც სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ, ჩვეულებრივ, ნორმად მიიჩნევა. უმცირესობისთვის (ე.ი. პალესტინელი არაბებისთვის) პრობლემატური ხდება მიღება იმისა, თუ როგორ აღიქვამს უმრავლესობა (ე.ი. ისრაელელი ებრაელები) საკუთარ ისტორიულ მახსოვრობას. ებრაელებს კოლექტიური მახსოვრობა (ებრ. ზიქარონ) იდენტობის შენარჩუნებაში დაეხმარა — ძველ აღთქმამაც ხომ არის გადასახლება, აყრა, მაგრამ მას ღმერთის მიერ აღთქმული სხნა მოსდევს. შედეგად იარაღის ძალით განადგურებული არაბული სოფლების ადგილი „აუთენტურმა“ ებრაულმა ხედვებმა შეცვალა. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ პალესტინის მიწა დაუკავშირდა ებრაელთა ისტორიულ დროს და არა გეოგრაფიული სივრცის ისტორიას. ე.წ. „ახალმა ებრაელმა“ თითქოს პირდაპირ განდევნა ახლანდელი ისტორია. ებრაული კულტურული გამოცდილების ჰომოგენურობამ პალესტინაში ეფექტურად ჩაახშო ყველა საპირისპირო ხმა. დღეს ერთი მხრივ, აქ მცხოვრები არაბები მოგვევლინენ ამ მიწის მკვიდრ ხალხად — ადგილობრივებად და გახდნენ ხაზგასმით პალესტინელი არაბები, მეორე მხრივ, ამ მიწას მთლიანად გამოაცალეს მისი არაბული ისტორია, მთელი ის მატერიალური მასალა, რაც ძველი ისტორიის რეკონსტრუქციას შეუწყობდა ხელს. არქეოლოგიაც კი ბრძოლის ველად იქცა. ისრაელის სახელმწიფომ თითქოს მტვერი გადამინდა აქაურ ტერიტორიას და თავისი მემკვიდრეობა გამოაჩინა, პალესტინელები კი ამ მიწასთან დაკავშირებული ისტორიული სსოვნის გარეშე დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს სსოვნების კონფლიქტი. ებრაული სსოვნის სიჭარბემ და ყოვლისმომცველობამ პალესტინელთა მახსოვრობის კულტურის გამძაფრებას შეუწყო ხელი — თუ საუკუნეების განმავლობაში გასახლებული ებრაელები სსოვნამ გადაარჩინა, არაბებიც სსოვნამ უნდა გადაარჩინოს. ამიტომაც, რომ არაბ ავტორებთან ხშირია ფრაზები „სსოვნა მომავლისათვის“, „სსოვნა იმისათვის, რომ გახსოვდეს და არ დაივიწყო“ და სხვ. პალესტინელი პოეტი მაჰმუდ დარვიში ალნიშნავდა ამის შესახებ: „ის, ვინც თავის ისტორიას წერს, ამ ისტორიის მიწა მასზე მემკვიდრეობით გადადის...“ ამგვარად, პალესტინური კულტურის სსოვნა ებრაული კულტურის სსოვნას დაუპირისპირდა.


ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პალესტინელი არაბები ისტორიული სსოვნის მიღმა აღმოჩნდნენ. მათთვის დიდი დარტყმა იყო 1967 წელი. ამ მარცხმა დაღი დაასვა მთელ მათ შემდგომდროინდელ პირად თუ საზოგადოებრივ ისტორიას: „1967 წლის ივნისის დამარცხების მერე რიცხვი 67 ჩემთვის მარცხის სიმბოლოა.“ — წერს თავის მემუარებში ალ-ბარლუთი, — „მას ტელეფონის ნომრებშიც ვარჩევ და მანქანის ნომრებშიც, სასტუმროს ოთახების კარებზეც,

მსოფლიოს ნებისმიერ ქუჩაზე და თეატრისა თუ კინოს ბილეთზე, წიგნის გვერდზე, სახლის ან დაწესებულების მისამართზე, მატარებლის წინა ნაწილზე, მსოფლიოს ნებისმიერი აეროპორტის ფრენის ნომერში ელექტრონულ დაფაზე. ეს რიცხვი თავის ჩარჩოში გაიყინა თითქოს. რიცხვი კი არა, მისი ქანდაკებაა ცვილის, გრანიტის, ტყვიის; ნაუშლელი ცარცის ნარწერაა დაფაზე შავ დარბაზში. არ იფიქროთ, რომ მე მას ცუდ ნიშნად მივიჩნევ, უბრალოდ ვამჩნევ.“ ამ ტრავმამ თუ მენტალურ-ფსიქოლოგიურმა პრობლემამ რეპრეზენტაციის კრიზისი წარმოშვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რაც პირდაპირ უკავშირდება როგორც პიროვნულ, ისე ისტორიულ ხსოვნას. ოთხმოცდაათიან წლებში, ე.წ. პოსტსიონისტურ ისრაელში თვით ებრაელებმა აღიარეს პალესტინელი არაბები „კოლონიზებულ დაჯგუფებად“, რომლებიც თითქოს მოსწყდნენ ისტორიულ წარსულს, მათი ხსოვნა კი ლტოლვილობის პერიოდს ველარ გასცდა.

ამ ვითარებაში პალესტინური სოციალური ცხოვრების ასახვასა თუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ავტობიოგრაფიას დაეკისრა. გერმანელი მკვლევრის, ანგელიკა ნოვირტის აზრით, პალესტინური ავტობიოგრაფია არის ერთი მხრივ, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც სადავო ტერიტორიაზე აცხადებს პრეტენზიას, მეორე მხრივ კი, დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა ისეთივე ფასეულია, როგორც დომინანტურის. ავტობიოგრაფიებში ასახული პალესტინა ერთი მხრივ, იძულებით გადაადგილებულებისა და ლტოლვილთა ბანაკებში მიმოფანტულების პალესტინაა, მეორე მხრივ, საკუთარ მიწაზე დარჩენილი ფუნქციონირებად ადამიანების პალესტინა. ორივე შემთხვევაში პალესტინელ არაბთა დიდი უმრავლესობა უფლებო მდგომარეობაშია. მათთვის სამშობლოს ძიების პროცესი დღემდე ხსოვნისა და ტექსტის ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს.

მურიდ ალ-ბარლუთის ბევრი რამ ახსენდება თორმეტდღიანი „დაბრუნებისას“. ის თავის წიგნში მოგზაურობას სწორედ ვირტუალურ სამშობლოში განაგრძობს, იქ, სადაც ახლა რეალურად ერთი ბინა, ოთახი ან საკუთარი ღამის გასათევი ადგილიც არ მოეპოვება. დაბრუნების სიხარულს მშობლიური ადგილების ცვლილებით გამოწვეული სევდა ცვლის — ოკუპაციამ ხომ ქალაქი სოფელს დამსგავსა, სოფელი კი მოსპო. პოეტს უნევს იმის გაცნობიერება, რომ ის ბოლომდე ვერ დაბრუნდა და ვერც ველარასოდეს დაბრუნდება. აღარ არსებობს სამშობლო, რომელიც მის წარმოსახვაში აქ „დაბრუნებამდე“ არსებობდა; სამშობლო, რომელიც მას ახსოვდა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ტრაგიკულობის განცდას. თუ, ჩვეულებრივ, ავტობიოგრაფიის ავტორისთვის უფრო მნიშვნელოვანი წარსულია, ალ-ბარლუთისთვის ანმყო არ არის ნაკლებმტკივნეული. ის სვამს შეკითხვებს არა მხოლოდ წარსულთან, არამედ მომავალთან დაკავშირებით — თუ უფლება მისცეს, როგორ უნდა დაბრუნდეს ქალაქში? ვთქვათ, ვაჟი ჩამოიყვანა. სად უნდა იცხოვროს მან? — „როგორ მოვუპოვო თამიმს თავისი უფლება ამ ადგილზე?“

კლასიკური ავტობიოგრაფია ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერაა. ძნელია განსაზღვრო, რა დამოკიდებულებაა რეალურად არსებულ წარსულსა და ავტორის მიერ აღქმულ წარსულს შორის, სად მთავრდება მის მონათხრობში პირადული და სად იწყება საზოგადო. ამასთან დაკავშირებით ალ-ბარლუთი აღნიშნავს: „ჩემთვის მთავარია გადმოვიცე ის, რასაც თავად განვიცდი. პირველ რიგში საკუთარი მიკროკოსმოსის მწამს, შინაგან ხმას ვენდობი, მას აღვწერ... არც ისტორიკოსი ვარ, არც პოლიტიკოსი, არც რომელიმე პარტიის ან ფრაქციის აპოლოგეტი. გარე სამყაროს მოვლენებთან შეხებისას ვცდილობ, პირველ რიგში საკუთარ თავ-



მურიდ ალ-ბარლუთი მისი ავტობიოგრაფიული რომანის ქართული გამოცემით ხელში

თან ვიყო მართალი.“ თუმცა პირადი ამბის თხრობისას ის ვერ ასცდა პალესტინის ისტორიის მოყოლას, რომელიც ფაქტობრივად დევნილობის ისტორიაა.

საერთოდ, პოსტკოლონიური ეპოქისთვის დამახასიათებელია „კოლექტიური ხსოვნა“, „კოლექტიური ავტობიოგრაფია“, როცა წაშლილია ზღვარი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი ვერენა კლემი იყენებს ტერმინს „პოლი-ბიოგრაფია“, რადგან ჩვენს ეპოქაში ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს რამდენიმე ქვეყანაში უწევს ცხოვრება და ბიოგრაფიაც კი გლობალიზებული გამოდის. „ავტორი ირჩევს კომპლექსურ ნარატიულ სტრატეგიას, სადაც პირადი ბიოგრაფია ქვეყნის ხმებშია გადახლართული,“ — წერს ვერენა კლემი, — „იზოლირებული, გადასახლებული ინდივიდი საზოგადოების სიმბოლურ ფორმაში ბრუნდება... პირველ პირში თხრობა აუთენტურობისა და იდენტობის ხაზგასმით, ავტობიოგრაფიულის და მხატვრულობის შეხვედრით ძალიან პოპულარული ნარატიული ფორმა გახდა. პოლი-ბიოგრაფიული „მე“ ახლო აღმოსავლეთის რეალობას გადმოგვცემს.“

„მე ვნახე რამალას“ ქართული თარგმანის გამოსვლის შემდეგ მკითხველებში ძირითადად ორი აზრი გამოიკვეთა: ერთი მხრივ, ბევრ ქართველ ლტოლვილს გაუჩნდა აზრი, რომ მას და წიგნის ავტორს საერთო სულიერ-ემოციური მდგომარეობა აქვთ — როცა დრო გაშორებს ადგილს, მეორე მხრივ კი, უამრავმა ადამიანმა გაგვიზიარა აზრი იმის შესახებ, თუ რა სხვაგვარად წარმოედგინა შორიდან და არა შიგნიდან დანახული კონფლიქტი. თუ მკითხველთა ერთმა ნაწილმა თავი გააიგივა ალ-ბარლუთისთან როგორც დევნილთან (იხ. ნანა კუციასა და ნინო ვახანიას რეცენზიები), მკითხველთა მეორე ნაწილის მოსაზრებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ როგორ ებრძვის ასეთი ტიპის ლიტერატურა სტერეოტიპულ შეხედულებებს. ჩვენს საზოგადოებაში ერთ-ერთი ასეთი შეხედულება პალესტინელი არაბებს მხოლოდ ტერორისტებთან ან უკულტურო ბრბოსთან აიგივებს. საერთაშორისო მედიაში ხშირად უფრო მკაფიოდ ჩანს მატერიალურად ძლიერის, ამ შემთხვევაში ისრაელის მიზანი და ინტერესები. ამასთან დაკავშირებით „მე ვნახე რამალასი“ ვკითხულობთ:

„როცა იცხაკ რაბინი მჭევრმეტყველურად საუბრობდა ისრაელის, როგორც აბსოლუტური მსხვერპლის, ტრაგედი-

აზე, და როგორც თეთრი სახლის ბაღში თავმოყრილი, ისე მთელი მსოფლიოს მსმენელთა თვალები ცრემლით ივსებოდა, ვიცოდი, დიდხანს არ დამავინყდებოდა სიტყვები, რომელიც მან მაშინ თქვა: „ჩვენ ომისა და ძალადობის მსხვერპლნი ვართ. არ გვახსოვს არც ერთი წელი და არც ერთი თვე, ჩვენს მშობლებს რომ არ ეგლოვოთ შვილები.“ ვიგრძენი ცახცახი, რომელსაც მაშინ განვიცდი, როცა წარუმატებელი ვარ და არაფრის გაკეთება შემიძლია. რაბინმა ყველაფერი წაგვართვა, ჩვენი სიკვდილის ისტორიაც კი.“

ისტორიის წართმევა — აი, მთავარი პრობლემა პალესტინელებისა. ალ-ბარლუთი, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ უამრავი ახლობელი ადამიანი დააკარგა, მსოფლიოს თავისი წიგნით უთხრა ის, რის ხმამაღლა თქმის შეუძლებლობაც მასში ბრახს, ცახცახს იწვევდა... და წარმატებასაც მიაღწია.

მწერალმა მაია ჯალიაშვილმა გულწრფელად აღიარა: „წიგნისთვის წამდღვარებულ წინათქმამში აღნიშნულია — ალ-ბარლუთის არ ეგონა, რომ მისი წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანები აზრს შეიცვლიდნენ ამ კონფლიქტის შესახებო. მინდა გითხრა, რომ მე ერთ-ერთი ვარ მათ შორის, აქამდე ისრაელს უფრო თანავუგრძნობდი. ახლა ჩემთვის მეორე მხარეც არსებობს.“ მნიშვნელოვანია, განსხვავებული კუთხიდანაც დააკვირდე მოვლენებს, რომ გაიგო, სინამდვილეში რა მოხდა. ალ-ბარლუთის ავტობიოგრაფიულმა თხზულებამ ქართველ მკითხველს ამის საშუალება მისცა. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გლობალიზებულ მსოფლიოშიც კი მემუარების მხატვრული თარგმანი საუკეთესო კულტურათაშორისი ხიდი აღმოჩნდა. მწერალმა მაკა ჯოხაძემ აღნიშნა: „აგერ რამალა და ერთი მშობლიური სოფელი დაგვანახა პალესტინელმა მწერალმა, ჩვენ კი ზოგიერთებს კვლავ ჯორჯიის შტატი ვგონივართ... მურიდ ალ-ბარლუთი დღევანდელ შეხვედრას რომ დასწრებოდა, გაუკვირდებოდა, ბედნიერიც იქნებოდა და დაენახებოდა კიდევ ჩვენი ემოციური განწყობა და სიღრმისეული განცდა ამ ყველაფრისა. მიხვდებოდა, რომ ტრადიციული ისტორიისა და დიდი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ, მწერლობა და ზოგადად ხელოვნება კი ის სფეროა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, ხალხები ვესაუბრებით ერთმანეთს.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსმა, არაბისტმა და მთარგმნელმა ნანა ფურცელაძემ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელთა წინარმოებებს კარგად ვიცნობ, ამ წიგნით თითქოს შიგნიდან დავინახე პალესტინელთა პრობლემა, ძალიან ადამიანურად გადმოცემული, ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე.“ სტუდენტებმაც გამიზიარეს აზრი. ისინი ფიქრობენ, რომ პალესტინელთა შორის ბევრი არ იქნება ალ-ბარლუთისნაირი პიროვნება, რომელიც მხოლოდ სხვისი კრიტიკით არ არის დაკავებული და საკუთარ შეცდომებსაც ეძებს: „არ არის საკმარისი მხოლოდ ოკუპანტების, კოლონიზატორების, იმპერიალისტებისა და სხვათა ბრალზე საუბარი... ყველაზე ადვილია სხვას დასდო ბრალი, შენს ნაკლებზე კი თვალი დახუჭო.“

„მე ვნახე რამალამ“ ადამიანებს აზრი შეაცვლევინა. მურიდ ალ-ბარლუთის გზავნილი მიღებულია. მკითხველი დარწმუნდა, რომ პალესტინელ არაბებს ტერორისტული აქტების ჩადენის გარდა ლექსების წერაც ეხერხებათ, და რომ პალესტინაში მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა ისეთივე ფასეულია, როგორც დომინანტურის. ამ მემუარებზე თამამად შეიძლება ეწოდოს „ერთადერთი და უნიკალური პალესტინური ფაზა“. დღეს შესაძლოა რამალა თავისი არაბული გარემოთი, დირ ლასანა თავისი სურნელებითა თუ გემოთი ამ წიგნში უფრო რეალურად არსებობს, ვიდრე რეალობაში. პოეტის ხსოვნამ გააცოცხლა წამდვილი პალესტინა. ამ ხსოვნამ ახლა პალესტინელი არაბები უნდა გადაარჩინოს.

ლია წერეთელი

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა

(„სამყარო და ხმელთა კიდე“)

რუსთველის პოემის გეოგრაფიული ფონი შუასაუკუნეების ცოდნის გათვალისწინებით არის სრულქმნილი. ქვეყანათმცოდნეობა, საბუნებისმეტყველო და კოსმოლოგიური მასალა „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველის ეპოქის საქართველოს ისტორიოგრაფიული წყაროს მნიშვნელობას იძენს.

„ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული გარემო, ანუ გმირთა მოქმედების არეალი კვლევის საგანი გახდა მეოცე საუკუნეში. მ. ჯანაშვილი, ზ. ავალიშვილი, პ. ინგოროყვა, ი. აბულაძე, შ. ჩიჯავაძე, ა. სვანიძე, დ. ქუმსიაშვილი, ლ. მარუაშვილი პოემის სივრცობრივ ფონს სხვადასხვაგვარად განიხილავენ. „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია მეცნიერთა ორი სრულიად საინააღმდეგო თვალსაზრისია:

პირველი მოსაზრებით, შოთა რუსთაველი პოემაში რეალურ ქვეყნებსა და ხალხებს არ აღწერს. რუსთველისეული არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი და ა.შ. გამოგონილია. გამოგონილია მათთან ერთად მანამდე უცნობი ქვეყნები და ქალაქებიც — მულაზანზარი, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ქაჯეთი. ამ თვალსაზრისს იცავენ ა. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, მ. გოგიბერიძე, გ. ნადირაძე, ს. ცაიშვილი. მიაჩნიათ, რომ პოემის ქვეყნები საქართველოს ნაწილებისა და მასთან მოსაზღვრე მხარეებს ასახავს.

მეორე თვალსაზრისით, პოემაში რეალურად არსებული ქვეყნებია წარმოდგენილი. რუსთველის არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ეგვიპტე და ბაღდადი შეესაბამება ამ სახელეუბით ცნობილ ქვეყნებსა და ქალაქებს. გვთავაზობენ რუსთველის პოემის გეოგრაფიულ რუკებს თავისი ოკეანებით, ზღვებით, კუნძულებით, ქვეყნებითა და სახელმწიფოებით... ამ თვალსაზრისს იცავენ: ი. ჭავჭავაძე, პ. მირიანაშვილი, ზ. ავალიშვილი, ა. სვანიძე, კ. ჭიჭინაძე, დ. ქუმსიაშვილი, ლ. მარუაშვილი.

მკვლევართა ნაწილი ამ ორი დაპირისპირებული თვალსაზრისისგან განსხვავებულ შეხედულებას, მათ ერთგვარ მორიგებასა და გამთლიანებას ასაბუთებს: პოემაში რეალურად არსებული და გამოგონილი ქვეყნებია აღწერილი. ამ თვალსაზრისს ასაბუთებენ მ. ბროსე, ს. ციციშვილი, ს. ქვარიანი, იუსტ. აბულაძე და სხვა.

საინტერესოა უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ გარემოზე. მაგ. 1884 წელს „კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერის მასალათა კრებულში“ გამოქვეყნდა ნ. გულაკის „რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე“. ავტორი პოემის ქვეყნებს იდეალურ სახელმწიფოებად მიიჩნევს, მათ საერთო არაფერი აქვთ წამდვილ ქვეყნებსა და იქ მცხოვრებლებთან: „იმის გარდა, რომ ისინი ქრისტიანები არ არიან, თითოეული არაბი და ინდოელი „ვეფხისტყაოსანში“ არსებითად ჭეშმარიტი ქართველია და ქართული ელემენტი ვარდის სურნელებსავე მოფენილია მთელ პოემაში... გმირთა სახელები წმინდა ქართულია და არა უცხოური, ბუნებაც ქართულია... გაუვალი უღრანი ტყეები, რომლებიც მხედარს არ აძლევენ მათში შეხიზნული ნადირის დევნის საშუალებას, გადმოხურული კლდეები და მათ ძირში გამდინარე ჩუხჩუხა ნაკადულები... ირმების, თხების, ფეხმალი არჩვების ჯოგები და სხვა, ყველაფერი მოგვაგონებს საქართველოს, კერძოდ იმერეთს, სწორედ ასევე პოემაში გამოხატული ჩვეულებებიც წმინდა ქართულია“.

„ვეფხისტყაოსანში“ ქართულ გეოგრაფიულ გარემოსა და გმირთა ქართველობას აღნიშნავს უცხოელ მკვლევართა, მთარგმნელთა და მხატვართა უმრავლესობა- ბალმონტი, უორდროპები, ზირნი... ალბათ არაქართველთათვის უფრო თვალსაჩინოა რუსთველის პოემის ქართული გარემო და გმირთა ხასიათები.

ზ. ავალიშვილი პირველია მკვლევართა შორის, რომელმაც რუსთველის ქვეყნები და ქალაქები გეოგრაფიულ ცნებებად განიხილა და სცადა მათი დადგენა: „ინდოეთი ზღვისკენ მიმართული ქვეყნის შთაბეჭდილებას ახდენს, ტარიელის ქვაბოვანი უფრო არაბეთისაკენ მდებარეობს, ხოლო მულღაზანზარი, გულანშარო, თვით ქაჯეთიც ინდოეთის მიდამოებში უნდა წარმოვიდგინოთ“.

ა. სვანიძეს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის პირველი ვრცელი გამოკვლევა, რომელიც დაიბეჭდა 1934 წელს. მისი თვალთახედვით, რუსთველის პოემის გეოგრაფიული სივრცე ამგვარად წარმოდგება:

არაბეთი ერაც-სირიას აღნიშნავს, ინდოეთი — მუსლიმანურ ჩრდილო ინდოეთს, ანუ ინდოსტანს, ხატაეთი — ჩრდილო-ჩინეთს და ხვარაზმი — ხორეზმის სამეფოს. გულანშარო ზღვის ნაპირთან მდებარეობს და წარმოადგენს თალასოკრატულ სახელმწიფოს — ზღვათა სამეფოს დედაქალაქს, რომელსაც ავტორი ვენეციასთან აიგივებს, ხოლო მულღაზანზარი, საზღვაო გზების კვანძში მდებარეობისა და თურქთა სამფლობელოსთან მოსაზღვრეობის გამო, ტრაპიზონსა და მის ყოფილ სამეფოს წარმოადგენს. ქაჯეთი და მისი ციხე ესპანური მავრიტანია და გიბრალტარის სიმაგრეა. „ზღვის ჭიბი“ პოემაში გიბრალტარის სრუტეა. მეცნიერის აზრით, რუსთველის „ქაჯი“ სწორედ მავრს აღნიშნავს. ტარიელის ქვაბოვანი „ბელუჯისტანში“ ან ქირმანში მდებარეობს. ვრცელად განხილულია პოემის გმირთა მოგზაურობების მარშრუტები და მათი გეოგრაფიული შესატყვისობები, მოხმობილია ისტორიული ცნობები ამ იდენტიფიკაციის დასადასტურებლად.

დ. ქუმსიაშვილმა 1964 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული გარემო“. მან გააკრიტიკა მ. ჯანაშვილის, კ. ჭჭინაძის, ზ. ავალიშვილისა და ლ. მარუაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის შესახებ და წარმოადგინა საკუთარი თვალსაზრისი:

შეთა რუსთაველის არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ეგვიპტე და ქალაქი ბაღდადი შეესაბამებოდა ამ სახელეებით ცნობილ ქვეყნებსა და ქალაქს. „ზღვათა სამეფო“ — კუნძულ სუმატრაზე მდებარე ძლიერი სამეფო ჯაიაა, გულანშარო — ქ. პალემანგი, ქაჯეთი — სუმატრაზე მდებარე მეორე სახელმწიფო ჯამბუდვი პა, მულღაზანზარი — ირანის პროვინცია ქირმანი და სპარსეთის უბის სანაპიროზე მდებარე ქ. ჰორმუზი, ტარიელის ქვაბი-დექალას ციკლოპური ნაქალაქეცია თურქმენეთში, ხოლო „ზღვის ჭიბი“ — წყნარ ოკეანეში არსებული რომელიღაც კუნძული.

1966 წ. გამოქვეყნდა მ. ქუმსიაშვილის „ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო“. მისი აზრით, პოემის გეოგრაფიულ ობიექტებს შორის საკამათოა ისეთი სახელმწიფოების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, როგორცაა მულღაზანზარი, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ქაჯეთი. ისტორიულ წყაროებში მსგავსი სახელმწიფოები და ქალაქები არსად არის აღნიშნული. რაც შეეხება დანარჩენ გეოგრაფიულ ობიექტებს, მათგან ერთი ნაწილი დღესაც არსებობს, ნაწილი კი ისტორიულად არის ცნობილი.

1966 წ. გამოქვეყნდა შ. ჩიჯავაძის სტატია „არსებობდა თუ არა ქაჯეთი?“

ავტორი მიიჩნევს, რომ ქაჯეთი და ქაჯები რუსთველის გამოგონილი არ არის და არც ხალხური მითოლოგიიდან არის აღებული. ინდოეთში, ბომბეის შტატში, არსებობს პროვინცია ქაჯეთი, ანუ „ქაჯის რაიონი“, რომელშიც ამჟამად 129 ათასი სული ცხოვრობს. ამ შტატში არის „ქაჩის“ ოლქი. ისტორიულად ცნობილია, რომ არსებობდნენ ხალხები და ტომები, როგორებიც არიან „ქალჯი“ (სამხრეთ ავღანეთში), ქაჯი, ქაჯე. გეოგრაფიული სახელები ქაჯანგი (კუნძულ ცელეპესზე), ქაჯანი (კუნძულ ჩორნეოზე), ქაჯი ბა ისი (კასპის ზღვის სანა-



პიროსთან), ქაჯთა ქალაქი (ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“-ში).

ავტორის მოსაზრებით, თუ ქაჯეთს მივიჩნევთ ზღაპრულ-ფანტასტიკურ ან მითოლოგიურ ქვეყნად, პოემის შინაარსობრივი მონაცემები არაბუნებრივად გამოჩნდება: მაგ. ქაჯეთთან ბრძოლის ეპიზოდები, დავარის გათხოვება ქაჯეთში, დედოფალ დულარდუხტის პიროვნება, რომლის დახასიათებაც არ შეეფერება ქაჯებზე ხალხში გავრცელებულ ზღაპრულ წარმოდგენებს.

1966 წ. გამოქვეყნდა ლ. მარუაშვილის „რუსთველის გეოგრაფიული თვალთახედვა“. ავტორი განამტკიცებს საკუთარ თვალსაზრისს, რომელიც 1938 წ. გამოთქვა: რუსთველს კონკრეტულად ჰქონდა წარმოდგენილი პოემაში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობა, კარგად იცნობდა მაშინდელი არაბი და ირანელი გეოგრაფებისა და კარტოგრაფების ნაშრომებს, რომლებშიც აღწერილი იყო პოემაში სხელებული გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ცნებები:

მულღაზანზარი და დევთა ქვაბები, სადაც ტარიელი იდგა, მდებარეობდა აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, ხოლო ზღვათა სამეფო, გულანშარო და ქაჯეთი- კუნძულ მადაგასკარზე. ავტორს წარმოდგენილი აქვს პოემის გმირთა მოგზაურობის მარშრუტები. იგი, სხვადასხვა წყაროების მოხმობით, ცდილობს დაასაბუთოს, რომ XII ს-ში მადაგასკარზე არსებული მაჰმადიანური სამეფო, სავარაუდოდ, „ზღვათა სამეფოა“, რომელიც XIV ს-ში შთანთქა იავა-სუმატრიდან გადმოსახლებული მალაელი ტომების მიერ შექმნილმა სახელმწიფომ.

ლ. მარუაშვილმა შემდგომში განაგრძო რუსთველის ქვეყანათმცოდნეობის თვალთახედვაზე კვლევა-ძიება. ათეული წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები 1966 წელს მონოგრაფიად გამოიცა. წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის ყველაზე სრულყოფილი და სპეციალური მეცნიერების კვლადაკვალ განხილული საკითხების აკადემიური შესწავლის ნიმუშია. განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის უძირითადეს საკითხებს:

პოემის სივრცობრივ ფონთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები:

„ვეფხისტყაოსანში“ სივრცობრივ ცნებათა აღმნიშვნელია: არე, მიდამო, ველი, პირი მინისა, პირი ქვეყნისა, ცათ ქვეშეთი-დედამინა, სამყარო-ცა და ქვეყანა, ოთხივე ცის კიდე-ქვეყნის ოთხი მხარე, ზღვის კიდე, — ზღვის ნაპირი, ზღვის პირი-სანაპირო, მზღვარი-საზღვარი, ხმელთა კიდე-ხმელეთის ნაპირი, ხმელეთი იგივე ხმელი, ხმელნი- კონტინენტები და კუნძულები, დიდი ზღვა-ოკეანე, ზღვათა შესართავი, იგივე ზღვათა შესავალი-ოკეანე.

ლანდშაფტის აღმნიშვნელი ცნებები:

ლანდშაფტი და მისი ცალკეული კომპონენტები-რელიეფი, ჰავა, გეოლოგიური და მინერალოგიური ცნებები, ნიადაგი, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო რუსთაველს მრავალფეროვნად აქვს წარმოსახული:

ქანების აღმნიშვნელი ცნებები:

ფიქალი, ქვიშა ზღვისა, სიპი-მაგარი ქანი, ტინი-მაგარი კლდე.

ძვირფასი ქვები, არაორგანული წარმოშობისა, ანუ „თვლები“:

ანდამატი, ალმასი, არღვანი („ქუა მენამული“ ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით). აყიყი-აქატი, ბადახში-ლალის სახეობა, რომელიც მოიპოვება ბადახშირში, ბროლი, გიშერი, ზურმუხტი, იაგუნდი, იაგუნდი ყვითელი-ლალის სახეობა, იაგუნდი წითელი-ლალის სახეობა, ლალი- კორუნდის წითელი სახეობა, ლილა-მინერალური პიგმენტი- ბერლინის, ანუ რკინის ლაჟვარდი, ლაჟვარდი-მინერალური ლაზურიტი, ანუ ლაპის ლაზური, ფეროზი-ფიროზი, სათი.

ლითონები: ტყვია, რვალი-სპილენძი, რკინა, ოქრო, ოქრო-მალრიბული წითელი.

ძვირფასი ქვები ორგანული წარმოშობისა: ამარტა, ფაზარი (ნიაშორისა და ერთ-ერთი ანტილოპის კუჭში ჩნდება), სადაფი, მარგალიტი, ჯავარი-მარგალიტი, ქარვა, ძონი.

ეს ცნებები განხილულია ვ. ნოზაძის, ნ. ქოიავას, ვ. ზუხბაიას და სხვა მკვლევართა მიერ. უმეტესად მეტაფორებშია გამოყენებული, ან გმირთა შეიარაღებისა და დოვლათის აღსანიშნავად იხმარება.

გეომორფოლოგიური ცნებები:

ბარი-ვაკე ადგილი, მთა, გორი, გორაკი, კაპანი- კლდოვანი ადგილი, ან ბილიკი, კლდეთა ნაღნი- თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით „დანმენდილნი კლდენი, რომელნიც კაცთა ხელთა დათლილთა გვანდეს, ეგრეთ დასაუფთავებულნი თითქო სვეტებად და სხვა და სხვის პირამიდების სახედ იყვნენ დათლილნი ბუნებით ეგრეთ, რომ ქმნილნი იქმნებიან და მას კლდეს რომ შუა და შუა გასასვლელნი ადგილნი აქვანდეს. ნაღი-განდებულსაც ეწოდება“ (თეიმურაზ-ბაგრატიონი, „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“).

კუნძული, რიყე, მინდორი, ქედი, („წაწურვილი ქედი“), ქვაბი, ღრუ, ღრენი-დახრამული, ოღრო-ჩოღრო ადგილი, ნავარნა — ნაპრალი, მღვიმე, ხევი.

კლიმატოლოგიურ-მეტეოროლოგიური ცნებები:

არავი-სამხრეთის ქარი, აერი-ჰაერი, ბორიო- ჩრდილოეთის ქარი, ბუქი-თოვლ-ქარი, ელვა, გრვინვა, გრიგალი, ტა-როსი-ამინდი...

ეს ცნებები უმეტესად მეტაფორებში გამოიყენება.

ჰიდროგრაფიული ცნებები:

ზღვის შტო-ყურე, ზღვის ჭიპი- ზღვის ან ოკეანის შუაგული, ლიპი-კლდიდან გამომავალი წყალი, რუ, ტბა, ფონი, წყარო, ჭა, ჭავლი-წყლის დინება.

ბოტანიკური ცნებები:

აბედი — ხის სოკოს სახეობა, ტალ-კვესთან ერთად ხმა-რობენ ცეცხლის ასანთებად, ალვა, ვერხვი, ზაფრანა, ია, კოკობი, კიტრი, კორდი მწვანისა, ლელი — წვრილი ლერწამი, რომელთანაც შედარებულია თმა, ლერწამი, მორჩი, ნა-ლერწამი, ნარგისი, ნარი, ნარიხვი, ნუში, სარო — კვიპაროზი, სპეტი — ყვავილის სახეობა, სოსანი, ქვრიმი, ქაცვი, ძენა, ხავსი. პოემში უმეტესად მეტაფორებად არის ხმარებული.

ზოოლოგიური ცნებები:

ვეფხი — მთის ლეოპარდი (Panthera pardus, ინგ. panther, ან Pantera tigris, რუს. Тигр.), ირემი, თხა, ავაზა (გეპარდი),

ლომი, კანჯარი, ქურციკი, აზავერი — საკიდარი ხარი, დურა-ჯი, ორბი, შავრდენი, არწივი, ასპიტი, ბუ, ბულბული, გველი, გავაზი, გნოლი, ვაცი, ვეშაპი, იადონი, იხვი, კაკაბი, კატა, მე-ლა, სირი, ტანაჯორი — კოლოსებრი ბუზი, ტრედი, ქორი, ღორი, ყარყუმი, ყვაგი, ყორანი, შველი, ჩიტი, ჯიქი.

ქვეყანათმცოდნეობითი ცნებები:

არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ხვარაზმი, მულღანზარ, გულანშარო, ქაჯეთი, ეგვიპტე (მისრი), ბალდადი.

ხატოვან გამოთქმებში — ჩინეთი-ჩინი, რომანია, ჯეონი, ბასრა, ათენი, მაქა, ბიბლიური — ედემი, ბისონი, გაბაონი, ევფრატი, დიჯლა, ნინეველი.

ასევე სპარსი, თურქი, ქურდი, ზანგი.

ამრიგად, ლ. მარუაშვილის მიერ გეოგრაფიის მეცნიერების ცოდნის გათვალისწინებით სრულყოფილად არის შესწავლილი „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია. დასკვნათა კატეგორიულობა რუსთველოლოგიური მეცნიერებისთვის მიუღებელია. ძნელია ზუსტად დადგენა და სრულ იგივეობად მიჩნევა რუსთველის მიერ ხსენებული სახელმწიფოებისა -ბალდადის ხალიფათად ერაცის ტერიტორიაზე, ინდოეთის-პაკისტანის, დელის სულთანატი „დიდი ხორეზმშაჰების სახელმწიფო“, ჩრდილოეთ ჩინეთი — ტიბეტი, აფრიკის კონტინენტის სომალი, მოზამბიკა, მადაგასკარი და ა.შ.

რუსთველის პოემა, რა თქმა უნდა, დაფუძნებულია გეოგრაფიულ ცოდნაზე. ქვეყანათმცოდნეობა, მინერალოგია, ბოტანიკა და გეოლოგია, ზოოლოგია, ასტროლოგია- მედიევალოური მეცნიერების ცოდნა რუსთველს შესწავლილი და გათვალისწინებული აქვს, მაგრამ პოემის ზუსტი გეოგრაფიის განსაზღვრა შეუძლებელია. რუსთველის გმირთა მარშრუტები, ქვეყნები და ოკეანეები თანამედროვე გეოგრაფიის მეცნიერების კვალდაკვალ, მათი შესატყვისობების დადგენა შეუძლებელია. მხატვრული ნაწარმოები ეფუძნება ავტორის ზოგადგეოგრაფიულ ცოდნას და შეუძლებელია მიზნად ჰქონდეს ზუსტი განსაზღვრანი. პოემის შინაარსში ქვეყანათა მდებარეობა, ლანდშაფტი, სივრცე, მცენარეული, ზოოლოგიური ასპექტები მხატვრული ფონის შესაქმნელად არის მოხმობილი და უმეტესად მეტაფორული დანიშნულება აქვს. რუსთაველი რეალურ-კონკრეტულის მიღმა მითოსურ-ფოლკლორულ, ზღაპრულ გააზრებასა და დრო-სივრცულობას სრულქმნის, ცნების სიმბოლურ საზრისს მხატვრულად აცოცხლებს. ეს პროცესი ღრმა და მრავალფეროვანია. პოემაში სრულქმნილია რუსთველური მსოფლალქმის ხატოვანი სისტემა. ამრიგად, ერთსახოვნად, კონკრეტულ-რეალისტურად „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის განხილვა შეუძლებელია.

განვიხილოთ გეოგრაფიულ ცნებათა რუსთველური გააზრება:

„სამყარო და ხმელთა კიდე“

გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, რუსთველისათვის არ არის მხოლოდ კონკრეტული სივრცე და რეალობა. იგი არის სამყარო, რომელიც ვერტიკალური აგებულების შუაცენტრშია მოქცეული და გულისხმობს ტრიხოტომიურ საზრისს-ზესკნელი, ქვესკნელი და შუასკნელი. ადამიანი შუაცენტრშია მოქცეული და, ამავე დროს, მის გარშემო ჰორიზონტალური სივრცე იშლება ოთხი მიმართულებით. სამყაროს ამგვარი მოდელი მითოსიდან მომდინარეობს და რუსთაველთან იგი გაცოცხლებულია. ადამიანებით დასახლებული მიკროკოსმოსი სამყაროს ცენტრში მდებარეობს და მას ოთხი ძირითადი მიმართულება აქვს ზორიზონტზე, ვერტიკალურზე — სამი.

„ოთხივე ცის კიდე“ სამყაროს ოთხ მხარეს აღნიშნავს-ალმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. „ცათქვეშეთი“ — ხილული სამყაროა, დედამიწა. „სამყარო“ — ცა და ქვეყანა ერთად.

ზესკნელი — მზისა და მთვარის მოძრაობის, მუდმივი მონაცვლეობით იხატება რუსთველთან. მნათობები გმირთა

თანხლებნი და მათი ყოფის განმსაზღვრელი არიან, ადამიანი „წილი“ სამყაროს მთლიანობისა.

ზესკნელის მკვიდრნი არიან ფრინველნი, პოემაში მარვალფეროვნად წარმოდგენილი.

ქვესკნელი — დედამიწის ქვედა ნაწილი, უმზეო, „ბნელ წილს“ განასახიერებს.

რუსთველი მზის მოძრაობის ციკლში მის ქვესკნელში დანთქმას ხატავს მითოსური საზრისით. მზის ჩაყლაპვა გველის მიერ მითოსური მეტაფორაა და ქვესკნელიდან ამოცისკრება — განთიადი, დღე-ღამისა და წელიწადის დროთა ციკლშია გააზრებული.

ამრიგად, ადამიანი სამყაროს შუაგულშია მოქცეული და ზღაპრის გზაჯვარედინის დარად, მის წინ ოთხი მხარეა განფენილი, ვერტიკალზე კი — ზესკნელი, შუასკნელი და ქვესკნელი.

სამყაროს ეს მოდელი რუსთველის ხატოვანი აზროვნებისა და მსოფლალქმის განმსაზღვრელია. კოსმოგონიისათვის აუცილებელი და უაღრესად არქაული სიმბოლოები — ხე და კოშკი — ქართულ მითოსსა და ზღაპრებში რუსთველთან ცხოველქმნილია, ისევე როგორც ქვაბი, მთა და წყალი.

ადამიანი — სამყაროს შუაგულში, სამი სკნელისა და ოთხი მხარის გადამკვეთ სივრცეში — თავად მიკროკოსმოსს წარმოადგენს და განსაზღვრავს გარესამყაროს, ასხვაფერებს და ცვლის მას. რუსთველის გმირთა გამოჩენა მზისა და მთვარის, მნათობების დარად განანათლებს სამყაროს: „**მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე**“; „**მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი**“.

ამგვარი მეტაფორები რუსთველის მხატვრული მსოფლალქმია.

„სამყარო და ხმელთა კიდე“ — ცა და დედამიწას აღნიშნავს ამ კონტექსტში და მითოსური, ბიბლიური შინაარსით ცხადდება. სხვაგან სამყარო მხოლოდ ბიბლიური შინაარსით გვევლინება: „**რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა**“

ამრიგად, შეუძლებელია სივრცის, გარემოს ერთმნიშვნელოვნად, გეოგრაფიული სიზუსტით გააზრება პოემაში.

„ზღვის ჭიპის“ გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ზუსტი განსაზღვრა ოკეანეთა შორის, ასევე შეუძლებელია, რადგან მას მეტაფორული მნიშვნელობა აქვს:

დავარმა ნესტანის გადაკარგვა ბრძანა: „**მან უთხრა: „წადი, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია**“.

ცნობილია, რომ სიტყვა „ჭიპით“ აღინიშნება შუაგული ადგილი, ქვეყნის ან დედამიწის ცენტრი. ჰომეროსის „ოდისეაში“ იხსენიება „ზღვის ჭიპი“ ანალოგიური შინაარსით. სტრაბონის თანახმად, ძველი ბერძნები „დედამიწის ჭიპად“ მიიჩნევდნენ პარნასის მთაზე მდებარე დელფოს სამისნოს, რომელიც საბერძნეთის გეომეტრიული ცენტრის ახლოს მდებარეობდა.

გარდა იმისა, რომ რუსთველისათვის „ზღვის ჭიპი“ ზოგადი მეტაფორაა, მას სიმბოლური დატვირთვა აქვს — ამ ადგილას არ უნდა იყოს წმიდა წყალი, სიახლოვეს არც მყინვარი და კლდე, ანუ ეს არის ქაჯეთის დარი ქვესკნელური ადგილი, რომლის უღვთობას წმიდა წყლის არარსებობა ადასტურებს.

ამრიგად, მეტაფორულად დატვირთული „ზღვის ჭიპის“ ზუსტი გეოგრაფიის განსაზღვრა ინდოეთის ოკეანეში და იდრისის მსოფლიო რუკაზე აღნიშნული მადაგასკარის კუნძულ „კომორის“—თან მისი გაიგივება შეუძლებელია. რუსთველს ჰქონდა ცოდნა ამგვარი ადგილისა და პოემაში მას სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა მიანიჭა.

სამყაროს სურათი სამი სკნელისა და ოთხი კიდის ერთიანობით, რუსთველის მსოფლალქმის ფუნდამენტია. ინდოეთში მამისგან ნესტანისათვის კოშკის აგება საცხოვრისად, არაბეთში როსტევეანისა და ავთანდილის სამკვიდროთა აღწერა, მეფეთა საცხოვრისები და სატახტო ქალაქები ერთგვარ სამყაროს ცენტრად მოიხარება და მათ სამყაროს დრო-სივრცელობის სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვთ. ადამიანი

ნის სახლი,საცხოვრისი, თვით დროებითი სამყოფი რუსთველისთვის სამყაროს ხატს ატარებს.

სამყაროს სურათი, ერთგვარი მაკროკოსმოსი, იხატება ტარიელის ქვაბოვანის სივრცული ფონის წარმოსახვით: „...**დიდნი კლდენი, კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენნი, წყლისა პირსა არ ითქმოდა, შაბში იყო თუ რასდენი, ხე დიდრონი, თვალ-უნვდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი**“.

ქვაბოვანი, ვეფხისტყაოსანი გმირის საცხოვრისი კულტურული გარემოდან გაჭრილი ადამიანის პირველქმნილი ბუნების წილია-კლდე,წყალი, შაბში...

ხოლო „ხე დიდრონი“ - ერთგვარად სამყაროს ღერძის, სიცოცხლის ხის ფუნქციით არის დატვირთული და კოსმოგონიური რეალობის საზრისი ენიჭება. აქ რეალურის მიღმა მითოსურ-ზღაპრული ქარგა იხილვება. სამყაროს უძველესი გააზრების თავისებური ხატოვანი აზროვნებისა და მსოფლალქმის თანახმად, სამყაროს უნივერსალურ ხატს სამყაროული ხე განასახიერებს, რომლის ტოტები ზესკნელთან არის დაკავშირებული, ფესვები- ქვესკნელთან, ხოლო ღერო ადამიანებით დასახლებულ კოსმოსს ასახავდა.

ამრიგად, სამყაროს სურათი რუსთველისათვის ადამიანის საცხოვრისშიც ვლინდება და მხოლოდ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას არ აღნიშნავს.

„ვეფხისტყაოსანში“ ცხოველთა და მცენარეთა ნაირსახეობა ოდენ კონკრეტულ-რეალისტური მნიშვნელობით არ გვხვდება. მათ შენარჩუნებული აქვთ მითოსური და ბიბლიური საზრისი. მაგალითად ცნობილია,რომ სამყაროული ხის ფუნქციას სხვადასხვა ცხოველი ასრულებდა, განსაკუთრებით ხშირად - ირემი. ირემი ყველაზე სრულად ასახავს სამყაროს მთლიანობის იდეას, მის არსს, ამ სამყაროს გენეზისს. მონადირის მიერ ირემის მოკვლის მოტივი, რომელიც გარკვეულ სიუჟეტურ ქარგაშია ჩართული, კოსმოგონიური აქტის სიმბოლურ გამოხატულებად გაიზრებოდა და ახალი სამყაროს დაბადებას უკავშირდებოდა. ეს არქაული მსოფლხატი ჩანს „მოქცევაი ქართლისაი“-ს თხრობაში. „მირიანის ანდერძში“: „ხე ერთი, მარტო მდგომარე კლდე-სა ზედა, რომლისა არა მიხებულ იყო ხელი კაცისაი...ოდეს ირემსა-ლა ეცის ისარი, მიივლინ ბორუცსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხე იგი და სწრაფთა ჭამნ თესლსა მას მის ხისასა, ჩამოცვენებულსა და სიკუდილისაგან განერის“...

მეცნიერთაგან განმარტებულია, რომ ეს სამყაროს მითოსური ხატია.

იგივე სურათი იშლება „ფარნავაზის ცხოვრების“ ეპიზოდში: ფარნავაზი ნადირობისას გაედევნა ირემს, სტყორცნა ისარი და დაჭრილი ირემი დაეცა კლდესთან, რომლის ძირას ქვაბი იყო, სადაც ფარნავაზმა დიდი ვანძი იპოვა. ზ. კიკნაძისეული ანალიზით: „მზეს ჭაბუკი ამოჰყავს ქვესკნელიდან სამზე-ოში, რეალურ სინამდვილეში მზის ორეულია ირემი, „მზიური ცხოველი“ („ფარნავაზის სიზმარი“, „მაცნე“, ენისა და ლიტერის სერია, 1984, №1).

ქართულ ორნამენტში, მტკვარ-არაქსის კულტურაში, სარტყლების დეკორში თუ საყოფაცხოვრებო ნივთებზე, ამირანის ეპოსში სიღრმისეულად არის შესწავლილი სამყაროს ამგვარი სურათი -სამყაროული ხე და ირემი მის ძირში, ღვთაებრივი ნადირობის სცენები.

„კოსმიური ხე ხანგრძლივი დროის განმავლობაში განასახიერებდა არქაული ადამიანის მიერ შექმნილ სამყაროს მოდელს, რის გამოც, დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა უძველესი ხელოვნების ნამყვან თემას“ (მანანა ხიდაშელი, „სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში“).

ტარიელის ქვაბოვანთან მისვლამდე ავთანდილის მიერ ნადირის მოკვლა ისრით, დიდრონი, თვალუნვდომი ხე კლდის პირას, რომელზეც ავთანდილი ადის და შესცქერის ქვაბოვანის სივრცეს, მთლიანად ტარიელის საცხოვრისი და ავთანდილის იდუმალი შედევრა ამ სივრცეში, ვფიქრობთ, სამყაროს უძველესი სურათის, სამყაროული ხის გააზრების ფუნქცია აქვს.

ცხადია, რომ სივრცისა და ლანდშაფტის რუსთველური სურათი განუცალკევებელია მითოსურ-ზღაპრული სამყაროს სურათის მსოფლალქმისაგან და მხოლოდ გეოგრაფიულ გარემოდ არ აღიქმება.

სამყაროს სურათი თავისი მინიატურული სახით იხატება თვით მეკობრეთა ნავზე: **„გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა, მას ნავსა ნავთა სალენად სახნისი ჰვია ძელითა“**.

ძელი, ერთგვარად სამყაროს ღერძს, საცხოვრისის დედაბოძს განასახიერებს, ასევე დროშა საკრალურია. ავთანდილის მიერ ძელის დამსხვრევა ამ სამყაროს და მისი უძღველობის რწმენას ერთბაშად ანადგურებს. მეკობრეთა ნავი ქვესკნელურ ძალთა სამკვიდროდ არის მოაზრებული.

„ვეფხისტყაოსანი“ ავტორის თვალთახედვითა და პერსონაჟთა მოგზაურობით დიდ სივრცეს, გეოგრაფიულად დედამიწის ოთხ კიდეს, ზღვასა და ხმელეთის უკიდველობას გულისხმობს. ამგვარი აღქმა სამყაროსი ზღაპრული და მითოსურ-ფოლკლორული ტრადიციის გაგრძელებაა. რუსთველური გეოგრაფიული სივრცის ცვალებადობა სამყაროს ცენტრში მდგარი ადამიანის გადაადგილებასთან ერთად, კულტურისა და ეთნოსის განსხვავებულობას გულისხმობს. ამავდროულად, ეს ცვალებადობა მოგზაურობის გზაზე ადამიანის შინაგანი ცვალებადობის ასახვაა, სამყაროს აღქმა განუცალკევებელია პიროვნულ-სულიერი აღქმისგან. იგულისხმება ახლისა და განსხვავებულის მიმართ პიროვნული გარდაქმნა, დიალოგი სხვა ეთნოსისა და კულტურის ადამიანებთან.

რუსთველი ამ სამყაროს თვითვე ანესრიგებს. შუასაუკუნეობრივი სამყაროს სურათი და ადამიანის „გახსნა“ ამ სამყაროში, რაინდული იდეალი და სიყვარულის ღვთიურობის არსი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სამყაროს გეოგრაფიას ქმნის არა მხოლოდ ლანდშაფტი, ზღვა და ხმელეთის უკიდველანი სივრცე, არამედ ადამიანის სულიერი მიმართება მასთან, მიკრო და მაკრო სამყაროთა განუყოფელი მთლიანობა. გარესამყაროს სამგანზომილებიანი სივრცე შენივთებულ-შერწყმული პიროვნულ სულიერ-ფსიქოლოგიურ აღქმასთან. „ზესთა მწყობრი“ და მინიერი სამკვიდროს ვერტიკალი, ჰორიზონტის ოთხი კიდე ურთიერთს კვეთს...ამ ჰარმონიას სრულქმნის ბიბლიური სამყაროს სურათი და დაკარგვა-ძიება-პოვნის ზღაპრული კანონი.

რუსთველისეული გეოგრაფია ზოგადად ადამიანური დრო-სივრცულობის მთლიანობა, გმირთა ხედვა და აღქმა, შინაგანი სამყაროსა და გარესამყაროს ურთიერთმიმართების დარღვევა და მათი ჰარმონიის აღდგენის ცდაა. დარღვეული წესრიგის განახლება, ბოროტების ძლევა, სიკეთის მარადიულობის რწმენის სიდიადე და გამარჯვების სიხარული.

ავთანდილის მოგზაურობა, მისი სამყაროს აღქმა განაცხადებებს მკითხველს „ათასფერადი“ სამყაროს მრავალსახოვნებას. ავთანდილის შეხვედრა სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში განსხვავებულ ადამიანებთან, სოციალური ნაირსახეობა კონკრეტულ სურათს შლის და განუშორებელია მისი „შიდა“ სამყაროსგან. ტარიელის აღქმა პიროვნულ ბედისწერის განცდასთან განუცალკევებელია და არ ემთხვევა რეალური ხედვა-აღქმის სურათს, რის გამოც მისი ყოველი შეხვედრა გარესამყაროსთან, ადამიანებთან იწვევს კონფლიქტს.

ნესტანის მოგზაურობა ბედისწერით არის განსაზღვრული და ირეალურისა და რეალობის ზღვარზე სრულიქმნება. ქაჯეთი- რუსთველური ჰადესი, სივრცულ და პიროვნულ სამყაროს მოდელს ამთლიანებს.

ქაჯეთის განსაზღვრა მადაგასკარის ცენტრალურ პლატოდ, ქაჯეთის ციხისა — ტანანარივის ტერიტორიაზე არსებული ციხის ნანგრევებით, ქაჯების ზუსტი გაიგივება მაღალ ტომებთან, თუნდ „ქაჯე“ ტოპონიმის არსებობის დამოწმებით, ნათელყოფს, რომ ყოველგვარი ცდა ზუსტი გეოგრაფიული იგივეობის მტკიცებისა გაუმართლებელია. რუსთველის შუასაუკუნეობრივი ცოდნა გეოგრაფიული მეცნიერებისა და გარკვეული წარმოდ-

გენა მისტიკური „ქაჯე“ ტომის არსებობისა გარდასახულია მხატვრულად. „ქაჯნი“ ქვესკნელური, ბნელ ძალთა, „უღვთო“ ცოდნით აღჭურვილი „კაცნი“ არიან, რომელთა დამარცხება ღვთიური ძალმოსილებით არის შესაძლებელი, მითოსური და ბიბლიური ცოდნის ელფერით, ზღაპრული ჯადოსნური ძალის ცხოველმყოფლობით სრულქმნილი რუსთველური ქაჯეთისა და „ქაჯნი“-ს ერთმნიშვნელოვნად გეოგრაფიულად განსაზღვრა ისევე შეუძლებელია, როგორც „ღვეთა“ და მათი გამოქვაბულისა. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიხმოდ „წმიდა ნინოს ცხოვრებიდან“ ეპიზოდი, სადაც აღწერილია გრგვინვა და შემოჭრა მცხეთაში მახვილოსანი მეომრებისა, რომელთაც „საბასტანიდან“ მოსულად იხსენიებს წმიდა ნინო და აცხადებს, რომ ისინი მოვიდნენ, რათა დაამარცხონ „ბნელ ძალთა“ მხედრიონი, სპარსელებად წოდებულნი. ტექსტში ეს უხილავი ბრძოლა, დაფარული რეალური თვალისაგან. წმიდა ნინოს ლოცვით მარცხდება „უღვთო ძალთა“ ლაშქარი, ბნელი მარცხდება. რუსთველს გათვალისწინებული აქვს ქვესკნელური სამყაროს რეალურად ასახვის ეს მხატვრული ტრადიცია. მისი წარმოსახვა ქაჯებისა „არ ქაჯნია, კაცნია“, და ქაჯეთისა საკუთარი მხატვრული სამყაროს ნაწილია, რუსთველურია - განუშორებელი და ერთადერთი.

სამყაროს სურათი პერსონაჟთა აღქმაში რუსთველურია, პიროვნული აღქმის სურათია და არა ზუსტი გეოგრაფიული განსაზღვრა:

მაგ: თინათინის სიტყვით უცხო მოყმის ძებნა: **„კილით კიდე მოჰლახო ცა“**.

ფრიდონის თქმით: **„ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსხმელო“**; **„მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“...**

ზღვა და წყალი

ზღვა და ზღვის პირი, მდინარე, წყლის პირი რუსთველის პოემაში მრავალსახოვნად არის აღწერილი. მეცნიერთაგან შენიშნულია, რომ საქართველოს ზღვისპირა მდებარეობამ, წყალუხვმა მდინარეებმა, რუსთველის ქართველობამ ბევრნილ განსაზღვრა პოემაში ზღვისა და წყლის გააზრება, მათი განუყოფლობა ადამიანის სივრცესა და ლანდშაფტთან.

დიდი ზღვა, ზღვისპირეთი, ზღვის სიახლოვე ცხოვრისთან, „წყლის ჩხაპუნება“, მდინარის პირას ფიქრიანი ჩამოხდომა და ცრემლის შერევა წყალთან, ზღვაში ნავის სვლა და უცხო ქვეყნების სანაპიროებთან მიახლება რუსთველს მრავალსახოვნად აქვს დახატული.

„წყლის ჭავლის“ ჭვრეტა და მისი ზემოქმედება ადამიანის სულიერ სამყაროსთან, მდინარის დინებათა განსხვავებულობა, ამასთან წყლის სიმბოლური, მითოსურ-ზღაპრული გააზრება რუსთველური მხატვრული სამყაროს აუცილებელი კომპონენტია.

„ვეფხისტყაოსანში“ გეოგრაფ მეცნიერთა მიერ კონკრეტულად დადგენა ამა თუ იმ ზღვისა და ოკეანისა, მათი ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა, კუნძულისა და სანაპიროს რომელიმე კონტინენტად მიჩნევა და სრული იდენტიფიკაცია მიუღებლად მიგვაჩნია. ზღვა და წყალი რუსთველური სამყაროს ასახვის, მსოფლალქმის ნაწილია და არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად რომელ ზღვასა და ქვეყანას, მდინარესა და კუნძულს ასახავს. რუსთველის დიდი ცოდნა გეოგრაფიის მეცნიერებისა სრულიად ცხადია, მაგრამ იგი ეფუძვნება მედიევალური სამყაროს აღქმის სისტემას და დღევანდელი გეოგრაფიის მეცნიერებისაგან სრულიად განსხვავებულია. მხატვრულ ნაწარმოებში წამყვანი სწორედ მხატვრული კონცეფციაა და არა კონკრეტულ- გეოგრაფიული რეალობა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია ნაწარმოების მხატვრული სამყაროს სივრცულ ფონს სრულქმნის, ავტორის მსოფლალქმის გამომხატველია, ეფუძნება სამყაროს უძველესი სურათის მითოსურ-ზღაპრულ, ხატოვან მსოფლხატს, ახლებურად აცოცხლებს და სრულქმნის მას.

სოსო ნადირაძე

კლდის ქიმიდან

„ომერტა“, — ანუ დუმბილის კანონი დევიზით: ვინც არ დუმს, უნდა მოკვდეს, სიცოცხლეში მათთვის მიმართ შიშმა გააჩინა და ძალიან დამაინტრიგო და ინტერესი გამიცხოველა, როდესაც ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა იკა ქადაგიძემ თავისი ახალი წიგნის სათაურად გამოიტანა: „ძირს ომერტა...“

იკა არაერთი საინტერესო რომანის, პოეტური კრებულისა და ესეის ავტორია, მაგრამ ამ ახალი წიგნის სათაურმა რაღაც არაჩვეულებრივის გასაზიარებლად შემაშაძა, მაშინ, როდესაც ჩვენს ირგვლივ ყველაფერი თავდაყირა დამდგარა, როდესაც ოცდაათ ვერცხლს მუხანათურად, მოტყუებით კი არ აჩეჩებენ ადამის ნაშეირს, არამედ ოცდაათი ვერცხლის მაძიებელი ოქროს მაძიებლებივით მოსდებიან თვალსაჩინო და კეთილდღეობის საფასურად მზად არიან ყველაფერზე მოანერონ ხელი. კომუნისტურ ეპოქაში აქტივისტი ბოლშევიკები თუ ურცხვად, სიამაყით აცხადებდნენ და სისრულეშიც მოჰყავდათ პირობა: დედასაც მოკვლავ და მამასაც თუ პარტიამ გვიბრძანაო, — თანამედროვე ვერცხლისმაძიებლები არანაკლები წილისგლებით იკაფავენ გზას ვერცხლით გაძეგილი იდუმალი ავანსცენისაკენ, სადაც სიტყვა სამშობლო დაცინვის ობიექტად გადაუქცევია მეფეთა-მეფეს — დროს — და მის ერთგულ ტაკიმასხარას — მედროვეს...

ასეთ რეალობასთან შეგუება აპოკალიფსთან ზავის დადების ტოლფასია, დუმბილი კი თანამოაზრეობა, სწორედ ამას განიცდის ჩვენი ულამაზესი მწერალი იკა ქადაგიძე და წინამდებარე წიგნით კიდევ ერთხელ ცდილობს გაფანტოს საქართველოს თავზე ჩამოწოლილი დუმბილი, კიდევ ერთხელ იმიტომ, რომ ვისაც იკას უკვე გამოცემული წიგნები წაუკითხავს, დამეთანხმება, იგი ყოველ ნაშრომში სწორედ ამ ავისმომასწავებელი, აპოკალიფსური სიჩუმის შესარისხად აქუნებს ზარებს...

იკას ყოველი წიგნის კითხვისას ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ კლდის ქიმზე გინევს გავლა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ყველა ის სატკივარი, რომლის გაზიარებაც მკითხველისთვის განუზრახავს. მაგარი გული და მუხლი უნდა გქონდეს, ბოლომდე უშიშრად რომ გაჰყვე ნისლიან ჭიუხებში ამ არაჩვეულებრივ მეგზურს, ამიტომ სულ არ გამიკვირდება თუ ბევრი ბოლომდე ვერც დაემგზავრება ამ სიფათიან გზაზე, მეტიც, როგორც ყოველ დროს, მართალია წიგნი ერთეულთა ჯილდოდ დარჩება...

გარდა ორიგინალური სათაურისა, აღსანიშნავია წიგნის გაფორმებაც. გაქვავებული რეალობისაგან განყენებული ნატიფი ხელები — სიცოცხლისა და მიზნისკენ მარადიული სწრაფვის სიმბოლოა, ოსტატის ხელია, შეიძლება სვეტიცხოვლის ამშვენებისა, რომელსაც მარადიული შენების შარავანდედი ადგას. მსურს მაღლობა მოვახსენო ჩვენს სახელოვან მხატვარს რეზო ადამიას, რომელმაც ზუსტად და გენიალურად იპოვა ის ოქროს შუალედი, რაც წიგნს კიდევ უფრო მეტ ხიბლს ანიჭებს...

წიგნი რუსუდან ჭანტურიშვილის ძალიან კარგი წინასიტყვაობით იხსნება, სადაც ლაკონურად, მაგრამ შესანიშნავად ხატავს იკა ქადაგიძის სულიერ პოტრეტს, აქ ეპითეტი — პატრიოტი — ყოველ აზრსაც რეფერენციით სამართლიანად გასდევს და მართლაც ვინც იკას პირადად იცნობს, თავისი თვალთქეცნება ნანახი, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში რა ენერგიულად იბრძოდა ეროვნული ლიდერების მხარდამხარ ნითელი იმპერიის წინააღმდეგ. დისიდენტებთან მეგობრობა და მათი საქმეების გათავისება იკას ცხოვრების წესად იქცა, სწორედ ამიტომ მეგობრობდა მსცხვრად პოეტთან, ყოფილ პოლიტპატიმართან, რაინდული სულის მქონე ადამიანთან — შალვა მჭედლიშვილთან. დიან იკას სახით მართლაც დიდი ქომიგი ჰყავდა ცხოვრებაში კატორღის ჯურღმულებში ნანამებ მამულიშვილს



და სულაც არ გამკვირვებია, რომ წიგნში პირველი წერილი იკამ სწორედ შალვა მჭედლიშვილს მიუძღვნა, მასწავლებლისა და მოსწავლის შეხვედრის ფონზე ვითარდება თხრობა, სადაც ერთგვარი თაობათაშორის არსებულ ბზარზეც ჩაგვაფიქრებს, თუმცა ბატონი შალვასდარი პიროვნებანი ხომ სწორედ საბედისწეროდ გაჩენილ ბზარებს ჩაეშენებიან ხოლმე დულაბად და, რა გულდასაწყვეტია, როდესაც ასეთ პიროვნებას საღამოს არ უმართავენ.

„შალვა მჭედლიშვილის საღამოების ჩაშლამ გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო, ვილაცას აშკარად ხელს არ აძლევს დისიდენტი პოეტის ღვანლის შესახებ ერმა შეიტყოს“, — ტკივილით ამბობს მწერალი. მეტი გულისგატეხვა რა გინდა?! — ზოგჯერ ასეთი ფაქტიც კმარა, რომ ყველაფერზე ხელი ჩაიქნო, მაგრამ იკა პოულობს ძალს და დასძენს; „ღმერთმა ბავშვის ყადრი უკეთ უწყის, ამიტომ გვიქადაგებს, რომ ბავშვებს ვემსგავსოთ, ვინაიდან მათია სასუფეველი, ბავშვს ღმერთის სურნელის დანდობილად სჯერა...“

სულისშემძვრელია შემდეგი წერილიც: „თვითმკვლელობა — იდუმალეების ყინულწერგილი“, სადაც სუიციდის უამრავი მაგალითი მოჰყავს ხელოვანთა შორის სიყვარულითა თუ სხვა იდუმალი მიზეზით აღმოცენებული, — როგორც ხვედრი რომეოსი და ჯულიეტასი, თუმცა ბრწყინებულ მოქცეულმა ორმა სიტყვამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია: „რუსეთის იმპერატორზე გამიჯნურებულ ქართველ მანდილოსანს თვითმკვლელობის წინ „ერთმორწმუნე ძმების“ მიერ პირუტყვებით უღელში შებმული ქალები წამით მინც რომ გახსენებოდა, საკუთარ სიცოცხლეს უნაყოფო ოცნებას არ ანაცვალებდა“, — დასძენს მწერალი...

მომდევნო წერილში „მწერალთა თუ უწიგნურთა კავშირი?!“ ავტორი ამ ორგანიზაციაში გაბატონებულ თვითნებობაზე, პრემია ტაციობაზე და წიგნის გამოცემამდე გაცემულ ჯილდოებზე გვესაუბრება. სულისშემძვრამდე ტკივა იკამ დენიმე ადამიანის მიერ ასობით მწერლობადაბრალებულ თვითმარქვიაზე მწერლობის დამადასტურებელი საბუთის გაცემა და მათი მანდატების ხმის სათავისოდ, სრულიად საქართველოს მწერალთა ხმად გასაღება.

აქ საოცარი ხერხია ორი თაროს ისტორიის ამოტივტივება და ბავშვობიდან ბედისწერასავით ადევნებული წიგნების ორი თარო, მისტიკური თუ საბედისწერო დამთხვევა. რა თქმა უნდა, ამ მწერლის მანდატიან 500 კაცში 20 ნამდვილი მწერალიც არის, რომელნიც თავჩაღუნულები დადიან, თვალს ვერ უსწორებენ კავშირის გარეთ დარჩენილ თუ კავშირიდან პროტესტის ნიშნად გასულ მწერლებს და შეკითხვასაც არ ელოდებიან, მხრების აჩეჩვით იწყებენ თავისმართლებას: ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება, ჩვენც აბსურდის ქაოსის მიქვლები ვართო. და რა თქმა უნდა არც მარტო ორი თაროა ის სარგებელი, რასაც ლამაზი ტორტივით აჭრიან ბეკინა სამანიშვილის ცხენივით გაძვალტყავებულ საქართველოს ამ კავშირის აქტივისტები. ვიზიტები და დასვენებები ისრაელში თუ საბერძნეთის ზღვის სანაპიროზე, უპრობლემოდ საკუთარ სქელკანიან წიგნთა გამოცემანი, ერთმანეთში მსუყე პრემიების კარუსელთა დატრიალებანი და სხვა... ამ ფონზე მწერალს შემოჰყავს გოდერძი ჩოხელი, როგორც ხატება წმინდანისა, რომელიც სწორედ ასეთ გზაგამრუდებს უპირისპირდებოდა კალმითა თუ კინოპარატით და აკი ზვარაკად შეენირა კიდევ...

მწერალთა კავშირის ირგვლივ მსჯელობას კიდევ არაერთ წერილში უბრუნდება იკა. კითხვობს ლამაზწიგნის გმირის შუბივით შემართულ სტრიქონებს და სასონარკვეთა გიჟპრობს, რამეთუ ხვდები, რომ ეს ისეთი ლაბირინთია, მარტო ერთი ადამიანის მიერ ამოტივტივებული მართალი სიტყვა არ იკმარებს მისი მარწუხებისაგან გასათავისუფლებად და იკას სიტყვის გარშემო კეთილი ნების ადამიანთა გაერთიანება აუცილებელი.

„ჰეი თქვენ ალავერდელი“ ანუ აქა ამბავი ალავერდელი ლაბირინთისა“ კიდევ ერთ მტკიცებულ თემაა იკა ქადაგიძის მიერ დღის სინათლეზე გამოტანილი. ამ წერილში იგი ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორთა შემოქმედებაზე მოგვითხრობს.

„ყველა ნიჭიერი, ერუდირებული და, რაც მთავარია, გამბედავი მწერლის წინსვლა ყოველთვის მიხარია“ ამბობს მწერალი.

შემდეგ წერილში კი ხელოვანი მიხეილ ჯავახიშვილის გამოწვევას შეგახსენებს; საყოველთაო არეულობის ფონზე იერემიას გოდებასავით რომ ჩაგვესმის: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება, მეტად მცირე გამოწვევის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია!“ ამ წერილში იკა თვითგანდიდების მანიით შეპყრობილ „პოეტის“ შესახებ მოგვითხრობს, რომელიც სამიოდე წლის წინათ 37-იანი წლების შემობრუნებას შეეცადა და ძალოვანებით სამების ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში შეიჭრა, პოლიციელები მიუსია ახალგაზრდა პოეტებს, მათ შორის ჩვენი წიგნის ავტორსაც, მაგრამ ხელი მოეკრა, ვინაიდან კანონის დამცველები მალე გაერკვენ სიტუაციაში და არ დაემორჩილნენ ინკვიზიტორის ბრძანებას. „უძლეველთა არმადა“ ჩვენთან რა სახსენებელიაო, დასძენს მწერალი...

მომდევნო წერილში „ბიბლიოთეკავ, ჩემო ბიბლიოთეკავ“ ავტორი იმ წლებს იხსენებს, როდესაც ბიბლიოთეკაში მუშაობა შესთავაზეს. ამ კომპიუტერიზებული ორგანიზაციაში როგორ ვერ ჩაკლა პიროვნება ხელოვანი და ჩარჩოებში ჩაკარგვას ისევ სამსახურის დაკარგვის ფასად მოპოვებული თავისუფლება არჩია.

„სავანაროლა უნივერსიტეტი“ იკას მიერ დაკარგული და წლების მერე ნაპოვნი ერთი პატრიოტული ლექსის ისტორიაა. ამ ნაშრომით ხელოვანი გვაგოგზაურებს მწარედ მოსაგონარ 90-იან წლებში, სადაც მამულისთვის დაიფერფლნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

„მაშინ დავრწმუნდი ღვთისანაბარა ცხოვრება რას ნიშნავდა“ — ამოკენსასავით ჩაგვესმის იკას ეს სიტყვები, თუმცა პოეტურ მეტაფორას მაინც პოულობს: „ტყვიები ცელქი ბავშვებისთვის სხარტად მოგვედგენენ“-ო. შედავებაც შეიძლება — სად ტყვია და სად ბავშვიო, მაგრამ ხშირად ბავშვობაში დაწყებული, ერთი შეხედვით უწყინარი ომობანას თამაში გადაიქცევა ხოლმე საბედისწერო ჩვეულებად და მონიფულ ასაკში კაენურ ცოდვაშიც გარდაისახება.

იკას დიდი დამსახურება ისიცაა, რომ არასოდეს ერიდება აღიარებული ავტორიტეტის მხილებას, როდესაც უსამართლობას აწყდება.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი იკასათვის საფიცარია, მაგრამ გურამ პეტრიაშვილის წინაშეც არ შეჭარბა წარბი, როდესაც დაუმსახურებლად მოექცა. ეს პაექრობა მეხილული, აღიარებული მხედრისა და უსახელო უფლისციხელის დაპირისპირებას მაგონებს. დიახ, ბევრი განერიდა თავისავე დანთებულ ცეცხლს, უცხოეთს შეაფარა თავი ძნელბედობის ფაშს, იკა კი ბელურასავით შეუმჩნევლად უშვერდა მკერდს შავრაზმელთა ტყვიებს მიტინგებსა თუ თავყრილობებზე და თბილ ქვეყნებში დიდი გადაფრენის დროსაც ბელურასავით აზრად არ მოსვლია სამშობლოს მიტოვება...

წიგნში შესულია საინტერესო წერილი ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე „როცა დუმილი ლალატის ტოლფასია“ — სადაც ზუსტი შეფასებაა იმ არასწორი ქართული პოლიტიკისა, რასაც სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, თუ ქართველი მეცნიერები სირაქლემის პოზაში ყოფნას არ შეწყვეტენ და დროულ პასუხს არ გასცემენ იმ უამრავ პასკვილს, რასაც სომეხი მეცნიერები აქვეყნებენ...

საინტერესო წერილი „თბილისი უბარათაშვილოდ“, რომელსაც ალექსანდრე დიუმას სიტყვები აქვს რეფრენად ნამძღვარებული: „ქართველ ხალხს ისევე უყვარს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხს საჩუქრების მიღება“. დიახ, ვის არ სიამოვნებს საჩუქრის მიღება?! — აკი შეგვაქო კიდევ ასეთი სულგრძელობისთვის. დარწმუნებული ვარ, ფრანგებს არ მოუწონებდა ასეთ თვისებას და გაჩუქების ნაცვლად შეიძლება განიავებაც ეხმარა და კარგა-

დაც დაეტუქსა. მაგრამ გიჟი უნდა იყო, გადამთიელი გულუხვად გასაჩუქებდნენ და არ აქებდენ. მხოლოდ მეზობელმა ერმა გვინოდა ზედმეტი კუდაბზიკობისათვის გიჟვრაცუები და, ვინ იცის, ჩვენი ხასიათის შეცვლას შეეცადნენ, ან გამოფხიზლებას... კაი ბატონო, სუვენირი არ უნდა დაინანო სტუმრისთვის, მაგრამ ქართველები ხშირად მიწა-წყალსა და მთებსაც უდრტვინველად გასცემდნენ — უშბას ისტორია ყველამ ვიცით...

იკა ქადაგიძემ დიუმას მოგზაურობის ფონზე უკეთ დაგვანახა ქართული სატკივარი. ნიკოლოზ ბარათაშვილი — არაფრით ნაკლები ნიჭისა და გაქანების პოეტი, მაგრამ სრულიად უცნობი გარე სამყაროსთვის, საქართველოშიც ხუთიოდე კაცი თუ სწვდება მისი გენიალურობის სიღრმეს, ჩვეულებრივი მოკვდავივით შრომობს ყოველდღიურად, როგორც რიგითი ჩინოვნიკი, მისი გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე წლის მერე კი დიუმა ჩამოდის საქართველოში, რომელსაც მიწა ქალამნად არ მიაჩნია და ცა ქუდად, როგორც რჩეულთა შორის რჩეულმა პატივი დასდო კავკასიას, კალამიც მოიმარჯვა და თავისდა განწყობის დარად ათასნაირ იარაღს აკერებს კავკასიაში მცხოვრებ ერებს, სადაც არანაკლები მწერლები მოღვაწეობენ, მაგრამ არ ხერხდება ღირსეულთა ღვანლის საქვეყნოდ ცნობილ მწერალთან წარდგინება, ჭაჭაჭაჭის ქალი ყველაზე მეტად ცდილობს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება გააცნოს დიუმას, მაგრამ არ გამოდის, ასეა დღესაც, ინტერნეტის ეპოქაშიცო, — მიგვანიშნებს იკა — მაშინ როცა ბევრად გაადვილებული უნდა იყოს ღირსეულთა ექსპორტი, ლიტერატურული სივრცე ისევე ჩალოთ არის დახურული, ქართული კონი ისევ ნაცრის ქვეჭითაა დაკავებული...

„ქართული კორიდა“ იკას გახმაურებული წიგნია, რომელმაც გამოიწვია დიდი ვნებათაღელვანი. აქ კიდევ ერთხელ გაიჟღერებს გურამ პეტრიაშვილის გვარი, რომელიც გააფთრებული გაიძახის, — ასეთი წვრილი შრიფტით რატომ გამოსცა წიგნი, თვალები ლამის დავითხარე, 200 ან 300 ლარი დაემატებინა და ნორმალური შრიფტით გამოეცაო. ამ წერილში როსტომ ჩხეიძის გვარიც გაიღვება. ხშირად მიფიქრია, ნეტავ თუ არსებობს ლიტერატურული ნაწარმოები, როსტომს რომ არ წაუკითხავს-მეთქი, და წერილში გამოთქმულმა რეპლიკამ: როგორ, როსტომ ჩხეიძეს იკას წიგნი არ წაუკითხავს?! — სულზე მოუსწრო ჩემს ცნობის-მოყვარეობას... ხუმრობა იქით იყოს და საღამოს დამთავრების შემდეგ იკამ თვალცრემლიანმა მითხრა, როგორ, ვინ და, ბატონმა გურამმა არ იცის 200 და 300 ლარი რამხელა ფუფუნებაა ქართველი კაცისთვის?! — ამას ცალკე, ჩუმად მეტყვის, ხოლო წიგნის წარდგინებაზე მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟის სახელის არცოდნასაც სამართლიანად შეუსწორებს მცხოვრებ პოეტს...

„ლიბერალიზმი — კულტურის შავი ჭირი“ ძალიან მაკცრად ასახავს თანამედროვე პროცესებს ქართულ ლიტერატურაში. დღეს მწერალთა ერთი ნაწილი თვითდამკვიდრებისთვის უკიდურეს ფორმებს მიმართავს, აქ ისევ ვერცხლისმამიძეობის სინდრომი მოდის წინა პლანზე და ჩრდილში რჩება „ბარათაშვილი“. დაქსაქსულან ლიტერატურული გაერთიანებანი და სექტანტური კარჩაკეულობით სახელის მოხვეჭა განუზრახავთ. თითქოს ამ დახურული კედლებიდან მოგუდულად მაინც აღწევს ხორხოცის ხმა, — ჩვენ დავმკვიდრდეთ, ჩვენ ვიყოთ და ქვა ქვაზეც ნუ ყოფილაო...

„ღმერთმა ინებოს მოლოდინი არ გაცუდდეს და ლიბერალურ — ინტელექტუალთა თარეში უკანასკნელ საათებს ითვლიდეს, საქართველო კულტურულ აღმავლობას ნამდვილად იმსახურებს. სახელმწიფოებრივი ღირსება, მხოლოდ ეროვნული ღირებულებების გაძლიერებისას ჩნდება და მტკიცდება!“ — ამ სიტყვებით ამთავრებს წერილს იკა.

წიგნში კიდევ არაერთი თავი ეთმობა მწერალთა კავშირსა და ახალდარსებულ მწერალთა აკადემიას და რატომღაც დიდმა სურვილმა ამიტანა იკა ქადაგიძე ამ ორივე გაერთიანებაზე მალა მდგარი ვიხილო, ჩემთვის ეს ასეც არის, იკასდარი შემოქმედი არასოდეს იქცევა ვინმეს ბრმა იარაღად და, დარწმუნებული ვარ, მისი შემდეგი წიგნებიც მხოლოდ მისი სარკმლიდან დანახული დიდი და ლამაზი სინამდვილე იქნება...

ამირან არაბული

ღირსსახსოვარი სვანური საბა

სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე (იგივე მურზაყან) და უბატონო, თავისუფალი, თანამემამულეთა დაჩივებისა და დამორჩილების მოსურნე ფუთა.

ორივე დადემქელიანი.

ერთი საგვარეულო ხის, ერთი ძირის ორი ერთურთისაგან მკვეთრად განსხვავებული ანათალი (და ამ კონტექსტში, ალბათ, არც სვიმონ და გაგი ჩოფიკაშვილების გახსენება — ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯადან“ — უნდა იყოს მთლად უადგილო და ლოგიკას მოკლებული!).

თავმოყვარე მთიელთა მიერ მიღებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება და ხანგრძლივი ფიქრის შედეგად გამოტანილი უკომპრომისო მსჯავრი: ფუთას სისხლით წითლად შეღებილი საღვინო სუფრა; უშუალოდ საანდრეზო საქციელი და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა...

და აქ, თემურ ამყოლაძის წიგნის „დადემქელიანების ამბავი“ ამ მონაკვეთში სახიერად იხატება და იკინძება მთელი სვანეთის ვრცელი ისტორიული პანორამის არსებითი ნიშან-ნაჭდევები; იკვეთება და თვალსაჩინოვდება ხდომილებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა დღიდან თავისი არსებობის თავისუფლების მოთაყვანე და მალმერთებელი მენაპირე კუთხის ძნელბედით ყოფა-ცხოვრებაში...

სვანების ცალსახა და მუქარანარევი, მკაცრი და კატეგორიული პასუხი ვორონცოვს: „**უბატონი არ გვყოლია და არც გვეყოლება. ეს ბევრმა მოინდომა, მაგრამ ვერავინ შეძლო!**...“

რუსეთის იმპერიის დაუოკებელ სურვილსა და სწრაფვას, საბოლოოდ მოესპო საქართველოში ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება, ფესვებიანად ამოეგდო და ამოეშანთა ეროვნული თავისთავადობის ყოველგვარი გამოვლინება, ახდენა არ ეწერა.

და მათ შორის, ვინც განგებამ ზნემაღალი ღირსებით, გამბედაობითა და მამულის თავგამეტებული ერთგულებით გამოარჩია, თანდათან ინაკვეთება სილუეტი პიროვნებისა, მონობის პერსპექტივას საბედისწერო ნაბიჯს რომ ამჯობინებს და გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე გაგარინს სატევარით სასიკვდილოდ დაჭრის მისსავე სამუშაო კაბინეტში...

მშრალი ფაქტებისა და დოკუმენტების, კოლოსალური სარქივო ცნობებისა და საქმიანი ქალაქების, ხალხური ლექსების, გადმოცემებისა და სულთა მატრიანების, თარიღების, სასისხლო სიგელებისა და მოხსენებათა დეტალების უსიერ ტევრსა თუ ლაბორინთში გარკვევა და გზის გაგნება დიდ მონდომებას, მოთმინებას, მკვლევრისეულ ალღოსა და მწერლური თვალის სიმახვილეს საჭიროებდა ავტორის მხრიდან.

და დაბეჯითებით ვამბობთ: თემურ ამყოლაძემ წარმატებით გაართვა თავი ურთულესი ჩანაფიქრის ხორცშესხმას, განამდვილებას, სათქმელის ადეკვატურ კომპოზიციურ ჩარჩოში ჩასმასა და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი სოლიდური წიგნის დაწყებასა და დასრულებას.

იმისათვის, რომ ძველი ჟურნალ-გაზეთების, პირადი არქივებისა თუ აქტების მრავალტომიანი კორპუსების საფუძვლიანი გაცნობისა და გააზრების გზით ღირებული რამ შექმნა, მხატვრისა და დოკუმენტალისტის, მწერლისა და ანალი-

ტიკოსის, შემოქმედისა და სტატისტიკოსის (კარგი გაგებით) უნარებით უნდა იყო აღჭურვილი და მხარგამაგრებულ.

და ამ მხრივაც სანიშნოა „დადემქელიანების ამბავი“.

წიგნში ვეცნობით არა მხოლოდ კონსტანტინეს გვარის გენეალოგიას, ჩრდილო კავკასიიდან მისი წინაპრის წარმომავლობის საკითხს, დათემქიების, აფრასიების, გვარიშვილებისა და დადემქელიანების სისხლისმიერ ერთობას, არამედ იმ განადაგებულ შფოთსა და გაიშვიათებულ სიმშვიდესაც, რაც მაშინ სვანეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებში სუფევდა; ვეცნობით დალის ლეგენდარული ხეობისა და ნებელდის დრამატულ ამბებს; სვანეთთან ვორონცოვის, ბარიატინსკის, ბებუთოვისა თუ ბაგრატიონ-მურზანსკის დამოკიდებულების ცალკეულ პერიპეტებს...

თხრობაში, მსხვილი პლანით თუ ეპიზოდურად, ეკატერინე ჭავჭავაძისა და ანასტასია ორბელიანის სახეებიც გაილეკებენ; გაკრთებიან, გამორჩნდებიან და მერე ისევ ჟამთაბრუნვის უსასრულობაში გაუჩინარდებიან.

სვანეთში ახალმონესეთა მმართველობა რომ დამყარებულიყო, ამისათვის იქაურობიდან კონსტანტინე დადემქელიანის მოშორება იყო აუცილებელი. და რომ ეგონათ, გავტეხეთ და კუთხეში მივიმწყვდიეთო, სწორედ მაშინ იმიშვლა იარალი და პირნათლად აღასრულა თავისი კაცული მისია; ალასრულა და, როგორც წიგნშია ნათქვამი, „**სირცხვილი ჩამორცხა**

ქართველ თავადაზნაურობას“; ჩამორცხა და, სანაცვლოდ, სიკვდილის დღე დაიჩქარა და დაიახლოვა: რუს მბრძანებელთა ხელქვეითებმა „**თორმეტი თოფი უნიშნეს**“ და სიცოცხლეს გამოასალმეს იმპერიული პოლიტიკის სისასტიკით მკვლელად ქცეული ავკარგიანი სვანი ვაჟკაცი...

თხრობის დინამიზმითა და განსაკუთრებული ექსპრესიულობით არის აღბეჭდილი „გაგარინის მკვლელობა“ სახელდებული თავი წიგნისა. აქ ცხადად მჟღავნდება პროტაგონისტის სულის სიღრმეებში წვდომისა და რეალურ პირთა ფსიქოლოგიური პორტრეტების შეუსხვაფერებლად წარმოჩენის მწერლისეული უნარი...

„დადემქელიანების ამბავი“ — XIX საუკუნის სვანეთის სანდო, სარწმუნო და უაღრესად საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური ქრონიკა.

სწრაფად ცვალებადი ამბებისა და მოვლენების გრძელი ჯაჭვი — თავისი მტკიცე და სუსტი რგოლებით.

მცირე ექსკურსები და ხანმოკლე გადახვევები ზოგადქართული რწმენა-წარმოდგენების სფეროში: „...**ჩვეულებრივ, გარდაცვლილი შვილის სახელს მეორე შვილს არ არქმევენ ხოლმე, პირიქით — ერიდებიან, შიშობენ, იმისი ბედი ახალშობილზე არ გადავიდეს**“...

ეროვნული სუვერენიტეტის მძაფრი წყურვილი, რაც პერსპექტივაში პოტენციური მსხვერპლის არსებობასაც გულისხმობს...

წინამორბედ მკვლევართა, მწერალთა და ისტორიკოსთა ნებითი თუ უნებლიე შეცდომების, უზუსტობების, ხარვეზებისა და კონიუნქტურული ლაფსუსების ჩაძირისძირება, კრიტიკული შეფასება და შეძლებისდაგვარად შესწორება.

და ეს ყველაფერი — დანდობილი და დაშენებული მყარ ფაქტოლოგიაზე...

და წამიერი, თუმცაღა უტოპიური განაფიქრი, თემურ ამყოლაძის ამ პატიოსანი წიგნის წაკითხვა რომ მოიყოლიებს: რაოდენ მდიდრები და ბევრად ბედნიერები ვიქნებოდით, თუნდაც ასამდე დამსახურებული ქართული გვარისა და ამ გვარების რჩეულ წარმომადგენელთა ასეთი რანგის გენეალოგია და მართალი, მიუმხრობელი, ჭეშმარიტების მეტყველი ისტორია რომ მოგვეპოვებოდა!



ელგუჯა თავბერიძე

ჰორიზონტი

დიდი მწერლები ახერხებენ, ყოველი ახალი ნაწარმოები წინადადებს არ დაემგვანოს. შეიძლება ახალშეთხზულშიც თითქმის იგივე ფილოსოფიური თუ სხვა მიმდინარეობის ანარეკლი ილანდებოდეს, მაგრამ ბევრი რამ მაინც სხვანაირად იქნება ნათქვამ-დანახული, გააზრებულ-შეფასებული.

ალბერ კამიუს გვარსახელის ნაკითხვისთანავე აბსურდის მარწმუნებში მოქცეული, ეგზისტენციურ საგონებელზე მოფიქრალი ადამიანი გაგიკრთება თვალწინ და ეს არცაა გასაკვირი. ისიც ბუნებრივზე ბუნებრივია, კამიუს მიმბაძველ-ეზიგონები უფრო და უმეტეს რომ უღრმავდებიან ამ თემებს. ამიტომ ყველანაირი იზმები და მისდაგვარი გვერდზე გადავდოთ და ტრადიციულად გავიზაროთ ყურნალ „ჩვენ მწერლობაში“ დაბეჭდილი ალბერ კამიუს ნოველა „მოლაღატე ცოლი“ (20014, 19 სექტემბერი), რომელიც ჰგავს და არც ჰგავს მწერლის სხვა თხზულებებს.

თავისუფლება სიღარიბე მასწავლა და არა მარქსიზმი, — წერდა კამიუ ერთგან და ამით გამოკვეთდა განსხვავებას, უფრო აბსოლუტურ სხვადასხვაობას, მისეულ და მაშინდელი სამყაროს გარკვეულ ნაწილზე მობოგინე ადამიანთა გონებაში დაბადებულ თავისუფლების, მონობას რომ უტოლდებოდა, გაგებას შორის.

ალბერ კამიუსათვის თავისუფლება ადამიანის თანამდევ მიხსრავებაა და გალაშქრ რომ გამოკეტო, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ელდასავით შეიჭრას მის სულში თავისუფლების განცდა. ასე ემართება ნოველის გმირს, მიჰყვება ძახილს, სწადის ღალატს, ჰორიზონტივით ფართოვდება მისი თვალსაწიერი, ივსება თავისუფლების განცდით და ა.შ. თუმცა დედაზრის გამოკვეთამდე აჯობებს ვთქვათ, რატომ ჩნდება ადამიანში ეს სურვილი, რამდენადაა მართალი და მხატვრულად შენონასწორებული, ერთი მხრივ, გაქცევის სურვილი, მეორე მხრივ, ღალატი. დასკვნასავით აქვე ვიტყვი, კამიუ კამიუსებური გენიალობით გვისურათხატებს ყოველივეს.

ნოველის დასაწყისით დავიწყობთ:

ცივქარსა და უდაბნოს სუსხში მბობლავ ავტობუსში საიდანღაც ბუზი გაჩნდა, მაგრამ, როგორც კი სიცოცხლის მაუნყებელი ნიშანი — ორიოდ გაქუცული პალმა, „თუნუქისგან გამოჭრილი რომ გეგონებოდათ“, — გამოჩნდა, გაფრინდა.

დეტალში გაამხილა სათქმელი — ამქვეყნად ყველაფერს, ადამიანს, მერს... თავისუფლება სწყურია, ითმენს ტყვეობას, მაგრამ დროებით, და კიდევ — თავისუფლებას ფასი ოაზისში (იქ, სადაც სიცოცხლეა) აქვს და არა უდაბნოში. უდაბნო უსიცოცხლობის ტოლფარდია და, ბუნებრივია, იქ თავისუფლება რეალურ შინაარსს კარგავს.

ახლა ოდნავ გავცდეთ ნოველის დასაწყისს:

ავტობუსში მოკალათებული მშვიდი და მდუმარე არაბები რკინიგზის ბოლო პუნქტიდან მოღუშული ზეგანის მიმართულებით წითელი ჰორიზონტისაკენ, ანუ იქითკენ მიდიან, სადაც სიცოცხლე ჩქეფს...

მგზავრებს შორისაა ცოლ-ქმარი — ჟანინი და მარსელი, რომელთა ოცნლიანი თანაცხოვრება უდაბნოსავით გამომშრალა და გამოფიტულა.

ჟანინს არ უნდოდა, მარტო დაბერებულიყო და, ქორწინებასა და თავისუფალ ცხოვრებას შორის არჩევანის გაკეთებისას, პირველი აირჩია, ცოლად გაჰყვა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტ მარსელს, რომელშიც ბევრი რამ მოსწონდა, ბევრი — არა, „მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ჟანინს უყვარდა, როცა მას სიყვარულით ეპყრობოდნენ“.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ სქელი და მსუქანი, ხორცსავსე ჟანინისა და დაბალი, შავი და გადმოკარკულთვალეიანი მარსელის ცოლქმრობა სიყვარულით არ ყოფილა შედუღებული. „შვილები არ ჰყოლიათ. ასე გადიოდა წლები ნახევრადმისურული დარაბებით დაბინდულ ბინაში. ზაფხული, პლაჟი, გასეირნება,

ზეცაც კი სადაც გადაკარგულიყო, მარსელს თავისი საქმის მეტი არაფერი აინტერესებდა. ჟანინი მიხვდა, რომ ქმრის ნამდვილი გატაცება ფული იყო და ეს არ მოსწონდა, თუმცა ვერ იტყოდა, რატომ. კაცმა რომ თქვას, ჟანინი სარგებლობდა ამ სიკეთით.“

ჟანინმა ციხესიმაგრეზე ყოფნისას იგრძნო, „ტყვეობაში“ რომ მიედინებოდა მისი წუთისოფელი. ალბერ კამიუ საოცარი ხატონებით გვიჩვენებს, თუ როგორ დაქროლა პერსონაჟის სულში თავისუფლების ქარმა: „რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, სივრცე უფრო ფართოვდებოდა“, „როდესაც ტერასამდე აღწიეს, პალმების წარაფებს უკან თვალუწვდენელი ჰორიზონტი გამოჩნდა. ჟანინს მოეჩვენა, მთელი ზეცა ერთ ხმამაღალ და მოკლე ნოტაზე აუღერდაო, ექო თავზე გადაეწო. შემდეგ კი ყველაფერი მიწყნარდა და იგი მარტო დარჩა უსაზღვრო სივრცის წინაშე“.

ხმამაღალი და მოკლე ნოტა — თავისუფლების ნოტაა, თავისუფლების ხმაა, თავისუფლების მიყვებულნი სიმების გაღვიძებაა.

ამის მერე აღარ გიკვირს, გიკვირს კი არა, ბუნებრივი უფროა, ჟანინმა მძინარე მეუღლე რომ მიატოვა და ციხესიმაგრისკენ მიმავალ გზას დაადგა. აღარ გიკვირს, რადგან „ამ წამს იგრძნო, რომ თავის ფესვებს მიაგნო. სასიცოცხლო ძალებმა კვლავ დაუარა სხეულში და კანკალი შეანყვებინა. მოაჯირს მუცლით მიეყრდნო, ზეცას შესცქეროდა, მხოლოდ აფორიაქებული გულისცემის დაწყებარებას და სიმშვიდეს ელოდა. ცაზე თანავარსკვლავედები უმოძრაოდ ეკიდნენ. მათი სინათლის ბოლო მტევნები უდაბნოს ჰორიზონტთან ჩამოკვივდნენ. მაშინ კი ღამის მდინარემ გამოუთქმელ სინაზით იწყა ჟანინის ავსება, სრულად გააძევა სიცივე, თანდათან მისწვდა ბუნდოვანი არსებობის სიღრმეს, ნაპირს გადავიდა და მის ბაგეს შესაბრალოს კენესად აღმოხდა. რამდენიმე წამში ცივ მინაზე გულაღმა განოლილ ჟანინს მთელი ზეცა თავზე გადაეფარა.“

ესაა ნოველის ფინალი, უფრო ზუსტად, ფინალისწინა მონაკვეთი. კამიუს სწევია ნახევარტონებით ჩანაფიქრის გამჟღავნება, მინიშნება და მკრთალად განათება იდეისა, თუმცა სიმძაფრე აღქმისთანავე კამკამებს, სრული სიციხოველით განცდევინებს იმას, რაც მწერალს უნდოდა ეთქვა. „მოლაღატე ცოლში“ თავისუფლების შეგრძნება და ღალატი დაელოდა ერთმანეთს, ერთმა მეორე განაპირობა, რამაც საბოლოოდ პერსონაჟის სრულყოფილების ილუზია დაბადა მკითხველში.

ადამიანი ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც ღალატით, უნდა ეზიაროს თავისუფლებას, რადგან ამაზე ბუნებრივი და ამაზე მაღალი არაფერი არსებობს, — გვეუბნება კამიუ.

„მოლაღატე ცოლი“ ფრანგულიდან ტარეელ ნამორაძეს უთარგმნია. ტექსტი ჩინებულადაა გადმოქართულებული, ნებისმიერი ფრაზის ნაკითხვისთანავე იგრძნობა, მთარგმნელმა აროდენ ფრანგული, კამიუს სამყაროც ზედმიწევნით იცის.

გამორჩეულად გადმოქართულების რამდენიმე ნიმუშს მოვიხმო:

„მარსელი ძალზე შეფიქრიანებული იყო და ანგარიშშიუცემლად აგლახავებდა პურის ნაჭერს“. არა მგონია, დედანში უკეთესად იყოს ნათქვამი, უფრო ზუსტად იყოს დახატული პერსონაჟის მიდგომარეობა, ჩაფიქრებული პურის ნაჭერს უაზროდ რომ აგლახავებდა. „აგლახავებდა“ ქმნის მხატვრულ ეფექტს.

„— არ მესმის, რას იბრძობები! — თქვა მარსელმა, — ისინიც ვაჭრები არიან, ცხოვრება ყველას უჭირს“.

იქნებ ზოგიერთს უარგონზე (როგორც წინა შემთხვევაში, ისე ახლაც) უარი ეთქვა. არადა, ყველაზე მკაფიოდ სწორედ იგი გამოხატავს იმას, რაც უნდა გავიგოთ.

„ბიჭოს! გენერალი ჰგონია თავი! — მხრები აიჩეჩა მარსელმა“. „გენერალს“ ყაჩაღზე, ქურდზე, ნამგლეჯ ადამიანზე ამბობს და ნათქვამი უკვე ორი აზრის შემცველი ხდება.

იმის საილუსტრაციოდ, „მოლაღატე ცოლი“ მშვენივრად რომაა თარგმნილი, მგონი, იკმარებს. ერთი ფრაზით ის შეგვიძლია ვთქვათ და დავწეროთ — ამ დონეზე გადმოქართულებული თხზულებანი ქართულის კუთვნილება ხდება.

ალბერ კამიუს ბევრი თხზულება გავაჩნდა ქართულად, „მოლაღატე ცოლი“, რამდენადაც ვიცი, პირველად ითარგმნა. ჩინებულადაც ითარგმნა.

როზა დევდარიანი

ეპრიპიდეის სინდრომი

ბატონო როსტომ!

თქვენი უდიდესი ღვაწლისა და შესაშური შემოქმედებითი წარმატებების დიდად პატივისცემული და შემფასებელ-დამფასებელი რომ ვარ, არაერთხელ დამიდასტურებია როგორც წერილობით, ისე ზეპირი გამოსვლებით იმ შეკრებებზე, რომლებიც ესოდენ ხშირად იმართება ჩვენს ქალაქში (სამწუხაროდ, ყველას ვერ ვესწრები), მათ შორის — შეხვედრაზე, რომელიც გელათის სასულიერო აკადემია-სემინარიაში „ხანი უნდობარის“ განხილვის მიზნით (სხვათა შორის — ჩემი ინიციატივით) მოეწყო. აქვე ვიტყვი, რომ ამ რომანის ვრცელი ანალიზი ჩემს „წერილებშიც“ დავბეჭდე; ეროვნული გამოცდებისათვის განკუთვნილი ტესტების კრებულში აბიტურიენტებს გასააზრებელ-გასაანალიზებლად შევთავაზე „ეკლიანი და პატარა გზის“ ერთი ფრაგმენტი — ნოე ყორდანის მონოლოგი; აკადემიის მაგისტრანტებთანც ხშირად ვუთმობ საღებქვით დროს თქვენს წიგნებზე საუბარს.

თქვენი ყურადღებითაც განებივრებული ვახლავარ: „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო ჩემს გამოსვლას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის „ბერძენის სამკუთხედზე“ მსჯელობასთან დაკავშირებით; „ხანი უნდობარის“ ახალ, გადამუშავებულ გამოცემაში უცვლელად დავბეჭდე ჩემი მოხსენება, ნაკითხული აკადემიაში გამართულ საღამოზე; მწვანე გზა მიეცით ქალბატონი ნანა კუციას წერილს, რომელშიც ვრცლად, ღრმად და ამომწურავად არის გაანალიზებული ჩემი ლიტერატურული ზღაპარი „უფლისა“...

ამჯერად გულისწყრომით აღსავსე წერილით მოგმართავთ. კალამი „26 ივნისის საიდუმლოსთან“ დაკავშირებულმა აუთო-ტაჟმა ამაღებინა. იმედი მაქვს, მსუსხავ სტრიქონებს არ შეუშინდებით და ამ კორესპონდენციას მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანთ.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის №19-ში (19/IX) გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელსაც გორის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ანი ცაციაშვილი აწერს ხელს. მყვირალა სათაურმა — „ყველაზე დამაჯერებლად ეს ვერსია გვეჩვენება“ — მაფიქრებინა, რომ დადგა დრო, როცა შექსპირის უბადლო მთარგმნელის — ივანე მაჩაბლის — გაუჩინარებასთან დაკავშირებულ საიდუმლოს ნათელი მოეფინა, საუკუნის წინ დარხეული ჭორი და მითქმა-მოთქმა განქარდა, სიცოცხლეშივე ძეგლის დადგმის ღირსი კაცის სახელი ყოველივე ვარი ჩირქი და ბინი ჩამოერეცხა და შეიქმნა „ნათელი მითი, საუკუნის არმურისგან გადმონაჟინი“ (კონსტანტინე გამსახურდია), რომელსაც მომავალი თაობები არაერთ მხატვრულ ტილოს დაუდებენ საფუძვლად. არაერთს, სულ ცოტა, იმდენს, რამდენიც უკვალოდ გამქრალი რუსთაველის შესახებ შეიქმნა.

ის, რასაც წერილის ავტორი „ყველაზე დამაჯერებლად“ აცხადებს, სინამდვილეში ყველაზე არადამაჯერებელი, რბილად რომ ვთქვათ, უაღრესად გამოგონებელია. რა არის „ყველაზე დამაჯერებელი“? ის, რომ „ტასო ბაგრატიონი-მაჩაბელი ქმრის ერთგულებით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა“? რომ მაშინ, როცა ავადმყოფი ივანე მაჩაბელი ლოგინიდან ვერ დგებოდა, ტასოსთან ხშირად უცნობი ოფიცერი იყო „სტუმრად“? რომ მან იმ საბედისწერო დღეს, 1898 წლის 26 ივნისს, დილაუთენია ლასლასით წამომდგარმა, მისაღებ ოთახში შეუსწრო წელზევით შიშველ მამაკაცს, რომელსაც ტასო მუნდირს უუთოვებდა? რაც მთავარია, ის არის ყველაზე დამაჯერებელი, რომ მისი ცხედარი სოსიკო მერკვილაძემ საკირეში ჩაწვა და აკაკი ამ საქმის თანამონაწილე იყო? რომ კვალის არევის მიზნით მან (აკაკიმ!) ჭორი გაავრცელა მაჩაბლის წყალში გადახტო-

მის შესახებ, ილიამ კი, რომელმაც მომხდარის შესახებ შეიტყო, ყოველივე საიდუმლოდ შეინახა (ანუ ის არის „ყველაზე დამაჯერებელი“, რომ წმინდა ილია მართალიც კრიმინალი ყოფილა?)?.

საანალიზო წერილიდან გამომდინარე, გორის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეკრებაზე მსჯელობა იმგვარად წარმართულა, რომ აუდიტორიას „ყველაზე დამაჯერებლად“ ის ვერსია მოსჩვენებია, რომლის თანახმადაც, აკაკისაც, ილიასაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენიათ... საქართველოში ორმა კაცმაც რომ დაიჯეროს ეს სიბინძურე, ქვეყნის დაქცევის ტოლფასია. არადა, ასეთ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ დიდი რომ ყოფილა, ამაზე თქვენივე ჟურნალში გამოქვეყნებული ის რეპორტაჟიც მეტყველებს, რომელიც ქუთაისში გამართული სამეცნიერო კონფერენციის შესახებ მოგვითხრობს („ჩვენი მწერლობა“, 2014 წ. 31/X. №22). ქუთათურთა ამ თავყრილობაზე მეტად მწვავედ გაჟღერებულა აკაკისა და ტასო ბაგრატიონის ურთიერთობის საკითხი, დარბაზი ორად გაყოფილა და უმრავლესობა იმ აზრს მიმხრობია, რომ აკაკის მიმართ „არც მაჩაბლის ცოლი ყოფილა გულგრილი“ („არც“, თავისთავად, ამკარად გამოკვეთს აკაკის გრძობა-განწყობას ანასტასია მაჩაბლის მიმართ. დანაშაულის საფუძვლადაც ხომ ეს ორმხრივი „სიყვარული“ ქცეულა!).

კი მაგრამ, ჯერ ერთი, როდის აქეთ იქცა სამეცნიერო კონფერენციის განსჯის საგნად ადამიანთა ინტიმური ურთიერთობანი, მით უფრო, ჭორზე დაფუძნებული, და, მეორეც, რა ვუყოთ დოკუმენტურ მასალას, რომელიც ამ ურთიერთობას კატეგორიულად გამორიცხავს? აკაკის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ტასო უყვარდა „არაამქვეყნიური მიმდევრობით“. იგი იყო მისი „ზეჩამაგონებელი“, მისი „აღმგზნები პოეზიასა და სიცოცხლეში“. პოეტი მის სიყვარულს „ინახავდა, როგორც წმინდა ლოცვას“, როგორც „აღმამგრენსა და წმინდათა წმინდას“, რომელსაც „ქვეყნის უმეტესობა“ ანუ ბრბო, საქვეყნო გრძობებს რომ ვერ ასცილებია, „ვერასდროს შეიგრძნობს“ (აკაკის „სიკვდილის წინეთი“ აღსარებიდან).

რატომ უნდა გამოვავთ ქოთანს ყური ჩვენი აკვირებუ-ლი სურვილისამებრ, როცა ცნობილია ტასო ბაგრატიონი-მაჩაბლის სიტყვები, მიმართული ილია ზურაბაშვილისადმი: „კითხვარით, იყო თუ არა რაიმე ინტიმური ჩემსა და აკაკის შორის, გადაჭრით გიპასუხებუ, არა-მეთქი. თავიდანვე ჩვენს შორის ისეთი დამოკიდებულება დამყარდა, რომ მისი ინტიმურ სიახლოვედ გარდაქმნა წარმოუდგენელი იყო. აკაკი ჯერ იმ დროს გავიცანი, როცა მოკლე კაბა მეცვა და ინსტიტუტს, ის იყო, ვამთავრებდი. ჩვენს შორის 30 წლის მანძილი იდგა.

მაღე გავთხოვდი. აკაკი დიდი მეგობარი იყო ჩემი ქმრისა, მისი თანამოზიარე საზოგადო საქმეებში. თქვენ დამეთანხმებით, რომ აქაც არავითარი საბაზი არ იყო, რათა ჩემი თავყვანისცემა და მეგობრული განწყობილება აკაკისადმი სხვა გრძობად გარდაქმნილიყო, ვინაიდან ღირსეულ ადამიანს მოვთხოვდი სიყვარულით და სიყვარულითვე შემირთო მან. შვიდი წლის შემდეგ დავქვრივდი. აკაკი კვლავ განაგრძობდა ჩემი ოჯახის მეგობრობას. იგი გაგრძელდა მის სიკვდილამდე. ჩემი ქვრივობის პირველ წლებში ისე უბედურად ვგრძობდი თავს, რომ მეტისმეტად თავზე ხელაღებული ადამიანიც ვერ გაივლებდა აზრად ჩემს მონადირებას. მით უფრო — აკაკი, რომელიც ამკარად ხედავდა ჩემს სასონარკვეთილებას...

შემდგომში? — იკითხავთ თქვენ. ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, მაგრამ როგორ დავწვამო ან ჩემს თავს, ან აკაკის ის, რაც არ ყოფილა? ჩვენი მახლობლობა მეგობრობის კავშირს არ გაცვილებია“.

აკაკის გრძობას ტასო ბაგრატიონის მიმართ ყველაზე ზუსტად მარიამ ციციშვილი-წერეთლისა (აკაკის რძალი) გამოხატავს, როცა წერს, რომ „ტასო უყვარდა ძლიერ, ისიც პოეტურად“, დიას, აკაკის სიყვარულს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი, პოეტური, ამაღლებული, რომანტიკული შეიძლება ეწოდოს. ტასო ბაგრატიონი მისი პოეტური მუზის, პოეზიის შთამაგონებელი ვახლდათ.

ხელოვანის შთაგონებას, უდავოდ, სიყვარული ასაზრდოებს. ტრფობის ობიექტი ზოგჯერ რეალური ქალია (თამარ მეფე), ზოგჯერ — სატრფოდ წარმოსახული (მერი შერვაშიძე, თამუნია წერეთელი), ზოგჯერ — მისტიკური (ზუზუკელი ქალი) ზოგჯერაც — მითოლოგიური (გალათეა), მაგრამ ყოველთვის — ფაქიზი, შეუბღალავი გრძნობის აღმძვრელი, „ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუნვდომელი, როგორც ედემი“.

ანი ცაციაშვილის წერილში ძალზე უპასუხისმგებლოდ ჟღერს ჩართული ფრაზა — „როგორც აღმოჩნდა“ — იმის დასამტკიცებლად, რომ მაჩაბლის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი ვახტანგ ჭელიძემ და ოთარ ჩხეიძემ შალვა დადიანის, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძისაგან იცოდნენ. მაინც როგორ „აღმოჩნდა?“ და, თუ მათ არ გამოიყენეს ეს თემა ლიტერატურული ნაწარმოებების შესაქმნელად, თუ შეგნებულად დაადეს ტაბუ ამ თემას, როგორც ქართველი ქალის ღირსების შემლახავსა და დიდი ერისკაცების უმნიშვნელო სახელების შემბღალავს, ახლა რა შეიცვალა, რატომ დადგა ამ შემზარავი „საიდუმლოს“ გამჟღავნების დრო (დასახელებული ავტორები ამბობდნენ, თურმე, „ამის დრო ჯერ არ არისო“, წერილის ავტორის თქმით კი „ეს დროც დამდგარა...“)? რა, მორალური ღირებულებები გადასხვაფერდა? სულიერი ფასეულობანი შეიცვალა? ეთიკური ნორმები გადაფასდა?

რატომ, რატომ აღმოჩნდა „ყველაზე დამაჯერებელი“ დასახელებული ვერსია და არა სრულიად ლოგიკური დასკვნა, რომ მაჩაბლის უკვალოდ გაქრობის მიზეზად, ერთი მხრივ, სათავადაზნაურო ბანკის გარშემო შექმნილი ვნებათაღელვის მიჩნევა, მეორე მხრივ კი — აკაკისა და ილიას კრიმინალულად გამოცხადება მათს მტრებს აძლევდა ხელს და ეს ქორიც მათ დაარხიეს? დიდ ერისკაცთა მორალური განადგურება ხომ აუცილებელი პირობა იყო ახალი ავტორიტეტების, ახალი „წინამძღოლების“ (აკაკი მათ „წინამძღომელებს“ უწოდებდა...) აღსაზრებლად! მაჩაბლის გაუჩინარებასთან დიდ ერისკაცთა სახელების დაკავშირება არის შემადგენელი ნაწილი იმ ბინძური კამპანიისა, რომელიც მიზანმიმართულად ამზადებდა ნიადაგს დიმიტრი ყიფიანის მკვლელობისათვის, წინამურის ტრაგედიისათვის.

ყოველივე ეს წარსულში დარჩა. დიმიტრი ყიფიანიც, ილიაც, აკაკიც, გოგებაშვილიც ერმა წმინდანებად აღიარა (მათგან ორი კანონიზებულია, ორნიც ხალხის გულში ბუდობენ, ვითარცა წმინდანნი, თუმცა... იქნებ სწორედ ეს (და მსგავსი) ქორი უდევს საფუძვლად ბატონი ედიშერ ჭელიძის განცხადებას, რომ აკაკის, ისევე როგორც იაკობის წმინდანებად შერაცხვის საკითხი საბოლოოდ არის მოხსნილი?).

დღეს? დღეს ვის აძლევს ხელს ავად სახსენებელი ჟორდანიებისა და მახარაძეების მიერ აგორებულ ქორებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭება?

P.S.

„ჩვენი მწერლობის“ იმავე №19-ში დაბეჭდილია თეიმურაზ დოიაშვილის წერილი „დრამა ბინაში“, რომელიც ეძღვნება იმის მტკიცებას, რომ... ოლია ოკუჯავა ლალატობდა გალაკტიონს!...

ბატონებო! ევრიპიდეს სინდრომი ხომ არ შეგვპარვია?

მანონ ბულისკერია

გამოსარჩლების ეფექტური რეჟისურა

ანუ სამი დრო უნისონში

ეროვნული გალერეის საგამოფენო დარბაზიდან გამოსულს, აშკარად მქონდა თვითდაწყნარების (თუ დამშვიდების) მცდელობა და პირველი ნაბიჯიც უნდა გადამედგა — განვმარტოებულობე, მომეხდინა ფიქრის ეკიპირება და გადამისამართება ჩემი მობილური ტელეფონის მეხსიერებაში.

ესეც შენი შემოდგომის ერთი დღე...

აი, ხელოვნებას კი რა სეზონი უდგას, გადაჭრით ვერავინ იტყვის, რადგან სეირნობისთვის დრო თითქმის აღარ აქვს თანამედროვე ადამიანს (ყოველი დიდებული აზრი ამ დროს გვებადება, ნიცშემ). ვინც და როგორი ქრონოლოგიაც უნდა წარმოადგინოს, ხელოვნება სტატიკური ვერასოდეს იქნებოდა და მასთან მიმართებით პირობითად თუ გამოიყენება „უძრობისა“ თუ „დუმილის“ ეკვივალენტური მახასიათებლები...

ნიცშემ ისიც თქვა, სამოთხეში ვერცერთი საინტერესო ადამიანი ვერ მოხვდება, და აქ თავისთავად იგულისხმება, რომ თითოეულ ჭეშმარიტ ხელოვანს, „საინტერესოს“ თავისი შემოქმედებით (გნებათ — ცხოვრების წესით), თავისუფლების უმაღლესი ხარისხი აქვს მინიჭებული, თუმცა... პერსპექტივა არჩევითი სულაც არ არის, რადგან, მიუხედავად განუსაზღვრელი თავისუფლებისა და აღქმის მრავალფეროვნებისა, დისტანცირება და თვალსაწიერი მაინც მონიშნულია განგების (თუ ბედისწერის) მიერ, რომელიც ყველა მოაზროვნეს განსაკუთრებულად დამუხტულ აურაში ამყოფებს (აქ არ ვსაუბრობ ფლუიდზე, თუმცა ალბათ არც ადამიანის ფსიქიკასა და სხეულს შორის შეიძლება აბსოლუტური კედლის აღმართვა)...

ნებისმიერ დროს წარმოჩენილი თუ წამოჭრილი კონფლიქტები (არამართო იდეოლოგიური), უპირველესად აისახება ხელოვნებაში და, ბუნებრივია, ამ სფეროსთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულ ადამიანებს რაღაც საერთო ნიშნით მიითვლის ეპოქა. ალბათ ამიტომაც, თვალსაჩინო და საგრძნობი ხდება მათი მსგავსება ერთმანეთთან... რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც...

იმპულსის ხარისხი ყოველთვის განაპირობებს შედეგის რეზონანსს და ალბათ ამიტომაც ნიჭიერი ხელოვანის ბუნება მეტ-ნაკლებად გამოვლენილია მის შემოქმედებაში, თუმცა... ეს იმ შემთხვევაში, როცა შემოქმედი გულწრფელია. გულწრფელობის დოზა კი არ არის ადვილად დასადგენი, რადგან ის შესრულების ტექნიკაზე არასოდეს აისახება. ამ შემთხვევაშია ალბათ საჭირო ზუსტად ორიენტირებული ინტუიცია, „მესამე თვალს“...

ფონი, რომელიც ყოველთვის საინტერესოა მხატვრობაში (და არამართო!), გარდა იმისა, რომ ალბათ განსაზღვრავს კიდევაც კომპოზიციას, ზოგადად ტილოს თუ მთავარი ფიგურის ხასიათს, ის თითქოს მიანიშნებს ხელოვანის დამოკიდებულებაზეც გამოსახულის მიმართ. ძალდაუტანებელი, მაღალი გემოვნებით მოტანილი ფერწერა, დახვეწილობა, გადამდები ექსპრესიულობა მხატვრის გულწრფელობას უსვამს ხაზს და აღსანიშნავია, ხელოვნებასთან დამოკიდებულების მაღალი ხარისხი ლევან ჭოლოშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა.

აზრის დაქვემდებარება გამოსახულებასთან (თუ პირიქით — გამოსახულების დაქვემდებარება აზრთან!) პროფესიონალის შემოქმედებაში ჩვეულებრივ ფაქტად უნდა აღვიქვათ და არც გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა ის გადამდები მედიტაცია, რომელიც ამ გააზრებას ახლავს თან. დიდი ზომის ტილოებზე მაღალი გემოვნებით გადანაწილებულ ემოციას ვერ უძლებს ვიზუალური კონტაქტი და აუცილებლად გადაინაცვლებ განზომილებაში, სადაც საყოველთაო, მარადიული ღირებულებანი შეგახსენებს თავს.

XXI საუკუნეში, როცა ხელოვნება ბევრი ნიჭიერი შემოქმედისთვის, უხეშად ვიტყვი — პირობითი ნიშნებით შემოიფარგლება, ჩვენი თანამედროვეა გამორჩეული კულტურის მატარებელი მხატვარი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ მისი ოცნებაა დეზინფორმაციის მოსპობა ხელოვნებაში. ზოგადად ხელოვნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მხატვარ ლევან ჭოლოშვილის მიერ ფერწერით მოტანილი „ინფორმაცია“ პირდაპირი მნიშვნელობით არის ეპოქისადმი გამოსარჩლება, და რადგან ეს პერიოდი (რომელზეც მინდა ყურადღება გავამახვილო) უკავშირდება ფეოდალურ ხანას და XIX საუკუნის მიწურულსა და XX-ის დასაწყისს, ქართულ არისტოკრატას... არავის გაუვიწყრო

დება, თუ აქვე გაგაკეთებ აქცენტს, როგორც რაინდული სულის მატარებელ ხელოვანზე („რაინდობა (როგორც ეთიკა და ეტიკეტი)“ — გურამ ასათიანი)... დაჩაგრულის, გამეტებულის გამო-სარჩლება სწორედაც რომ რაინდთა თვისებაა... წინაპართა სიყვარული, ერის წარსული ტკივილის ტარება და ამ ყველაფრის მაღალ ხელოვნებად „გაფორმება“ ძალიან ცოტას თუ შეუძლია, რადგან ეს კიდევ სულ სხვა ნიჭია, რომელიც შეიძლება პირობა სულაც არ იყოს რამე დიადის შესაქმნელად, მაგრამ გამორჩეულადამიანად ყოფნისთვის აუცილებელია.

დიდ მოაზროვნეთა მოხმობა საუბრისას (ან წერის დროს) აზრის გამოთქმას ვერასოდეს მიაღვილებს, პირიქით — მძაბავს. ამიტომაც არ ჩავუღრმავებდი, უბრალოდ ვიტყვი, რომ ვერ მოვიპოვებ ხელოვნებას ტანჯვისგან გაქცევის ერთ-ერთ წესად თუ ხერხად (ფროიდი)... ტანჯვასთან მიბრუნება უფრო მეტ სითამამეს, ენერჯისა თუ თავდადებას მოითხოვს... ტკივილი, რა თქმა უნდა, ტანჯვა არ არის, მაგრამ განცდაა, მძაფრი და სასტიკი, რომელიც მოქმედებისკენ აუცილებლად გიბიძგებს და თუ მან ნიჭიერი ხელოვანის გული გამოიარა, ანაპერსკლებულმა იდეამ, სრულიად შესაძლებელია, ეპოქებიც კი შეაჯახოს ერთმანეთს. ღირებულებათა მუდმივი გადაფასებაც საინტერესო ხომ იმითაც არის, რომ ეს პროცესი უაღრესად მტკივნეულია.

გლობალიზაციის ეპოქაში საზღვრებზე საუბარი ძალიან რთულია. თითქმის ყველაფერი ირღვევა იმისთვის, რომ თავიდან გადაწინილდეს, ჩაიკარგოს, აღმოცენდეს... ხელოვნების საზღვრებზე უკვე არც ვლაპარაკობთ, თუმცა... ღირსშესანიშნაობა სულაც არ აღიქმება ერთი ხარისხით, მისი მახასიათებლები ინტერესებისა და გემოვნების მიხედვით თუ არ იქნება გაგებული და აღქმული, აზრი იკარგება, თავისუფალი აზრი, რომელიც აუცილებლად მაღალი ხელოვნების გარანტია.

და ვისთვის როგორ...

ლევან ჭოლოშვილისთვის პოეზია „ამქვეყნიური ტრაგედიის სულიერ სამყაროში გადატანა“ და მხატვრობა — ეპოქისადმი გამოსარჩლება, „განწირული სილამაზისა და კეთილშობილების გამოტირება“...

საერთოდ, მგონია, რომ დამთვალეირებელი უფრო მეტს ფიქრობს ამა თუ იმ ტილოზე, ვიდრე თვითონ მხატვარი. ალბათ ამ მიზეზით არასოდეს ვსვამ შეკითხვებს, რომელიც გამოფენების დათვალეირებისას მიჩნდება (არც სურვილებს გამოვთქვამ ხმამაღლა), მაგრამ... რაც უნდა უცნაური იყოს, პასუხგაუცემელი კითხვა არასოდეს მრჩება, რადგან განცდილზე ფიქრი ყოველთვის მიაღვილდება.

„1970-იანი წლები“, „1980-იანი წლები“... ასე თარიღდება გამოფენაზე წარმოდგენილი ტილოები, რაც, რასაკვირველია, ყურადღებას იქცევს. ეს პერიოდი, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ზოგადად ქართული ხელოვნების ისტორიაში (მე აქ დავადასტურებ ჩემ პატივისცემას და ინტერესს ამ პერიოდის ქართველი ხელოვნების, განსაკუთრებით კი მხატვართა მიმართ, რომლებიც 80-იანელებად მოიხსენიებიან და რომელთაგანაც რამდენიმემ საგულისხმოდ შემოქმედება დაგვიტოვა და გაცილებით მეტი (მადლობა ღმერთს!) დღემდე წარმატებით მოღვაწეობს).

თანამედროვე შემოქმედისთვის თვალყურის მიდევნება, რასაკვირველია, უფრო ადვილია. ბუნებრივია, საინტერესოც გვაქვს საშუალება, რომ ბევრი ნიჭიერი ადამიანის ხელოვნებას ვეზიაროთ, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ შემოთავაზებული ნიმუში (ტექსტები, ვიზუალური ხელოვნება) ნაკლებად გვაძლევს საშუალებას, ჩავნვადეთ შემოქმედის სულს, ანუ ხელოვნება აღქმულია ავტორისთვის გვერდის ავლით. მიმანია, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სათქმელი, იდეა ბოლომდე არ არის გააზრებული ხელოვანის მიერ. პარადოქსია, მაგრამ თანამედროვე არტისტთა უმრავლესობამ იცის, რა ფორმით, ინტენსივობით მოიტანოს სათქმელი, მაგრამ არ აქვს დრო (ან ინფორმაცია) იდეის ბოლომდე გასააზრებლად. საზოგადოებას კი ნამდვილად გააჩნია ნდობის მარაგი, რაც ნიშნავს, რომ ინერცია ჯერ კიდევ ასხამს წყალს ნიჭიერი ხელოვანის ნისკვილზე, რომელსაც რამე ღირებული უკვე შემოუთავაზებია დამთვალეირებისთვის...



ლევან ჭოლოშვილი

ლევან ჭოლოშვილის შემთხვევაში კი...

გამოფენის დათვალეირებისას რატომაც გამახსენდა — „მომავლის ჩრდილი ეფინება წარსულის ნაკვალევს და ასე იბადება ანმყო“. სამივე დრო თითქოს პარალელურად მიედინება გალერეაში. ყველაფერი გიბიძგებს საიმისოდ, რომ მიუახლოვდე მხატვრის სულიერ სამყაროს, გონებით ეხები კიდევაც, წარმოქმნილი ვიბრაცია დროის უწყვეტობას განგაცდევინებს და გტკივა... მე რე დიდხანს, ძალიან დიდხანს გეფიქრება პორტრეტებიდან არეკილ თავისებურებებზე, რომელიც ეპოქამ გამოიმეტა ქართული არისტოკრატიისთვის, გეფიქრება მხატვრის მიერ საოცარი სიცხადით აღქმულ და დამთვალეირებისთვის ოსტატურად შემოთავაზებულ პერსონაჟთა ხასიათებზე, მათ სულიერ მდგომარეობასა და თანამედროვე ხელოვანზე... რომელმაც საკუთარი ერის ტკივილის ტარება განიზრახა გულით და გონებით... მასთან მიმართებაში აუცილებლად გაგახსენდება გურამ ასათიანის მიერ ნიკო ლორთქიფანიძეზე ნათქვამი სიტყვები: „მისი შემოქმედების მთავარი თემა ადამიანის სულის ისტორია არის, რომლის დინებაში და ცვალებადობაში მისი თვალის ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ანარეკლს განჭვრეტს“...

უფრო და უფრო რწმუნდები, რომ მოაზროვნე, მგრძობიარე საზოგადოების განირვება „დეზინფორმაცია“ ხელოვნებაში, რომელიც ასე უხვადაა გარშემო და, მაღლობა უფალს, ბოლომდე რომ ვერასოდეს გვიმეტებს და არის ოაზისები, სადაც შეგიძლია სული მოითქვა და დაარწყულო...

„გამეტებაზე“...

„არავის ერისთვის მკვლელობა“ — გამწირავთა და განწირულთა მარადიული თემა — იმავე განცდით ამოტივტივდება მესხიერებიდან, რომელიც ტილოს პირისპირ დგომისას გეუფლებს... ხედეები, სუნთქვა გეკვრის... ცდილვო გაფიქრებანი და გულისნადები, დაფარული განზრახვები ამოიკითხო (სურათი იძლევა ამის საშუალებას)... წინა პლანზე აწონილი ფიგურა შიმის ზარს გცემს (თუმცა იქვეა უფრო „გამწირავიც“) და ხედეები, ეს 310X210 ზომის ტილო შენი ქვეყნის წარსულის ნაწილია, რომელიც ანმყოში გალევებს და მომავალს გიმზადებს...

ზემოთ ვთქვი, რომ შეკითხვებს არასოდეს ვსვამ მხატვრებთან და იქვე — არც სურვილებს გამოვთქვამ ხმამაღლა-მეთქი, მაგრამ... სურვილი, რომელიც გამიჩნდა თანამედროვე (რაინდული სულის მატარებელი) მხატვრის გამოფენის დათვალეირებისას, უნდა გავამყლავნო, რადგან ის ყველაფერს მოიცავს (შეკითხვებსაც!)...

მინდა ვნახო, როგორ გამოეხარჩლება ლევან ჭოლოშვილი დღევანდელ საქართველოს და ქართველობას, რომელიც უფრო დიდი წნეხის ქვეშაა, ვიდრე გვიან ფეოდალური თუ XIX საუკუნის მიწურულს და XX-ის დასაწყისში იყო.

... პარალელი ალბათ შესაძლებელია და მინც... ლევან ჭოლოშვილი — „იშვიათი ჩვენში პროფილი“!

P.S. მხატვრის ავტოპორტრეტი (თუ ის არსებობს) ნეტა როგორია? ალბათ, მისი პერსონაჟების (არისტოკრატების) ხასიათის მატარებელი...

ლუიჯი პირანდेलო

ცოტაოდენი ღვინო

ღვინოს არ ვსვამ, მაგრამ სამიკიტნოში მაინც შევედი, რათა ჩემი ჩამოსული მეგობრისთვის, რომლისთვისაც აქაურობა უცხო იყო, კომპანიონობა გამეწია. ის კი, როგორ ჩანს, ისე ვერ დაიძინებს, თუ საღამოობით, ძილის წინ, საგზლად მოზრდილი ჭიქით ღვინო არ მიირთვება.

ორი ერთმანეთთან დაკავშირებული დარბაზი, შუაში თალით: ერთი უფრო დაბლაა, მეორე კი — სამიოდე საფეხურით მაღლა. ორივე უსახურია, კედლები სანახევროდ ფიცრით არის დაფარული. პირველში სასმელების თაროებია, ფერგადასული, გაპოხილი და დამტვერილი, წინ კი — ღვინის ჩამოსასხმელი ძველი დახლი; მეორეში, სადაც ჩვენ დავსხედით, პატარა, ტლანქი, ყვითლად შეღებილი მაგიდების ერთი ნყება დგას და ჭერიდან ოთხიოდე ჭალი ეშვება საკიდზე დამაგრებული თითო აბაჟური.

პირველ საღამოს თითქმის არავინ იყო. ორი მამაკაცი, რომელთაც ერთი ბოთლი უკვე გამოეცალათ, კუთხეში ჩუმად ისხდნენ, დაღვრემილებს ნიკაპი ლამის მკერდზე დაებჯინათ. მოულოდნელად ერთ-ერთმა პირი გააღო და ხანგრძლივი, ყოველ ჩასუნთქვასთან ერთად მზარდი და ძლიერი ხმა გამოსცა, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა. მეორემ თავი მიაბრუნა, რომ შეეხედა.

— ყოყინებ, ჩემო კარგო. — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: — ასეთი მთქნარება სადმე გინახავთ?

საშინელი მონყენილობის ამ ვულგარულმა ნიშანმა ჩემში განბილების გრძნობა გამოაცოცხლა, რომელიც იმ მომენტიდან დამეფულა, რაც ამ ადგილას შემოვდგი ფეხი. ავდექი და ჩემს მეგობარს დაუყვირე:

— ძალიან გთხოვ, იჩქარე!

მაგრამ მან შავი, მოტკბო ნაყენივით ბლანტი ალვატიკოს* ჯერ კიდევ ნახევრად სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა, თვალები დახუჭა და ღვინის ერთი ყლუპი ისეთი ამკარა ბავშვური ნეტარებით გადააყლაპა, ჩემი სიბრაზე მაშინვე სიცილმა გააქარწყლა. ისევე დავეჯექი. შეგნება იმისა, რომ მისი ჟინის მოკვლის მონმე/შუამავალი ვიყავი, თავმოყვარეობას მილახავდა.

ამასობაში სხვა კლიენტებიც მოვიდნენ. ზოგი მეორე დარბაზში იჯდა და ბანქოს თამაშობდა. ერთი ბრმა მოხუციც შემოვიდა. გათეთრებული და თითქოს მომღიმარი თვალი გვერდზე გაურბოდა, კისერზე გიტარა ჰქონდა ჩამოკიდებული. წინ პატარა, გამხდარი გოგონა მოუძლოდა, შუბლზე ჩამოგრძელებული თმით. გოგონამ მოულოდნელად სიმღერა წამოიწყო, ყურადღებაგაფანტული მღეროდა თითქოს სხვისი და რაღაც შეუბრალებელი ხმით, რამაც კლიენტების პროტესტი გამოიწვია. გოგო იძულებული შეიქნა გასულიყო.

ჩვენ გვერდით მაგიდასთან ერთი უცნაური წყვილი გამოჩნდა: მოხუცი ბატონი მეტად კეთილშობილური გარეგნობით, გაშეშებული, თითქმის გვამადქცეული ცოცხალი, რომლისთვისაც ახალგაზრდა დიდთავიან და ხშირთმიან მიმტანს ჩაეკიდა ხელი. მიმტანს თავი თითქოს უკისროდ ედგა მხრებზე, ავადმყოფური და შეშუპებული სახე ჰქონდა; მის თვალბში უაზრო გამომეტყველება, მაგრამ ამავე დროს სითბო იკითხებოდა. ამ თვალებს ფირუზის ტკვილიწარევი სიმქრქალე დაკრავდა. მოხუც ბატონს, რომელიც ფეხზე



ძლივს იდგა, პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა. ისე, რომ მისთვის ხელი არ გაუშვია, მაგიდებს შორის გაიყვანა, სკამი გამოსწია და მოხუცი ნელა დასვა, თითქოს ადამიანი კი არა, თოჯინა ყოფილიყო. შემდეგ მეორე დარბაზში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემობრუნდა ბოთლის მეოთხედი თეთრი ღვინით, რომელიც ჭიქასთან ერთად მოხუცს წინ დაუდგა და ისევე გავიდა.

მოხუცი გაუნძრევლად იჯდა, ხელები მიტყუპებულ ფეხებზე დაენყო. ლამაზი მოყვანილობის თავი ჰქონდა, მაგრამ შელახული სილამაზის, გადამდგარ პოლკონიკებს რომ აქვთ, ისეთი. აქეთ-იქით, თითქოს კალიგრაფიული სიზუსტით გამოყვანილი, თევზის ფორმის მშვენიერი თვალები. ლოყებზე იისფერი ძარღვების ხშირი ბადე ემჩნეოდა. კარგად ეცვა, სუფთად და სისადავით. მაგრამ რაოდენ უსიამოვნო და სევდიანი ნიშანია, როდესაც სტილის, ფერისა და ქსოვილის ხარისხის მიხედვით ხვდები, რომ სამოსი სამი-ოთხი წლის წინანდელია და, მიუხედავად ამისა, ხედავ, რომ ახალთახალივითა შენახული, არსად პატარა ნაოჭი ან უმნიშვნელო ლაქაც კი არ ეტყობა. ამის შემხედვარე დარწმუნდებოდი, რომ მოხუცს ამ სამოსში ეწერა გარდაცვალება, რომელიც ოთხი წლის მანძილზე ოდნავადაც არ შელახულიყო. ან იქნებ შინაგანად თავს უკვე გარდაცვლილადაც გრძნობდა.

ეს ერთმა ბუზმა დამიდასტურა, რომელიც მოხუცს გულსგამანვრილებლად ანუხებდა მას შემდეგ, რაც სკამზე დასვეს და დატოვეს. მაგრამ ხელის აქნევა და ბუზის თავიდან მოშორება არც უცდია. სწორედ მაშინ დამეზადა ეჭვი, რომ არ შეეძლო. ეჭვი კი შეუკავებელ გაღიზიანებაში გადაიზარდა, როცა დავინახე, რა ხარბად დააცხრა ის ბუზი შუბლზე გამოყრილ ნასიცხს. ის იყო ადგომა და ბუზის მოშორება დავაპირე, მოხუცმა ჩემკენ ნელა მოატრიალა თავი და დახვეწილი და ნაღვლიანი ღიმილით მითხრა:

— ბუზი ბუნებით არის ასეთი: ადამიანი მოკვდება თუ არა, არ ვიცი, შიკრიკად ვინ ჰყავთ, მაგრამ მაშინვე იგებენ. და გაიგებენ თუ არა, უმალ მოფრინდებიან, რომ ზედ დაასხდნენ და გარდაცვლილის მცირეოდენი ოფლით დატკბენ.

ეს რომ თქვა, თავი ისევ მიაბრუნა, რომ სკამზე ძველებურად უმოძრაოდ გაჩერებულიყო. რა თქმა უნდა, არავის სმენია შემთხვევა ან უნახავს, რომ სანოლზე გაჭიმულ მიცვალებულს, ოთხი მხრიდან სანთელი რომ უდგას, ხელი აეჭინოს, რათა შუბლიდან ან ცხვირიდან ბუზი მოეცილებინა. მაგრამ ის მოხუცი ბატონი, ღმერთმანი, მიცვალებულს კი ჩამოჰგავდა, მაგრამ სამიკიტნოში იჯდა, თავი შემობრუნა, დამელაპარაკა. მგონი, მხოლოდ ხელების ამოძრავება არ შეეძლო. მეოთხედამდე სავსე ღვინის ბოთლი და ცარიელი ღვინის ჭიქა მის წინ, მაგიდაზე ისევ ხელუხლებელი იდგა. მიმტანის ძებნაში მეორე დარბაზს მოვაველე თვალი, იქნებ ვინმესთან ლაპარაკი გააბა და ბატონის მომსახურება დაავიწყდა-მეთქი, მაგრამ მიმტანი ვერსად შევნიშნე. ჰოდა, საბრალო მოხუცის უმოძრაოდ ჯდომას ველარ გავუძელი და ხელი ბოთლისკენ წავიღე, რომ ღვინო ჭიქაში ჩამესხა და დაღვევაში დავხმარებოდი. გაოცებულმა დავინახე, როგორ ასწია ფეხებზე

* იტალიური წითელი, მოტკბო, დესერტის ღვინო (მთარგმნ.).

უმოდროდ დადებული ხელი, რომ ჩემი ხელი შეეჩერებინა. გაიღიმა, თავი ოდნავ დახარა, ხელი ისევ ფეხზე დაიდო და მითხრა:

— გამადლობთ, ნუ შეწუხდებით, არ ვსვამ.

გაკვირვებულმა შევხედე, მერე ბოთლს შევავლე თვალი, გუნებაში ვეკითხებოდი, მას მიმტანმა ეს ბოთლი აქ რატომ დაგიდგათ-მეთქი. მოხუცმა ეს შეკითხვა ჩემს თვალებში ამოიკითხა და მიპასუხა:

— მოსაჩვენებლად. ეს ღვინო არ არის.

— ღვინო არ არის? აბა, რა არის?

— არაფერი. წყალია. ღვინოს, თუმცა ძლიერია, ცოტას მაინც ვსვამ, ოღონდ სუფთას. აბა სცადეთ, თქვენი მეგობრის ღვინო ცოტა დამისხით და ნახავთ, რაც მოხდება.

ცნობისმოყვარეობამ შემიბურო, ჩემი მეგობრის ალეატკოს ბოთლი ავიღე და ის იყო დავაპირე მოხუცი ბატონის ბოკალში ცოტაოდენი ჩამესხა, რომ მეორე დარბაზიდან საჩქაროდ მოიბრინა მომტანმა, რომელიც აშკარად ჩასაფრებული იყო, ჭიქას ხელი დააფარა და გაღიზიანებულმა ამოიკვნესა:

— ბატონო მარკიზო! — მერე კი მე მომიბრუნდა, — ბატონო ჩემო, ღვთის გულისათვის. ბოლოს მე გავიჭყლიტებო.

მიმტანი წავიდა და ღვინის ჭიქაც წაიღო.

მოხუცმა ისევ გაიღიმა, ისევ ის ლამაზი და მელანქოლიური ღიმილი ალებეჭდა სახეზე, თავს ოდნავ შესამჩნევად აქნევდა. მერე თვალები მოხუცა და ხანგრძლივი ოხვრა აღმოხდა.

მივიჩინე, რომ საჭირო აღარ იყო ამ ყველაფერს სერიოზულად მივდგომოდი. მოხუცს ვკითხე:

— სმას გიკრძალავთ, არა?

მიპასუხა:

— არა, ის არა. ჩემი ფაფიშვილი მიკრძალავს, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ჩემი ჯანმრთელობა ანაღვლებს, არამედ ცოტაოდენი სუფთა ღვინის დაღვევის შედეგად დაბადებული მხიარულებით სახლის დეკორი არ შევლახო. კოსტანტინოც სიამოვნებით დაღვედა. არ შეუძლია. საშინლად იტანჯება. ძალიან ავად არის. ავად და ოჯახის პრობლემებით დამძიმებული, საბრალო. მისი სიბრაღულით სმას ვერიდები. მაშინვე გააგდებენ აქედან, თუ შინ მთვრალს კი არა, ოდნავ მაინც გახალისებულს მიმიყვანს. დამიჯერეთ, გახალისებულს და არავითარ შემთხვევაში ამაზე მეტს. რადგან მე, ნებისმიერ შემთხვევაში, საზრიან წესს ვიცავ: ვსვამ არცერთი წვეთით მეტს და არცერთი წვეთით ნაკლებს, არამედ ზუსტად იმდენს, რამდენიც საჭიროა. ოდნავ მეტს თუ დაღვევ, ზომიერად მეტად გამოცოცხლები, თუ ოდნავ ნაკლებს — შენში მგზნებარება არ გაიღვიძებს. და თუ მგზნებარება ვერ გაიღვიძებს, ნაღველი აორთქლდება. მაგალითს მოგიყვანთ. ჩემო ძვირფასო ბატონო, გავიხსენოთ თუნდაც გასვენებაზე ანთებული ჩირაღდნები. დღისით-მზისით აღი არ ჩანს. მაგრამ რა ჩანს? მისი კვამლი. გასაგებად გეუბნებით?

ჰაერში თითის მოძრაობით კვამლი გამოსახა და გაჩუმდა.

ახლა, როცა ამას ვისხენებ, ვხვდები, რომ შედარებას არ შეიძლება მიმართებათა ის სიცხადე, რასაც რიტორიკა აუცილებლად მოქონებს, რათა ეს შედარება ეფექტური იყოს. მაგრამ იმ ადგილას და მის მიერ ნათქვამი, თანაც ასეთი დახვეწილი მოხდენილობით, დასუსტებულ ხმასა და სამგლოვიარო თავდაჯერებასთან შეზავებული, არამარტო ეფექტური მეჩვენა, არამედ საუკეთესოდ მორგებულიც და ზუსტად ისეთი, მას რომ შეეძლო ეთქვა. მოხუცის მიმართ ცნობისწადილმა ისევ გაიღვიძა ჩემში, ახალი და უფრო ცოცხალი ძალით. ვკითხე, მიუხედავად იმისა, რომ დაღვევა არ შეეძლო, რატომ მოჰყავდა მიმტანს სამიკონოში.

— რატომ? — ამოიოხრა. — იმიტომ, რომ აქ ჩემი ნაღველი, რომელიც ძალიან დიდია, ისე დავინახო, როგორც კარს მომდგარი საბრალო მათხოვარი, რომელსაც თუ კარს ოდნავ შეუხსნიან, უმაღლესი მარწყვად გადაიქცევა. თქვენ ახალგაზრდა ხართ, გიყვართ, იმედოვნებთ, გასურთ. სამყაროს ისეთად აღიქვამთ, როგორც თქვენი სიყვარული, თქვენი იმედი და თქვენი სურვილია. მაგრამ თუ, საუბედუროდ, ეს ყველაფერი მოგაკლდებათ, თქვენთვის სამყარო უცაბედად სულ სხვა რამედ იქცევა. და მაშინ ნუთუ ის უფრო ნამდვილი იქნებოდა, ვიდრე ახლა, როცა გიყვართ, იმედოვნებთ და გინდათ? ყველა ეს ღვინო თითქოს სულიერია. მე კი, მოხუცი, იმისთვის, რომ ეს სამყარო ჯერ კიდევ



მხატვარი ნოდარ ბაღურაშვილი

ასატანად მიმეჩნია, მატერიალურ ღვინოს ძალიან, ძალიან მცირე რაოდენობით ვსვამდი. მაგრამ ჩემს შვილს აღარ უნდა, რომ ასე იყოს, რათა სახლის დეკორი არ დაირღვეს. თანაც, ეს საბრალო კოსტანტინო... ჰოდა, მეც თავს ვიმშვიდებ. აქ ჩემი დიდი ნაღველი, დიახაც, რომ ნამდვილია, მაგრამ საკმარისია ერთი თითისდადება ღვინო დავლიო, მაშინვე გაქრება. შეგიძლიათ შემედავოთ და მითხრათ, რომ ნამდვილი არც ჩემი მხიარულება იქნებოდა, რადგან ის იმ ერთი თითისდადება ღვინით იქნებოდა გამონკვეული, რომელსაც დავლევი. ვერ გეტყვით, რომ ასე არ იქნებოდა. მაგრამ, მოდით, ისევ დასაწყისს დავუბრუნდეთ. მაინც რა არის ნამდვილი, ძვირფასო ბატონო? რა არ არის დამოკიდებული იმაზე, რასაც ვსვამთ ან მივირთმევთ, რათა ესა თუ ის სინამდვილე შევქმნათ? აი, მოდით, ყური დაუგდეთ...

სამიკონოს ორი დარბაზიდან, რომელიც თავიდანვე ასეთი უბადრუკი მეგონა, ახლა მხიარული ყრიაშული მოისმოდა. გარშემო მიმოვიხედე და ყველა სახე შეცვლილი მეჩვენა, ზოგი — ფერდაკარგული, ზოგიც — აგზნებული.

ერთ მაგიდას ოთხი მამაკაცი მისხდომოდა, ნელში გამართული და ერთიმეორისკენ პირმიქცეული, თავები ერთმანეთთან ახლოს მიეტანათ. არ ვიცი რას, მაგრამ დიდი ნეტარებით მდეროდნენ ცხვირისმიერი ინტონაციით. სხვები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ზოგიც იცინოდა.

ისევ მოხუც ბატონს შევხედე, რომელიც მჯდომარე გვამის საზარელი უმოძრაობიდან გამოსულიყო, იმაზე დაფიქრდი, რაც ის-ის იყო მითხრა, ვიგრძენი, როგორ შემიბურო ღრმა სიბრაღული. დასიცხულ შუბლზე ისევ ბუზი ეჯდა. მისკენ გადავიხარე და ჩუმად ვუთხარი:

— ბოდიში, მაგრამ არ შეგიძლიათ ეს ბუზი მაინც მოიშოროთ შუბლიდან?

იტალიურიდან თარგმნა
თამარ ჭლენტამა

ლორდ ბაირონი

პეტერბურგში: კოხტა შიკრიკი და იმპერატრიცა ეკატერინა

(მაცხრა თავი „ღონე ჟუანიღან“)

ო, ველინგტონ!
ანუ ვილანტონ — ჰარამზადავ — ანუ დიდებისა მიუხედავად ეს გმირული სიტყვა ორივენიარად გამოითქმის; საფრანგეთმა ვერ დაამარცხა შენი ცასმინევილი სახელი, მაგრამ გაათამაშა და გაამასხრა, დამარცხებულად კი იცინის შენზე).

ო, ველინგტონ! დიდი პენსიები მიიღე და უფრო დიდი ხოტბა, ვერვინ აღუდგება წინ შენს დიდებას, მაგრამ კაცობრიობა აღსდგება და დაიქუხება „ნეი!“ (არა).¹

არა მგონია, კინიარდს კარგად მოჰქცეოდი მარინეტის საქმეში,² უგვანად გამოვიდა და, სხვა საქმეებისა არ იყოს, არ ღირს გახსენება შენს საფლავთან ვესტმინსტერის ძველ სააბატოში. სხვა ამბებთან ერთად არსებობის უფლება არც გააჩნია, ასეთი ამბები ეგებ სადმე ჩაის სმის დროს გაიხსენონ ჭორიკნებმა,³ და თუმცა წლებმა დასასრულისაკენ ნაგიყვანა, ჯან-ღონით ჯერაც ჭაბუკი გმირი ხარ.⁴

ბრიტანეთს შენი ბევრი მართებს (და ბევრსაც გიხდის), მაგრამ ევროპას უსათუოდ უფრო მეტი ვალი აქვს შენი: შენ შეაკეთე ლეგიტიმურობის საყრდენი, თუმც ისეთი უდავო აღარ არის, ვითარცა ადრე: ესპანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში.⁵ იხილე თუ რა მძლავრი რესტავრატორი ხარ; ვატერლოომ მსოფლიო შენს მოვალედ გადააქცია (ვისურვებდი შენმა ბარდებმა უკეთ გიმღერონ).⁶

შენ ხარ „ყელის-მჭრელი, საუკეთესო“: „... ახლა არ დამინყო, ასე და ისეო, შექსპირის სიტყვებია და სულაც არაა უდავლოდ მოტანილი: ომი თავის გამხეთქი, ძარღვების მბასვრელი ხელოვნებაა, თუნდაც სამართლით იყოს განმტკიცებული. დიდსულოვნად რომ გემოქმედა, მსოფლიოს მბრძანებელი კი არა, მსოფლიო გაიგებდა და მეც მოხარული ვიქნებოდი მცოდნოდა, გარდა თვით შენი და შენიახებისა, თუ ვინ დაშთა სარგებელი ვატერლოოსგან.

მე მლიქვნელი არ გახლავარ, შენ კი გამოძღარხარ მლიქვნელობისგან, ამბობენ, რომ ძალიანაც მოგონს, და არც დიდად გასაკვირია, რომ კაცი, ვისი მთელი ცხოვრებაც შეტევა და ზარბაზნების სროლა იყო, დაიღალოს ამ გრგვინვა-ქუხილისაგან; და ქება უფრო ეგემრიელოს, ვინემ სატირა, ისიც კი მოეწონება, იღბლიან გადაცდომათა გამო რომ აქონ, უნოდონ „ერების მსხნელი“, — ჯერაც რომ არ გამოხსნილან? და „ევროპის გამათავისუფლებელი“ — ჯერაც მონობაში რომაა!⁸

მოვრჩი. წადი ახლა და ბრაზილიის პრინციის მიერ მორთმეული ჭურჭლიდან⁹ იგემე სადილი, და გუშაგებს, ჭიშკართან რომ დგანან, თითო ნაჭერი გაუგზავნე შენი მდიდრული საკვებიდან: მანაც ხომ იბრძოლა, მაგრამ ისე კარგად არ იკვებება.

ზოგი კიდევ შიმშილობს, ასე ამბობენ, ხალხი ლაპარაკობს, ეჭვი არავეს ეპარება, რომ შენ დაიმსახურე შენი არჩივი, მაგრამ გვედრი, ერსაც არგუნე ცოტაოდენი.

არა, გაცემას ვერ მოგთხოვ; ეგვგარი დიადი ადამიანნი, ვითარც შენა ხარ, ჩემო უფალო ჰერცოგო! შორს არიან ამგვარი ქცევისაგან; რომაული ქცევისაგანაც, მაგალითად, ცინცინატუსის მსგავსისაგან, თანამედროვეობას მცირედი რამ თუ აკავშირებს; და თუმც, ვითარცა ირლანდიელს, გიყვარს კარტოფილი, არც მის განანლილებზე ზრუნვა გჭირდია; ნახევარი მილიონი შენი საბინური მამულისათვის¹⁰ ცოტა ძვირია! მჯერა, საზიანოს არას ვამბობ.

დიად ადამიანთ ყოველთვის სძაგდათ დიდი ხარჯები: ეპამინონდასმა იხსნა თავის თებე და მოკვდა ისე, რომ დასამარხავი ფულიც არ დაუტოვებია; ჯორჯ ვაშინგტონმა მადლობები მიიღო და მეტი არაფერი, გარდა შეუზღალავი დიდებისა (რაც ცოტას თუ ღირსებია) სამშობლოს გაათავისუფლებისათვის. პიტსაც¹¹ აქვს საამაყო, დიდსულოვან მინისტრს სახელმწიფოსი, უანგაროდ რომ ემსახურა დიდ ბრიტანეთს.

აროდეს ჰქონია მოკვდავ ადამიანს ამხელა შესაძლებლობანი, გარდა ნაპოლეონისა, და აროდეს გამოუყენებია ასე ბოროტად; შენ შეგეძლო გაგეთავისუფლებინა ევროპა გაერთიანებულ ტირანთაგან და დაგლოცავდნენ ზღვიდან ზღვამდე; ან კი სად არის შენი დიდება? მუზა იმღერებს შენთვის?

მიდი და ნახე ვითარ ტირის შენი დამშეული ქვეყანა! შეხედე მსოფლიოს! და დაწყევლე შენი გამარჯვებანი!

რაკი ეს ახალი ქებანი ომის მსგავს გმირობებს ეხება, პირუთენელი მუზა იტყვის შენზე სიმართლეს, ისეთს, გაზეთებში რომ ვერ ამოიკითხავ, და დროა ვასწავლოთ ხელებში შემყურე ტომს, საკუთარი ქვეყნის სისხლით და ვალებით რომ სუქდება, სიმართლე, რომელიც წარმოითქმის უქრთამოდ.

დიადი საქმენი აღასრულე, მაგრამ რაკი დიადი გონება არ მოგდევდა, შეუსრულებელი დატოვე უდიადესი... და კაცობრიობაც.

სიკვდილი იცინის... აბა, მიდი და ფიქრებში ჩაღრმავდი ჩონჩხის ხილვაზე, როს კაცი წარმოიდგენს შეუცნობელ მოვლენებს, რასაც ფარავს წარსული; ანდა მზის ჩასვლა, რომელიც სხვაგან ამოდის და მოაქვს ნათელი გაზაფხული... სიკვდილი იცინის ყველაფერზე, რაზეც შენ ტირი; უყურე ამ ყოველნუთიერ მოცახცახე მოლოდინს! როს მუქარის ნესტარი ცხოვრებას შიშად აქცევს, თუნდაც ჯავშნის ქვეშ; ნახე თუ ვითარ ამოუსუნთქავად იკრიჭება მისი უტუჩო პირი!

ნახე, ვითარ დასცინის და სძაგს ყველაფერი ის, რაც შენა ხარ, თუნდ — რაც ყოფილხარ; ყურიდან ყურში არ გადადის მისი სიცილი... არ არსებობს ეგრეთწოდებული ხორციელი ზღვარი; პრანჭვა-გრება დიდი ხანია ხმას არ გამოსცემს და მაინც ილიმის; და ახლოს იქნება თუ შორს, ჩამოჰგლეჯს კაცს იმ მოსასხამს (უფრო ძვირფასს, ვინემ მკვირავის მიერ შეკერილს), სხეულზე გადაკრულ კანს, თეთრს, შავსა თუ სპილენძისფერს... მკვდარი ძვლები კბილებს დაკრეჭენ.

და ასე იცინის სიკვდილი, — სევდიანი მხიარულებაა, მაგრამ მაინც ასეა; და ამ მაგალითის შემხედვარე რატომ არ უნდა იყოს სიცოცხლე ისევე კმაყოფილი, ვითარცა მასზე აღმატებული, და ღიმილით გადაუაროს იმ არარაობათ, ყოველდღიურად რომ ვხვდებით, და რომ ჰქრება ზღვის ქაფივით და უფრო კინია, ვინემ საყოველთაო წარღვნა, რომელიც შთანთქავს მზეებს ვით სხივებს, სამყაროებს ვით ატომებს, წლებს ვითარ საათებს?

„ყოფნა, არყოფნა? საკითხავი აი ეს არის,“ ამბობს შექსპირი, ვინც სწორედ ახლაა მოდამი. მე არც ალექსანდრე ვარ და არც ჰეფესტიონი, და არც აროდეს მქონია ჟინი აბსტრაქტული დიდებისაკენ; ნეტა კი საქმელს კარგად ვინელებდე და ბონაპარტეს კიბო სულ არა მჭირდება: აბა რად მინდა ორმოცდაათი გამარჯვება, დიდებისა თუ სირცხვილის მომტანი; თუ არ მექნა კუჭი, რას ვაქნე კარგ სახელს?

„O dura ilia messorum!“ — „ო, ხისტად მთიბაჲო ნანლავე-ბო!“¹² იმათი სარგებლობისათვის ვთარგმნი, ვინაც უწყის თუ რას ნიშნავს მოუწიებლობა — ეს შინაგანი ბედისწერა, რაც მთელ სტიქსს ერთ პანია კუჭში გაატარებს. გლეხის ოფლი ბატონის მამულს უდრის: იგი ხომ რენტის გადასახდელად შრომობს, და მშვიდად სძინავს და კმაყოფილია.

„ყოფნა, არყოფნა?“ — ვინემ გადავწყვეტდე, მოხარული ვიქნებოდი მცოდნოდა, თუ რას ნიშნავს ყოფნა?

მართალია გრძლად და ფართოდ ვმსჯელობთ და ვვარაუდობთ, რადგან ჩვენ ხომ ვჭვრეტთ, ყოვლისგანმჭვრეტნი ვართ; მე, ჩემდათავად, არცერთ მხარეს არ ავირჩევდი, ვინემ არ დავინახავდი, რომ ორივე მორიგდა ერთხელ და სამუდამოდ. ხანდახან ჩემთვის ვფიქრობ, რომ სიცოცხლე სიკვდილი უფროა, ვინემ სუნთქვის უბრალო მდგომარეობა.

„Que scais-je?“¹³ იყო მონტენის დევიზი და პირველ აკადემიკოსთაც: რომ ყველაფერი საეჭვოა, რასაც კაცმა შეიძლება მიაღწიოს, გახლდათ მათი საყვარელი შეხედულება. არ არსებობს ეჭვმუუტანელი რამ, და ეს ისევე ცხადია, ვით ნებისმიერი რამ მოკვდავის ყოფნაში. ასე ცოტა ვიცით თუ რანი ვართ ამ ნუთისოფელში, ეჭვობ, თუ ეჭვი თვითონ ეჭვია.

სასიამოვნო მოგზაურობა იქნებოდა, პირობით¹⁴ გვეტი-ვტივა მსჯელობათა ზღვაში, მაგრამ აფრა რომ გაგვექცეს და ნავი გადავიტრიალდეს? ბრძენკაცთ ბევრი არ უწყინა რა ნავიგაციისა; და ხანგრძლივი ცურვა აზროვნების მორევში დამლელია: წყნარი და თავთხელი ნავსაყუდარი ნაპირთან ახლოს, სად კაცი დაიხრება და ლამაზ ნიჟარებს აკრეფს, საუკეთესო რამა თანამედროვე მოცურავეთათვის.

„მაგრამ ზეცაა მალა“, როგორც კასიო ამბობს¹⁵ — და ნულა ვილაპარაკებთ მეტს ამაზე — „მოდი ვილოცოთ!“ სულელები უნდა ვისხნათ მას შემდეგ, რაც ევა დაცურდა და ადამი დაეცა, რამაც მთელი კაცობრიობა საფლაფში ჩააყირავა თევზებთან, ცხოველებსა და ჩიტებთან ერთად; „ბელურის სიკვდილი განსაკუთრებული წინასწარმეტყველებაა“¹⁶ თუმც რა დაშავა, არ ვიცით, ალბათ იმ ხეზე ბუდობდა, რომელსაც გულმოდგინედ ეძებდა ევა.

ო, უკვდავო ღმერთებო! რა არის თეოგონია? ო, თქვენც, მოკვდავი ადამიანო! რა არის ფილანტროპია? ო, მსოფლიოვ, ყოფილო და არსებულო, რა არის კოსმოგონია?

მავანი ბრალს მდებენ მიზანთროპიაში, მაგრამ იმაზე მეტი არა ვიცი რა, რაც ამ მაჰოვანის მერხმა, თუ რას გულისხმობენ; ლიკანთროპია წარმომიდგენია, როს გარდაქმნის გარეშეც ადამიანები მგლად იქცევიან სულ მცირე შესაძლებლობისთანავე.

მაგრამ მე, ყველაზე ზომიერი და მორჩილი კაცთა შორის, ისეთი ვით მოსე, ან მელანქტონი, ვისაც აროდეს არაფერი ჩაუდენია უკეთური, და (თუმც ვერასოდეს ვიტანდი და ავიტან სხეულისა თუ გონების მოხრას) ყოველთვის ვზოგავდი ყველას, რატომ მეძახიან მიზანთროპს?

იმიტომ რომ მათ ვძულვარ მე და მე არ მძულს ისინი. და აქ კი შევჩერდეთ.

დროა განვაგრძოთ ჩვენი კარგი პოემა, რადგანაც ვზრუნავ, რომ მართლაც კარგი იყოს, არამარტო ძირითადი ნაწილი, არამედ წინათქმაც, რაც უნდა ძნელად გაიგებოდეს ორივე ამჟამად, მაგრამ თანდათან წარმოაჩენს თავის თავს მთელი ბრწყინვალეობით, თუმც ვიდრე ეს მოხდება, კმაყოფილი უნდა ვიყო, რომ ვინაწილებ მის მშვენიერებასა და სასჯელს.

ჩვენი გმირი (და ვიმედოვნებ, კეთილი მკითხველო, შენიც) დავტოვებთ გზაზე მთავარი ქალაქისაკენ, უკვდავი პეტრეს მიერ გაკრიკლებული ოტროველებისა, ვინც დღემდე მამაცნი უფრო არიან, ვინემ გონიერნი. ვიცი, დღეს ეს ძლევამოსილი იმპერია დიდ ხოტბას მოიხვეჭს, თვით ვოლტერიც კი აქებს და სამწუხაროა, რადგანაც მე აბსოლუტურ ავტოკრატის ბარბაროსობად მივიჩნევ, და კიდევ უარესადაც.

და ვიომებ, სიტყვებით მაინც (და — ბედმა ასე მარგუნა — ფაქტებით), ყველას წინააღმდეგ, ვინც აზრს ებრძვის; ვიომებ აზროვნების ყველაზე სასტიკ მტრებთან, ტირანებსა და მამამლებ-

თან, ვინც იყვნენ და არიან. მე არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს, და რომც შემეძლოს განჭვრეტა, ეს ხელს ვერ შეუშლიდა ამ ჩემს პირდაპირ, დაფიცებულ, დამამობელ ზიზლს ყველანაირი დესპოტიზმი-სადმი ყოველ ერში.

არ გეგონოთ, ხალხს ვაქებდე: უჩემოდაც საკმაოდ არიან დემაგოგები და ურწმუნონი; მე ძირს ვამხობ ყოველ ბომონს და მათ ადგილას აღვმართავ იმას, რაც საჭიროა. ეგებ მათ სკეპტიციზმი დათესონ ჯოჯოხეთის მოსამკობელად, ვითარცა ქრისტიანული დოგმა ამბობს უხეშად, არ ვიცი, — მსურს ადამიანები იყვნენ თავისუფალნი ვით ბრბოსა, ისე მეფეთაგან — შენგანაც და ჩემგანაც.

ამრიგად, არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი და დავგმობ ყველა პარტიას: ნუ აღელდებით! ჩემი სიტყვები ბოლო-ბოლო უფრო გულიანია და წრფელი, თუნდ ქარის საპირისპიროდაც მსურდეს გაცურვა.

ვისაც არაფერი აქვს მისაღწევი, ნაკლები ხელოვნებაც სჭირდება; ვისაც არც შებორკვა სურს და არც შემოკლება, შეუძლია სიტყვა გაშალოს, ისევე ვით მე, და ჩემი ხმა მონობის ტურის კვილს არ დაედარება.

აი შესაფერისი შედარებაც — ტურა!

მესმოდა მათი კვილი ნანგრევებში ეფესოს ტაძრისა¹⁷ ღამლამობით, ვითარცა ანგარებიანი მენვრილმანენი ჰკივიან ხოლმე, მდაბალი მოვაჭრენი ძალაუფლებით, გრომის ძებნაში რომ დაიზუზუბიან და ეძებენ მსხვერპლს, რასაც მათი ბატონები დააცხრებიან. და მაინც, საბრალო ტურები ნაკლებ საძაგელნი არიან (მამაც ღომთა გამრჯე მომმარაგებელინი), ვინემ ადამიან-მწერები, ობობათა საკვებნი.

მკლავი აღმართეთ მხოლოდ! და მათი ქსელი გადაიგება; ქსელის გარეშე კი მათი შხამი და ბრჭყალები გამოუსადეგარია. ყურად იღეთ, კეთილო ხალხო! რასაც ვამბობ (ან, უფრო სწორად, ხალხებო) — ნუ დააყოვნებთ!

ამ ტარანტულთა ქსელი ყოველდღიურად იმატებს, მანამ, სანამ თქვენ საერთო აზრი გააჩნდებათ. არავინ, მხოლოდ ესპანური ბუზი და ატიკური ფუტკარი¹⁸ იკბინებიან ცხარედ, რათა გათავისუფლდნენ.

დონ ჟუანი, ვინც თავი გამოიჩინა ამ უკანასკნელ კაცისკვლამში, მარტო მიემურება გზავნილით ხელში, სადაც სისხლზე ისეა საუბარი, ვით ჩვენ წყალს ვახსენებთ ხოლმე; და ჩონჩხები, ფიჩხივით დაყრილი, დადუმებული ქალაქის ირგვლივ, მხოლოდ სადიდებლად გამოიყენება ეკატერინესი, ვინც ერების ამ შერკინებას ისე უყურებდა, ვით მამლების ბრძოლას, და უხაროდა, მისიანები კლდესავით იდგნენ.

და მიგორავდა ჟუანი კიბიტკაში მჯდომი (დიდად დაწყველილი ურესორებო ეტილია, ცუდ გზაზე ძვლებსლა რომ დატოვებს კაცი-საგან), ფიქრობდა სახელზე, რაინდობასა და მეფეებზე, და ორდენებსა და ყოველივეზე, რაც მოიმოქმედა — და ოცნებობდა: ნეტა საფოსტო ცხენებს ფრთები ჰქონდეთ პეგასისაო, ან დილიუანსებს ჰქონდეთ ბუმბული, როს მოგზაური შორეულ გზაზე მიდისო.

თვითეულ დაჯანჯლარებაზე — და ჯანჯლარს რა გამოლევდა — გადახედავდა თავის ციციქნა საზრუნავს და ნატრობდა, ნეტა ჩემსავით არ იტანჯებოდესო, ამ სევდიან შარაზე, ქვალორლისა და ღრმულთა და მშვენიერი ბუნების ამარა რომ მიეტოვებინათ, რომელიც არც გზას ასწორებს, არც ნავებს უშვებს არხებში, სად ღმერთის ხელშია ზღვაც და მიწაც, თევზაობაც და მიწათმეურნეობაც.



და რენტასაც არ იხდის, და საუკეთესოდ იყენებს იმას, რომ პირველია მათ შორის, ვისაც „ჯენტლმენ ფერმერს“ ვუნოდებთ — ეს მოდგმა საკმაოდ გაიცვითა ამ ბოლო დრომდე, როს რენტა აღარსადაა, და „ჯენტლმენები“ შესაბრალის დღეში ჩაცვივდნენ, „ფერმერებს“ აღარ ძალუძთ დაცემული ცერერას ფეხზე დაყენება, ბონაპარტემ ვინც დასცა — რა უცნაურია აზრად მოვივიდეს, აღსდგე, როს იმპერატორები ეცემიან შერეისა გამო.¹⁹

მაგრამ ჟუანმა ამ საყვარელ ბავშვს მოხედა, ვინც მოკვდინებას გადაარჩინა — აი, ნადავლი! უჰ! თქვენ, ვინც ძეგლებს იდგამთ სისხლით მოსვრილებს — ნადირ შაჰივით, ამ კუჭში შეკრული სეფიანით, ვინც ჰინდუსტანის აკლების შემდეგ მოგულს შეუარა ფინჯან ყავაზე, ალბათ დარდის გასაქარვებლად, მოკლეს, ცოდვილი! ალბათ იმიტომ, სადილს რომ ველარ ინელებდა.²⁰

აჰ შენი ან ჩვენი ან მანი ან იმანი! იფიქრეთ, ერთი სიცოცხლე გადარჩენილი, განსაკუთრებით ყმანვილისა და ლამაზისა, უფრო სასიამოვნო გასახსენებელია, ვინემ მწვანე დაფნა, მონყვეტილი ადამიანურ თიხის ნარჩენთაგან, თუნდ მოფენილი იყოს განთქმული თუ ნამღერი პრიზებისაგან, ყოველ არფაზე აჟღერებულისა თუ შენი გული არ გამოეხმაურება ბანით, სახელ-დიდება მარტოდენ ხმაურად რჩება.

ო! დიდო ავტორნო ბრწყინვალე და დიდგანიან შრომათა! თქვენ, ორ მილიონამდე გადამწერო! რომელთა პამფლეტებიც, ტომებიც, გაზეთებიც გვანათლებენ! მერედა რა, თუკი მთავრობა გქრთამავთ, რათა დაამტკიცოთ, ვალებში არ ვიხრჩობითო — ან უხეშად კურნავთ „კარისკაცთა იარებს“ ამ მასხარათა ქუსლებზე; თქვენევე პოპულარობა გკვებავთ, როს ბეჭდავთ ამბებს ნახევარი სამეფოს შიმშილზე.

ო, დიდო ავტორნო! — „A propos des bottes“, —²¹ დამავინყადა, რის თქმას ვაპირებდი, ასე დიდ ბრძენთაც ემართებათ, რალაცა იყო დამამშვიდებელი ყველა ბრაზისა, ყაზარმებში იქნებოდა, სასახლეებსა თუ ქოხებში, ცხადია, უკუაგდებდნენ, და ესაა, რომ მამშვიდებს, და არ ვდარდობ დაკარგულ რჩევას, თუმც ეჭვიც არ მეპარება, ფასდაუდებელი იქნებოდა.

მაგრამ რაც იყო, იყო; ერთ დღესაც აღმოაჩენენ „წინა მსოფლიოს“ სხვა რელიკვიებთან ერთად, ოდეს ეს მსოფლიო წინა გახდებდა, მინისქვეშა, თავდაყირა, მოღუწული, გამომშრალი, დაგორგლილი, გამოცხვარი, შემწვარი ანუ დამწვარი, ამობრუნებული თუ დამხრჩვარი, ისევე ვითარცა მანამდელი მსოფლიონი, ჩვენამდე რომ დაიქცნენ, და მერე ისევე მოდის ქაოსი და ფენა, ზედ რომ გადაგვეფარება.

ამას ამბობს კუვიე;²²

და შემდეგ ახალი ქმნილება მოვა, აღიმართება ძველ ნამსხვრევებზე, რალაც მისტიკურ, უძველეს ჯიშზე, განადგურებულსა და ჰაერში ეჭვად დარჩენილზე; აი ისეთზე, დღეს რომ ვერთობით საუბრებით ტიტანებზე, გოლიათებზე, ასი ფუტის სიმაღლის ყმანვილებზე, ნულა ვიტყვივით, ასი მილისაო, და მამონტებსა და ფრთიან ნიანგებზე.

წარმოიდგინეთ, ჯორჯ მეოთხე რომ ამოთხარონ!²³ როგორ გაოგნდებიან ახალი მსოფლიოსანი იმ ახალ აღმოსავლეთში, ნეტა სად შეიძლებოდა ევახშმათ ასეთ ცხოველებსო! (რადგან ისინი თვითონ ხომ ბოლო-ბოლო საცოდავი ნასხლეტები იქნებიან, ხშირი შობის შედეგები, ყოველმა ახალმა ქმნილებამ ხომ დაიკლო ზომა; მასალის გადამეტებულმა ხმარებამ ხომ ადამიანები მწერებად გადააქცია მინაში აღმოჩენილ უზომიანზარ ნამარხებთან შედარებით).

ვით შეხედავენ — ეს ახალგაზრდა ხალხები, ახალგამოყრილი რომელიღაცა ნედლი სამოთხიდან, გუთანსმოკიდებულნი, მთხრელნი, ოფლმდინარენი, საქმეს შეჭიდებულნი, მთესაენი, მრგველნი, მომკელნი, მრთველნი, დამფქველნი, ყველა საქმის შემსწავლელი, განსაკუთრებით ომისა და გადასახადებისა — ვით შეხედავენ ამ დიად გადმონაშთთ, ოდეს იხილავენ ურჩხულთა მსგავსთ ახალ მუზეუმში?

მაგრამ ძალზე გადავიჭერ მეტაფიზიკაში: „დროთა კავშირი დაირღვა“, — და ჩემიც; სულ დამავინყადა, რომ ეს პოემა

სალალობა და სათრეველი და ძალზე მშრალ საკითხებს შევებე. წინასწარ არ ვწყვეტ თუ რა უნდა ვთქვა, და ამას მივიჩნევ პოეტურობად: კაცმა უნდა იცოდეს, რასა წერს და რატომ და რა მიზნით; მაგრამ შენიშვნისა თუ ტექსტის წერისას აროდეს ვუნყი თუ რა იქნება სიტყვა შემდგომი.

ასე ვხლართავ რა, აქა-იქ ვყვები, მერე განსჯას მივეცემი: ან თხრობის დროა.

ღონ ჟუანი იქ დავტოვე, სად ცხენები მიაჭენებდნენ და ახლა დიდწილად სწორედ აქეთ წავალთ. მის მოგზაურობას დანვრილებით აღარ აღვწერთ, იმდენი გზა გამოვიარეთ ამ ბოლო ხანს; მაშ წარმოვიდგინოთ პეტერბურგში; წარმოვისახოთ ის სახელოვანი დედაქალაქი ფერად-ფერადი თოვლებით.

წარმოიდგინეთ ჟუანი მოხდენილ უნიფორმაში, — შესირმებიან ალისფერ ქურთუკში, გრძელი ბუმბულით, აფრასავით რომ ირხევა ქარში გვერდზე დახურულ ქუდაზე დამაგრებული, ხალხით სავსე დარბაზში, ქერნ გორმით²⁴ მბრწყინავ ბრიჯით, გგონებ, ყვითელი ქაშმირისაგან შეკერილით, ახალმონველილ რძესავით თეთრი წინდები უნაკლოდ რომ შემოტყვევდა წვივებზე.

წარმოიდგინეთ გვერდზე ჩამოკიდებული ხმლითა და ქუდით ხელში, დამშვენებული სიყმანვილით, სახელ-დიდებათა და არმიის მკერავისა მიერ — ამ დიდი ჯადოქრისა, ვისი ჯოხის ბრძანებასაც მშვენიერება ემორჩილება, და თვით ბუნებაც კი ფერმკრთალდება, როს ხედავს თუ ხელოვნება ვითარ დიდებულების შემქმნელია (როს კაცის კიდურებს არ შეპოჭავს ციხის ზედამხედველივით); შეხედეთ ჟუანს, თითქოს კვარცხლბეკზე იდგეს! ისე ჩანს, თითქოს სიყვარული გარდაქმნილა არტიფერიის ლეიტენანტადო.

სახვევი მისი ყელსახვევში ჩაიმალა; ფრთები ეპოლეტებმა დაფარა; კაპარჭი ქარქაშად დაიმცრო, ისრები პატარა და ბასრ მახვილად იქცა; მშვილდი გვერდზე დახურულ ქუდად გადაიქცა; მაგრამ მაინც ისე ჰგავდა, ფსიქე სხვა ცოლებზე უფრო ჭკვიანი იქნებოდა (მათზე, ვინც არანაკლებ სისულელეებს სჩადიან), ჟუანი კუბიდონში თუ არ აერეოდა.

კარისკაცები თვალს არ აცილებდნენ, ქალბატონები ჩურჩულდნენ, და იმპერატრიცა ილიმებოდა: მონარქის ფავორიტი იბღვირებოდა — დამავინყადა, რომელი იყო მამინი იქ; რადგან ძალზე ბევრი არიან, რიგრიგობით რომ იბღვდნენ იმ რთულ ბრძანებას იმ დღიდან, რაც მის უდიდებულესობას გვირგვინი დაადგეს: მაგრამ უმეტესწილად ექვსი ფუტის სიმაღლის ფიცხი ჯეელები იყვნენ, პატაგონელსაც²⁵ კი რომ აეჭვიანებდნენ.

ჟუანი მათ არა ჰგავდა, თხელი იყო და წერნეტი, უწვერული და წითლდებოდა; და მაინც იგრძნობოდა მის მოძრაობასა და უფრო მეტად მის თვალბეჭდში, რომ თუმც რომელიღაცა სერაფიმისა ჰგავდა, მამაკაცი იმალებოდა ამ არამინიერ გარეგნობაში. ამასთან, იმპერატრიცა ხანდახან მოსწონდა ბიჭები, განა სულ ახლახან არ დამარხა ლამაზსახიანი ლანსკი.²⁶

და არა ბა გასაკვირია, რომ იერმოლოფს ან მომონოფს, ან შერბატოფს, ანდა სხვას ვისმე შეშინებოდა, მისმა უდიდებულესობამ ადგილი არ გამოძებნოს გულსა თუ სამყოფელში (რაც არც ისე მყარი გახლდათ) ახალი ცეცხლის ალისათვისო; ესევეთარი ბნელი ფიქრნი ჩნდებოდა ამ შემთხვევისა გამო, რაც ძნელი სათქმელია, მსუბუქი იყო თუ მძიმე მისთვის, ვისაც, იმ ვითარების ენაზე, „მაღალი ოფიციალური მდგომარება“ ეკავა.

ო, ნაზო ქალბატონებო! თუ გნებავთ შეიტყოთ, საიდან შემოვიდა ეს დიპლომატიური ფრანზა, სოხოვეთ ირლანდიის ლონდონდენის მარკიზს, გაჩვევით²⁷ თავისეული მეტყველების ნაწილები; და ის უცნაური განლაგება სიტყვებისა, ისე რომ ჩამწკრივებულან, ღვთაებრივისა არა სცხიათ რა, და ყველა კი ემორჩილება; ეგებ რალაცა ახირებული უაზრობა კიდევ გამოიტანო და იმ მწირი სიტყვათმოსავლიდან ფშუტე თავთავიც მონყვიტო.

ვიჭირობ, შემოძლია გამოვთქვა ჩემი აზრი ისე, რომ სევდიანი მხეცისა და მსხვერპლის ამბავი არ დამჭირდეს — იმ სფინქსისა, რომლის სიტყვებიც მუდამ საეჭვო იქნება, მისივე საქმენი

რომ ხსნიდეს ყოველდღიურად, იმ ურჩხულისებერ იეროგლიფებს იმ გრძელი სადინარიდან სისხლისა და წყლისა, ჩლუნგი კასლი რომ გახლავთ!

აქ ერთი ანეკდოტი უნდა გაიმბოთ, საბედნიეროდ, არც გრძელია და არც მძიმე სასმენი.

ინგლისელმა ლედიმ ჰკითხა იტალიელს, რა არის ნამდვილი და ოფიციალური მოვალეობა იმ უცნაური რამისა, რაც ქალებს ძვირად უღირთ, და რაც ხშირად თავს დასტრიალებს გათხოვილ ლამაზმანებს, და რასაც „ჩიჩისბეის“ უწოდებენ?²⁸ — პიგმალიონობა ხომ არა, ქანდაკება რომ გააცოცხლა (ეჰ, ვშიშობ, რომ სწორედაც ასეა) მისმა ხელოვნებამო. ქალბატონმა, ვისაც განმარტებას სთხოვდნენ, მიუგო — „ლედო, გვედრით თვითონ გამოიცანით“.

და მეც გვედრით თვითვე ივარაუდოთ, თუ ვითარ ზომიერებით განმარტავდა გათხოვილი ქალი იმპერიული ფავორიტის მდგომარეობას. მაღალი ადგილი გახლდათ, უმაღლესი მთელ სახელმწიფოში, ფაქტობრივად და არა თანამდებობით; და ამ ადგილის მფლობელთ უსათუოდ ეჭვი ღრღნიდათ თვითეული ახალი მხარბეჭის გამოჩენაზე, რაც უფრო ფართო იქნებოდა, მით მაღლა იწევდა მფლობელის საბირჟო ფასი.

ჟუანი, ვითარ მოგახსენეთ, ძალზე ლამაზი ჭაბუკი გახლდათ, და ეს ჭაბუკური გამომეტყველება შეენარჩუნებინა, მიუხედავად იმ დროის დადგომისა, როს ბალანი ამოდის და არღვევს სილამაზეს წვერით, უღვაშითა და ამისთანანით. მიმზიდველი პარისული გამომეტყველება, რამაც გაანბილა ტროა და დააფუძნებინა დოქტორს ქომონსი²⁹ — მე გავიზუთხე გაყრათა ამბები, რომლებიც, თუმცე ჭადრაკულად, მაგრამ მაინც პირველ ჩანანერში ილიონის ზარალზე გვიამბობს.

და ეკატერინე, ვისაც უყვარდა ყოველი (გარდა თავისი ქმრისა და გაუშვა კიდეც მოუსავალში) და ძალზე მოსწონდა ვართობა იმ გოლიათ ჯენტლმენებთან (მეტისმეტი ქალებსაც ყირჭდებათ), რალაც ნაზი გრძნობებით ჰქონდა და აღმერთებდა იმ გარდაცვლილ ლანსკოის, ვინც ისეთი საყვარელი ყოფილა, უხვ ცრემლად დაუჯდა ეკატერინეს, თუმცე მხოლოდ რიგით გრენადერად ჰყავდა.

ო, შენ „tetterima causa“ ყველა „belli“-სა,³⁰ შენ, კარიბჭევი სიცოცხლისა და სიკვდილისა — შენ, ძნელაღსანერო! ადგილო, სად შევედივართ და სიდან გამოვდივართ, — უნდა შევეყოფნე და ჩავფიქრდე, თუ ვით ევლობიან ყველანი შენს მრავალწლიან შადრევანში: არ ვუნცი, ვითარ დაეცა კაცი, თუმცე ვიცით, თუ ვით შემოედარცვა ტოტები ქალის პირველ ნაყოფს; მაგრამ არავითარი ეჭვი არ არის, თუ ვით ეცემა და დგება კაცი მას მერე.

მაჟანნი „ომის ყველაზე ბოროტ გამჩალებელს“ გეძახიან, მაგრამ მე დავიფინებ, რომ საუკეთესო ხარ: რადგან ბოლო-ბოლო შენგან მოვდივართ და შენთან მოვდივართ, ამიტომ რატომ უნდა ამოგიშნოთ კედელი და გავაბერნოთ მსოფლიო? რადგან ვერავინ უარჰყოფს, რომ შენ ამრავლებ დიდსა თუ მცირე ქვეყანას; შენ გამო და უშენოდ ჩერდება ყოველი, შენ, ზღვაო, მშრალი მიწის მომრწყველო!

ეკატერინე დიადი ნიძუში გახლდათ ომის ამ დიადი მიზეზისა, ან ვითარცე გნებავთ უწოდეთ (ყველაფრის მიზეზია, რაც კი არსებობს, და თქვენ რაც გენებოთ, ამოარჩიეთ) — და ვით მოგახსენეთ, ეკატერინეს მეტად გაეხარდა ამ კოხტა შიკრიკის დანახვა, ვის ზუმბულეზეც გამარჯვება შემოსკუპულიყო; და როს ჟუანმა დაიჩოქა და გზავნილი მიანოდა, უყურებდა და ბეჭდის გატეხვა დაავინცდა.

მერე გაახსენდა, რომ იმპერატრიცაც ბრძანდებოდა, გარდა იმისა, რომ ქალი გახლდათ (რაც მისი დიადი არსების მესამედ ნაწილს შეადგენდა), და გახსნა წერილი და გაირინდა სამეფო კარი, მის გამომეტყველებას რომ ადევნებდა თვალს, ვიდრე სამეფო ღიმილი გადახსნიდა იმ დღის მშვენიერ ამინდს. თუმცე სახე მისი ფართო იყო, მაგრამ მაინც კეთილმოიბლი იერი ჰქონდა, ლამაზი თვალები და მოხდენილი ბაგე.

დიდი სიხარული შეუდგა, ან უფრო სწორად, სიხარულები: პირველი ის გახლდათ, რომ ქალაქი აღებულ იყო და ოცდაათი ათასი თურქიც მოკლული. გამარჯვების სიხარული აღებეჭდა სახეზე, თითქოს მზე ამოსულიყოს აღმოსავლეთ ინდოეთიდან. ამან თითქოს წუთით დაუცხრო პატივმოყვარეობა, ვით არაბეთის უდაბნოს აცხრობს ზაფხულის წვიმა: ამოად! ვითარცე წვეთები ვერ შველის გაფიცებულ ქვიშას, სისხლი მარტოდენ ხელებსა ბანს პატივმოყვარეობას!

მეორე ის გახლდათ, რომ გაახალისა და ღიმილი მოჰგვარა გიჟი სუვოროვის რითმებმა, ვინც ერთ უშნო რუსულ კუპლეტში ჩატია მთელი გაზეთი მის მიერ ათასობით დახოცილთა.



მხატვარი გიორგი ჩანანიძე

მესამე ქალური მცდელობა გახლდათ, შეეკავებინა ცახცახი ბუნებრივად რომ აათრთოლებს ხოლმე ჩვენს ძარღვებს, როს მბრძანებულს მოკვლის სურვილი მოუვლის და გენერლები ხუმრობაში გაუტარებენ.

პირველი ორ განცდა საესებით გამოჩნდა, თვალები აენთო, სახე გაებადრა, მთელ სამეფო კარსაც მაშინვე სიხარული მოეფინა და გაიფურჩქნა ვით მორწყული ყვავილები დიდი ხნის გვალვის შემდეგ. მაგრამ როს მის ფერხით მყოფ ლეიტენანტს შეხედა მისმა უდიდებულესობამ, ისე შეათვალაიერა, ვითარცა ახალი უსტარი, და ღმობიერად დააცქერდა, მთელი მსოფლიო ყურადღებად იქცა.

თუმცე რალაცნაირად დიდი იყო, მიუნვდომელი და მრისხანე ცუდ გუნებაზე ყოფნისას, მაგრამ ოდეს კმაყოფილი იყო, მეტად სასიამოვნო არსება გახლდათ; აი, ისევეთარი, ვარდისფერი ნაყოფი რომ უყვართ, მწიფე, წვნიანი, რომ იტყვი, ნეტა მაყურებინა, ვიდრე შემიძლიაო. ყოველ ვნებთან მზერას ინტერესით აფასებდა და ჩვეულებად ჰქონდა მაშინვე ზუსტად და სრულად მიელო კუპიდონის ვექსილები და ნისიის უფლებას არავის აძლევდა.

ნისია, თუმცე ზოგჯერ მისწრება კია, მაგრამ მასთან საჭირო არ გახლდათ, რადგან ამბობენ, ტანადი იყო, და თუმცა დაუნდობელი გახლდათ, შემწყნარებლურად გამოიყურებოდა და მუდამ ძალზე კარგად ექცეოდა ფავორიტებს. და თუ ოდესმე მის ბუდუარში შეაბიჯებდი, „ილბალი“ გაგებრიქებოდა, „კაცად იქცეოდი“ (ვით ჯაილსი ამბობს);³¹ რადგან თუმცა მთელი ერების დაქვრივება შეეძლო, კაცი უყვარდა, ვითარცა კაცი.

რა უცნაური რამაა კაცი? და რაოდენ უფრო უცნაურია ქალი! რა ქარიშხალი უტრიალებს თავში, და რა სახიფათო მორევია მისი დანარჩენი არსი! გათხოვილია თუ ქვრივია, ქალწულია თუ დედაა, შეუძლია ქარივით შეიცვალოს აზრი: რაც უთქვამს თუ ჩაუდენია, არაფერია იმასთან, რისი თქმაცა და ჩადენაც შეუძლია; — უძველესია ჩანანერებში და მაინც სულ ცინცხალი!

ოჰ, ეკატერინე! (ყველა შორისდებული შენდამი მოძღვნილი, აჰ! იქნება თუ ოჰ! სიყვარულს ან ომს განეკუთვნება) რა უცნაურია ადამიანურ აზრთა კავშირი, როს ფიქრისას ერთმანეთს ეჯახებიან! სწორედ ახლა დაიშალნენ შენი ფიქრნი სხვადასხვა ნაწილებად: ჯერ იზმიალის დაპყრობამ შეიპყრო შენი ფანტაზია; მერე ახალ რაინდთა ძლევამოსილი გუნდის წარმოდგენამ; მესამე — იმან, ვინც დეპეშა მოგიტანა!

შექსპირი ასხენებს „მერკურს, ციურთ შიკრიკს, წარმოგზავნილს ცად მიბჯენილ, მალად მთის წვერზედ;“³² და რალაც ასეთი წარმოდგენა მის უდიდებულესობას, როს ჭაბუკმა შიკრიკმა მუხლი მოიყარა მის წინაშე. მართალია მთა მეტად მაღალი გახლდათ ლეიტენანტისათვის ასაცოცებლად; მაგრამ ოსტატობას თვით სიმპლონის ჭიუხები დაუძლევიან და, ღვთის მაძლით, სიყმანვითა და ჯანმრთელობით, ყველა კოცნა „ცად მიბჯენილა“.

მისმა უდიდებულესობამ დაჰხედა, ჭაბუკმა აჰხედა — და შეუყვარდათ ერთმანეთი — ეკატერინეს მისი სახე შეუყვარდა, მოხდენილობა და უფალმა უწყის — რა, რადგანაც კუბიდონის თასი, კვინტესენციური ლაუდანუმი თუ „შავი წვეთი“³³ პირველი ყლუპიდანვე ათრობს, ჩაყლაპავ თუ არა, ძირამდე გამოცლა არა სჭირდება; რადგან თვალი სიყვარულში ყველა შადრევანს გამოაშრობს (ცრემლების გარდა).

თავის მხრივ ყუანს, თუ არ შეუყვარდა, დაეუფლა არანაკლებ მბრძანებლური გრძობა, საკუთარი თავის სიყვარული — რომელიც გვეწვევა, როს განთქმული მომღერალი, მოცეკვავე ან ჰერცოგინია, პრინცესა, იმპერატრიცა „კეთილს ინებებს და დაგვიდასტურებს“ (პოუპის ფრაზა) დიდ ვნებას, თუნდაც ნაჩქარევს, გამოგვარჩევს ერთს მრავალთაგან, ვრწმუნდებით, რომ არავინე ნაკლები არა ვართ.

ამას გარდა, ყუანი იმ სასიამოვნო ხნისა გახლდათ, როს ყველა ასაკის ქალი თანაბრად გიყვარს — როს დიდად არც დაგიდევთ, ვინ გაგვიტაცებს, ისევეთარი მამაცი ვართ, ვით დანიელი ლომის ბუნაგში, და ძალგვიძს ჩვენი მზე დავაცხროთ ახალ ოკეანეში, ახლად რომ ჩნდება მზის ჩასასვლელად, ვით ჰელიოსი ჩადის თეტიდას მარილიან ზღვაში.³⁴

თვითონ ეკატერინე (ეს უნდა აღვნიშნოთ ეკატერინეზე) თუმც სასტიკი და სისხლისმღვრელი იყო, კეთილი გახლდათ მათდამი, ვისთანაც დროებით ვნება აამებდა, რადგან თვითული საყვარელი მეფესა ჰგავდა, ეროტიული ნიმუშის მეფეს, მონარქიულ ქმარს, ოლონდ უბეჭდოდ, რაც, ჯანდაბა, აუცილებელი ნაწილია ქორწინებისა, ნესტარის ამოღებასა და თაფლის დატოვებასა ჰგავს.

და როს ამას დაუმატებ მის ქალურობას, ზენიტში მყოფს, მის ცისფერსა თუ ნაცრისფერ თვალებს (ისინი, სული რომ სადგომდათ, ისეთივე მშვენიერი იქნებოდნენ ან უკეთესნიც, ვით საუკეთესო ნიმუშებზე ამბობენ: ნაპოლეონისა და მარიადის (სკოტლენდის დედოფალისა), თვალბუმში ფერს ტრანსციენდენტური სხივი ერწყმოდ; და პალადისაც იმავე ფერისა ყოფილა, მაგრამ ისეთი ბრძნული, ვერ გაარჩევდი შავი იყო თუ ლურჯი.)

მისი ტკბილი ღიმილი და მისი წარმოსადგევი აღნაგობა, მისი სისავსე და იმპერიული კეთილგანწყობა, რომ ბიჭი ამჯობინა გაცილებით ზორბა კაცებს (ჯეელთ, რომელთაც მესაღლინა³⁵ პენსიას დაუნიშნავდა), სიცოცხლით ტკბობა, იმჟამად უხვად რომ მოსჩქეფდა, სხვა დანარჩენთან ერთად, რომელთა ჩამოთვლაც საჭირო არაა, სავსებით კმაროდა, რათა ეს ლანირაკი ამაოებაში ჩაეღვლიყო.

ჰო, საკმარისია, რადგან სიყვარული ხომ ამაოებაა, თავკერძა თხემით ტერფამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მტკნარი სიგიჟეა, გადამრევი სული, რომელიც ისწრაფის შეერწყას სილამაზის მყიფე სისულელეს, რაზეც ვნების არსია დამყარებული, და ამიტომაც ზოგიერთი წარმართი ფილოსოფოსი სიყვარულს სამყაროს წყაროდ აცხადებს.

გარდა პლატონური სიყვარულისა, გარდა ღვთის სიყვარულისა, გარდა სანტიმენტალური სიყვარულის, ერთგული წვილის სიყვარულისა (აქ კი სიყვარულს მტრედი უნდა გაეუ-

რითომ [love=dove], რაც კაი ძველი ორთქლმავალი ნავივითაა, ლექსებს რომ ამოძრავებს, გონების ჯიბრზე — გონება ვეროდეს ეწყობა რითმებს, და აროდეს დააყენებს ბგერას აზრზე ნინ), გარდა მთელი ამ თავისმოტყუებათა წყებისა, არსებობს ისეთი რამ, რასაც გრძნობები ეწოდება;

ის ძვრები, ის გარდაქმნები ჩვენს სხეულებში, რაც აიძულეობთ გამოვიდნენ თიხის გროვიდან და შეერწყან ქალღმერთს, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ყველა ქალი თავდაპირველად ქალღმერთია.

რა მშვენიერია ის ნამი! და რა უცხოა ის ციებ-ციხელება, წინ რომ უძღვის უხალისო უკანდახევას ჩვენთა გრძნობათა! რა ახირებული რამ არის გამომწყვდევა სულისა თიხაში!

ყველაზე კეთილშობილური სიყვარული პლატონური სიყვარულია, იმთავიდან ამთავამდე; მეორე დიადი სიყვარული — ქრისტიანულად მონათლული — კანონიკური სიყვარული გახლავთ, როცა სასულიერო პირი ჰკიდებს ხელს საქმეს; მესამე ყანდისა კი ის არის, რაც აღნიშნულია ჩვენს ქრონიკაში და ჰყვავის მთელ საქრისტიანოში, როს ერთგული დიასახლისები სხვა კავშირთ ფარულ ქორწინებებსაც დაუსართავებენ ხოლმე.

ჰო, ნუ მოვეყვებით ანალიზს, ჩვენი ამბავი თვითონვე იტყვის ყოველივეს: მონარქი გაოგნებული იყო, ყუანი მეტად ნაამებში მისი სიყვარულითა თუ ხურუშით; — არ შემიძლია არ შეეცვალო ადრე დაწერილი სიტყვები; და ორივე ისე ამოიგანგლა ადამიანურ მტვერში, რომ თუ ერთს ახსენებდი, მეორეც თავს ნამოჰყოფდა; და ამ ვითარებაში რუსეთის დიადი იმპერატრიცა ისე იქცეოდა, ვით უბრალო დიაცი, ქსლისა მბეჭველი.

მთელი სამეფო კარი დადნა და ვრცელ წურჩულად გადაიქცა, თვითეული ტუჩი თვითეულ ყურს მიენება! აჭრიალდნენ მოხუც ქალბატონთა ნაოჭები, ეს რა ვნახეთო; ახალგაზრდებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და საყვარლად, ენის მოჩლექით, ღიმილით განიხილეს საკითხი, მაგრამ მეტოქეობის ცრემლიც აკიაფდა იქვე მდგომი არმიის დაბინდულ თვალბში.

ყველა სახელმწიფოს ყოველმა ელჩმა გამოიკითხა, თუ ვინ იყო ეს ახალი ყმანვილკაცი, ვინც იმედს იძლეოდა, რომ დიდებას მოიხვეჭდა ორიოდ საათში, ძალიან ძალი, ეს სოფელიც ხომ წუთისაა. ისინი უკვე ხედავდნენ ვერცხლის შხაპუნას, მანეთთა წვიმას, ყუანის სკივრში ჩადინებულს, ამასთან, აქსელბანტებსა და ათას სულ ყმასაც.³⁶

ეკატერინე გულუხვი გახლდათ, — ასეთი ქალბატონები ყველანი გულუხვი არიან: სიყვარული დიადი გამღებია გულისა და ყველა გზისა, რაც მისკენ მიდის, ახლოს იქნება თუ შორს, მაღლა თუ დაბლა, შეკრული თუ გახსნილი — სიყვარულმა (თუმც დაწყველილი მადა ჰქონდა ომებისადმი, და არც საუკეთესო ცოლი გახლდათ, კლიტემნესტრასი იარ იყო, თუმც ალბათ სჯობისა კაცი მოკვდეს, ვინცა შორკილები ათრობს).

სიყვარული იყო, ეკატერინეს რომ კარნახობდა საყვარლების გამდიდრებას, განსხვავებით ჩვენი ნახევრად უმანკო ელიზაბეთისაგან, ვინც სიხარბით მოითხოვდა ხარჯების განევას, თუ ისტორია, დიადი მატყუარა, სიმართლეს ღაღადებს; თუმც მწუხარებამ მოუსწრაფა სიცოცხლე მოხუცობისას, რადგან ფავორიტი სიკვდილით დასაჯა;³⁷ მდაბალმა და გაუგებარმა მეთოდმა არმიისა და სიხარბემ შეარცხვინა მისი სქესიც და მდგომარეობაც.

მაგადამ როს ჟრიაშულმა იმატა და აურზაურიც დატრიალდა, სხვადასხვა ქვეყნის ყველა ელჩმა ალყა შემოარტყა ყმანვილკაცს და მილოცვები დააყარეს.

იქვე გაისმა ნაზ ქალბატონთა აბრეშუმის შარიშურიც, რომელთა წრეშიც ძალებს აღიდგენს კაცი, იფიქრებს მათ ღამაზ სახეებზე, განსაკუთრებით მაშინ, ოდეს მაღალი მდგომარეობისაკენ მიუძღვიან.

ყუანმა საკუთარი თავი, არც კი უწყოდა, ვითარ, საერთო ყურადღებით მოსილი რომ იხილა, პასუხებს იძლეოდა ისეთი მოხდენილი თავის დაკვრით, თითქოს მინისტრობისათვის

დაბადებულაო. თუმცა მორიდებული გახლდათ, მაინც მის შემკრთალ შუბლზე ეწერა „ჯენტლმენი“. ცოტას იტყოდა, მაგრამ გამიზნულად; და მისმა ქცევამ ირგვლივ ხიბლი ისე გაუფრცვლა, თითქოსდა დროშა ყოფილიყო.

მისი უდრებულესობის ბრძანებით, ჩვენს ახალგაზრდა ლეიტენანტზე ზრუნვა გულისხმიერ ფარეშთ მიანდეს: მთელი ქვეყანა კეთილი იყო მისადმი (ასე ჩანს ხოლმე თავიდან და ყმანილკაცს ვეალება, არ შეცდეს და არ დაიჯეროს), იქვე იყო მის პროტასოვიც, ვისაც მისტიკური საქმიანობისა გამო „l'Éprouveuse“ (გამისინჯავს)³⁰ უწოდებდნენ, ამ ტერმინს ვერ ავუსხნით მუზას.

ვით მოითხოვდა მორჩილების მოვალეობა, უჟანი მასთან ერთად განმარტოვდა და მეც დავისვენებ, ვიდრე ჩემი პეგასი ისე დაილღებოდეს, რომ მიწაზე დაეშვებოდა; „ცად მიბჯენილ, მაღალ მთის წვერზე“ ავანთეთ შუქი, ისე ბრწყინვალე, რომ ვგრძნობ ქკუა ვადამიტრიალდა, და ჩემი ფანტაზია ნისქვილივით ბრუნავს, რაც მის ნიშანია ჩემი ნერვებისა თუ ტვინისადმი, რომ ერთხანს ცხენით უნდა ვისეირნო რომელიმე მწვანე მინდორზე.

კომენტარები:

მეცხრე თავი 1819 წლის ივლისში და 1822 წლის აგვისტო-სექტემბერში იწერებოდა პიზასა და ვენეციაში; გადაათორა მერი შელიმ; გამოაქვეყნა ლი ჰანტმა — ანონიმურად, მეთაფ და მეთერთმეტე თავებთან ერთად, 1823 წლის 29 აგვისტოს.

1. მარშალი ნეი უნდა ყოფილიყო? — მბეჭდავის ქარგალს მოჰკითხეთ (ბაირონი). (არა [nay] და მარშალის სახელი [Ney] სხვადასხვაგვარად იწერება). (მთარგმ.)

2. ლორდი კინიარდი ბაირონის მეგობრის, დუგლას კინიარდის, უფროსი ძმა გახლდათ. თანაურგრძნობდა ბონაპარტისტებს. 1818 წელს ბრიუსელში გაიცნო ვინმე მარინეტი, ვინც აცნობა, შეთქმულება მზადდება ველინგტონის მოსაკლავადო. მკვლელობის მცდელობა მართლაც მოხდა ველინგტონის სიცოცხლეში. მარინეტი დაითანხმეს, ჩასულიყო პარიზში და ამოეცნო მკვლელები; კინიარდის მეშვეობით დაპირდნენ, რომ იმუნიტეტი ექნებოდა და არ დადანაშაულებდნენ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ დააპატიმრა და გაასამართლა. იგი გაამართლეს. ველინგტონი ძალზე ცუდად განეწყო კინიარდის მიმართ და რევოლუციონისტს უწოდებდა.

3. ველინგტონის საყვარლები მუდმივი ჭორების საფუძველი იყო.

4. სუმრობა ველინგტონის განთქმული მამრული ენერჯის გამო.

5. ესპანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ამ ქვეყნებში აღადგინა სამეფო ტახტები ვენის კონგრესმა ნაპოლეონის დამხობის შემდეგ.

6. ველინგტონის შესახებ დაწერილ სახობო ლექსებს შორისაა რობერტ საუთის „პოეტის მოგზაურობა ვატერლოოში“.

7. მაკბეტის სიტყვები მკვლელისადმი, III, iv.

8. ვრცელი სიტყვები პარლამენტში, ვატერლოოს ბრძოლის შემდგომ (ბაირონი)

9. პორტუგალიის მეფე, დონ ჟოაო VI, ცნობილი იყო, როგორც ბრაზილიის პრინცი, რადგანაც — ნაპოლეონის მიერ დევნილი — ბრაზილიას აფარებდა თავს. 1815 წელს მან მიაერთა ველინგტონს ვერცხლის სუფრის მონყობილობა, რასაც *Baixela da Victoria*-ს უწოდებენ და სამოცდაათი ფიგურისაგან შედგებოდა. ველინგტონი ვატერლოოს გამარჯვების წლისთავზე გააშლევინებდა ხოლმე.

10. ველინგტონის საჰერცოგო შედარებულია მამულს, რომელიც მეცენატმა უბოძა ჰორაციუსს.

11. ცინცინატუსი (519-438 ქ-მდე) ორჯერ დაადგინეს რომის დიქტატორად არეულობის უამს. ორივეჯერ სოფლიდან ჩამოიყვანეს, სადაც მძიმედ შრომობდა. და ორივეჯერ იქ დაბრუნდა, როცა სამშობლოს წინაშე ვალი მოიხდა. ეპამინონდასი (418-362 ქ-მდე) თებელი სახელმწიფო მოღვაწე და წინამძღოლი სპარტასთან ომის დროს. ისე უანგაროდ იმსახურა, რომ როცა გარდაიცვალა, გროშიც არ განჩნდა და საჯარო ხარჯით დაკრძალა. ჯორჯ ვაშინგტონი (1732-99) აშშ პირველი პრეზიდენტი, იმდენად მომჭირნე სახელმწიფო საქმეებში, პრეზიდენტის ხელფასზეც კი უარს ამბობდა. უილიამ პიტი უმცროსი (1759-1806) ინგლისის პრემიერ მინისტრი 1784 წლიდან 1804 წლამდე. სილარიბემი ჩავარდნილმა უარი თქვა 100 000 ფუნტ სტერლინგზე, რომელიც სითიმ შესთავაზა ვალების დასაფარად.

12. პერიფრაზი ჰორაციუსის სიტყვებისა, „ეპოდები“ III, 4.

13. უნდა იყოს: *Que sais-je*, ვინ იცის?

14. ქადაგებდა უკიდურეს სკეპტიციზმს ყველაფრის მიმართ.

15. იხილე ოტელო (ბაირონი).

16. კიდევ ერთი არაზუსტი ციტირება შექსპირისა, ჰამლეტი ამბობს (V,ii), *There is special providence in the fall of a sparrow...* „ჩიტიც კი უგანგებოდ არ მოკვდება“ (ივანე მაჩაბელი).

17. საბერძნეთში არ მინახავს და არც გამეგონა ამ ცხოველის ხმა, მაგრამ ეფესოს ნანგრევებში ასობით ტურის ხმა მესმოდა (ბაირონი).

18. იგულისხმება ამბოხება ესპანეთში ფერდინანდ VII-ისა და საბერძნეთში — თურქთა წინააღმდეგ.

19. იგულისხმება მარცვლეულობის ფასების ხელოვნურად აწევა ინგლისელ მსხვილ მინათმფლობელთა მიერ ომის დროს და შემდეგ ვარდნა, რამაც ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, ბაირონი ირონიულად მიანიშნებს, ნაპოლეონი ინგლისელი ტორების ინტერესებს შეენირო.

20. ნადირ შაჰი აქ არაფერ შუაშია, მაგრამ მხოლოდ რითმის გამო არ არის შემოტანილი პოემაში; ბაირონმა იცოდა ნადირ შაჰის სნეულების შესახებ. იცოდა, რომ იგივე სჭირდა პოტიომკინს და თვითონაც ხომ კუჭის სნეულებით იტანჯებოდა და სჯეროდა, რომ ადამიანის სხეულის პრობლემები გავლენას ახდენს მათ ბუნებასა და ქცევაზე. თავის შენიშვნებში იგი წერს: იგი შეთქმულებმა მოკლეს მას შემდეგ, რაც სულ მთლად გაუფუჭდა ხასიათი და სიგიჟემდე მივიდაო (ბაირონი)

21. იდიომური გამოთქმა; იგულისხმება, რომ ავტორს არაფერი სუბიექტური არ ამოძრავებს, ამას რომ წერს.

22. კუვიე, ლეოპოლდ კრეტიენ ფრედერიკ დაგობერტ (1769-1832), ფრანგი ანატომი, პალეონტოლოგი და განათლების თეორიის მიმდევარი, იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელიც იკვლევდა სამარხებს და სწავლობდა დინოზავრთა ნაშთებს.

23. ჯორჯ მეოთხე ერთხანს ისე გასუქდა, რომ ხალხში გამოჩენის სცხვენოდა. ბაირონსაც ხომ იგივე სჭირდა, სუქდებოდა, როგორც კი მადიანად ილუკებოდა.

24. მთავრებილი მაღალმთიან სკოტლენდში; ყვითელი ან ღვინისფერი მთის კრისტალი.

25. სამხრეთ არგენტინისა და ჩილეს უძველესი ბინადარი, რომლებზეც ამბობდნენ, გოლიათური აღნაგობისანი იყვნენო.

26. იხ. ეკატერინეს ცხოვრება, თავი „ლანსკოი“ (ბაირონი)

27. ეს ამ პიროვნების სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე დაიწერა (ბაირონი).

28. იტალიურად „Cavalier Servente“ ნიშნავდა სოციალურად პატივსაცემი პიროვნებას, გათხოვილი მდიდარი ქალის საყვარელი, საზოგადოებაში, სადაც მიაჩნდათ, რომ ქორწინება არსებობს ფუფუნების, ფულისა და რესპექტაბელობისათვის, ხოლო სიყვარული სხვაგან შეიძლება მოქებნი. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო იტალიაში, განსაკუთრებით ვენეციაში. თვით ბაირონი გახლდათ cavalier servente მარკიზა ტერეზა გვიჩიოლისა.

29. ადვოკატთა და სამართლის დოქტორთა კოლეჯი, წმ. პავლეს ტაძართან ახლოს, სადაც ვრატეტიკა ჰქონდათ საეკლესიო ადვოკატებს, მონოპოლიას ვინც უპობდნენ გაყრის საქმეებზე.

30. ჰორაციუსი, სატირები, წ. i, სატ. iii (ბაირონი); „საშინელო მიზეზო ომისა“, ჰორაციუსი ახსენებს ქალის სასქესო ორგანოს: *nam fuit ante Helenam cunnus taeterrima belli causa ...*

31. რადგან თუმცა მთელი ერების დაქვრივება შეეძლო, „იღბალი ებრეება, რანგი მიუღია, დაქორწინებულია“, სერ ჯაილს ოვერიჩი, მესინჯერის პიესა, ახალი საშუალება ძველი ვალების გადასახდელად (ბაირონი).

32. ჰამლეტი, iii, iv

33. შავი წვეთი იყო ნაშალი, დამზადებული ოპიუმისა და ძმრისაგან, კიდევ რაღაც სანელელებიც ერია; ბაირონს ჰქონია ცოტადენი ლონდონში; ამტკიცებდა, ანაბელამ ნახა და აიღოო.

34. არცერთი მითი არ აღასტურებს ჰელიოსისა და თეტიდას კავშირს, თუმცა სემუელ ბატლერს თავის ჰაიდბრასში აღნიშნული აქვს მათი კავშირი, როგორც ჩანს, აქედან ახსოვდა ბაირონსაც.

35. იმპერატორ კლავდიუსის თავნება მუღლზე.

36. რუსული მამული მონათა რაოდენობით იზომებოდა.

37. ელიზაბეთს არ დაუსჯია ფავორიტი სიკვდილით, როგორც ამას ეკატერინე იზამდა, გრაფი ესექსი 1601 წლის შეთქმულებისათვის დაისაჯა.

38. სულ ორიოდე ისტორიული ცნობა თუ მიანიშნებს, რომ მადამ პროტასოვა გასინჯავდა ხოლმე ახალ ფავორიტთა მამრულ ძალას ეკატერინესთან მიყვანამდე.

„შენა თქვი ეკლის გვირგვინი, თორემ...“

(შახვედრა ჯემალ ინჯიასთან)

იქნებ ამ ჟურნალში ნაკითხულ რომელიმე სიტყვას, ფრაზას, პუბლიკაციას, ციტატას თქვენთვის რაიმე შეეცვალა, ან ღიმილი მოეგვარა, ემოგზაურა, ან იმაზე დაფიქრებულყო, რაზეც არასოდეს უფიქრია... იქნებ იმ წუთიდან სამყარო სხვანაირად დაენახა, რომელიმე ახალი ფერი აღმოეჩინა, შეეგრძნო... სიცოცხლე დაეფასებინა და მიმხვდარიყო, რომ დედამინას სიყვარული ატრიალებს — გრძნობა, სახელად თვალებს ვხუჭავ და შენ გიყურებ თვალღებში. ზოგჯერ უნდა იკითხო საათობით ერთი წინადადება. უნდა იკითხო სიჩუმეში, სანთლის შუქზე, რომ გახდე ნამდვილი მკითხველი. იყო გენიოსი, ამისთვის არაა საჭირო, იყო მწერალი... ნამდვილი მკითხველიც გენიოსია. ბელეტრისტიკმა და პოეტებმა ხომ იციან, რომ ადამიანები მათი ნაშრომის მთავარი აზრის და კალმის სიყვარულის გაგებას საუკუნეები მოუხდებიან... სხვაგვარად — ბედნიერება.

მე მაინც შევეცადე რეალობასთან მიახლოებულად აღვნიშნოთ საღამო, რომელსაც თურმე ოცივე წელიწადი ველოდებოდი. საღამომ, სადაც **ჯემალ ინჯიასთან შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ დაფუძნებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანი“-ს** თაოსნობით გაიმართა.

13 ოქტომბერი... საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი ჯემალ ინჯიას პოეზიით გაიჟღერა. ჯემალ ინჯიას ვინც არ იცნობს ადვილად მიხვდება მის პიროვნებას მისი ერთ-ერთი ლექსის შემდეგ:

„გზად ბევრი ვინმე შემოგვეყარა, საიდან მოდის, ვინ დაჰკარგვია. შენა თქვი ერი, თორემ ქვეყანად ნებისმიერი მინა კარგია. თანაბრად ახრჩობს დინება მდორე კაცთა კაცურთა და უკაცურთა. შენა თქვი ეკლის გვირგვინი, თორემ დაფნის გვირგვინი გაუფასურდა. ნეტავი თავი რისთვის მომქონდა ამ ახოვანი მთების იერიით?! შენა თქვი ქრისტე, თორემ გოლგოთად მთა გამოდგება ნებისმიერი“.

დამსწრებს მასპინძლის შემოქმედების უკეთ გასაცნობად **ნოდარ ნინრაძე** დაეხმარა: „დიდოსტატია ჭადრაკში, ნერაში, სუფრაზე მეგობრობაში და მწერალთა კავშირში ჩემი გაერთიანების ნათლიაა. მისი ხმის მოსმენაც კი მიყვარს, დამახასიათებელი ტონის, რითმის“.

რალა თქმა უნდა ლექსით დაამთავრა სიტყვა. არასდროს ასეთი დროული არ ყოფილა გრიგოლ რობაქიძის ოდესღაც ნათქვამი, როგორც ახლა და აქ: „ყოველი ხელოვანი ორგანული ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი ინდივიდუალური სახეა ერის სულისა... თვითონ ერის სული კი ცოცხალია, მთლიანი არსია, რომელიც მთლიან სიცოცხლედ ფეთქავს ხელოვანის ბუნების შეუცნობელ კუთხეში“.

ნათქვამია ადამიანის გაცნობა და შეფასება მისი ნამოღვაწით შეიძლება. დამსწრე საზოგადოებას შეეძლო წაეკითხა 1996 წელს გამოცემული ჯემალ ინჯიას 60 ლექსი, გამომცემლობა **„ქართლმა“** ამ მცირე კრებულით პოეტს 59-ე სანთლის ჩაქრობა რომ მიუღოცა.

კრებულის რედაქტორი **ზაურ ნიქაძე**: „ჯემალს ნაღდი ლექსის გარდა არაფერი სწამს, მისი ლექსის ნაკითხვისას მგონია, ერმიტაჟში შევდივარ.“ ამის შემდეგ მან ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიურ ჟურნალში დაბეჭდილი გამოჩენილი ადამიანების (როგორებიც არიან **ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, გურამ დონანაშვილი, მურმან ლებანიძე**) ჯემალ ინჯიასადმი მიძღვნილი მილოცვები წაიკითხა. ასევე დიდი მონივნებით გაისუნა ჟურნალის რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

მარად ლექსები, პოეზია, გადაქანება...

30 წლის შემდეგ ითქვა ის გაუბედავი, ნაფერები სიტყვა, რომელიც საუკუნოვან მეგობრობას უდრის: ჯემალ! მე ხომ შენი მესაჭურჭლე ვარ! (ზაურ ნიქაძე).

მასპინძლის ყოველი ლექსის მოსმენისას ჩნდებოდა გრძნობა, თითქოს ბავშვობაში მოხუცებულ მეზობელთან დადიოდი ყოველ საღამოს და არცერთი საღამო არ ჰგავდა ერთმანეთს, ანუ სხვაგვარად საღამო ბედნიერება იყო — სიცოცხლეშივე ნათქვამი სიტყვა და ლექსი, რომელიც ერთი გაფრენით მეტია იქნებ მის ლექსებს შეუძლია ერთი ღიმილით მეტი მოგვეგვაროს.

შოთა ნოზაძე

„შენს სიმაღლეებს — სიცოცხლე ჩემი“

ვაჟა ხორნაულის პოეტური სამყარო ყველა სკენელის დამტევია — ხილულისაც და უხილავისაც — სინათლის ქარებით, ბალახის დარდით, ქვის ცრემლით, კაციტა და ბუნების მარადიული ხიბლით სავსე. ღმერთის უბესავით სანდო და საიმედოა ეს სამყარო — წუთისაც არის და მარადისობისაც.

ბუნების კანონების შეცნობა ბუნებრივ კალაპოტში აქცევს ადამიანს და, ამავე დროს, სწორ მოქალაქეობრივ პოზიციაზე აყენებს.

სამყაროს აღიარება და მიღება იმ სახით, რომლითაც ვიცნობთ, საკუთარი თავის აღიარებასა და მიღებას გულისხმობს. ეს მთელსა და ნაწილს შორის უმშვენიერეს ჰარმონიას ბადებს. ამ ჰარმონიულობით ცოცხლობს და გვიზიდავს ვაჟა ხორნაულის შემოქმედებითი სამყარო. ამაშია მისი რწმენისა და სიმშვიდის საფუძველი.

პოეტი იქა დგას, სადაც უნდა იდგეს, და ისეთია, როგორც უნდა იყოს. გადამდებია პოეტისეული სიმშვიდე — განიარაღებული ხარ ღვთიური სიბრძნის წინაშე. **„ამბავი წუთისოფლისა ლამაზია და უბრალო“.** ვერ შეეკამათები. **„ეს სიბრძნე მინის სახეზე და ცის თვალზე სწერიაო“** — გეტყვის.

ძალიან იშვიათად შეხვდებით პოეტს, თავისი სიმშვიდით ასე რომ ხმაურობდეს მკითხველის გულსა და გონებაში. იგი საოცრად თავმდაბალი და უბრალოა და სულის გასამზვეველად რაინდული მოკრძალებით ისეთ სიმაღლეთა დაძლევას გთავაზობს, რომლისთვისაც მზაობა შენც გმართებს, მასთან ერთად რომ ამაღლდე. სასწაულ-სასწაულ გამოგზაურებს **„ბედნიერების სიტყვებით გულიდან გულში ფრენითა“.**

მეცნიერულად დადგენილია, რომ კავკასიონი და ჩვენ თითქმის ერთნაირი ელემენტებისაგან შევდგებით და, რალა გასაკვირია, კაცი მთას ჰგავდეს და — პირიქით.

ვაჟა ხორნაული დიდი მოსახელის მთებსა ჰგავს გარეგნული სიმშვიდითა და შინაგანი მღელვარე ბუნებით. სასიკვდილოდ სიკვდილიც არ ემეტება ანგელოზთა ნათესავსა და **„წიადავ ჯიბედამშრალს.“**

საკვირველია, როგორ ახერხებს ეს პოეტი გრძნობების იმგვარად მოთოკვას, რომ ყოველთვის მშვიდად გეჩვენოს. სიტყვათა შორის დამყარებული რა კავშირებითა და, საერთოდ, რა თვისებებით მთავაგონებს და გაიძულებს, რომ ეს ცოცხალი-ბრაღიანი ქვეყანა უფრო შეგავსავსოს და უფრო ახლობელი გახადოს შენთვის.

ვაჟა ხორნაულის ხელში ტრადიციული, უკვდავი რვა მარცვლოვანი შაირი (რომელთანაც ქართული მწერლობის უდიდესი სასწაულებია დაკავშირებული: შოთა რუსთველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ფოლკლორი) ოქროს ბარძიშია, საცხე პოეზიის ჯადოსნური ღვინით, რასაც მეფური უმურველობით სთავაზობს კარგ ქართულს მონყურებულ მკითხველს.

მანანა პრაჭული

გერმანელთა თვალით

1966 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სერიით „დიდ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცეს ნიგინა სათაური „სტალინი“, სადაც თავმოყრილია დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეთა და ჟურნალისტთა შთაბეჭდილებანი თუ შეხედულებანი, დაფუძნებული როგორც პირად შეხვედრებზე კრემლში, ასევე — სანდო პირველწყაროებზე. ვიმონებთ ნაწყვეტებს აღნიშნული წიგნიდან, რომლებიც ეხება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებას 1939 წლის აგვისტოში.

გუსტავ ჰილგერი (1886-1965) — გერმანელი დიპლომატი, საბჭოთა კავშირში გერმანიის საელჩოს მრჩეველი 1923-1941 წლებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1953-1956 წლებში მუშაობდა მრჩეველად „აღმოსავლეთის საკითხებში“ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ფრაგმენტი ნიგინიდან „შუთავსებელი მოკავშირენი“ (ნიუ-იორკი, 1953).

სტალინი უბრალოდ და ბუნებრივად იქცეოდა. სწორედ ისეთი პოზიცია ეჭირა, რომელიც ნაწილობრივ შეიცავდა მის სადისკუსიო ტაქტიკას და ნაწილობრივ — კეთილგანწყობას, რის წყალობითაც მან იცოდა, თუ როგორ დაემარცხებინა თავისი ოპონენტები და მოედუნებინა მათი სიფხიზლე. მაგრამ საინტერესო იყო დაკვირვება იმაზე, რომ სტალინის განწყობილების უშუალო გულთაძობა ფონ რიბენტროპის მიმართ ანდა მხიარული და კეთილმოსურენი ქცევა, რითაც თავის ერთ-ერთ უმცროს თანაშემწეს ეპყრობოდა, თვალის დახამამებაში გარდასახებოდა სუსხიან სიმკაცრედ, როდესაც წამოიძახებდა სიტყვაძუნ ბრძანებას ანდა დასვამდა შესაბამის შეკითხვას. საკუთარი თვალთ ვიხილე ნათელი არმიის შტაბის შეფის ბორის შაპოშნიკოვის თვინიერება სტალინთან საუბრისას. მაგონდება მორჩილი და მამაგებელი მანერები, რასაც ამჟღავნებდნენ სახალხო კომისრები, მაგალითად — თევოსიანი, თავისი სკამიდან სკოლის მოწვევასავით რომ წამოდგებოდა, როდესაც სტალინი ინებებდა შეკითხვას მისი მისამართით. ყველა თათბირზე, სადაც კი მინახავს სტალინი, მის ხელქვეითთა შორის ერთადერთი იყო მოლოტოვი, ვინც ელაპარაკებოდა თავის შეფს, როგორც ამხანაგი — ამხანაგს. და მაინც თვალნათლად ჩანდა, თუ როგორი მონივნებით შეჰყურებდა მოლოტოვი სტალინს და რაოდენ ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ენიჭებოდა პრივილეგია — სამსახური გაენია მისთვის. როდესაც ეხედებოდით თათბირებზე, სტალინი ხშირად გვაოცებდა თავისი ღრმა ცოდნით იმ ტექნიკურ საკითხებში, რომელთაც ეხებოდა მსჯელობა და, ამასთან ერთად, საკუთარი თავის რწმენით გადაწყვეტილებათა მიღებისას. სტილის საკითხებშიც კი, როდესაც პრობლემას წარმოადგენდა მართებული სიტყვების პოვნა დიპლომატიურ დოკუმენტსა თუ ოფიციალურ კომუნიკეში, სტალინი თავდაჯერებით ირჯებოდა და დიდ გონიერებასა და ტაქტს ავლენდა. მახსოვს, თუ როგორ გავუწოდე პროექტი ერთობლივი კომუნიკესი, სადაც განმარტებული იყო პოლონეთში საბჭოთა ჯარის შესვლის მოტივები, რუსულად რომ მქონდა თარგმნილი. სტალინიმ სწრაფად გადაავლო თვალი, მერე ფანქარი აიღო ხელში და ჩვენი ელჩისგან ნებართვა ითხოვა, რომ რამდენიმე ცვლილება შეეტანა ტექსტში. სამისოდ სულ რაღაც წუთები დასჭირდა და ერთხელაც არ მოათბირებია გვერდით მყოფ მოლოტოვს. მერე გამომინოდა შესწორებული ტექსტი და მთხოვა, რომ ელჩისთვის გერმანულად მეთარგმნა. მე წავეჭურჩულე გრაფ შულენბურგს: „მან საოცრად გამოაკეთა ტექსტი“. მართლაც, სტალინის ხელდასხმული ტექსტი გაცილებით „დიპლომატიურად“ ასაბუთებდა იმ ნაბიჯს, რომელიც ხალხისთვის უნდა გვეუწყებინა. სტალინი ჩემკენ მობრუნდა და მითხრა: „ძველი რომაელები საომრად ტანშიშ-

ველნი როდი გადიოდნენ, არამედ ფარებით იფარავდნენ სხეულს. ჩვენს დროში მართებული სიტყვებით შედგენილი კომუნიკე ამგვარი ფარის როლს თამაშობს“.

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სტალინის განსწავლულობამ ტექნიკის დარგში — როდესაც, მაგალითად, გერმანელი და რუსი ექსპერტების შეხვედრისას, სადაც გაჩაღდა კამათი საარტილერიო კომპიუტერების დეტალებზე იმ კრეისერებისათვის, რომლებიც გერმანიას უნდა გადაეცა საბჭოთა კავშირისათვის ანდა როდესაც გერმანიის საგარეო დელეგაცია შეედავა სტალინს სხვადასხვა სახის საქონლის ორმხრივ მიწოდებათა ოდენობისა და ხარისხის თაობაზე. სტალინის ნებართვისა და დასტურის გარეშე შეუძლებელი იყო მიღწევა რაიმე შეთანხმებისა იმაზე, რომ ჩვენთვის მოეყიდათ გარკვეული ნედლეული. მაგრამ ერთხელ რომ გასცემდა ნებართვას, ეს იყო ტოლფასი ბრძანებისა, რომელიც უსიტყვოდ უნდა შესრულებულიყო და დაუყოვნებლივ სრულდებოდა კიდევ.

იოახიმ ფონ რიბენტროპი (1893-1946) — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1939-1945 წლებში. ფრაგმენტი ნიგინიდან „მოგონებანი“ (ლონდონი, 1954)

სტალინიმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე შეხვედრის პირველი წუთებიდანვე. უჩვეულო მასშტაბის კაცს ვხვდავდი. მისი ფხიზელი, თითქმის მშრალი, მაგრამ ესოდენ მკაფიო მანერა აზრის გამოთქმისა და მოლაპარაკების მტკიცე და, იმავდროულად, დიდსულოვანი სტილი ამჟღავნებდნენ, რომ იგი ამართლებდა თავის გვარს. ჩვენი მოლაპარაკებისა და საუბრების მსვლელობისას ნათელი წარმოდგენა შემექმნა ადამიანის ძალმოსილებასა და ძალაუფლებაზე, ვისი ხელის ერთი შერხევა ნიშნავდა ბრძანებას ყველაზე შორეული სოფლისთვისაც კი, რომელიც ჩაკარგულიყო სადღაც, რუსეთის თვალწინდენულ სივრცეში. ის იყო ადამიანი, რომელმაც შეძლო, რომ უზარმაზარი იმპერიის ორასმილიონიანი მოსახლეობა თავის გარშემო დაერაზმა გაცილებით მჭიდროდ, ვიდრე რომელიმე მეფეს ხელწიფებოდა წარსულში.

მოხსენიების ღირსად მეჩვენება ერთი პანია, მაგრამ დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც იმ საღამოს მინურულში მოხდა. სტალინს ვკითხე, ფიურერის პირადმა ფოტოგრაფმა, თან რომ მახლდა, შეიძლება თუ არა — რამდენიმე სურათი გადაიღოს-მეთქი. სტალინი დათანხმდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უცხოელს ნება დართეს, ფოტოები გადაეღო კრემლში. მაგრამ სტალინი და ჩვენი, სტუმრები, ყირიმული შამპანურის ბოკალებით ხელში რომ ალგვებდეს, სტალინს ეს ეხამუშა და თქვა: ამგვარი სურათის გამოქვეყნება არ ივარგებსო! ჩემი მოთხოვნით, ფოტორეპორტიორმა ფირი ამოიღო აპარატიდან და სტალინს გადასცა. მაგრამ სტალინიმ უკან დაუბრუნა და შენიშნა: გენდობით, რომ ამ სურათს არ გამოაქვეყნებთო.

მაგონდება სტალინის ორი გამონათქვამი. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ სტალინს ვუთხარი, რომ ჩემი რწმენით, გერმანელები და რუსები ერთიმეორეს აღარასოდეს აღარ უნდა შეეხებენ.

სტალინი წუთით ჩაფიქრდა და მერე ასე მიპასუხა სიტყვა-სიტყვით: „ეგებ, მართლაც ეგრე უნდა ყოფილიყო!“ ამგვარი ფორმულირება იმდენად უჩვეულო მეჩვენა, რომ ჩვენი საელჩოს მრჩეველს ჰილგერს, რომელიც თარჯიმნობას გვიწვედა, ვთხოვე, კიდევ ერთხელ ეთარგმნა ჩემთვის სტალინის სიტყვები.

მეხსიერებაში ჩამრჩა მეორე გამონათქვამიც. როდესაც ნიადავს ვუსინჯავდი უფრო მჭიდრო კავშირის შესაძლებლობას, ვგულისხმობდი რა რეგულარულ მოკავშირეობას დასავლეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ მომავალი ბრძოლებისათვის, სტალინიმ მიპასუხა: „გერმანიის დასუსტებას არასოდეს დავუშვებ!“

შემდგომში სტალინის ამ ორ გამონათქვამზე ხშირად დაფიქრებულვარ. ნეტავი ამით რის თქმა უნდოდა? საბჭოთა კავშირის შეურობებელი კრიტიკოსები (მათ რიცხვში — სერ ნევილ

ჰენდერსონი, ინგლისის ყოფილი ელჩი ბერლინში) ამტკიცებდნენ: სტალინმა დადო პაქტი გერმანიასთან მხოლოდ იმისათვის, რომ ნაეჭვებინა ფიურერი — თავს დასხმოდა პოლონეთს და მშვენიერად მოეხსენებოდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მხარს დაუჭერდნენ პოლონეთს. ხოლო გერმანიის მოსალოდნელი გამარჯვების შემდეგ რუსეთი, ჯერ-ერთი, დაიბრუნებდა უკანასკნელ ომში დაკარგულ მნიშვნელოვან ოლქებს და, მეორეც, მშვიდად მიადევნებდა თვალს, თუ როგორ ამოწურავდა მთელ თავის ძალ-ღონეს გერმანია დასავლეთის სახელმწიფოებთან ომში, რათა მერე, ხელსაყრელი მომენტი რომ დადგებოდა, წითელი არმიის მთელი სიმძლავრე აემოქმედებინა ევროპის მომავალი ბოლშევიზაციისათვის.

არ ვიცი, რამდენად გამართლებულია სტალინის მაშინდელ განზრახვათა ამგვარი შეფასება. ასეა თუ ისე, მისი ორივე გამონათქვამი სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ემორჩილება. პირველი მათგანი გვიჩვენებს, რომ ჩემი სიტყვები „ომი გერმანელებსა და რუსებს შორის აღარასოდეს აღარ უნდა მოხდეს“ — სტალინმა აღიქვა გაცილებით გულცივად, ვიდრე ველოდი. იმ მომენტში, ვინ იცის, ეგებ შეპყრობილი იყო იმ აზრით, რომელიც არასოდეს შორდებოდა — ბოლშევიკური რევოლუცია გაეჩაღებინა გერმანიასა და ევროპაში და, შესაბამისად, გერმანია-რუსეთის შეტაკების შესაძლებლობას უშვებდა მომავალში. ანდა, იქნებ თავს გრძნობდა ისტორიული მასშტაბის ადამიანად, ძალზე დიდ ადამიანად, ვისაც, მეგობრული ხელშეკრულების დადებისას, ჩვეულებრივად ზოგადი და დიპლომატიური ფრაზით არ უნდა გაეცა პასუხი? ნეტავი ფიქრობდა თუ არა იმხანად, რომ შეუძლებელი იყო გადაელახათ ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირება (როგორც ამას შემდგომში აღიქვამდა ფიურერი) და თვლიდა თუ არა, რომ ამ მიზეზი გამო შეჯახება, ადრე თუ გვიან, გარდუვალი იქნებოდა? სტალინის პირველ გამონათქვამთან მიმართებაში მეორე გამონათქვამი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. იგი არაორაზროვნად ამხელდა საბჭოთა კავშირის მიერ თავისი სამხედრო ძლიერების შეგნებას და ასპარეზზე გამოსვლის განზრახვას, თუკი ომი გერმანიისათვის უიღბლოდ წარმართებოდა. ეს გამონათქვამი, რომელიც ზუსტად დამამახსოვრდა, სტალინმა მოგვანოდა ისეთი სპონტანური ფორმით, რომ იგი ნაღდად შეესატყვისებოდა მის მაშინდელ შინაგან მრწამსს. განსაკუთრებით განმაცვიფრა გულდაჯერებამ წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის თაობაზე, სტალინის სიტყვებში რომ გახშირდა.

სტალინს, ალბათ, სჯეროდა, რომ იქნებოდა პოზიციური ომი და წლების მანძილზე გაინელებოდა, როგორც 1914-1918 წლებში. ომის გაჭიანურებისას კი გერმანიის პოზიციები შესუსტდებოდა და რაიხი კიდევ უფრო დამოკიდებული გახდებოდა რუსეთის დახმარებაზე ეკონომიკურ და სასურსათო დარგში. თუკი გერმანია ომს წააგებდა, წითელ არმიას მიეცემოდა ხელსაყრელი შემთხვევა ცენტრალურ ევროპაში შესაღწევად. ხოლო ყაიმით რომ დამთავრებულიყო ომი, მისი მონაწილე მხარეები დასუსტებული იქნებოდნენ და რუსეთი, ამით, არაფერს იზარალებდა. თუ რას ფიქრობდა სინამდვილეში სტალინი, უეჭველია, ამას ვერავინ ვერასოდეს შეიტყობს. მაგრამ მისი აზრების მსვლელობა, შესაძლოა, დაახლოებით ასეთი ყოფილიყო.

გერმანიის სწრაფი გამარჯვება დასავლეთში სტალინისათვის, ნაღდად, შემაცბუნებელი მოულოდნელობა გამოდგა. ჯერ კიდევ ჩვენი წინსვლისას საფრანგეთში ახალი ტენდენცია იგრძნობოდა საბჭოთა პოლიტიკაში და ამით დაიწყო მოვლენათა ის ტრაგიკული მდინარეობა, რომელმაც მიგვიყვანა გერმანია-რუსეთის ომის გაჩაღებამდე 1941 წლის ივნისში.

ისააკ დოჩერი (1906-1967) — გერმანელი ისტორიკოსი, ავტორი სამტომიანი თხზულებისა „ტროცკი“. ფრაგმენტი ნივნიდან „სტალინი“ (ნიუ-იორკი, 1949)

თუ რას საუბრობდნენ სტალინი და რიბენტროპი 1939 წლის 23 აგვისტოს, ამის თაობაზე მოგვეპოვება მარტოოდენ რიბენტროპის ჩანაწერი, რომელიც არ არის სრული და ზოგიერთ პუნქტში შეიძლება არაზუსტიც იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ჩანაწერი ნაწილობრივ მაინც წარმოგვიდგენს სტალინს და თითქოსდა ესადაგება მის ბუნებას. საბჭოთა წყაროებს არავითარი სხვა ვერსია არ წამოუყენებიათ და ამკარაა, რომ ისინი არ დაყოვნდებოდნენ მიეთითებინათ რომელიმე მყვირალა უზუსტობა რიბენტროპის მონათხრობში.

სტალინი და ჰიტლერის მოციქული ერთიმეორეს ესაუბრებოდნენ დაზავებული მტრების თვალთმაქცური კილოთი, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ყალბი და ძალზე ხაზგასმული გულითადობით შენიღბონ ხანგრძლივი მტრობის მოგონებანი. „მითხარით, — ამბობს ერთ-ერთი მათგანი, — ჩემს მიმართ რა ბინძური ოინის ჩადენას ლამობდით ამ ან იმ შემთხვევაში?“

დაზავებული მტრები ვითომდა გულუბრყვილონი არიან, სვამენ, იცინიან და ლალობენ, მაგრამ ორივე ფხიზლობს და ფრთხილობს, რომ არ წამოსცდეს თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სათანადო ინფორმაციიდან ანდა თუნდაც ერთი უადგილო ნაბიჯი არ გადადგას. ისინი ერთმანეთს ჰპირდებიან უსასრულო მეგობრულ სამსახურს — დამატებით იმ შეთანხმების, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ; მაგრამ მარც ერთი დაპირება არ შესრულდება.

რიბენტროპი გაუშინაურდება სტალინს და ასე მიმართავს: იცით თუ არა, რომ ბერლინში ამბობენ, თითქოს თქვენც აპირებთ, ანტიკომინტერნულ პაქტს შეუერთდეთო.

ოხუნჯობას ენაცვლება წერილმანი ჩხვლეტები. სტალინი დროდადრო გადაკვრით ამბობს, რომ იგი ჰიტლერს კვლავინდებურად მიიჩნევს აგრესორად და თუმცა ჰიტლერს შეიძლება სწყუროდეს ომი, გერმანელ ხალხს მშვიდობა სწყურიოაო.

შემდეგ რიბენტროპი სტალინს სთავაზობს როგორც საკუთარ, ასევე ფიურერის სამსახურს განმუხტვის დასამყარებლად იაპონიასა და რუსეთს შორის. მაგრამ სტალინისგან მხოლოდ იმას მოისმენს, რომ იგი კავკასიელია და რიბენტროპზე უკეთესად იცნობს აზიელებს (მაღე კიდევ მოვისმენთ ამ დამახასიათებელ რეპლიკას: მე აზიელი ვარო).

რიბენტროპს სხვა „მეგობრული სამსახურიც“ მოეპოვება თაღარიგში. ჰიტლერმა იგი დაარია, რომ სტალინისთვის ეთქვა: გერმანიას კონსტანტინოპოლი და სრუტეები არ აინტერესებსო. მაგრამ, მართალია, მსჯელობდნენ თურქეთის შესახებ, კონსტანტინოპოლი და სრუტეები არც კი უხსენებიათ; ალბათ იმიტომ, რომ სტალინი, წინააღმდეგე ჰიტლერის მოლოდინისა, ჯერჯერობით არ ამჟღავნებს რაიმე ინტერესს აღნიშნული თემისადმი. იგი უბრალოდ თავს უქნევს რიბენტროპს დასტურის ნიშნად, როდესაც ჰიტლერის მოციქული ჩივილით ამბობს: თურქები უპირონი არიანო.

სტალინი აღნიშნავს ბრიტანეთის მწირ შეიარაღებას და ამუღავნებს თავის ანტიინგლისურ გრძნობებს: „თუკი ინგლისი ბატონობს ლამის მთელს მსოფლიოში, ეს სხვა ქვეყნების სიბრიყვის წყალობით ხდება, თავს ნებას რომ აძლევენ — მოტყუებულნი დარჩნენ. მართლაც სასაცილოა, მაგალითად, რომ რამდენიმე ასეული ბრიტანელი ფლოზი ინდოეთს“. მერე კი დასძენს: „ინგლისს, მიუხედავად თავისი სისუსტისა, ძალუძს წარმართოს ომი გაუგონარი ცბიერებითა და შეუპოვრობით“. ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამკარად არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. იგი არ ეთანხმება სტალინს ფრანგების არმიის მაღალ შეფასებაშიც. აქ ჩვენ ვხედავთ სტალინის პოლიტიკის უდიდეს წანამძღვარს და მის უდიდეს შეცდომასაც: იგი ელოდა, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი დიდი ხნით შეინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს გერმანიის წინააღმდეგ. სტალინიმ სწორად შეაფასა ბრიტანეთის სამხედრო სისუსტეცა და მისი მაღალი საბრძოლო სულსკვეთებაც, მაგრამ გადააფასა საფრანგეთის სამხედრო ძალ-ღონე და სათანადოდ ვერ შეაფასა გერმანიის თავზარდამცემი ძლიერება. იგი ყველაზე ნაკლებად ვარაუდობდა, რომ ჰიტლერთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტის მეორე წლისთავს შეხვდებოდა ამგვარი მონოდებით: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“